წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

არქივი თანამედროვე კაცობრიობის კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფოს ცხოვრებაში მას, როგორც წინაპართა ცოდნა-გამოცდილების საუნჯეს, როგორც ერის დოკუმენტურ მეხსიერებას, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, იგი ძვირფასი საგანძურია, სადაც ისტორიულ-იურიდიული ხასიათის მასალებისა და აქტების სახით ინახება საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ადამიანთა ცოდნა და გამოცდილება.

სამშობლოს, ხალხის კულტურის მაღალ დონეზე ლაპარაკობენ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი განსაცვიფრებელი სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლები. ისტორიის გასაშუქებლად ძვირფასია ეს მასალები, მაგრამ ქვეყნის თავგადასავალის, მისი წარსულის სრულყოფილი გაშუქება შეუძლებელია წერილობითი წყაროების, საარქივო დოკუმენტების გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ ქართველ ხალხს ადრინდანვე უზრუნვია, მისი წარსული წერილობით აღბეჭდილიყო ქვის ფილებზე. ჩვენს წინაპრებს სურდათ, რომ არც ერთი დიდმნიშნელოვანი მოვლენა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, არც ერთი შემთხვევა გმირობის, ქვეყნისათვის თავდადებისა და უანგარო მსახურებისა არ მისცემოდა დავიწყებას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას, ისტორიულ ტაო-კლარჯეთს და მესხეთ-აჭარას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩვენი სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობაში. წინაპართა-სიმონ კანანელის, აბუსერისძე ტბელის, აბაშიძეთა, ხიმშიაშვილთა, ბეჟანიძეთა, შერვაშიძეთა, კაიკაციშვილთა და სხვა სახელოვანი გვარების ღირსეულ მამულიშვილთა მეცადინეობით იქმნებოდა ჩვენი მხარის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის ისტორია.

რუსთაველის უმცროსმა თანამედროვე—მწერალმა, მეცნიერმა და გარსკვლავთ მრიცხველმა— აბუსერისძე ტბელმა ადრინდელი შუა საუკუნეების ფეოდალურ ხანაში ცნობილი ხიხანი გადააქცია ასტრონომიის, მწერლობის, საერთოდ კულტურისა და მეცნიერების კერად.

ხიხანს თავის დროზე სტუმრობდა თამარ მეფე; მემატიანე გადმოგვცემს, რომ მეფეთ-მეფე ხიხანს სტუმრობისას სხალთის ეკლესიაში ლოცვას აღავლენდა თავისი ერის გადასარჩენად. აქვე მიდიოდნენ მისი ძე-ლაშა და ასული-რუსუდანი.

მე-14—მე-15 საუკუნეებში ოსმალოს თურქეთის მომძლავრების და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე მრავალჯერადი შემოტევების შედეგად მტრის მიერ დაპყრობილ იქნა საქართველოს ულამაზესი კუთხე აჭარა, ბათუმ-ლაზისტანის ვილაეთის ჩათვლით. შესაბამისად დაკნინდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ამ მხარეში ეროვნულ ენაზე დოკუმენტწარმოება.

ოსმალოს თურქეთმა 1578 წელს ისტორიული მესხეთის მიწაზე დაიწყო და შეადგინა გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი მოსახლეობის აღრიცხვის და შემდგომ მათზე გადასახადების შეწერის თვალსაზრისით. 1705 წელს მათ შემოაღწიეს აჭარაში და შეადგინეს ჩილდირის ვილაეთის „ჯაბა-დავთარი“. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდგომ ბათუმის ოლქში დაიწყო როგორც მიწის რეფორმა, ასევე მოსახლეობის აღწერა, ბათუმის და სხვა ადმინისტრაციული ცენტრების კეთილმოწყობა-განაშენიანება.

არქივებს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თვით ტერმინი „არქივი“ წყაროებში არ შემონახულა, მაგრამ დოკუმენტების სპეციალურად განკუთვნილი საცავების არსებობა ეჭვს არ იწვევს. საქართველოში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან არსებობდა სპეციალური აქტსაცავი „დავთარხანა“, სადაც ინახებოდა ქვეყანაში საშინაო და საგარეო ურთიერთობის ამსახველი მასალები.

არქივების დიდი ნაწილი მონღოლ-სპარსთა და სხვა მტრების შემოსევების დროს განადგურდა. საბედნიეროდ, ქვეყნის დიდ დასახლებულ პუნქტებში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში ისტორიის ძვრიფასი წყაროები—ხელნაწერები, სიგელ-გუჯარები ინახებოდა. კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იყო დოკუმენტების დაცვა ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში.

ოსმალოს თურქეთის სამასწლოვანმა ბატონობამ აჭარაში საარქივო საგანძურს დიდი ზიანი მიაყენა. არქივების უდიდესი ნაწილი დამყრობლებმა გაიტაცეს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. საარქივო ფონდს ასევე ზარალი მიაყენა მუშაჯირობამ. 1878 წლიდან, როდესაც ბათუმის ოლქი საქართველოს ერთიანობაში განიხილებოდა, მსხვილ

დასახლებულ პუნქტებში, მათ შორის ქ. ბათუმში შეიქმნა ადმინისტრაციული და სამეურნეო დაწესებულებები, რომელთა დოკუმენტების ძირითადი ნაწილი შესანახად მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ ცენტრებში ქ. ქუთაისში, ქ. თბილისში და სანკტ-პეტერბურგში იგზავნებოდა.

1921 წლის 1 ივლისს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი საქართველოში „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“. 1921 წლის 15 ივლისს აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის მიერ შექმნილმა სამხედრო-ისტორიული დოკუმენტების შემგროვებელმა დროებითმა კომისიამ ხელი მოჰკიდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო საარქივო დოკუმენტების შეგროვებასა და დაცვას.

აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის დროებითმა კომისიამ საარქივო დოკუმენტების შეკრებისა და კლასიფიკაციისათვის ჩაატარა დიდი სამუშაოები. განხორციელდა ეფექტური ღონისძიებანი საარქივო დოკუმენტების აღრიცხვისა და მათი შემდგომი კონცენტრაციისათვის ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში — არქივში.[1]

1922 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გ. ფურცელაძის აქტიური მეცადინეობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით ტარდებოდა მიზანმიმართული მუშაობა საარქივო დოკუმენტების შენახვის, აღრიცხვაზე აყვანის და ერთიან დაწესებულებაში თავმოყრისათვის.

1922 წლის 7 დეკემბერს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პლენუმზე განხილული იქნა საკითხი საარქივო ორგანოს შექმნის შესახებ.[2]

1923 წლის 20 მარტს სახკომსაბჭოს პლენუმის სხდომაზე მოისმინეს საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის მოხსენება „აჭარაში საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ“. პლენუმმა დაადგინა ყველა საკითხი, დაკავშირებული არქივის შექმნასთან, გადაეცეს აჭარის განათლების სახკომს. განსახკომს დაევალა უახლოეს დროში წარადგინოს სახკომსაბჭოს პლენუმზე არქივის აპარატის შტატების პროექტი.[3] 1923 წლის 11 აპრილის აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პლენუმის სხდომაზე ხელახლა იქნა განხილული საკითხი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“. პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა აჭარის ასსრ განათლების სახკომთან დაუყონებლივ შექმნილიყო საარქივო განყოფილება და დაამტკიცა შტატები 4 კაცის შემადგენლობით: საარქივო განყოფილების გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი. ამრიგად, აჭარის ასსრ-ში საარქივო განყოფილების ჩამოყალიბების თარიღად ითვლება 1923 წლის 11 აპრილი.[4]

მაზრის ტერიტორიაზე არსებული ყოველგვარი საარქივო მასალის აღმოჩენის, შეგროვების, გადარჩევის და დაცვის მიზნით სამაზრო აღმასკომებთან 1926 წლის 19 დეკემბრიდან დაარსდა სამაზრო საარქივო ბიუროები, რომელიც არსებობდა 1929 წლამდე. 1930-1935 წლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებთან შემოღებულ იქნა არქივარიუსის თანამდებობები, 1936 წლიდან კი აღმასკომებთან შეიქმნა საარქივო განყოფილებები. ასევე ბრძანების წიგნებით ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებში უკვე 1937 წლიდან არსებობდა საუწყებო არქივები.

1929 წლის იანვრიდან განსახკომის საარქივო განყოფილება — ცენტრალური არქივი დაექვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1938 წლის ოქტომბრიდან აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იქმნება საარქივო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრალურ სახელმწიფო და რაიონების არქივებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის №-296 დადგენილებით აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილება გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო განყოფილებად, 1963 წლის 25 აგვისტოდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №-547 დადგენილებით—აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოთან არსებულ საარქივო სამმართველოდ, რომელიც აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 29 ივნისის №-109 დადგენილებით გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტი, ხოლო 1996 წლის 23 იანვრის ბრძანებულებით იგი გარდაიქმნა სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტად. 1998 წლის 27 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს №-100 დადგენილებით დეპარტამენტში ჩამოყალიბდა განყოფილებები.

---

1. აჭარის ა.რ. ცსა ფონდი № რ-1, საქ. №-40, ფ. 104.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, ან. I, საქ. 12, ფ. 42.

3. აჭარის ა.რ. ცსა., ფონდი № რ-2, ან. I, საქ. 14, ფ. 121.
4. აჭარის ა.რ. ცსა, ფონდი № რ-2, ან. I, საქმე 14, ფ. 121.

1997 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს 500 ათასზე მეტი საქმეთა ოდენობის საფუძველზე შეეცვალა კატეგორია და მეოთხედან გადაყვანილი იქნა მე-2 კატეგორიაზე, შეიქმნა მის სტრუქტურაში 7 განყოფილება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის დეკემბრის №-282 დადგენილებით ცენტრალური არქივის სტრუქტურაში შეიქმნა პარტიების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება, ხოლო 1998 წლის 16 სექტემბრის №-186 დადგენილებით შეიქმნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილება. ასევე შეიქმნა დეპარტამენტის დოკუმენტების მიკროფილმირების და რესტავრაციის რესპუბლიკური ლაბორატორია, რომელიც გამოეყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივს.

პირველ წლებში საარქივო განყოფილების ქვემდებარეობაში კონცენტრილებული იქნა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ჩაქვის საუფლისწულო მამულის, სასამართლო და სხვა დაწესებულების მასალები.

აღნიშნული პერიოდის დოკუმენტებში ნათლადაა წარმოდგენილი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მწერალ-პუბლიცისტის, 1901-1921 წლებში ბათუმის ოლქში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის დაუღალავი პოლიტიკური მებრძოლის მემედ ბეგ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. ასევე აქვე გვხვდება სხვა აბაშიძეების, ხიმშიაშვილების, დიასამიძეების, ათაბაგების, ბეჟანიძეების, შერვაშიძეების, ნიჟარაძეების, წულუკიძეების საგვარეულოთა ღირსეული მამულიშვილების საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალები.

შემდეგ წლებში სახელმწიფო არქივები სისტემატიურად ივსება სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, წარმოებებისა და უწყებების, სხვა დაწესებულებების დოკუმენტური მასალებით.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არის ერთი ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ამიტომ აქ ინახება როგორც ისტორიული, ე. ი. რევოლუციამდელი პერიოდის, ისე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის და შემდგომი პერიოდის საარქივო დოკუმენტური მასალები.

ამ დროისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1850-1999 წლების 1579 ფონდის დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოიცავს 508607 საქმის ერთეულს, ასევე ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება სამინისტროების და უწყებების 346 ფონდის 53951 საქმეთა ერთეული.

ცენტრალურ არქივში დოკუმენტებით დაკომპლექტება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1968 წლიდან დაგეგმილი და მშენებლობა დაწყებული ცენტრალური არქივის 6 სართულიანი შენობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონტ ასალან აბაშიძის ხელისუფლებაში მოსვლით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით დასრულდა წელიწადნახევრის განმავლობაში 1992 წელს.

თუ 1921-1990 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ითვლიდა 220 ათას მუდმივ შესანახ საქმეთა ერთეულს, ბოლო ათი წლის განმავლობაში ახალ შენობაში სახელმწიფო შენახვაზე შემოვიდა 293001 საქმეთა ერთეული ფოტოდოკუმენტების (10511) ჩათვლით. ამავე დროს გაკეთდა საშვილიშვილო საქმე, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 2001 წლის №-70 და 2002 წლის №-1 დადგენილებებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კინოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივი, სადაც შემოიზიდა 11400 კინოერთეული. ქ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო და კინოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივებიდან შემოტანილი იქნა ბათუმის ოლქის ისტორიის ამსახველი 1870-1921 წლების ქაღალდის ფუძიანი უნიკალური დოკუმენტების და 1919-1986 წლების კინოფოტოფონო დოკუმენტების ასლები. აღნიშნულ მასალებში გვხვდება საქართველოს ეროვნული პარლამენტის პირველი სხდომის ოქმები, ანგარიშები, მოხსენებები, მიმოწერები. დაცულია პარლამენტის წევრთა და სამუსლიმანო საქართველოდან პარლამენტის წარმომადგენელთა სიები. 1881-1890 წლების მასალებში გვხვდება მუჰაჯირთა სიები.

შემოტანილმა მასალებმა ერთხელ კიდევ ნათელი მოჰფინა ჩვენი კუთხის ისტორიულ-ტერიტორიული განვითარების ასპექტებს. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის იმპერიის გამარჯვების შემდეგ ყარსის და ბათუმის ოლქები (ბათუმის მხარე-კინტრიშის უბანი, ქ. ბათუმის, გონიოს, ქვედა და ზედა აჭარის უბნები, ართვინის მხარე - ქ. ართვინი, შავშეთ-იმერხევის, ოლთისის და არტანუჯის უბნები) საქართველოსთან ერთად კავკასიის

მეფის ნაცვლის მართვა-გამგებლობაში შევიდა. დაიწყო მხარის ახლებური განვითარება, სათავე დაედო საპორტო ქალაქის მშენებლობას, რკინიგზის, ზღვისპირა პარკის (ბულვარის), ელექტროგანათების მოწყობას, განათლების, კულტურის კერების შექმნას, ქარხნების მშენებლობას.

დადგინდა მსხვილი მიწათმფლობელები. ბათუმის მიწათმოწყობის დროებითი კომისიის 1880 წლის (20 მაისი—10 ივნისი) საოქმო გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე—ბაქრაძე) მსხვილ მიწათმფლობელებად ცნობილ იქნენ ბათუმში—აბაშიძეები და ნაწილობრივ სანათესაო-ნაჩუქრობის საფუძველზე ბეჟანიძეები; ჩურუქსუსა და ქვედა აჭარაში თავდგირიძე; ზედა აჭარაში შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი; შავშეთ-იმერხევში-ხიმშიაშვილი, ართვინში და არტანუჯის უბნებში (ოლთისის მხარე) ძველი ათაბაგების მემკვიდრეები. საერთოდ, ბათუმის ოლქში ყველაზე მსხვილ მიწათმფლობელებად აღიარებულ იქნენ ძველი სათავადო შთამომავალნი, მათ შორის მოცულობით ყველაზე მეტი (მაგალითად აბაშიძეთა საგავარეულოს) საკუთრება შეადგენდა 500-600 დესეტინას (1 დ.=1,0925 ჰა.)

ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზურის რევოლუციამდელი ფონდის განყოფილებაში თავმოყრილია რუსეთის იმპერიის მეფისდროინდელი დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების მასალები, რომლებიც არსებობდნენ ყოფილი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე, ასევე მასალები საზოგადოებრივი და წოდებრივი დაწესებულებებისა. ამათ გარდა, ამავე განყოფილებაში ინახება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაწესებულებების, თურქეთის და ინგლისის საოკუპაციო პერიოდის მასალები.

განყოფილებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფონდებია: ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის ქალაქის მმართველობის, ბათუმის საქალაქო სათათბიროს, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საჟანდარმო-საპოლიციო სამმართველოს ბათუმის განყოფილების, ბათუმის საბაჟოს, ბათუმის სავაჭრო პორტის სამმართველოს, ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს, ჩაქვის საუფლისწულო მამულის და სხვა საოლქო მნიშვნელობის დაწესებულებების დოკუმენტური მასალები. ამ ფონდების მასალები ასახავენ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის ისტორიის ძირითად ეტაპებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს, ნავთობის სააქციო სამმართველოს და სხვა ფონდების დოკუმენტურ მასალებში ინახება მონაცემები ქ. ბათუმის მრეწველობის განვითარების შესახებ, სტატისტიკური მონაცემები ბაქოდან მოწოდებული და ბათუმის პორტიდან საზღვარგარეთ გატანილი ნავთობპროდუქტების, ღვინის, არაყისა და კონიაკის წარმოების, ჩაის საზღვარგარეთ გატანის შესახებ. არსებობს სიები სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც განლაგებული იყვნენ ქ. ბათუმში და მათი ცალკეული ნაგებობების გეგმები.

ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობის ისტორიის ამსახველი მასალები ინახება ჩაქვის სამაზრო ფონდებში. ამ ფონდების მასალები დაწვრილებით ახასიათებენ ნიადაგსა და მცენარეულ საფარს, სატყეო აგარაკების, ბათუმის ოლქისა და შავი ზღვისპირა აჭარის სანაპიროების საზღვრებს. აქვე გვხვდება დოკუმენტები ჩაის კულტურის გაშენების, პირველი პლანტაციებისა და მათი შემდგომი გაფართოების, ჩაის წარმოების სპეციალისტთა საზღვარგარეთიდან (ჩინეთიდან) მოწვევის, შრომის ორგანიზაციის, კერძო მამულებში მეურნეობების მოწყობის, აჭარის წყლის რესურსების სამეურნეო მიზნით გამოყენების, ჰიდროელექტრო და მეტეოროლოგიური სადგურების მშენებლობის, ჩაის ნარჩენებისაგან კოფეინის გამოყოფის, 1913 წელს პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის, პირველი ჩაის ფაბრიკის მშენებლობის და სხვათა შესახებ.

ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიისა და პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების, საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის და სხვა ფონდებში ინახება მასალები ბათუმის ქარხნების მუშათა რევოლუციური მოძრაობის, აჭარაში გლეხთა მოძრაობის შესახებ. ამ მასალებს შორის არის მონაცემები 1902 წლის მარტში მოწყობილი დემონსტრაციის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა რსდმპ-ს ბათუმის კომიტეტი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. მონაცემები ქ. ბათუმში იატაკქვეშა ბოლშევიკური ტიპოგრაფიის შესახებ, სოციალ-დემოკრატების ბათუმის კომიტეტის 1905 წლის რევოლუციის წინა და ამ რევოლუციის პერიოდში მუშაობის, კავკასიის ფარგლებს გარეთ იმ პირთა გასახლების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში, ჩაის პლანტაციებში მუშათა მღელვარების, მოსახლეობაში პროკლამაციების და არალეგალური ფურცლების გავრცელების, 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ გაფიცვის, 1905 წლის ივლისში გაფიცვების, ბათუმის გარნიზონში სამხედროებს შორის მღელვარებების, 1910 წელს ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო მიტინგებისა და შეკრებების აკრძალვის, 1907

წელს მეფის ხელისუფლების მიერ სომხებსა და მუსულმანებს შორის შუღლის გაღვივების შესახებ.

ფონდში ინახება აგრეთვე მრავალი პრობლამაცია და მოწოდება რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტისა და მოქალაქეებისადმი, მოწოდებები კაპიტალისტებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემონახულია რსდმპ წევრთა სიები, რომლებიც იძებნებოდნენ პოლიციის მიერ; იმ პირთა სიები, რომლებიც გაასახლეს ბათუმის ოლქიდან რევოლუციური პროპაგანდისათვის; არის მონაცემები ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის, სახელოსნო და ქალაქის სასწავლებლების მოსწავლეთა გაფიცვების შესახებ; ასევე დოკუმენტები როტშილდის, მანთაშევის ქარხნების, ბათუმის საზღვაო პორტის და სხვა საწარმოების მუშათა 1902-1921 წლებში რევოლუციური მოძრაობის შესახებ.

სახალხო განათლებისა და კულტურის ისტორიის შესასწავლად მასალები მოიპოვება ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, საქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების და სხვა სასწავლო დაწესებულებათა ფონდებში. ამ ფონდებში შენახულია 1897-დან 1921 წლამდე მასალები, მათ შორის: დირექტორების, მასწავლებლებისა და საკლასო ზედამხედველების ანგარიშები, მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები, გიმნაზიისა და სასწავლებელების გახსნის და მათი მოღვაწეობის ისტორიის შესახებ. ფონდში არის მონაცემები 1905 წელს ბათუმის მუშათა რევოლუციურ გამოსვლებში მოსწავლეთა მონაწილეობის გამო მეცადინეობათა შეწყვეტის შესახებ; არის მონაცემები იმ ზიანის შესახებ, რომელიც თურქულმა ჯარმა მიაყენა გიმნაზიას ოკუპაციის დროს 1918 წელს. ასევე ინახება 1909 წელს დიდი რუსი მწერლის ნ. გ. გოგოლის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს, 1914 წელს მ. ი. ლერმონტოვის იუბილის აღნიშვნის და სხვათა ამსახველი მასალები.

ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ფონდებში არის მასალები, რომლებიც ასახავენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომი პერიოდის ისტორიას. დღეისათვის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდსაცავებში შემონახულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობითი ორგანოების, სახალხო სასამართლოების, პროკურატურის, ცენტრალური უწყებებისა და სამმართველოების, სასოფლო სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, ფაბრიკების, ქარხნების, სამშენებლო ორგანიზაციების, ჯანდაცვის, სოცუზრუნველყოფის, გაჭრობის, კავშირგაბმულობის, პროფკავშირების, საზოგადოებრივი, საყოფაცხოვრებო ორგანოების, სახალხო განათლების, საკავშირო გაერთიანების ანგარანებისა, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ქ. ბათუმში, მაგ. „საკავშირო ნავთის ექსპორტის“ ბათუმის ანგარანის, „ტორგსინ“ ბათუმის განყოფილების, რუსეთ-თურქეთის საექსპორტო-საიმპორტო სააქციონერო საზოგადოება „რუსთურქ“-ის ბათუმის სააგენტოს, რუსულ-ინგლისური სააქციონერო საზოგადოება „არკოს“-ის ბათუმის სააგენტოს მასალები, ასევე საგეგმო-ფინანსური, სტატისტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, პარტიების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და მრავალი სხვა ორგანოების მასალები.

აჭარის რევკომის ფონდში დაცულია რევკომის პირველი სხდომის ოქმები, ანგარიშები, მოხსენებები, მიმოწერები და სხვა მასალები.

აჭარის ასსრ რევკომის ფონდში (1921-1922 წ.წ.) დაცულია დეკრეტები, ბრძანებები, საქართველოსა და აჭარის რევკომების სხვა მასალები ახალი ხელისუფლების დამყარების, ხელისუფლების რევკომის ხელში გადასვლის, აჭარის ასს რესპუბლიკის შექმნის, ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის მსხვრევის, ახალი საბჭოური დაწესებულებების, სპეკულაციის, საბოტაჟისა და თანამდებობრივი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის, საცხოვრებელის და საკვების კრიზისის დაძლევის ზომების, უმუშევრობის ლიკვიდაციის, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის, ქალაქის კეთილმოწყობის, რევკომის მოღვაწეობისა და საქმიანობის შესახებ; დაცულია ასევე რევკომის წევრთა სიები.

არქივში ინახება წითელი მეჯლისის (1921-1922 წ.წ.) და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (1921-1937 წ.წ.) ფონდები, პირველი მეჯლისის ლიკვიდაციის მასალები, დეპეშები ვ. ი. ლენინის მისამართით ბათუმის ღატაკთა კომიტეტიდან, წითელი მეჯლისიდან და აჭარის ხოჯათა ყრილობის დელეგატებისაგან. მათ შორისაა მიწის, ტყეების, სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ საკანონმდებლო აქტები, მონაცემები აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის,საქალაქო, სამზრო და სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების მოღვაწეობის შესახებ, სახალხო კომისარიატების შექმნის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების, მოსახლეობის გაუნათლებლობის ლიკვიდაციის, რესპუბლიკაში ჩაისა და ციტრუსების კულტურების განვითარების, 1926 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარების, სამაზრო და სათემო აღმასკომების ლიკვიდაციის, რაიონების შექმნის, კოლმეურნეობებისა და

საბჭოთა მეურნეობების, ქალთა შორის მუშაობის, კურორტების მშენებლობისათვის მიწების გამოყოფის, მასალები სახკომის, სამრეწველო, საგაჭრო და სასოფლო-სამეურნეო

ორგანიზაციების, ისტორიული ძეგლების დაცვის შესახებ.

უშუალოდ ამ მასალებს განეკუთვნება აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფონდები (1938-1990 წ.წ.), რომლებშიც თავმოყრილია მონაცემები პრეზიდიუმის, როგორც რესპუბლიკაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბების და შემდგომ მისი ფუნქციონირების შესახებ. უმაღლესი საბჭოს სესიების მიერ მიღებული კანონები, სესიების ოქმები, აჭარის ასსრ მთავრობის შექმნის შესახებ, აჭარის ასსრ სახელმწიფო ღერბის, რაიონული საქალაქო, სასოფლო და დაბების საბჭოების არჩევნების, დაბა ქობულეთის ქალაქად გადაკეთების, გამორჩენილ მოღვაწეთა სახელების ქუჩებზე, სკოლებზე, რესპუბლიკის საწარმოებზე მინიჭების, სახალხო მოსამართლეების, საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობათა დამტკიცების, დიდი სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებით გამორჩეულ მუშათა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების, 1941-1945 წლებში ომში დაღუპულთა ოჯახებზე ორდენების, მედლების გადაცემისა და მატერიალური დახმარების აღმოჩენის, მეცნიერების, ტექნიკის დარგში დამსახურებულ მოღვაწეთა წოდების და აჭარის ასსრ სხვა საპატიო წოდებების მინიჭების, რესპუბლიკური, რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიების ჩატარების შესახებ.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ფონდში (1922-1990 წ.წ.) ინახება მასალები რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების, მიწის საკითხების გადაჭრის, მრეწველობის, საგზაო მშენებლობის აღდგენისა და განვითარების, ჩაის პლანტაციების ფართის გაზრდის, სოც.უზრუნველყოფის, აწჰესის მშენებლობის, მეცხოველეობის, ნადირობის, თევზჭერის, სოფლებში კოოპერატივების მშენებლობის, კულტურული რევოლუციის მოწყობის, ჯანდაცვის, კომუნალური მეურნეობის, სამელიორაციო სამუშაოების, ჭაობების დაშრობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, ქ. ბათუმში დრამატული თეატრის გახსნის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის განვითარების, ვაჭრობის გაუმჯობესების, ქალაქის კეთილმოწყობის, მდინარე ლეჩოს ქ. ბათუმისათვის სასმელ წყლად გამოყენების, ქ. ბათუმის სტადიონის კეთილმოწყობის, სახლების მშენებლობის, ტყის დაცვისა და გამოყენების, ფრონტზე დახმარების, რესპუბლიკის ეკონომიკის ფრონტისათვის საჭიროების მიზნით გარდაქმნის, რესპუბლიკის ქალაქებში სხვადასხვა სამრეწველო საწარმოების გახსნის, სოფლისა და ქალაქების მშენებლობის, მე-12 ხუთწლედისა და 1985-2000 წლამდე პერიოდის აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დამტკიცების, სასაზღვრო გამშვები პუნქტის „სარფის“ რეკონსტრუქციის, ბათუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ და სხვა მასალები.

არქივში ინახება აგრეთვე 1921-1962 წლების სახელმწიფო მართვის და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მასალები; ესაა ბათუმის საქალაქო, ბათუმის (ახლა ხელვაჩაურის) ქედის, ქობულეთის, შუახევის (1952-1962; 1962-1991 წ.წ.) და ხულოს რაიონების აღმასკომების (1930-1991 წ.წ.), აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების სამაზრო (1922-1930 წ.წ.), სასოფლო და სადაბო საბჭოების (1927-1936 წ.წ.) მასალები. ფონდებში მოცემულია სხვადასხვაგვარი მონაცემები მიწის რეფორმის გატარების შედეგების, მიწისა და სათესი ფართობების რაოდენობის, თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის მომზადებისა და ჩატარების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კულაკთა ქონების კონფისკაციის, გლეხების სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და თესლებით მომარაგების, მეცხოველეობის, მეჩაიეობის, მევენახეობის, მეთამბაქოეობის, მეცხოველეობის განვითარების, გზებისა და სკოლების მშენებლობის, აჭარელ ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის (ჩადრის ჩამოხსნის), წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ზომების, სააგიტმოსფოების, გეტსამკურნალოების მშენებლობის, მელიორაციისა და სარწყავი სისტემის შექმნის შესახებ.

აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონული პროკურატურების ფონდებში დაცულია მასალები ამ ორგანოების დანაშაულობებთან ბრძოლის შესახებ, ეს მასალები ახასიათებენ სოციალისტურ იურისპრუდენციას, ადასტურებენ სოციალისტური საკუთრების დაცვას (1923-1990 წ.წ.).

არქივში ინახება რესპუბლიკის საფინანსო-საკრედიტო (1922-1990 წ.წ.), საგეგმო კომისიის (1924-1974 წ.წ.), სტატისტიკური სამმართველოს (1921-1965 წ.წ.) და მაკონტროლებელი ორგანოების მასალები. აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს (ფინსახკომის), სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური ანგარანის და მის ადგილობრივი ორგანოების

მასალებში არის მონაცემები რესპუბლიკის ფინანსური და ბიუჯეტური მდგომარეობის, ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების, სამინისტროების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების, პირუტყვის ეპიზოოტიით დაზარალებული გლეხებისათვის ფულადი დახმარების აღმოჩენის, ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის, ტყეებზე გადასახადების ნიხრების გადასინჯვისა და დარეგულირების, რესპუბლიკური და ადგილობრივი მშენებლობის გადასახადების შემოღების, სახელმწიფო სესხების რეალიზაციის, ადგილობრივი დაწესებულებების მუშაობის კონტროლის, ფართო მოხმარების საქონელზე და კვების პროდუქტებზე დადგენილი ფასების დაცვაზე კონტროლის გაძლიერების, რესპუბლიკის ფულადი რესურსების მობილიზაციის, კოლმეურნეობებისა და კერძო მეურნეობების გადასახადებითა და მოსაკრებლებით დაბეგვრის შესახებ.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მასალები (1924-1974 წ.წ.) მოიცავენ ცნობებს ციტრუსოვანი, ტექნიკური და ჩაის კულტურების განვითარებაზე, სამრეწველო საწარმოების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე სახსრების გამოყოფის, ელექტროფიკაციის, კონტრაბანდასთან ბრძოლის ზომების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ზღვრული ფასების დადგენის, სოფლის სამრეწველო პროდუქციით მომარაგების გაუმჯობესების, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების შედეგების და სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრეების აღმოჩენის, სანაპირო ზოლის გამაგრების, მეცხოველეობის განვითარების, რძის წარმოების, მეჩაიეობის განვითარების, ჩაის გადამუშავებისა და გაშრობის დარგში ჩინელი ლაო ჯონ-ჯაუს წინადადებათა შესახებ.

ადგილობრივი ლატერიტებიდან ჰიდრავლიკური შემკვრელი ნივთიერების მიღების თაობაზე ინჟინერ სციპიონის რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, ციტრუსოვანთა ნარგავებისათვის მიწის ნაკვეთების გაფართოების, სამრეწველო საწარმოების მუშაობის, რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გეგმების, ზემო აჭარაში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მეღორეობის განვითარების, ციტრუსების, თამბაქოს შესყიდვის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების, ეთერზეთოვნების, სიმინდის დამზადების გეგმების შესრულების შესახებ, სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციის შესახებ, რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების ზრდის დონის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, სახალხო მეურნეების და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრები. მონაცემები მათი შესრულების შესახებ.

სტატისტიკური სამმართველოს მასალებში (1921-1984 წ.წ.) ინახება მონაცემები 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის, რესპუბლიკის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის აღწერის და ხარისხის განსაზღვრისათვის კომისიის შექმნის, რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობის, მრეწველობის განვითარების, საყარგულე ფართობის, სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, კომუნალური, საქალაქო, საგზაო მშენებლობის, მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდის აღრიცხვის შესახებ.

სახკომებში, ცალკეულ დაწესებულებებში, საწარმოებში და ორგანიზაციებში, საბჭოთა კანონების დაცვისა და კონტროლის საკითხების შესახებ ინფორმაციები თავმოყრილია აჭარის ასსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახკომის მასალებში (1921-1934 წ.წ.).

აჭარაში მრეწველობის შექმნისა და განვითარების შესახებ ინფორმაციებს იძლევა აგრეთვე აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (1921-1923 წ.წ.), ადგილობრივი მრეწველობის სახკომის (შემდგომში სამინისტრო) (1922-1991 წ.წ.) და ბათუმის რიგი სამრეწველო საწარმოების: ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, გემთსაშენი, ქიმიური, მანქანათმშენებელი, მექანიკური, კოფეინის, რეზინა-ტექნიკური ნაკეთობების, ტყავეულის, თამბაქოს საფერმენტაციო, ხილის წყლების და ლუდის, ხის გადამამუშავებელი ქარხნების, ბამბუკის გადამუშავების, №-5 სამკერვალო ფაბრიკის, №-4 ფეხსაცმლის ფაბრიკის, ტრიკოტაჟის სამკერვალოს, თამბაქოს, ქობულეთის, ჩაქვის №-1 და №-2 ჩაის, საკონდიტრო ფაბრიკის, ხორცკომბინატის, ციტრუსკომბინატის (1939-1966 წ.წ.) ფონდების დოკუმენტური მასალები.

მათ შორისაა მასალები სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის, აღდგენისა და გაფართოების, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, საწარმოების გაფართოების, მათი შეიარაღების, წარმოებაში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დანერგვის, ნედლეულით მომარაგების, დაგეგმარების ორგანიზაციის, სოციალისტური შეჯიბრების, გეგმების შესრულებისა და გადაჭარბების, საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო, შრომის პირობების გაუმჯობესების, კადრების მომზადების, გამომუშავების ნორმების გადამოწმების, წარმოებაში ნარჩენების გამოყენების, გამოცდილების

გაზიარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დამკვრელური და სტახანოვური მოძრაობის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის დაცვის, მუშათა

მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის, მზა პროდუქციის გასაღების შესახებ.

აჭარის ასსრ საყოფაცხოვრებო, კომუნალური და კულტურული მშენებლობის ფონდების „საქმშენის“ ანგარანის სამშენებლო სამმართველოს მასალებში დაცულია მონაცემები აჭარის საბინაო ფონდის ზრდის, ახალი სახლების მშენებლობის, საწარმოების, მუშათა დასახლებების, კურორტების მშენებლობის, კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოების, კაპიტალდაბანდებათა სახსრების ათვისების, მშენებლობაზე შრომის ახალი მეთოდების დანერგვის შესახებ.

აჭარის საგზაო სამმართველოს (1923-1988 წ.წ.), ბათუმის საზღვაო საგაჭრო ნავსადგურის სამმართველოს (1921-1990 წ.წ.), აჭარის ავტოსატრანსპორტო ანგარანის (1926-1943 წ.წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების (1961-1995 წ.წ.) და აჭარის კავშირგაბმულობის საოლქო ანგარანის (1921-1963 წ.წ.) ფონდებში ინახება მასალები ამ ორგანიზაციების მოღვაწეობის, გზათა მშენებლობის, მგზავრთა გადაყვანის, ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის შესახებ. გემების მოცდენის წინააღმდეგ ბრძოლის, პორტის სანიტარული სამსახურის, პორტში სამუშაოების მექანიზაციის გაფართოების, მუშათა სამედიცინო მომსახურეობისა და უსაფრთხოების ტექნიკის პირობების გაუმჯობესების, ჩატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოების მექანიზაციის დარგში რაციონალიზატორული წინადადებების, პორტის მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო, მომსახურეობის გაუმჯობესების, ფიზკულტურულ-სპორტული აღზრდის, მარგანეცის მადნის, მერქნისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის, საექსპორტო-საიმპორტო ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, ავარიებთან ბრძოლის, ექსპლოატაციის გეგმების შესრულების, ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, რესპუბლიკის ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის, რესპუბლიკაში საფოსტო განყოფილებებისა და რადიოდანადგარების ორგანიზაციის შესახებ.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (1921-1990 წ.წ.) ფონდებში ნათლადაა ასახული სოფლის მეურნეობის ყველა სფეროს განვითარება და განმტკიცება, სოციალისტური მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ორგანიზაცია. საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველოს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, აჭარის ასსრ საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობის სახალხო კომისარიატი (1925-1940 წ.წ.), რაიაღმასკომების მიწის განყოფილებების (1930-1962 წ.წ.), ჩაქვის სახალხო მამულების (1922-1931 წ.წ.), ჩაის და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (1932-1973 წ.წ.), აჭარის კოლმეურნეობების (1923-1990 წ.წ.) საქმეებში თავმოყრილია მასალები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, ადგილობრივი მიწის ორგანოების მუშაობის, მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის, საკოლმეურნეო და სამეურნეო მშენებლობის, ტყის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების, ჩაის, ციტრუსების, სამკურნალო მცენარეების, ეგკალიპტის, გერანის განაშენიანების, კოლმეურნეობებში შემოსავლების განაწილების და შრომის ანაზღაურების, მეცხოველეობის, მემინდვრეობის განვითარების, რძის ფერმების შექმნის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალური მშენებლობის, მათი შიგა სამეურნეო მოწყობის, სოცშეჯიბრების, გერმანელი ოკუპანტებისაგან განვითარებულ რაიონებისათვის (1945-1946 წ.წ.) პირუტყვის გამოყოფის შესახებ, მიწათსარგებლობის რეგულირების, პროდუქციის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების, ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, სოფლის მეურნეობის კვალიფიცირებული კადრებით მომზადების, საბჭოთა მეურნეობებში მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სანიტარული მომსახურეობის, სუბტროპიკული კულტურების ნარგაგების გაფართოების და ციტრუსოვანთა ნაყოფთა მოსავლის რეალიზაციის, ტექნიკური და ეთეროვანი ზეთების მოპოვების, ციტრუსების ნაყოფების და ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანის, პლანტაციების მდგომარეობის, ჩაის კულტურებისათვის ნასვენი და ყამირი მიწების ათვისების, მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ციტრუსების ყინვისაგან დაცვის, სტახანოვური მოძრაობის და სოცშეჯიბრების შესახებ.

ტყის სარეწაო მეურნეობის, აჭარის ასსრ ტყის ექსპორტის (1921-1956 წ.წ.) სახელმწიფო ბრაკერაჟის და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის (1956-1990 წ.წ.) ფონდებში ინახება მასალები ტყის სიმდიდრის დაცვის, საექსპორტო ტყის დამზადების, მისი ხარისხის, ძვირფასი ჯიშის ხეების გასაშენებლად ტყის ფართობის გაზრდის შესახებ.

გაჭრობის სამინისტროს (1926-1985 წ.წ.) ამიერკავკასიის საგარეო გაჭრობის ბათუმის განყოფილების (1921-1926 წ.წ.), „არკოს“-ის ბათუმის სააგენტოს (1922-1925 წ.წ.) და სხვა

საგაჭრო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მასალები ასახავენ რესპუბლიკაში შიგა ვაჭრობის ორგანიზაციას, საექსპერტო კავშირების განხორციელებას.

რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის განვითარების შესახებ მოწმობენ აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს კომუნალური მურნეობის განყოფილების (1921-1934 წ.წ.), კომუნალური მეურნეობის სამინისტროს (1933-1957 წ.წ.) და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების მასალები საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ფართობის გამოყოფის შესახებ, სასტუმროების, აბანოების, სადალაქოების მშენებლობის, ქალაქის სანიტარული მდგომარეობის, ქ. ბათუმში (1933 წ.) კანალიზაციების მშენებლობის, სასმელი წყლის დაქლორვის, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და მებრძოლთა ოჯახებზე საცხოვრებელი ფართის გადაცემის, სანაპიროს გამაგრების სამუშაოების წარმოების, სატელეფონო სადგურის, ელექტროსადგურების მშენებლობის, ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების, ქალაქის გამწვანების შესახებ.

აჭარის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს (1921-1990 წ.წ.), ანტიმალარიული რესპუბლიკური სადგურის (1924-1964 წ.წ.), კურორტების მთავარი სამმართველოს (1927-1976 წ.წ.) მასალებში დაცულია მონაცემები რესპუბლიკაში სამკურნალო ქსელების შექმნის, გაფართოების და განმტკიცების შესახებ, საერთო და სპეციალური სამკურნალო დახმარების, სოციალურ-ეპიდემიოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის, დედათა და ბავშვთა დაცვის, მალარიასთან ბრძოლის, სამკურნალო ქსელის ყოველმხრივი განმტკიცების, საკურორტო მშენებლობის, საკურორტო ადგილების შესწავლის, სამკურნალო სანიტარული საქმის ორგანიზაციის შესახებ.

სოცუზრუნველყოფის სამინისტროს (1923-1989 წ.წ.) მასალებში თავმოყრილია ძველი რევოლუციონერების, წითელგვარდიელი პარტიზანების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და სახელმწიფო მოწყობის ამსახველი მასალები. ინახება ასევე 1905 წლის რევოლუციის რაზმელების, წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების, შრომის ინვალიდების სიები; მასალები დაღუპული მებრძოლების ოჯახებისათვის, სამამულო ომში ინვალიდებისათვის დახმარების გაწევის შესახებ; დონორების სოციალურ დაზღვევაში შეყვანის შესახებ, პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

არქივში დაცულია იმ კოოპერატიული ორგანოების ფონდები (1927-1987 წ.წ.), რომლებიც ახორციელებდნენ ხელმძღვანელობას და კონტროლს საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერაციებზე რესპუბლიკაში; აგრეთვე მასალები თვით არტელების შესახებ.

აჭარის კულტურის ისტორიის, ყოფისა და ბუნებრივი რესურსების შესწავლის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს აწარმოებდა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1930-1952 წ.წ.). ფონდში დაცულია მასალები სამხარეომცოდნეო სამუშაოების ჩასატარებლად ფართო საზოგადოების მოზიდვის შესახებ, გამოფენების მოწყობის, პუბლიკაციების გამოქვეყნების, მხარის წარსულის შესასწავლად ექსპედიციების მოწყობის, რედაქციებთან და სხვა კულტურულ დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის, მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო შრომების შესახებ.

თევზის მეურნეობის სემეცნიერო-კვლევითი სადგურის (1926-1955 წ.წ.) მასალებში დაცულია ცნობები საქართველოსა და კერძოდ აჭარაში დაჭერილი თევზის რაოდენობის შესახებ წლების მიხედვით, შავი ზღვის ჰიდროლოგიური გამოკვლევის, ქ. ბათუმის ნაპირთა ზღვის ფსკერის დაშლის მიზეზების გამოკვლევის შესახებ, შავი და აზოვის ზღვების აუზში თევზის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ და სხვა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მასალებში (1927-1972 წ.წ.) ინახება ანგარიშები ფილიალის საქმიანობის შესახებ, ჩაის სელექციის დარგში კვლევითი სამუშაოების, ჩაის სელექციურ ჯიშების დანერგვის შესახებ, ჩაის მცენარის ცვალებადობისა და სრულფასოვანი ჩაის პლანტაციის შექმნის, ქართული ჩაის ახალი ჯიშების და მისი პერსპექტივების შესახებ.

საქართველოს სსრ საკონსერვო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მასალები (1945-1964 წ.წ.) მოიცავს ცნობებს ფილიალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დამუშავებისა და საკონსერვო მრეწველობაში დანერგვის შესახებ.

სამკურნალო და არომატული მცენარეების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის მასალები (1939-1961 წ.წ.) შეიცავს მონაცემებს სუბტროპიკულ ზონებში ძვირფასი სამკურნალო მცენარეების გამოსაყვანად გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, სამკურნალო მცენარეთა ახალი

სახეობების მოპოვების შესახებ.

გამომგონებელთა საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს ფონდებში (1932-1938 წ.წ.) დაცულია მასალები რესპუბლიკაში საგამომგონებლო ცოდნის განვითარების, გამომგონებელთათვის დახმარების გაწევის, მათი გამოგონებების მრეწველობაში დანერგვის შესახებ.

არქივში ინახება სახალხო განათლების ორგანოთა მასალები. აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს (1921-1983 წ.წ.), სახალხო განათლების ბათუმის საქალაქო (1932-1976 წ.წ.) და რაიონული განყოფილებების (1931-1984 წ.წ.), სასწავლო დაწესებულებების. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1935-1990 წ.წ.), ტექნიკუმების, მუსიკალური სასწავლებლის, ქ. ბათუმის და რაიონების სკოლებისა, რომლებიც მოცავენ ცნობებს საგალდებულო შვიდწლიანი სწავლების შემოღების შესახებ, 1943-1956 წ.წ. სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, სკოლებში ცნობილი პოეტების, მწერლების, კომპოზიტორების იუბილეთა ჩატარების შესახებ, კვალიფიცირებული კადრების მომზადების, სასწავლო-მეთოდური მუშაობის შესახებ, საწარმოო პრაქტიკის, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავების, აკადემიური მოსწრების შესახებ.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება შეიძლება შეგისწავლოთ აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს (1953-1990 წ.წ.), პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მთავარი სამმართველოს (1921-1962 წ.წ.) და სხვა მასალებით. აქ დაცულია ცნობები რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, თეატრების, კლუბების, კინოთეატრების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების საქმიანობის შესახებ, სამუშაო გეგმები წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის, ღარიბთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ; სწავლების პროგრამათა, თვითმოქმედების გამსვლელი საღამოების მოწყობის, სააგიტაციო მასობრივი მუშაობის ჩატარების, პოლიტსკოლების მუშაობის, ქორეოგრაფიულ-დრამატული თვითმოქმედი კოლექტივების ორგანიზაციის და მოღვაწეობის, კულტურის მუშაკებისათვის საბატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის (1936-1982 წ.წ.), სპორტული საზოგადოების, არმიის ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (1951-1965 წ.წ.) ფონდებში დაცულია მასალები რესპუბლიკაში ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის და მათი მოღვაწეობის შესახებ, სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის, სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებების ჩატარების, სპორტული თანრიგების მინიჭების შესახებ.

პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილების ფონდებში დაცულია საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის (1921-1991 წ.წ.) პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის (1921-1991 წ.წ.), ქობულეთის, სამრეწველო-საწარმოო, ჩაქვის, ქედის, ხულოს სასოფლო-საწარმოო კომიტეტების (1963-1964 წ.წ.), ქობულეთის (1925-1990 წ.წ.), ბათუმის (1932-1990 წ.წ.), ქედის (1930-1990 წ.წ.), შუახევის (1952-1962 და 1964-1991 წ.წ.), ხულოს (1930-1987 წ.წ.) რაიონული კომიტეტების მასალები, ცენტრალური საკავშირო და საქართველოს კპ კომიტეტების მასალები, დირექტივები, ცირკულარები, პლენუმების, კონფერენციების ბიუროების მასალები, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამსახველი მასალები.

სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილებაში დაცულია ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის (1974-1987 წ.წ.), ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის (1930-1986 წ.წ.), „საქქალაქმშენ სახ.“ პროექტის ბათუმის ფილიალის (1946-1990 წ.წ.) დანადგარების რეკონსტრუქციის, იმპორტული ნავთობის კომპლექსური ნაგებობების, უნიკალურ ნაგებობათა (ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლი, ბათუმის დრამატული თეატრი, პედინსტიტუტი, კავშირების სახლი, საცხოვრებელი სახლები), მუშა ნახაზები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა ტექნიკური პროექტები.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის ბიბლიოთეკაში (1801-2000 წ.წ.) თავმოყრილია არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის ამსახველი ლიტერატურა, სახალხო კომისართა საბჭოს, მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები, მდიდარი საცნობარო ლიტერატურა—კავკასიის კალენდარი (1881-1917 წ.წ.), ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ფილოსოფიური, სამედიცინო, ისტორიული, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, იურიდიული, პოლიტიკური, დიდაქტიკური ხასიათის ჟურნალები, ადგილობრივი გაზეთები.

არქივში ინახება აჭარის ასსრ პროფკავშირების საბჭოს (1923-1991 წ.წ.) და დარგობრივი პროფკავშირების საოლქო კომიტეტების (1921-1990 წ.წ.) მასალები, რომლებშიც დაცულია ცნობები პროფკავშირული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის, შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, შრომითი დისციპლინის, ეგვკუთრების და დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის, კულტურულ-მასობრივი მუშაობის, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, ახალგაზრდობასთან მუშაობის, შრომის დისციპლინის დაცვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და დასვენებების ორგანიზაციის შესახებ.

არქივში ინახება კოლექციები, რომლებიც ასახავენ მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესის მოწოდებებს, სამამულო ომის მონაწილეთა, შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო, სოციალისტური შრომის გმირების, აჭარის ასსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კომისიების მასალებს და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება აგრეთვე ფონდები აკადემიკოს ქსენია ბახტაძის, პოეტ მამია ვარშანიძის, საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის, პოეტ ნესტორ მალაზონიას, სოციალისტური შრომის გმირის მაყვალა ჯინჭარაძის, პროფესორ ნანი გუგუნავას, მწერლების პარმენ ლორიას და რამაზ სურმანიძის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკების ნაზი ნოღაიდელის და გრიგოლი პინიანცის, კომპოზიტორ იური თავბერიძის, ღირსების ორდენის კავალერის შალვა აბაშიძის და სხვათა ასლები, რომლებშიც ასახულია ფონდწარმომქმნელთა საწარმოო, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება.

არქივში 2001 წლის ათვლით დაცული იყო ფოტოდოკუმენტების (ნეგატივები და პოზიტივები) კოლექციები, რომელიც ასახავს ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ისტორიას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული მშენებლობის განვითარებას აჭარის ასსრ-ში, რომელიც 2002 წელს გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივს, ამ უკანასკნელის შექმნასთან დაკავშირებით.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, სადაც ინახება მრავალის მომცველი დოკუმენტური მასალები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ ამომწურავი და კონკრეტული წარმოდგენა სხვადასხვა ისტორიული ეტაპების შესახებ, როგორც აჭარის წარსული რევოლუციამდელი პერიოდის, ასევე საბჭოთა ეპოქის შესახებ. აქ კონცენტრირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1878 წლიდან ბოლო პერიოდამდე მოქმედი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დოკუმენტური მასალები. ყველა დოკუმენტი შესასწავლად ხელმისაწვდომია, ამ საქმის გასაიოლებლად კი არქივში შექმნილია სამეცნიერო-საცნობარო აპარატი.

არქივის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ შესრულებულია დიდი სამუშაო დოკუმენტური მასალების მოწესრიგების და მეცნიერული დამუშავებისათვის მათი მაქსიმალური გამოყენების მიზნით. მნიშვნელოვანი საკითხების მიხედვით შექმნილია თემატური ბარათები. დოკუმენტური მასალების საფუძველზე თანამშრომელთა მიერ შედგენილია საცნობარო სიები, თემატური მიმოხილვები, ფონდების მიმოხილვები, მაორიენტირებელი ცნობები.

მიმდინარეობს მუშაობა საცნობარო მასალის კომპიუტერში შეტანისათვის. შემდგომ დაგეგმილია ამ ინფორმაციის საერთაშორისო საკომპიუტერო ქსელში „ინტერნეტში“ ჩასართავად. მკლევარებისა და საზოგადოების მიერ საარქივო მასალების ფართო გამოყენებისა და პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საარქივო სამმართველოს და ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერ-მუშაკებმა გამოსცეს შრომები: „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური“ — 1959 წ. (შემდგენლები ლ. კალანდარიშვილი, ს. ტაბაღუა, შ. თოდაძე, რედაქტორი ტ. ნეფედოვა), „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აჭარაში 1918-1921 წლებში“ — 1960 წ., „მეგობარი შორეთიდან“ 1962 წ., დოკუმენტური მასალების კრებული—„აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობები 1921-1937 წლებში“ — 1971 წ. (შემდგენლები ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა), „აჭარა ლენინურ დოკუმენტებში“ — 1969 წ., (შემდგენლები ა. სურგულაძე, ს. ტაბაღუა), „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური“ — 1974 წ. (შემდგენლები გ. მოსიძე, ს. ტაბაღუა, მ. თავაძე, გრ. ჩაგანავა, რედაქტორი ნ. ნოღაიდელი), „აჭარის ასსრ მშრომელები დიდი სამამულო ომის პერიოდში“, ქ. თბილისი, 1975 წ.

(შემდგენელი ს. ტაბაღუა), „მეგობრობა გზად და ხიდად“ 1975 წ. (შემდგენელი გლ. მკერვალიშვილი), „ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა“ 1978 წ. (შემდგენლები გლ. მკერვალიშვილი, ა. მამეიშვილი), „ბრბოლაში დაფერფლილი გული“ ქ. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, (გლ. მკერვალიშვილი ნ. კაგაზისი), „აჭარა ასსრ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“— 1975 წ., „საარქივო საქმის განვითარება აჭარაში“ — 1970 წ. (შემდგენელი ნ. ნოღაიდელი), ცნობარი „აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულების ისტორია“ — 1921-1946 წ.წ., შემდგენლები ს. ტაბაღუა. გ. ანდღულაძე, ნ. სკამკოჩაიშვილი), დოკუმენტების და მასალების კრებული — 1921-1925 წ.წ. (შემდეგენლები ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, შ. თოდაძე, დ. ჭელიძე), „ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალი-ზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში“ დოკუმენტური მასალების კრებული 1926-1932 წ.წ. (შემდგენლები ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა), გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ — 1980 წ., „ბრძოლა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარის ასსრ-ში“, დოკუმენტური მასალების კრებული 1933-1941 წ.წ., (შემდგენლები ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, 1986 წ.), „დამკვრელური უჯრედიდან კომუნისტური შრომის კოლექტივამდე“, 1985 წ. (შემდგენელი ს. ტაბაღუა), „რაც დავიწყებით არ იბინდება“, 1995 წ. (შემდგენელი ს. ტაბაღუა, რედაქტორი შ. აბაშიძე, ტ. ხინთიბიძე).

საარქივო დოკუმენტების მაქსიმალური გამოყენების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის, ცენტრალური სახელმწიფო და კინოფოტოფონო არქივების თანამშრომელთა ძალებით ეწყობა სტაციონალური და მოძრავი ფოტო-საარქივო მასალების სტენდები, დოკუმენტებისა და სხვადასხვა ფონდების გამოფენები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოძრავი ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება ეროვნულ მოძრაობას საქართველოში 1990-1991 წლებში. ფოტომასალები მოგვითხრობენ იმ სულიერ და ეროვნულ გამოღვიძებაზე, რომელიც წლების განმავლობაში ბუდობდა ქართველ ხალხში და ელოდებოდა ცისკარს, აერთიანებდა ყველას ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის იდეით (მოეწყო 1990 წ.).

საყურადღებოა მოძრავი ფოტო გამოფენა, რომელიც ეძღვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიული განვითარების ეტაპებს — საბჭოთა ხელისუფლებამდე, საბჭოთა ხელისუფლების და მის შემდგომ, საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული აღმასვლის პერიოდში (მოეწყო 1998 წ.).

მნახველის ცოცხალ ინტერესს იწვევს მეცნიერულად გამართული და დასაბუთებული მოძრავი სტენდი-ფოტო გამოფენა, რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მამულისშვილს, აჭარის დედასამშობლოსთან მარადჟამს ყოფნის სურვილით გამსჭვალულ, მისი პოლიტიკური და სოციალური ერთიანობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, მწერალ-პუბლიცისტის მემედ აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (მოეწყო 1993 წ.).

ცენტრალური სახელმწიფო არქივის სააქტო-სამკითხველო დარბაზს, შენობის შემოსასვლელს ამშვენებენ ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მემედ აბაშიძის პორტრეტები, მათი ბრძნული გამონათქვამები, ის მოწოდებები, რომელიც ასახულია საქართველოს 1995 წლის ეროვნული საარქივო ფონდის კანონში და ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბატონ ასლან აბაშიძის გულთბილ მოლოცვაში, რომელიც უძღვნა მან ავტონომიური რესპუბლიკის არქივისტებს 1998 წელს მარტის თვეში არქივისტის პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

საარქივო მასალების პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძრავ გამოფენას „აჭარა დიდ სამამულო ომში“, რომელიც ეძღვნება აჭარის მშრომელთა თავგანწირულ ბრძოლას ფრონტის ხაზზე და ზურგში, აქვეა წარმოდგენილი აჭარის სახელგანთქმული შვილების სურათები ესინი არიან გმირის წოდების მატარებლები, მამაცი მებრძოლები, პარტიზანები. აღნიშნული გამოფენა ბევრი საწარმოსა და სოფლის სტუმარი გახდა.

არქივში ფართოდაა დანერგილი პროპაგანდის ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა უნიკალური დოკუმენტების სტაციონალური გამოფენა, აგრეთვე სტუდენტებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ექსკურსიები და მათთან საუბრები საარქივო საქმის განვითარების შესახებ.

ტრადიციად იქცა გამოჩენილი მწერლებისა და მამულიშვილების საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება, ქვეყნის არქივისტთა პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო სხდომების მოწყობა, შეხვედრები მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების მიზანია უნიკალური დოკუმენტების შემცველი

მოქალაქეთა გაცნობა საქართველოსა და აჭარის მრავალ საუკუნოვანი ისტორიის ამსახველ დოკუმენტურ მასალებთან.

სასიხარულოა, რომ სამეცნიერო მიზნით დოკუმენტური საარქივო მასალების გამოყენებამ ფართო ხასიათი მიიღო. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამკითხველო დარბაზი 500-ზე მეტ მეცნიერ-მკლევარს მოემსახურა.

1959 წელს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ გამოსცა მეგზური „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“. 1974 წელს გამოვიდა ახალი, შევსებული მეგზური იგივე სახელწოდებით. მასში წარმოდგენილი მონაცემები მოძველდა იმდენად, რამდენადაც მიღებული იქნა ახალი დოკუმენტები— 260 ათასზე მეტი საქმე, რომელიც მეგზურში შეტანას მოითხოვდა. მკლევართა მუშაობის გასაიოლებლად შეიქმნა მეგზურის მოცემული, შევსებული გარიანტი ქართულ ენაზე, რომელიც ასევე ითარგმნება ინგლისურად და შევა „ინტერნეტში“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივების სტრუქტურათა შესაბამისად, მოცემული მეგზური შედგება 2 ნაწილისაგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ ორი ფონდის — ისტორიულისა და საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების დახასიათებას. დამოუკიდებელი საქართველოს—1990 წლის შემდგომი პერიოდის საარქივო დოკუმენტების ამსახველი მასალების მეგზურში შეტანა შემდგომი წლების საქმეა.

ამჟამინდელი მეგზურის თითოეულ განყოფილებაში შესულია ქვეგანყოფილებანი, რომლებშიც მოცემულია საწარმოო-დარგობრივი ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული და ერთგვაროვანი დოკუმენტაციით დაკომპლექტებული დახასიათებები. განსაკუთრებით აქტუალურ ფონდებზე შედგენილია ცალკე დახასიათებები, ერთგვაროვანი დოკუმენტების შემცველ რამოდენიმე ფონდზე შედგენილია ჯგუფური დახასიათება, მეგზურის ბოლოში მოთავსებულ სიაში შევიდა ის უმნიშვნელო შემადგენლობის ფონდები, რომლებსაც დახასიათება არ გააჩნია.

მეგზურში შემავალი მასალების დახასიათება შედგება თვით ფონდის დახასიათებისაგან, რომელიც მას ეძლევა ფონდწარმომქმნელის ბოლო სახელწოდების მიხედვით, ანუ იმ დაწესებულების, ორგანიზაციის ან პირის სახელწოდება, რომლის მოღვაწეობის პერიოდში დაგროვდა ფონდის შემადგენელი დოკუმენტური მასალები; ფონდის ნომრისაგან, რომლითაც იგი ირიცხება არქივში, დოკუმენტური მასალების შესანახი ერთეულების რაოდენობისა და მათი კიდური თარიღებისაგან.

დახასიათების ძირითად ნაწილში შედის მოკლე ისტორიული ცნობა ფონდწარმომქმნელის შესახებ და საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების შემქმნელის ანოტაცია.

მეგზური აღჭურვილია სახელობითი, გეოგრაფიული და საგნობრივ-თემატური საძიებლებით.

მეგზური შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის შალვა აბაშიძის საერთო რედაქციით, მისი და დეპარტამენტის მუშაკების — დოდო შუშანიძის, ეთერი ნათელაძის, ნანა დურგლიშვილის, გუგული ანდღულაძის (პასუხიმგებელი), ინგა ფაცურეიშვილის, ცენრტალური სახელმწიფო არქივის მუშაკების — მარიამ ჭელიძის, მაია რურუას, ნუნუ სკამკოჩაიშვილის, მადონა ცხადაძის, ნაზი ნაგერგაძის, მანანა თურმანიძის, ციური ქათამაძის, ნათია მიქელთაძის, ნინო ჯაბნიძის, გულნარა კაკაბაძის, რუსუდან გოგიტაურის, დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის მუშაკების — გუგული პატარიძის და ეთერი გოგიბერიძის მიერ.

შალვა აბაშიძე

22 იანვარი, 2003 წელი

თ ა ვ ი I

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ფონდები

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია

ფონდი 0-I, საქმეთა ერთეული 967, 1878-1917 წწ.; აღწერა, თემატური ბარათები.

კავკასიის მეფისნაცვლის 1878 წლის 20 სექტემბრის მითითებით ლაზისტანის სანჯაყის ერთი ნაწილისაგან, რომელიც თურქეთისაგან გადაეცა რუსეთს, შეიქმნა ბათუმის ოკრუგი სამხედრო გუბერნატორიის მმართველობით.[1] 1883 წლის 12 იგნისს გაუქმდა სამხედრო გუბერნატორის მმართველობა და ბათუმის ოლქი, რომელიც გაყოფილ იქნა ორთა-ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.[2] 1903 წლის 1 იგლისს ბათუმი გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და დაარსდა დამოუკიდებელი ბათუმის ოლქი სამხედრო გუბერნატორიის მმართველობით, რომელიც ექვემდებარებოდა კავკასიის მთავარმმართებელს.[3] მის ფუნქციებში შედიოდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების განხორციელება ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე. იგი ლიკვიდირებულ იქნა 1917 წელს თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, როგორც მეფის ხელისუფლების სამთავრობო ორგანო.

ფონდში დაცულია: კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიის ცირკულარები, ბრძანებები და ინსტრუქციები ბათუმისა და ყარსის ოლქების დაარსებისა და მმართველობის, ბათუმის ოლქში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების, რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად სამხედრო ნაწილების მიგლინებისა და გადაადგილების შესახებ, რსდმპ-ის წევრთა დაპატიმრების და ციმბირში გადასახლების, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების აკრძალვის, გაფიცვებში მონაწილე მუშებზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების, სოფლებში ეგზეკუციებისა და რეპრესიების, რევოლუციურ მოძრაობაში შემჩნეული პირების ძებნის, მიტინგებისა და შეკრებების ორგანიზების აკრძალვის შესახებ; ცენზურის მუშაობის გაძლიერების, მუშათა მდგომარეობის ამსახველი ბროშურებისა და სტატიების გავრცელების აკრძალვის, ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად პოლიციის, ჟანდარმერიის, საბაჟოს თანამშრომლებისა და სხვა დამსჯელი სამხედრო ნაწილების უფლებების გაფართოების შესახებ, 1904-1906 წწ. რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ბათუმის ოლქში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ.

ფონდში ასევე დაცულია ბათუმის პოლიცმეისტერის მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები და პატაკები სამხედრო გუბერნატორისადმი, გაფიცვებისა და შეკრებების შესახებ. სიდერიდისის, მანთაშევის, ბენიათ-ოღლის და როტშილდის ქარხნებში, რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით ორგანიზებული მუშათა რევოლუციური გამოსვლების და სამხედრო ნაწილებთან შეიარაღებული შეტაკების შესახებ, 1904 წ., მიტინგების, გაფიცვებისა და შეიარაღებული შეტაკებების მონაწილეთა დაპატიმრებისა და ოლქიდან გასახლების, ,ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორის რევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის, პროკლამაციათა გავრცელების შესახებ 1904 წელს /ს.ს. 115, 140, 141/, ბათუმის მუშათა რაიონებში განლაგებული ჯარის ნაწილების რევოლუციური გამოსვლების შესახებ 1906-1907 წწ. /ს.ს.205,242/, რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტის მიერ საზღვარგარეთიდან იარაღის და საბრძოლო მასალების არალეგალურად შემოტანის, გაზეთ „ჩერნომორსკი გესტნიკი“-ს რედაქციაში რსდმპ-ის პროკლამაციების და ბროშურების აღმოჩენის შესახებ 1908 წ. /ს.ს.250,379/, 1910 წ. აჯანყებული მუშების მიმართ მეფის მთავრობის რეპრესიების პასუხად ბათუმის ციხის პოლიტპატიმართა შიმშილობის და გამოსვლების შესახებ /ს.462/, ბათუმის მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1912 წ. /ს.557/, ბათუმის ოლქში პოლიტიკური მდგომარეობისა და რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1905-1906 წწ. /ს. 194/, სადგურში ასაფეთქებელი ნივთიერებების და იარაღის აღმოჩენის, შტრეიკბრეხერებისა და ოხრანკის აგენტების წინააღმდეგ გაფიცვის მონაწილეთა ბრძოლის, ქალაქის მუშებსა და ჯარისკაცებს შორის პროკლამაციების გავრცელების, პოლიციის დეპარტამენტის ცირკულარული წერილი ლ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო მიტინგების და შეკრებების აკრძალვის შესახებ 1910 წ. /ს. 480/, ცნობები მეფის მთავრობის მიერ 1907 წ. სომხებსა და მუსლიმანებს შორის ხოცვა-ჟლეტის გაჩაღების შესახებ /ს. 275/, მოქალაქეთა ცნობები

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 104.
2. იქვე, გვ. 108.

3. იქვე, გვ. 109

კაზაკების მიერ ჩადენილ ძალადობათა შესახებ, რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტის პროკლამაციები და მოწოდებები მიმართულნი თვითმპყრობელობის და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბძოლისაკენ, რსდმპ წევრთა სიები, ბათუმის ოლქიდან რევოლუციური პროპაგანდისათვის გასახლებულ პირთა შესახებ, ცნობები რევოლუციონერთა სიკვდილით დასჯის, მოსახლეობიდან იარაღის ამოღების, მეფის ხელისუფლების მიერ ადგილობრივ მუსულმანთა რელიგიური რიტუალების შესრულების დევნა-შევიწროების შესახებ 1913 წელს /ს,653/, ქ. ბათუმში ვეტერინალურ-ბაქტეოროლოგიური ლაბორატორიის შენახვის, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს შორის შავი ჭირის და ყვავილის გავრცელების შესახებ, ვეტერინალური ნაწილის წლიური ანგარიშები, ბათუმის ოლქსა და ართვინის ოკრუგში ეპიზოტიის შესახებ.

ბათუმის და მისი ოლქის მმართველობის საბჭო

ფონდი ი-67, საქმეთა ერთეული 15, 1918-1919 წწ.; აღწერა.

დაარსდა ქალაქის და მისი ოლქის ადმინისტრაციულ-სამოქალაქო მმართველობის მიზნით; საბჭოში შედიოდნენ მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილიდან არჩეული პირები, ინგლისის საოკუპაციო მთავრობის ხელდასმულები. 1919 წლის 16 აპრილს დათხოვილი იქნა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ, მისი ფუნქციები გადაეცა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლებას.[1]

ფონდში დაცულია: ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის სამხედრო ძალებს და ბათუმის მმართველობის საბჭოს, დადგენილებები, ბრძანებები და განკარგულებები მიტინგების, შეკრებების, თავისუფალი სიტყვის და ბეჭდვის აკრძალვის, გაზეთის რედაქციაზე, ტიპოგრაფიასა და კერძო მიმოწერაზე ცენზურის დაწესების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ხელისუფლებისათვის ჩაბარების, ბათუმში კომენდანტის საათის შემოღების, შრომის ბირჟის გახსნის, მუშებსა და მეწარმეთა შორის უთანხმოების მოგვარების მიზნით ე.წ. „შესარიგებელი კამერის“ შექმნის შესახებ, 1919 წ.ბათუმის ოლქში რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად სამხედრო გუბერნატორობის სამხედრო-საველე სასამართლოს დაარსების, 1919 წ. ქალაქის სათათბიროს და თვითმმართველობის გადარჩევის შესახებ 1919 წ. ბათუმის ოლქის საბჭოს დათხოვის და მისი ფუნქციების ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის გადაცემის /ს.ნ. ფ.46/, 1919 წ. ბათუმში საალყო წესების გამოცხადების, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთაგან გადასახადების აკრეფის, კომუნალური მომსახურებისათვის გადასახადების გაზრდის, მუშათა ხელფასის შემცირების, გაფიცვებში მონაწილეობისა და რევოლუციური აგიტაციისათვის დაპატიმრებათა შესახებ.

ასევე ფონდში დაცულია ბათუმის და მისი ოლქის მმართველობის საბჭოს სხდომის ოქმები: მილიციის შექმნის, ბათუმის ოლქში სასურსათო კრიზისის, საბარათო სისტემის შემოღების, ერთ სულ მოსახლეზე პურის ნორმის შემცირების, ინგლისელთა მიერ გადამუშავებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების გატანის, თურქეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მოწვეული მეჯლისის დათხოვის, ოფიცრებისა და მოხალისე თეთრგვარდიელებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის შესახებ; მამხილებელი საგაზეთო სტატია ინგლისელების მიერ მოხალისე არმიისადმი დახმარების გაწევის, თეთრკაზაკების მიერ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის მიმართ ჩადენილი მხეცობის, ძარცვისა და მკვლელობების შესახებ, ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლების მიერ 1919 წ. განმავლობაში მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების სია, მოხალისე არმიის წარმომადგენლის მიმოწერა ბათუმში ინგლისის სამხედრო სასამართლოს პროკურორისა და „განთავისუფლების კომიტეტისადმი“ რეკვიზიციების შესახებ, სამრეწველო და სამომხმარებლო საქონელზე მტკიცე ფასების დაწესების და მოხალისეთა არმიის საწვავით მომარაგების შესახებ.

---

1. აჭარის არ ცსა, ფონდი № ი-67, საქ. 5, ფ. 46.

II. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოთა ფონდები

ბათუმის საქალაქო სათათბირო

ფონდი № 0-7, საქმეთა ერთეული 768, 1888-1921 წ.წ.; აღწერა.

1888 წლის 28 აპრილს ნებადართული იქნა ბათუმში საქალაქო მდგომარეობის შემოღება, პირველი მოწვევის ხმოსანთა არჩევნები გაიმართა 1888 წ. 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს, სათათბირო მუშაობას შეუდგა 1888 წ. ოქტომბერში.[1] გაუქმდა 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ფონდში დაცულია: ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა ფიცის წიგნები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ცირკულარული განკარგულებები საზოგადოებრივი მმართველობის მოწესრიგების, გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფის, საქალაქო მეურნეობის მშენებლობისა და დაცვის, ქალაქის შემოსაგალ-გასავალის დამტკიცების, ქუჩების დაპროექტების, ქალაქში მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის, ქალაქის უძრავი საკუთრებიდან შემოსავლების რაოდენობის შესახებ, ქალაქის სათათბიროს მუშაობის ანგარიშები, კომისიათა მოხსენებები სახალხო განათლების, საფინანსო და სააადგილმამულო იურიდიული საქმიანობის, სკოლების გახსნის, გზატკეცილების, სასაკლაოების, შენობათა მშენებლობის, სახაზინო დაწესებულებების მშენებლობისათვის გადასაცემი მიწების შემფასებელ სამთავრობო კომისიაში ქალაქის წარმომადგენლის არჩევის, სასურსათო მაღაზიების მაკონტროლებელი კომისიის შექმნის, ქალაქის წყალგაყვანილობის მოწყობის და ჭაობების დაშრობის კომისიის წევრების არჩევის შესახებ. ასევე ფონდში დაცულია ბათუმის პორტის გაფართოების და გაღრმავების, სათათბიროს შემადგენლობაში სასულიერო პირთა დეპუტატად შეყვანის, ადგილობრივი გაჭრებიდან სანაგსადგურო საქმეების მეთვალყურე პირების არჩევის, ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა დამატებითი არჩევნების შესახებ, ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევის შესახებ, სათათბიროს სარევიზიო კომისიის აქტები სახანძრო რაზმის მუშაობის, საყინულე ქარხნის, ელექტროსადგურის ქალაქის წყალსადენის, საწყობების, ქალაქის სანიტარული მდგომარეობის შესახებ, ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა საარჩევნოდ წარდგენილი უფლებამოსილებანი და მინდობილობები, ბათუმის საზოგადოებრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ფორმალური სიები, სათათბიროს მორიგ სხდომათა დღის წესრიგის პროექტები, მიმოწერა რუსეთის ცალკეულ გუბერნიებში მოსაგლიანობით დაზარალებულთათვის შეწირულობათა შეგროვების შესახებ, თვითმმართველობის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხთან დაკავშირებით ქალაქის სათათბიროს სხდომის მოწვევის შესახებ, საქალაქო სათათბიროს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

ბათუმის საქალაქო მმართველობა

ფონდი № 0-6, საქმეთა ერთეული 1786, 1888-1921 წწ.; აღწერა.

ვაჭრობის, მრეწველობის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით კავკასიაში სამოქალაქო საქმეების მთავარმართებლის განკარგულებით 1887 წ. ნოემბერში ქ. ბათუმში შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა მოსამზადებელი სამუშაოები ქალაქის თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად. პირველი მოწვევის ხმოსანთა არჩევნები გაიმართა 1888 წლის 25 აგვისტოსა და 2 სექტემბერს, 17 სექტემბერს გაიმართა ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები. ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ 1888 წლის 1 ოქტომბერს. ეს თარიღი ითვლება ბათუმის საქალაქო მმართველობის მუშაობის დასაწყისად. საქალაქო მმართველობა იყო ბათუმის საქალაქო სათათბიროს აღმასრულებელი ორგანო[2] და ემსახურებოდა ვაჭრების, სახლთმფლობელების და ჩინოვნიკების ინტერესებს, მისი სტრუქტურა და ფუნქციები არ შეცვლილა თურქთა ინტერვენციის 1913-1918 წწ, ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლების ბატონობისას-1919-1920 წწ. და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დროსაც. ლიკვიდირებული იქნა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით 1921 წელს.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 483-487
2. „ბათუმი და მისი შემოგარენი“ ქ. ბათუმი, 1906 წ, ფ, 483-487.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: კავკასიაში სამოქალაქო საქმეების მთავარმმართებლის ბრძანება 1870 წ. 16 ივნისის საქალაქო დებულების საფუძველზე ბათუმში საქალაქო მდგომარეობის შემოღების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრის და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ცირკულარული განკარგულებები საზოგადოებრივი მმართველობის და სათათბიროს არჩევნების, ქალაქის კეთილმოწყობის, გადასახადების და მოსაკრებლების აკრეფის, ქ. ბათუმში 1888 წ. იმპერატორის მისაღებად მოსამზადებელ კომიტეტის შექმნის /ს. 13/, გზების შეკეთების, ნავთობის მინერალური ზეთების შენახვისა და გადატანის წესების შესახებ, მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტის ბრძანებები 1905 წ. მუშათა რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით ბათუმში საალყო წესების შემოღების შესახებ.

ასევე დაცულია სათათბიროს ხმოსანთა, საზოგადოებრივი მმართველობის და ქალაქის სათათბიროსთან არსებული ტექნიკური სამშენებლო განყოფილების კომისიის სხდომათა ოქმები და მოხსენებები; ნავსადგურის საქმეთა, ქალაქის კეთილმოწყობის, მთის წყაროების მოკვლევის, ქალაქის წყალგაყვანილობის მოწყობის, ტრამვაის ხაზის მშენებლობის პროექტის, ზღვის სანაპიროს ნგრევის მიზეზების გამოკვლევისა და მისი გამაგრების ღონისძიებების შესახებ, მენავთობეთა ქალაქის შენახვის, 1905 წ. მუშათა გაფიცვების შედეგად გიმნაზიებში შეწყვეტილი მეცადინეობის განახლების, ბათუმთან ახლომდებარე მდინარეთა რესურსების ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის გამოყენების შესახებ, ქალაქის სანიტარული მდგომარეობის, შავი ზღვის სანაპიროზე რკინიგზის მშენებლობის, მალარიასა და ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლის, 1910 წ. მარგანეცის წიაღისეულის ელექტროგადამტვირთავი ნაგებობის მოწყობის, ბათუმის სასარგებლოდ ქალაქის პორტში გამავალი საქონლიდან ნახევარკაპიკიანი გადასახადის დაწესების შესახებ, მენავთობეთა /დასახლების/ ფარგლებში მამულების გადაფასების, ნავთობის ნავთსაყუდელის მოწყობილობათა გაფართოების, გაღრმავებისა და პორტთან მისასვლელი გზების მშენებლობის შესახებ. ქ. ბათუმის რუსეთთან შეერთების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს აღნიშვნის, ქუჩების დაგეგმვის შესახებ, ქალაქის სათათბიროს მოღვაწეობის ანგარიშები, მოსახლეობის, მრეწველობის სტატისტიკური ცნობები.

ხსენებულ ფონდში დაცულია ასევე ცნობები და მიმოწერა ქალაქში სასაკლაოების, სკოლების, საავადმყოფოების მოწყობის, ვაჭრობის მოწესრიგების, ვაჭრობისა და რეწვისათვის გადასახადების შემოღების, ქალაქის და პორტის წყალმომარაგების, პოლიციისა და სახანძრო დაცვის შენახვის ხარჯების, 1905 წ. მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ, სასურსათო და საბინაო კრიზისის, ბიბლიოთეკების გახსნის, ქალაქის გარშემო არსებული ტყეების დაცვის შესახებ; 1912 წ. პეტერბურგში ჩატარებულ სრულიად რუსეთის ქალაქების კეთილმოწყობის გამოფენაში ბათუმის მონაწილეობის შესახებ; რუსული ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების თხოვნა მისთვის ქალაქის საზღვაო ზოლში სააგენტოს მოსაწყობად მაღაზიების, საწყობების, ნავმისადგომის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, რკინიგზის გაყვანის, საკარანტინო ნაგებობათა მშენებლობის შესახებ; ქალაქში სასულიერო სასწავლებლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, თავშესაფარის სააგადმყოფოდ გარდაქმნის შესახებ მიმოწერა, გეგმები და სქემები ბურუნთაბიეს გასწვრივ ახლომდებარე დაჭაობებული ადგილების მოხრეშვის შესახებ, ხიდების მოწყობის, პორტის, მასთან მისასვლელი გზების გაფართოების, გაღრმავებისა და კეთილმოწყობის შესახებ; ბარცხანის ხიდთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობის, ყოროლისწყლის მიმდებარე გელზე ნავთობსადენის გადატანის, ნური-გელის ტბის გაღრმავებისა და მცირე საკაბოტაჟო პორტად გადაქცევის მიზნით მისი ზღვასთან მიერთების შესახებ; ქალაქის ნაგებობათა აშენების, 1914 წ. სამხრეთ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა საბჭოების ყრილობის მონაწილეთა წინადადება ქ. ბათუმის საბჭოს წევრად მიღების შესახებ; ქალაქის სათათბიროს ხმოსანი არჩევნებისათვის წარდგენილი მინდობილობები და უფლება-მოსილებანი; 1906 წ. ამომრჩეველთა სიები; ქალაქის შემოსავალ-გასავლის ნუსხები; მიმოწერა გაფიცვების შესაწყვეტად გატარებული ზომების, იუბილეთა ჩატარების, მსოფლიო გამოფენებში ქალაქის მონაწილეობის, ეპიდემიებთან ბრძოლის, გზების და საქალაქო ნაგებობების მშენებლობის, სასურსათო კრიზისის, ქალაქის სათათბიროს არჩევნების ჩატარების შესახებ.

III. ᲛᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ
Ფ Ო Ნ Დ Ე Ბ Ი

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲤᲝᲜᲓᲘ № Ი-69, ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 5, 1879-1912 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲐᲚᲐᲠᲗᲐ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲑᲣᲗᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲝᲥᲛᲔᲑᲘ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲓ 1912 ᲬᲚᲘᲡ /ᲡᲐᲥ. 3, ᲤᲡ. 1-4/, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲡᲣᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲔᲑᲘ.

IV. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ
Ფ Ო Ნ Დ Ე Ბ Ი

Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲤᲝᲜᲓᲘ № Ი-19, ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 1970, 1883-1921 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 1879 ᲬᲔᲚᲡ.[1] ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1921 Წ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.[2]

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲥᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲣᲠᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ /ᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲝᲥᲛᲔᲑᲘ, ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲐ/, ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ, ᲢᲧᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲠᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ, ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲠᲪᲕᲐ-ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, 1888-1902 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲝᲢᲐᲠᲝ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲤᲝᲜᲓᲘ № Ი-25, ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 106, 1879-1921 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ 1879 Წ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ. 1921 Წ. ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.[3]

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲝᲢᲐᲠᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ, ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲙᲠᲣᲒᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲚᲤᲐᲕᲘᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲠᲟᲝ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲗᲐ ᲐᲠᲠᲘᲪᲮᲕᲐ, ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲢᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, 1920 Წ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲗᲐ ᲐᲚᲤᲐᲕᲘᲢᲘ.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 465
2. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“, 1921 Წ. №-13.
3. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“, 1921 Წ. №-13.

V. პოლიციის ორგანოთა, ჟანდარმერიისა და ოხრანკის ფ ო ნ დ ი

ქუთაისის საგუბერნიო საპოლიციო ჟანდარმერიის ბათუმის ოლქის სამმართველოს უფროსის მოადგილე

ფონდი № 0-3; საქმეთა ერთეული 21, 1889-1917 წ.წ.; აღწერა.

იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის დაქვემდებარებაში, ფუნქციები მდგომარეობდა არსებული წყობის დაცვასა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბძოლაში. ლიკვიდირებულია 1917 წელს მეფის თვითმპყრობელობის დამხობასთან დაკავშირებით.

ფონდში ინახება: მიმოწერა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოსთან სხვადასხვა პირთა პოლიტიკური კეთილსაიმედოობის შესახებ, რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტის პროკლამაციების აღმოჩენის შესახებ.

საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველო

ფონდი № 0-5; საქმეთა ერთეული 96, 1878-1917 წწ. აღწერა, თემატური ბარათები.

შექმნილია 1878 წლის 20 სექტემბერს[1] სახელწოდებით ბათუმის პოლიციის სამმართველოს კანცელარია; 1883 წლის 27 იგლისს დაერქვა საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველო.[2] გაუქმებულია 1917 წელს.

ფონდში დაცულია: ცირკულიარები, პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებანი და მიმოწერები, ჟანდარმთა კორპუსის მიწერილობანი დაცვის ადმინისტრაციულ ზომებზე, პოლიტიკურ საქმეებთან დაკავშირებულ პირთა ძებნაზე, გაფიცვაზე, პროკლამაციების გარცელებასა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე პირების ბათუმის ოლქიდან გასახლების შესახებ, ბათუმის ფაბრიკა და ქარხნების მუშების მოთხოვნათა შესახებ, რომლებიც ეხება ხელფასების მომატებას, უსაფრთხოების ტექნიკის და სამუშაო ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, პოლიციის მიერ გაფიცვაში მონაწილე მუშების ცემას, როტშილდის ქარხნის იმ მუშათა სია, რომლებიც მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში 1906 წელს, ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოების სია, რომლებშიც ტარდებოდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრების მუშაობა, მიმოწერა პოლიციის დეპარტამენტთან კერძო პირებისაგან და სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე, ქ. ბათუმში რკინიგზის, სამგზავრო გაგზლის, საპორტო ნაგებობების, ნავთობის ქარხნის, საქალაქო ბაღის, ბულვარის, სახელმწიფო ბანკის, საქალაქო ცხის ასაშენებლად, პოლიციის თანამდებობრივი პირების მიერ მოკლულთა სიები, რომლებიც მონაწილეობდნენ აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საპოლიციო ჟანდარმერიის სამმართველოს ბათუმის განყოფილება

ფონდი № 0-2; საქმეთა ერთეული 463, 1875-1917 წწ.; აღწერა.

შექმნილია რკინიგზის დაცვისა და მუშათა და რკინიგზელთა შორის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ფონდში დაცულია: შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დეპარტამენტის დადგენილებები, ცირკულიარები და ინსტრუქციები იმ პირთა ძებნისა და დაპატიმრების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ რევოლუციურ მოძრაობაში, რკინიგზის დაცვის, მუშათა შორის გაფიცვების თავიდან აცილების შესახებ, რკინიგზებისა და საგაგზლო ნაგებობების მდგომარეობის შესწავლის აქტები, უბედური შემთხვევებისა და ავარიების შესახებ, პოლიტპატიმრების დაკითხვის ოქმები, მოხსენებები, ანგარიშები და პატაკები მუშათა და მოსამსახურეთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ, რკინიგზაზე მომხდარი შემთხვევების შესახებ, იმ მუშების და მოსამსახურეების სიები,რომლებიც ექვემდებარებიან დაპატიმრებას ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაფიცვის შემთხვევაში.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 466.
2. იქვე

ამიერკავკასიის რკინიგზის საპოლიციო შანდარმერიის სამმართველოს ბათუმის განყოფილების უნტერ-ოფიცრები.

ფონდი № 0-2-დან: 1875-1913 წწ.;

სადგური ქობულეთი; ფ. №50; საქმეთა ერთეული 10, 1875-1913 წწ.; აღწერა.

სადგური ჩაქვი; ფ.№51; საქმეთა ერთეული 4, 1911-1912 წწ.; აღწერა.

ფონდებში შენახულია: ამიერკავკასიის რკინიგზების საჟანდარმო-საპოლიციო სამმართველოს ცირკულიარები და ბრძანებები ტყვრთის გადატანის წესებისა და მათი რკინიგზაზე დაცვის შესახებ, მიმოწერა პოლიციის დეპარტამენტთან რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირში მყოფი პირების ძებნის შესახებ.

VI. სამეურნეო-ეკონომიკური დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ფონდები ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველო

ფონდი № 0-22; საქმეთა ერთეული 536, 1894-1921 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

დაფუძნებულია 1894 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველოს სახელწოდებით.[1] ლიკვიდირებულია 1921 წელს.

ფონდში დაცულია: მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროსა და სამმართველოს ჩაქვის საუფლისწულო მამულის ბძანებები და ცირკულიარები ჩაის პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთების გაფართოების შესახებ, მამულში შრომის ორგანიზაციის, სატყეო სამუშაოების წარმოების წესის, ქონებისა და ტყეების აღწერის შესახებ, მეურნეობის მოწყობისა და სახაზინო მამულების, შემოსავლების და გასავლების შესახებ ამ მამულებში, მიწების გამოჯვნის ხარჯების, გლეხებისათვის სახაზინო მიწების ნაკვეთების გამოყოფის შესახებ სატყეო სივრცეებიდან, ჩაქვის საუფლისწულო მამულში მეტეოროლოგიური დაკვირვების ჩატარების შესახებ, ჩაის ნაკვეთების დახასიათებანი, 1894-1913 წლების ანგარიშები საქართველოს საუფლისწულო მამულების მოღვაწეობის შესახებ, მოხსენებები და პატაკები ჩატარებული მიწათმოწყობის სამუშაოების, მამულში სამომხმარებლო საზოგადოების შექმნის შესახებ, ჩაის პლანტაციების მდგომარეობის, საუფლისწულო ტყეების, ჭაობების ამოშრობის შესახებ, ჩაის, ხილის გადამუშავებისა და გაყიდვისათვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ, გლეხების მიწის გადასახადის გადახდის, აჭარის წყლის რესურსების სამეურნეო მიზნებით გამოყენების შესახებ, ჰიდროელექტროსადგურის, მეტეოროლოგიური სადგურის აშენების შესახებ, ჩაის ნარჩენებიდან კოფეინის გამომუშავების შესახებ, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის, მამულისათვის თურქი ოკუპანტების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ, მამულის ფონდებიდან ხე-ტყის მასალების გაცემის, გზატკეცილების გაყვანის, მიწების გაყოფისა და გაცვლის, ჩაის ფოთლის მოსავლის შესყიდვის შესახებ, პეტერბურგში 1913 წელში გამოფენაში მონაწილეობის, 1913 წელში მამულის მოოქროვილი ვერცხლის-ჩამჩით დაჯილდოების, ჩაის ფაბრიკაში ახალი საშრობი ღუმელების დადგმის, გლეხების მიერ ტყის უნებართვოდ გაჩეხვისა და მათი დასჯის შესახებ, 1914-17 წლებში სოფელ აჭყვას მოსახლეობის მიერ საუფლისწულო მიწების მიტაცების შესახებ, 1914 წელში მამულის ქონებისა და მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაციის, 1916 წელში მამულის მუშებისა და მოსამსახურეების მობილიზაციის, სამხედრო ტყვეთა სამუშაოების შესასრულებლად გამოყენების, სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ, გვალვის შედეგების შესახებ, 1916 წელში ახალი შენობების აშენების, 1917-1918 წლებში ბათუმში ბამბუკის ნაწარმის დასამზადებელი სახელოსნოს შექმნის, ჩაქვში ფირფიცარის ქარხნის მშენებლობის შესახებ, ნებსით დაქირავებული მომსახურეებისა და მუშების მოძრაობის, 1913 წელში მამულისათვის გზამკვლევის შედგენის შესახებ, სოფელ სახალვაშოში მამულის ქვასამტვრევების არენდით გაქირავების მასალები, /მიმოწერა, გეგმები/-, 1869 წელში, გლეხების მიერ ტყის თვითნებური გაჩეხვის აქტები, ჩაის პლანტაციების დათვალიერების, ჩაის მრეწველობისათვის სხვადასხვა დანადგარების მიღების, სხვადასხვა ნაგებობების აშენების ადმინისტრაციული ხარჯების ხარჯთაღრიცხვების შესახებ, ინვენტარისა და ქონების სიები; ხელშეკრულებანი და მიმოწერა ჩინეთის და იაპონიის წარმომადგენლებთან ჩაქვში ჩაის კულტურის მოშენების შესახებ.

---

1. აჭარის არ. ცსა. ფ. № ი-22, საქ. №-2, ფურც. 2, საქ. 343, ფ. 2

ბათუმის ოლქის მეტყევეთა კორპუსის სატყეოები

7 ფონდი; მასალები 1885-1921 წწ.

ართვინის; ფონდი № 0-40; საქმეთა ერთეული 2, 19101914 წწ.; აღწერა.

ბათუმის; ფონდი № 0-13 საქმეთა ერთეული 6, 1916-1920 წწ.; აღწერა.

ზემოაჭარის; ფონდი № 0-39; საქმეთა ერთეული 7, 1885-1916 წწ.; აღწერა.

შავშეთ-იმერშევის; ფონდი № 0-41; საქმეთა ერთეული 2, 1887-1896 წწ.; აღწერა.

1 რაიონის სატყეო რევიზორი; ფონდი № 0-24; საქმეთა ერთეული 32, 1885-1921 წწ.; აღწერა.

ზემო აჭარის ნაკვეთის სამმართველო; ფონდი № 0-42; საქმეთა ერთეული 32, 1885 წელი; აღწერა.

ფონდებში დაცულია: მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების ქუთაისის სამმართველოს ცირკულიარები და განკარგულებები ტყეების გამგებლობის შესახებ, ტყეების გაჩეხვის წესის, ტყეების თვითნებური გაჩეხვისათვის პასუხისგებაში მიცემის, სატყეო მეურნეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, ტყის მასივების დაცვის, დებულება ბათუმის ოლქის საერობო დაწესებულებების შესახებ. სატყეო კომისიის ოქმები მიწის ნაკვეთების მიღების, ხე-ტყის მასალების დამზადების, ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღების შესახებ, აქტები ტყის ჭრაზე, მიმოწერა ტყეების თვითნებური გაჩეხვის შესახებ, მურღულის ხეობაში სასარგებლო წიაღისეულის საბადოების თაობაზე ანგარიშების წარმოდგენის, ხე-ტყის მასალის გადამუშავებისა და ტრანსპორტირების შესახებ.

ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურების მოწყობის საქმიანობის სამმართველოს უფროსი

ფონდი № 0-16; საქმეთა ერთეული 138, 1882-1919 წ.წ.; აღწერა.

1879 წელს შეიქმნა კომისია ყურეს კეთილმოწყობისა და ბათუმში ხელოვნური ნავსადგურის მშენებლობის პროექტის შესამუშავებლად. მშენებლობა დაიწყო 1884 წელს. მუშაობას ხელმძღვანელობდა ბათუმის ნავსადგურის სამუშაოთა უფროსი[1] 1909 წლის მარტში ბათუმის, სოხუმისა და ფოთის პორტების მოწყობის სამუშაოები გაერთიანდა ბათუმის, სოხუმისა და ფოთის პორტების მოწყობის სამუშაოების უფროსის დაქვემდებარებაში, მისი ადგილსამყოფელის ბათუმში განლაგებით.[2] ლიკვიდირებულია 1919 წელში.[3]

ფონდში დაცულია: მიმოსვლის გზების, გაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროების, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ნავსადგურის მოწყობის სამუშაოთა სამმართველოს უფროსის ბრძანებულებები და ცირკულიარები ჩატარებული სამუშაოების აღწერის შესახებ, სამშენებლო ოპერაციების რევიზიების შესახებ, მიწის სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობების, ნავსადგურებში საადმშენებლო და მიწის სახაბი სამუშაოების, ნავსადგურებში ნავმისადგომების, პაკჰაუზებისა და ზვირთსამსხვრევის ნაგებობების მშენებლობაზე სახომალდო საზოგადოების, ფირმებისა და კერძო პირების პროექტების განხილვის შესახებ, ბათუმისა და ფოთის პორტების სხდომათა ოქმების, საპორტო სამუშაოთა დაწესებულებების, ტექნიკური დაწესებულებების და საპორტო ზედამხედველობის შესახებ, მოხსენებები ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტების გაფართოებისა და მოწყობის, ბურუნთაბიეს კონცხთან ზვირთსამსხვრევი მოწყობის შესახებ, ნავსადგურის ტერიტორიისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ /ახსნა-განმარტებითი ბარათები, ხარჯთაღრიცხვები, ნახაზები, საქმეები, ესკიზები, მიმოწერა/ პაკჰაუზების მშენებლობის, ბათუმის ნავსადგურის ნავთობჩასატვირთი ზოლის სანაპირო ნაწილის გადაკეთების, ნავსადგურში მისასვლელი გზების მოწყობის შესახებ, ფსკერის გასაღრმავებელი სამუშაოების, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ხელახალი მოწყობის შესახებ, მონაცემები ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის შესახებ 1895-1911 წ.წ.; შესასრულებელი საადმშენებლო და სარემონტო სამუშაოების მიღების აქტები, სტატიები გაზეთებიდან ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტების 1912-1914 წლებში /საქ. 118/ საქმიანობის შესახებ, გასავლის ხარჯთაღრიცხვები, მიმოწერა ნავსადგურებში საადმშენებლო საქმიანობისათვის სახსრების გაცემის შესახებ, ნავსადგურთა ტერიტორიებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, საადმშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 364, 365.
2. აჭარის ცსა, ფონდი № ი-16, საქ. 1, ფ. 1-5
3. იქვე, საქ. 104, ფ. 1.

ბათუმის საგაჭრო ნავსადგურის სამმართველო

ფონდი № 0-34; საქმეთა ერთეული 47, 1884-1920წ.; აღწერა.

ბერლინის ტრაქტატის თანახმად 1878 წლის 8 ოქტომბრიდან ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ, მაშინვე შემოღებული იქნა საგაჭრო ზღვაოსნობის და ნავსადგურების საუწყებო ბათუმის საგაჭრო ნავსადგურის სამმართველოს შტატები.[1] გაუქმებულია 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.[2]

ფონდში დაცულია: საგაჭრო ზღვაოსნობისა და ნავსადგურების სამმართველოს ბრძანებები და ცირკულიარები საგაჭრო ზღვაოსნობის წესების შესახებ, ბათუმის ნავსადგურის გაფართოებისა და გადაკეთების, დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოების შესახებ. ნავსადგურში გემების შემოსვლის, დგომისა და გასვლის. სამამულო ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარების ღონისძიებათა, ნავსადგურში ხომალდების ავარიების მოკვლევის წესის შესახებ, ბათუმის საგამოცდო კომისიის 1912 წლის სხდომების ოქმები 20-დან 100 სარეგისტრო ტონამდე სრული ტევადობის საზღვაო აფროსანი ხომალდების მცირე ნაოსნობაში ტარების უფლების მოსაპოვებლად, 1913-1914 წ.წ. სანავსადგურო საქმეების სამართლებრივი კომიტეტის და ტექნიკური თათბირების ოქმები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მცურავი მცირე გემების მფლობელთათვის უფლებების შენარჩუნების შესახებ, ნავთობის ნავმისადგომის გაფართოებისა და გადაკეთების, საპორტო ნაგებობების რემონტისა და მოვლის შესახებ, ბათუმის ნავსადგურისადმი მიწერილი გემების სიები /1918 წ./, ხომალდების ტენიკური შემოწმების აქტები, მიმოწერა საბუქსირო გემების შეძენისა და ექსპლუატაციის შესახებ, ნავსადგურში გემების ავარიის შესახებ, ნავსადგურის ტერიტორიისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, ეპიდემიური დაავადებების შემოტანის თავიდან აცილების, საპორტო ნაგებობების, მცურავი საშუალებებისა და მისასვლელი გზების რემონტისა და მოვლის შესახებ, ნავსადგურში გემების განლაგებისა და დგომის შესახებ, წყალსადენის მოწყობის, დაჭაობებული ადგილების აშოშრობის, ნავსადგურის დაცვის, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების მოვლისა და მუშაობის შესახებ, ბათუმის ნავსადგურისა და სანავსადგურო ნაგებობების გეგმები და ნახაზები.

ბათუმის საბაჟო ოქრუგის სამმართველო

ფონდი № 0-48; საქმეთა ერთეული 2898, 1878-1918 წწ.; აღწერა.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებული ბათუმის ოლქის სამმართველოს დროებითი დებულების საფუძველზე 1878 წლის ბოლოს გაიხსნა ბათუმის საბაჟო ოლქის სამმართველო.[3]

მისი ფუნქციები მდგომარეობდა ბათუმის ოლქის საბაჟო დაწესებულებების ხელმძღვანელობასა და კონტროლში. ლიკვიდირებულია 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.

ფონდში ინახება: საბაჟო მოსაკრებლების დეპარტამენტის ამიერკავკასიის და ქუთაისის საკარანტინო საბაჟო ოლქების ბრძანებები, ცირკულიარები და ინსტრუქციები კონტრაბანდასთან ბრძოლის შესახებ, სახელმწიფო ხარჯების ახალი კლასიფიკაციის შემოღების, უცხოეთთან ვაჭრობის მწარმოებელი ვაჭრების რეგისტრაციის, ბათუმში პორტოფრანკოს შემოღების შესახებ, საბაჟო დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, საზღვარგარეთიდან შემოტანილი რუსული წიგნების გასინჯვის, საზღვარგარეთიდან გასატანი ზოგიერთი საქონლიდან საბაჟო გადასახადის მოხსნის, სასაზღვრო ზოლის დაცვის შესახებ; მოხსენებები ბათუმის საბაჟო ოლქის მოღვაწეობის შესახებ, ბათუმის ნავსადგურში საბაჟო ნავმისადგომის შესაქმნელი სააღმშენებლო სამუშაოების, საზღვარზე კონტრაბანდული საქონლის, იარაღისა და ტყვია-წამლის დაკავების

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 104.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი №-რ-2, საქ. 1, ფ. 1.
3. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 465.

შემთხვევების შესახებ, უცხოეთის გემებისათვის საკაბოტაჟო ნაოსნობის აკრძალვის, თურქული ფელიუგებიდან ბათუმის სანაპიროზე უპასპორტო პირების გადასხმის შესახებ, გამშვები პუნქტების გახსნის, საბაჟო საწყობებში დატაცების, 1905 წელში ნავსადგურის მუშების გაფიცვის შესახებ, 1905 წლის გაფიცვაში ზედამხედველთა მონაწილეობის შესახებ, ბათუმის საბაჟოს ეზოში რკინის ნავმისადგომის მშენებლობის, სასაწყობო ნაგებობების მშენებლობის შესახებ, საზღვარგარეთიდან იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების შემოტანაზე განსაკუთრებული ზედამხედველობის დაწესების შესახებ, დაკავებული კონტრაბანდული საქონლის კონფისკაციის შესახებ, 1906 წელში ბათუმის საბაჟოს სალაროს დაცვის, სასაზღვრო ზოლის მცხოვრებთა მიერ საზღვარზე გადასვლის, საბაჟო დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის შესახებ, საბაჟო დაწესებულებების მოღვაწეობის რევიზიების მასალები /აქტები, მოხსენებითი ბარათები/, საბაჟო მოსაკრებლიდან განთავისუფლებული უცხოური და რუსული საქონლის სიები, 1911-12 წლების გასვლის მთავარი მუხლების ჩამონათვალი, საგარეო ვაჭრობის სამეურნეო-საფინანსო უწყისები, საწყობების საბაჟო საგუშაგოების, რკინიგზის ლიანდაგების მშენებლობების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, მიმოწერა ამიერკავკასიის რკინიგზაზე საგუშაგოების გახსნის შესახებ, ამიერკავკასიიდან სააღმშენებლო ხის მასალის გატანის ნებართვის, კონტრაბანდის დაკავებისას საზღვარზე მომხდარი შემთხვევების, 1905 წელში ბათუმის მუშების გაფიცვის გამო სპარსული საქონლის ბაქოდან და ნოვოროსიისკიდან ტრანზიტული გადაზიდვის, იარაღისა და ტყვია-წამლის გატანაზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

ბათუმის ოლქის საბაჟო ოკრუგის ბათუმის საბაჟო

ფონდი № 0-14; საქმეთა ერთეული 54, 1881-1916 წ.წ.; აღწერა.

1878 წლის ოქტომბერში, ბათუმში შეიქმნა საკარანტინო-საბაჟო პორტი, რომელიც შედიოდა ქუთაისის საკარანტინო საბაჟო ოლქის მფლობელობაში,[1] 1881 წლიდან დაერქვა ბათუმის საბაჟო და გადავიდა ბათუმის საბაჟო ოკრუგის დაქვემდებარებაში.[2] მის ფუნქციებში შედიოდა ბათუმის ნავსადგურში შემოსულ გემებზე ზედამხედველობა, საკონტრაბანდო საქონელის კონტროლის და საბაჟო გადასახადების დარიცხვა. გაუქმდა 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.

ფონდში დაცულია: საბაჟო მოსაკრებლების დეპარტამენტის, ქუთაისისა და ბათუმის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგების ბრძანებები, ინსტრუქციები და ცირკულიარები კონტრაბანდის დევნის, საზღვარგარეთ გამავალი ზოგიერთი საქონლის საბაჟო გადასახადიდან გათავისუფლების შესახებ, საზღვარგარეთ გამხმარი ბოსტნეულისა და სხვადასხვა ბალახების თესლის გატანის აკრძალვის შესახებ, სახელმწიფო შემოსავლების მოკრეფისა და შემოსავლების, ცენზურის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი რუსული წიგნების გასინჯვის, იარაღის, ყალბი ბანდეროლების, ყალბი საკრედიტო ბილეთების შემოტანაზე ზედამხედველობის გაძლიერების, მოქმედ საკარანტინო წესებში ცვლილებების, საბაჟო საგუშაგოებზე ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ, ცნობები 1918-1920 წ.წ. თურქეთისა და ინგლისის საოკუპაციო ჯარების მიერ ბათუმის საბაჟოსათვის მიყენებული ზარალის შესახებ, /ან. 1, საქ. 4, ფ. 1-31/, 1903-1912 წ.წ. სასაზღვრო დაცვის მიერ დაკავებული და საჯარო გაყიდვას დაქვემდებარებული საქონელის აღწერები და ოქმები, თანამშრომელთა 1918 წლის კრების ოქმები, მიმოწერა 1905 წელს ყურის საგუშაგოების მუშების გაფიცვების შესახებ, კონტრაბანდული საქონლის კონფისკაციის, არალეგალური ლიტერატურისა და იარაღის დაკავების, გემთმფლობელობის დაჯარიმების, ალუმინის გატანაზე აკრძალვის დაწესების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № ი-13, საქ. 23, ფ.1, ფ. 14, საქ. 1, ფ. 1, საქ. 19.
2. იქვე, ფონდი №ი -13, საქ. 43, გვ. 1.

ბათუმის საბაჟო ოკრუგის ნიკოლოზის საბაჟო /ჭობულეთი/

ფონდი № ი-13; საქმეთა ერთეული 123, 1856-1910 წ.წ.; აღწერა.

1856 წლის დასაწყისიდან, ქობულეთის ერთ-ერთ სიმაგრეში არსებობდა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის რედუტკალის საკარანტინო-საბაჟო სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი ნიკოლოზის 1 თანრიგის საკარანტინო-საბაჟო საგუშაგო,[1] რომელიც 1866 წლის დეკემბრიდან გადაკვიდა ფოთის I კლასის საკარანტინო-საბაჟო კანტორის დაქვემდებარებაში,[2] ხოლო 1897 წლის აგვისტოდან იწოდებოდა ბათუმის საბაჟო ოკრუგის ნიკოლოზის საბაჟოდ.[3] გაუქმებულია 1910 წელს ფინანსთა მინისტრის №-116 ბრძანების თანახმად.

ფონდში დაცულია: კავკასიის მთავარმმართებლის, კავკასიისა და ქუთაისის საკარანტინო-საბაჟო ოკრუგების მმართველის, ფოთის საბაჟო კანტორის და ბათუმის საბაჟო ოკრუგის, პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებები, მიმოწერები და ცირკულიარები, ინსტრუქციები ცალკეული უცხოელებისათვის რუსეთში შემოსვლის აკრძალვის შესახებ, კონტრაბანდიტების დევნის, სახელმწიფო ხარჯების ახალი კლასიფიკაციის შემოღების, საზღვარგარეთიდან შემოტანილი რუსული წიგნების ცენზურაზე გაგზავნის, საზღვარგარეთ გამავალი საქონლის ნაწილის საბაჟო მოსაკრებლებიდან განთავისუფლების შესახებ, იარაღის შემოტანის აკრძალვის, საბაჟოების რევიზიის ზღვისპირა ზოლის დაცვის, აკრძალული საქონელის შემოტანისათვის ჯარიმების დადების, ანგარიშების შესახებ, საზღვაო სიგნალების, შუქურების, ზღუდეების სისტემების შესახებ, გემების, მგზავრებისა და ეკიპაჟის გულდასმით შემოწმების შესახებ, ყალბი საკრედიტო ბილეთების შემოტანის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ აღნიშნული ბილეთების ნიმუშები და აღწერილობა, რუსული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ, იმპერატორ ალექსანდრე 2-ის ბრძანებულება 1860 წლის 2/15/ სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულების შესახებ, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის თაობაზე /ანაწ. 1, საქ. 2/, ნიკოლოზ მე-2-ის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი /ანაწ. 2, საქ. 20/, წლიური ანგარიშები საბაჟოს საქმიანობის შესახებ 1857, 1877 წწ. 1867 წელში ვაჭრობის შესახებ, ამიერკავკასიის მხარის გავლით ევროპული საქონლის სპარსეთში და თურქეთში, და აზიური საქონლის-ევროპაში ტრანზიტის წესები, საბაჟო მოსაკრებელთა შემოსავლისა და გასვლის ჯამების, შემოსული და გასული გემებისა და ხომალდების, საშტატო-საბაჟო უწყისების, გასავლის, შემოსავლისა და სპეცსახსრების ხარჯთაღრიცხვების, ბათუმის ოლქში საკარანტინო-საბაჟო ზედამხედველობის შემოღების თაობაზე 1878 წლის მიმოწერა, უცხოური საქონლის შემოტანის აკრძალვის, სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელი პუნქტი

ფონდი № ი-15; საქმეთა ერთეული 7, 1906-1914 წწ.; აღწერა.

შექმნილია 1876 წლის 8 სექტემბერს საკარანტინო-საბაჟო ნაწილის მმართველობის კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსის განკარგულების თანახმად;[4] მის ფუნქციებში შედიოდა საკაბოტაჟო ხომალდების მიღება და გაშვება ახლომდებარე ნავსადგურებს შორის, აგრეთვე თურქული ფელიუგებისა, რომლებიც მოდიოდნენ ჩურუქსუში თევზისა და დელფინების დასაჭერად. გაუქმებულია 1914 წლის 7 ივნისს.[5]

ფონდში დაცულია: საბაჟო მოსაკრებლების დეპარტამენტის, ამიერკავკასიის საბაჟო ოკრუგის ბრძანებები, ცირკულიარები, საკაბოტაჟო ხომალდებზე ზედამხედველობის შესახებ, საზღვარგარეთ ხორბლის პროდუქტების გაშვების, საბაჟოს მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთების გამოყენების, კონტრაბანდების დევნის, საკარანტინო საბაჟო დაწესებულებების შემოწმების შესახებ; მიმოწერა უცხოური საქონლის შემოტანის აკრძალვის, თურქულ თევზმჭერ გემებზე მეთვალყურეობის, ანგარიშების წარდგენის, ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელი პუნქტის გაუქმების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № ი-13, საქ. 2, ფ. 1-5.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი ი-13, საქ. 2, ფ. 27.
3. იქვე, საქ. 75, ფ. 36-131.6. იქვე, საქ. 95, ფ. 1
4. აჭარის ასსრ ცსა, ფ. № ი-13, საქ. 43, ფ. 12.
5. იქვე, ფონდი №-15, საქ. 3, ფ. 60-61, საქ. 5, ფ. 1.

ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა

ფონდი: № ი-37; საქმეთა ერთეული 11, 1891-1916 წწ.; აღწერა.

კავკასიაში მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებული ბათუმის ოლქის მმართველობის შესახებ დროებითი დებულების წესების თანახმად, 1878 წლის ნოემბერში ბათუმში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ანგარანი, რომელიც ემორჩილებოდა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქს.[1] გაუქმებულია 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.

ფონდში დაცულია: ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საზღვარგარეთიდან უფროსის ცირკულიარები არალეგალური წიგნებისა და გაზეთების კონფისკაციის შესახებ, არალეგალური ლიტერატურის შემოზიდვის აკრძალვის, სამხედრო ცენზურის მიერ კორესპონდენციის დათვალიერების შესახებ, ფოსტების დაცვის წესის, ფასიანი პაკეტების მიღების, ფოსტების დახურვისა და გახსნის შესახებ, საფოსტო და სატელეგრაფო განყოფილებების გახსნის, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის ანგარანის უფროსის ბრძანებები გიორგი იაკობის ძე ფრანჩესკის სახელზე მოსული მთელი კორესპოდენციის კანტორაში წარმოდგენის შესახებ, /საქ. 4, ფფ. 26, 27, 29/, 1905 წელში ბათუმის ოლქის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებების, მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვების შესახებ, მიწერილობა ლევ ტოლსტოის „ქრისტიანული სწავლება“ შესაძლებელი არალეგალური გამოცემის შესახებ, ხელშეკრულებები ნაოსნობისა და გაჭრობის რუსულ საზოგადოებასთან და ოდესის რკინიგზასთან რუსეთში და საზღვარგარეთ ამანათებისა და კორესპოდენციების გადატანის, მიმოწერა კორესპოდენციებისა და ამანათების კონფისკაციის, საფოსტო ოპერაციების შემოღების წესის შესახებ.

სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება

ფონდი № ი-45; საქმეთა ერთეული 44, 1898-1920.; აღწერა.

დაარსებულია 1886 წლის 21 ოქტომბერს.[2] გაუქმებულია 1921 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად.

ფონდში დაცულია: მთავარი წიგნები, საზღვარგარეთის ოპერაციების რეგისტრაციის, საერთო გასაგლების, გადასაგზავნად თანხმობის მიღების შესახებ, კუპონების ანაზღაურების ანგარიშის ჟურნალები, სპეციალური მიმდინარე ანგარიშების უზრუნველმყოფელი გექსილების წიგნები, ბრუნვის სალაროს მიმდინარე ანგარიშების მიხედვით მეანაბრეთა პირადი ანგარიშები.

ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს ნავთობის სააქციზო სამმართველო

ფონდი № ი-12; საქმეთა ერთეული 29, 1892-1920 წწ.; აღწერა.

1892 წლიდან ბათუმში არსებობდა ამიერკავკასიის მხარის და ამიერკასპიის ოლქის სააქციზო მოსაკრებლების სამმართველოს მე-8 ოკრუგის ზედამხედველი,[3] რომელიც 1919 წლის 5 იანვრიდან მოიხსენიება ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს ნავთობის სააქციზო სამმართველოდ.[4] მის ფუნქციებში შედიოდა ბათუმის პორტიდან საზღვაგარეთ გატანილ ნავთობპროდუქტებზე სააქციზო მოსაკრებლების მოწესრიგება. კერძოდ ბენზინზე, გასანათებელ ნავთზე და საპოხ ზეთებზე, აგრეთვე სპირტიან, თამბაქოს პროდუქტებზე, ასანთზე, შაქარზე და ჩაიზე. გაუქმებულია 1920 წლის 7 იანვარს.[5]

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 465, აჭარის არ ცსა, ფონდი № ი-37, საქ. ერთ. 1, ფ. 1.
2. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 429.
3. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 262-265.
4. აჭარის ა.რ. ცსა, ფ. 12, საქ. 1, ფ. 9, 1-27.
5. იქვე, საქ. 2, ფ.ფ. 4-7.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: ამიერკავკასიის მხარის და ამიერკასპიის ოლქის სააქციზო მოსაკრებლების სამმართველოს, ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს ცირკულიარები და განკარგულებები, საზღვარგარეთ გასატან პროდუქტებსა და საქონელზე სააქციზო მოსაკრებლების დაწესების წესის შესახებ, შაქრის მონოპოლიის შემოღების, საპატენტო მოსაკრებლის, შინაგანი წარმოების სასმელების გატანის წესის, არყის ნაწარმით გაჭრობის ახალი წესების შემოღების შესახებ, ინსტრუქციები და წესები ტყვრთის მეპატრონეებისაგან ნავთობპროდუქტებისა და ჩაის გატანისათვის გასატანი გადასახადების აკრეფის წესების შესახებ, 1892 წლის მოხსენებები ამიერკავკასიაში სააქციზო საქმის მდგომარეობის, ამიერკავკასიის მხარის და ამიერკასპიის ოლქის სააქციზო მოსაკრებლების მე-8 ოკრუგის ზედამხედველის მოღვაწეობის შესახებ, სტატისტიკური მონაცემები 1892, 1895, 1897, 1900, 1912, 1913, 1917, 1918 წლებში ბათუმის ნავსადგურიდან და სააქციზო მოსაკრებლების პუნქტებიდან ნავთობპროდუქტების გატანის შესახებ, უწყისები და ამონაწერები ბათუმის ხაზინის წიგნებიდან საზღვარგარეთ გატანილი პროდუქტებისათვის სააქციზო მოსაკრებლების შესახებ, 1917-1919 წლის საშტატო განრიგები, 1917 წლის სააქციზო სამმართველოს თანამშრომლობის სამხარეო და ადგილობრივი კავშირების წესდება და ორგანიზაციის სქემა, საქონლის უბაჟო გატანისათვის დაჯარიმების აქტები და ოქმები, მიმოწერა ტყვრთების სააქციზო მოსაკრებლების დაწესების წესების შესახებ, ნავსადგურიდან გატანილ საქონელზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲖᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲨᲘᲚᲘᲜᲒᲝᲕᲡᲙᲘ ᲓᲐ Კ“ ᲛᲝᲛᲗᲣᲗᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲤᲝᲜᲓᲘ № 0-21; ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 23, 1912-1921 წ.წ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

დაფუძნებულია 1910 წელს.[1] ნაციონალიზირებულია 1921 წლის აპრილში.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: 1912, 1913, 1915, 1916, 1918, წლების სამმართველოს ანგარიშები ქარხნის მოღვაწეობის შესახებ, 1913 წლის მოხსენებები ფულადი სახსრების მდგომარეობის შესახებ, მასალების, საწვავის ხარჯვის, 1916 წლის დაკვეთის შესრულების, 1913-1915 წწ.; 1919 წლის აქციონერთა საერთო კრებებისა და სარევიზიო კომისიის სხდომათა ოქმები, მუშაობის გეგმების შესახებ, ძირითადი კაპიტალის გაზრდის შესახებ, სააქციზო საზოგადოების წევრთა შორის მოგების განაწილების, 1915 წლის ფასეულობათა სახეზე ყოფნისა და სალაროს შემოწმების აქტები, ქარხნის აშენებისა და აღჭურვის ხარჯების ხარჯთაღრიცხვანი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲚᲐᲭᲝ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ

ᲤᲝᲜᲓᲘ № 0-32; ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 22, 1911-1912 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ბათუმის წყალსადენი არსებობდა ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე ნავთობმრეწველობის განვითარების, უცხოეთის გემების მოსვლისა და მუშა მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის გამო, წყალსადენი ვეღარ აკმაყოფილებდა წყალზე დიდ მოთხოვნილებას, ამ მიზნით 1904 წელს აშენდა ახალი წყალსადენი საწყალსადენო მილების დიდი დიამეტრით, დაფუძნებული მდინარე ლეჩეს /მდ. ყოროლისწყალის შენაკადი/ წყაროებზე, 1878 წლიდან იმყოფებოდა პოლიციის სამმართველოს დაქვემდებარებაში, 1888 წლიდან 1921 წლამდე-ბათუმის ქალაქის საკრებულოს მფლობელობაში.[4]

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: ბათუმის წყალსადენის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები; წყლის გაცემის უწყისები.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ-2, საქ. 1, ფ.ფ. 201 202.
2. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 617-628

VII. სასწავლო დაწესებულებების, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ფონდები

ბათუმის ვაჭთა გიმნაზია

ფონდი № 0-10; საქმეთა ერთეული 144, 1902-1921 წ.წ.; აღწერა.

გაიხსნა 1897 წლის 1 სექტემბერს[1] — ლიკვიდირებულია 1921 წელს.

ფონდს განეკუთვნება: კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარები და ბრძანებები სასწავლო-ადმინისტრაციული საკითხების შესახებ, დირექტორის, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშები, მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები გიმნაზიის დაარსების, 1887-1907 წ.წ. გიმნაზიის მოღვაწეობის შესახებ /ს. 41, ფ.45-65/, 1913 წ. გიმნაზიის ბიბლიოთეკის და მეტეოროლოგიური სადგურის გახსნისა და მუშაობის შესახებ, პედაგოგიური საბჭოს სხდომათა ოქმები მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების შესახებ, 1905 წ. ქ. ბათუმის მუშათა რევოლუციური გამოსვლების და მათთან გიმნაზიის მოსწავლეთა შეერთების გამო მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ, 1898-1913 წწ-ში გიმნაზიის შენახვის სტატისტიკური ანგარიშების, სწავლის ქირის გადახდის შესახებ, სასწავლო პროგრამები და გეგმები, თურქეთის ჯარის მიერ 1918 წელს ბათუმის ოკუპაციის დროს გიმნაზიაზე მიყენებული ზარალის შესახებ, /ს. 58/, მიმოწერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან 1901-1907 წწ. ბათუმის მუშების რევოლუციურ გამოსვლებში გიმნაზიელთა მონაწილეობის წინააღმდეგ სათანადო ზომების გატარების /ს. 47, ფ. 4-73/ შესახებ, გამოსაშვები გამოცდების, სასწავლო პროგრამებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ბათუმის ქალთა გიმნაზია

ფონდი № 0-11; საქმეთა ერთეული 133, 1900-1920 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1900 წლის 26 სექტემბერს, იმყოფებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის უწყებაში.[2] 1918 წლიდან გადავიდა სახალხო განათლების სამინისტროს საოლქო კომისარიატის უწყებაში.[3] ძირითადი კლასების გარდა გააჩნდა მოსამზადებელი და დამატებითი მერვე კლასები,

გიმნაზიის კურსდამთავრებულს ენიჭებოდა საშინაო მასწავლებლის უფლებები. გაუქმდა 1921 წელს.

ფონდში დაცულია: სახალხო განათლების სამინისტროს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარები პოლიტიკური ლიტერატურის შენახვის აკრძალვის, 1909 წ. დიდი რუსი მწერლის ნ. გ. გოგოლის, იმავე წელს პოეტ ა. გ. კოლცოვის, ხოლო 1914 წ. მ.ი. ლერმონტოვის იუბილეების აღნიშვნის შესახებ, გადასაყვანი გამოცდების, ფინანსური ანგარიშების შესახებ, კლასის ზედამხედველთა ანგარიშები, სტატისტიკური ცნობები გიმნაზიის შესახებ, დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების მუშაობის წესები; პედაგოგიური და მზრუნველთა საბჭოების სხდომათა ოქმები მისაღები გამოცდების შედეგების, სასწავლო გეგმების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ; მიმოწერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან მისაღები და გამოსაშვები გამოცდების, ბიბლიოთეკის მუშაობის, დამატებითი კლასების გახსნის შესახებ.

ბათუმის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი

ფონდი № 0-9; საქმეთა ერთეული 94, 1886-1920 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1881 წ. სექტემბერში. 1899 წ. გარდაიქმნა ექვსკლასიან საქალაქო, სასწავლებლად,[4] ხოლო 1914 წ. იანვარში—ბათუმის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად.[5] გაუქმდა 1921 წელს.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 599-603.
2. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 610-612.
3. აჭარის ცსა, ფონდი ი.-11, საქ. 5, გვ. 1; საქ. 47, ფ. 66.
4. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 588-592
5. აჭარის ცსა, ფონდი ი-9, საქ. 70, ფ. 6, 59, 85.

ფონდში ინახება: უმაღლესი და დაწყებით სასწავლებელთა დებულებები, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ცირკულიარები, განკარგულებები ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხებზე, სასწავლო პროგრამების, სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, სასწავლებლის მდგომარეობისა და მოღვაწეობის ამსახველი ანგარიშები და სტატისტიკური ცნობები, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის, მოსწავლეთა შემადგენლობისა და აკადემიური მოსწრების, გეოგრაფიისა და ისტორიის სასწავლო პროგრამების შესახებ, 1896-1917 წწ. პედსაბჭოების სხდომის ოქმები სასწავლო-მეთოდური და ორგანიზაციული საკითხების თაობაზე, მოსწავლეთა ქცევის სააღრიცხვო ჟურნალები. სასწავლებლის შემოსავალ-გასავალის ანგარიშები, მიმოწერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან საქალაქო სასწავლებლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, სასწავლებელთან მუზეუმის დაარსების, გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდების, სასწავლო პროგრამების შეცვლის, სასწავლებელთან პედაგოგიური კლასების გახსნის შესახებ

ბათუმის პუშკინის სახელობის დაწყებითი ვაჭთა სასწავლებელი

ფონდი. № ი-30; საქმეთა ერთეული 20, 1899-1921 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1899 წლის 1 სექტემბერს.[1] გაუქმდა 1921 წელს.

ფონდში დაცულია: კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისა და ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ცირკულიარები და განკარგულებები სასწავლებელთა მუშაობის კონტროლის შესახებ, 1910 წ. მასწავლებელთაგან ჩამორთმეული ხელწერილები იმის თაობაზე, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან მთავრობისადმი მტრულად განწყობილ საიდუმლო კავშირებსა და პოლიტიკურ პარტიებს /ს. 12, ფ. 91/, 1911 წ. ბატონყმობის გაუქმების მანიფესტის 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ, მოსწავლეთა მოსწრების ანგარიშები, სტატისტიკური ცნობები სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, სასწავლებლის შემნახველი სალაროს დებულება, სასწავლებლის დამთავრების მოწმობები, მოსწავლეთა ქცევის და აკადემიური მოსწრების მოწმობები; მიმოწერა სასწავლო პროგრამების, გამოცდების, ექსკურსიების შესახებ.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი

ფონდი № ი.-27; საქმეთა ერთეული 30, 1910-1917 წ.წ.; აღწერა.

გაიხსნა 1889 წ. 8 ოქტომბერს,[2] გაუქმდა 1921 წელს.

ფონდში შემონახულია: კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის და ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორის ცირკულიარები, ბრძანებები და განკარგულებები მოსწავლეთა ფიზიკურ შრომაში ჩაბმის შესახებ, სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ, მოსწავლეთა მოსწრების მოწმობები, ატესტატთა ასლები, მიმოწერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ბათუმის ოლქის გუბერნატორთან სასწავლებლისათვის ფულადი სახსრების გამოყოფის, აუცილებელი ინვენტარის და საშუალებების შეძენის შესახებ.

ბათუმის ექიმთა საზოგადოების მალარიის კომისია

ფონდი № ი.-33; საქმეთა ერთეული 5, 1912-1921 წ.წ.; აღწერა.

დაარსდა 1912 წლის თებერვალში ბათუმის ექიმთა საზოგადოების გადაწყვეტილებით მალარიის შესწავლისა და მასთან ბრძოლის მიზნით.[3] გაუქმდა 1921 წელს.

---

1. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 613.
2. «Батуми и его окрестности» г, Батуми, 1906 г. ст. 18.
3. აჭარის არ ცსა, ფონდი № ი-33, საქ. 2, გვ. 30.

ფონდში მოიპოვება ბათუმის ექიმთა საზოგადოების დადგენილებები და ინსტრუქციები მალარიასთან ბრძოლის ამოცანების და ღონიძისძიებების შესახებ, 1916 წ. ბათუმში მალარიის სადგურის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ., მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები მალარიის აღმოცენების მიზეზების და მასთან ბრძოლის შესახებ, ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოების კომისიის და მალარიის სადგურის მუშაობის ანგარიშები; საექიმო კომისიის სხდომათა ოქმები მალარიით დაავადებულთა მკურნალობის მეთოდების, ჭაობების ამოშრობის შესახებ, სტატისტიკური ცნობები მალარიით დაავადების შესახებ, მიმოწერა მალარიის სადგურის გახსნისა და გაფართოების, ექიმთა საზოგადოების შენახვის შესახებ.

ბათუმის ოლქის ვეტერინალური ინსპექტორის კანცელარია

ფონდი № 0-35; საქმეთა ერთეული 2, 1899-1910 წ.; აღწერა.

ფონდში შენახულია: ვეტერინარი ექიმის მოხსენება ცხოველთა დაცვის თბილისის საზოგადოების ბათუმის განყოფილების მუშაობის შესახებ, /1837-1909 წწ/. ამონაწერები ჟურნალიდან „საზოგადოებრივი ვეტერინარის ვესტნიკი“ /1906-1907/, სტატიები რქოსანი პირუტყვის ჭირთან ბრძოლის შესახებ.

VIII. საზოგადოებრივი და საქველმოქმედო დაწესებულებების ფონდი სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის ბათუმის კომიტეტი (ს.რ.ქ.კ.)

ფონდი №-8; საქმეთა ერთეული 8, 1914-1918 წწ.; აღწერა.

დაარსებულია 1914 წელს. შედიოდა სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის /სრქკ/ კავკასიის მთავარ კომიტეტში.[1]

მის ფუნქციებში შედიოდა მოსახლეობისათვის, დაჭრილთათვის და ავადმყოფი ჯარისკაცებისათვის საექიმო-სანიტარული დახმარების ორგანიზაცია. გაუქმებულია 1918 წელს.

ფონდში დაცულია სრქკ და ბათუმის კომიტეტის წესდება და დებულება, გარდაცვალების ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში დახმარების გაცემის წესების შესახებ, სასურსათო და სამეცნიერო საქონლის აღრიცხვის წარმოების შესახებ, ანგარიშები და მოხსენებები სრქკ ბათუმის კომიტეტის სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებების, ლაზარეთების, გადამცემ ავადმყოფობათა განყოფილებების, სასაბალნე სანიტარული რაზმების გახსნის შესახებ, მოძრავი ჰოსპიტალის გახსნის შესახებ, სამედიცინო დაწესებულებებისათვის ადგილების და შენობების არჩევის შესახებ, თანხების ხარჯვის, ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობაზე მუშებისა და მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურეობის შესახებ, სრქკ ბათუმის კომიტეტის სხდომათა ოქმები ავადმყოფთა და დაჭრილი მეომრების მისაღები პუნქტების, ლაზარეთების, საავადმყოფოების ორგანიზაციისათვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, საექიმო სამეთვალყურეო პუნქტების გახსნის შესახებ, სრქკ ბათუმის კომიტეტის მოსამსახურეთა საბჭოს შექმნის შესახებ, თავშესაფრის, აბანოს, სამრეცხაოს და სადეზინფექციო კამერის მშენებლობის შესახებ, ბათუმის რაიონში მუშაობისათვის ექიმების მოზიდვის შესახებ, ბათუმის ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოების 1917 წლის წესდება, სრქკ ორგანიზაციების მიერ ბათუმის ოლქში სამედიცინო-სანიტარული ორგანიზაციების, სრქკ ბათუმის ორგანიზაციის მოძრავი რაზმების შექმნისა და შენახვის შესახებ, ახსნა-განმარტებები და ხარჯთაღრიცხვები, სრქკ ბათუმის კომიტეტის თანამშრომელთა 1916 წლის შტატები, მიმოწერა სამედიცინო-სანიტარულ მომსახურებაზე, საავადმყოფოების სამეთვალყურეო პუნქტების განყოფილებაზე სახსრების გაცემის შესახებ, ეპიდემიური დაავადების შემთხვევების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფ.ონდი №-8, საქ. 2, ფ. 11.
2.აჭარის ასსრ ცსა, ფ. № 8 საქმე 2, ფურც. 11.

IX. რელიგიური კულტის დაწესებულებათა ფონდები ბათუმის ოლქის ეკლესიები

8 ფონდი: 1884-1915 წ.წ. მასალები.

ალექსანდრე ნეველის ტაძარი, ფ. №-58, საქმეთა ერთეული 5, 1895-1910 წწ.; აღწერა.

სომხური კათოლიკური ეკლესია; ფ. №-60; საქმეთა ერთეული 1, 1908-1910 წწ.; აღწერა.

წმინდა მიხეილ მთავარ ანგელოზის ბათუმის საქალაქო ტაძარი, ფ. №-55, საქმეთა ერთეული 41, 1884-1913 წწ.; აღწერა.

ბათუმში მართლმადიდებელთა ტაძრის აგების კომიტეტი, ფ. №-45; საქმეთა ერთეული 9, 1887-1901 წწ.; აღწერა.

იმერეთ-სამეგრელოს ეპარქიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია.; ფ. №-54; საქმეთა ერთეული 25, 1898-1914 წწ.; აღწერა.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია.; ფ. №-56; საქმეთა ერთეული 5, 1888-1915 წწ.; აღწერა.

რომის კათოლიკური ეკლესია; ფ. №-59; საქმეთა ერთეული 4, 1889-1909 წწ.; აღწერა.

ყუბანის ბლასტუნების ბატალიონის ეკლესია; ფ. №-57; საქმეთა ერთეული 6, 1900-1912 წწ.; აღწერა.

ფონდებში დაცულია: ბათუმის ეკლესიების გადაკეთებისა და კაპიტალური რემონტის კომიტეტების მოწოდება ეკლესიების მშენებლობის, სასულიერო სემინარიის ასაშენებლად და ომში დაზარალებულებისათვის დახმარების გასაწევად შემოწირულობათა შეგროვების შესახებ, განცხადება იუდეველთა მიერ მართმადიდებლური ქრისტიანული რწმენის მიღების შესახებ, ჩვილთა მონათვლის შესახებ, ქორწინების შესახებ, ეკლესიის რემონტზე და სმრეკლოს აშენებაზე გაწეული ხარჯების ხარჯთაღრიცხვები, ანგარიშები და მონაცემები 1894-1900 წლებში ქორწინებათა და ნათლობათა რაოდენობის შესახებ, მიმოწერა ბათუმის სასულიერო სკოლიდან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის აღსაზრდელთა გარიცხვის თაობაზე, სხვა აღმსარებლობის მატარებელთა შორის ქრისტიანული რელიგიის გასავრცელებლად სახსრების შეგროვების შესახებ, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის აგების, 1912 წელში სამხედრო მღვდლების მოწვევის, სასულიერო სკოლების შენახვის შესახებ.

X. საქართველოს საისტორიო და ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში დაცული ბათუმის ოლქის ისტორიის ამსახველი ჩსეროასლების კოლექციის ფონდი

ბათუმის ოლქის განვითარების ისტორია ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალების მიხედვით

ფონდი 0-81; 1874-1920 წ.წ.; 22 საქმეთა ერთეული, აღწერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ კოლექციებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო და ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივებიდან შემოტანილი ბათუმისა და ართვინის ოლქების 1874-1920 წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი საარქივო მასალები.

აღნიშნული დოკუმენტები მოკვლეული და გამოვლენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის შალვა აბაშიძის მიერ ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში 2000 წელს მისი სამეცნიერო მივლინების დროს. გამოვლენილ დოკუმენტთა ჩსეროასლები დამუშავდა საარქივო წესით, აიკინძა საქმეებად, ჩაისვა ყდებში, შედგა ნუსხები და აღწერილობითი სიები, მიეცა ფონდებისა და კოლექციების სახე და აყვანილი იქნა სახელმწიფო აღრიცხვაზე.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან შემოტანილი დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას უქმნის მკვლევარებს ბათუმის ოლქში მცხოვრებთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

როგორც მასალებიდან ირკვევა 1874-1920 წლებში ბათუმში მოქმედებდა რამდენიმე ნოტარიუსი: გერნშტეინის, პარუსკოვის, ბახტრიევის, ტაიროვის, რომლებიც ახორციელებდნენ სანოტარო საქმიანობას, სწორედ მათი სანოტარო ჩანაწერებისა და სიმტკიცის წიგნების, სანოტარო აქტების, ხელშეკრულებებისა და რეესტრების შესწავლა ცხადყოფს ბათუმის ოლქში რუსეთის მეფის მმართველობის დროს უდიდეს და უძლიერეს მიწათმფლობელთა

ვინაობას, ამ კუთხის მოწინავე და წარჩინებულ გვართა — სანჯაყ ბეგ აბაშიძეთა, ბეჟანიძეთა, შერვაშიძეთა, ხიმშიაშვილთა და თავდგირიძეთა ქონებრივ-სოციალურ მდგომარეობას.

ცალკე საქმედ გამოიყო სანოტარო ჩანაწერების და ხელშეკრულებები, საიდანაც ჩანს, რომ მიწის განსაკუთრებულად დიდ ფართობს, დაახლოებით 600 დესეტინას, როგორც ბათუმში, ასევე მის შემოგარენში — ანგისაში, ფერიასა და ურეხში ფლობდნენ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები (ფონდი ი-81; აღწერა 1; საქმე 5).

ბათუმისა და ართვინის ოლქების სახელმწიფო მმართველობითი მოწყობისა და ბათუმის საგაყუფო მიწების შესახებ მასალები დაცულია ამავე ფონდის №-1 საქმეში, სადაც მოთავსებულია დებულებები და ინსტრუქციები ბათუმის ოლქის მმართველობის, სასამართლო მოწყობის, ბათუმისა და ყარსის ოლქების სამხედრო გუბერნატორების უფლება-მოვალეობების, მოწათმომწყობი კომისიების დანიშნულების და სხვათა შესახებ.

ამ საქმეში დაცული მასალები მიანიშნებენ, რომ ოლქის მმართველობის დებულებით ბათუმი იწოდებოდა საპორტო ქალაქად, ხოლო თვით ბათუმის ოლქი ადმინისტრაციული თვალსაზრისით დაიყო ბათუმისა და ართვინის მხარეებად.

ბათუმისა და ართვინის მხარეების ისტორიის შესახებ მასალები თავმოყრილია ამავე ფონდის №-2 საქმეში, სადაც დაცულია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებითი ბარათი 1903 წელს — 20 წლის შემდგომ ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმის ოლქის გამოყოფის და დამოუკიდებელ ერთეულად ყოფნის შესახებ; საქმეშია: ქ. ბათუმის ელსადგურის მშენებლობის მასალები, საბირჟო კომიტეტის ანგარიში, ბათუმში არსებულ საგაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა სიები, ქ. ბათუმის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები.

ბათუმის ოლქის განვითარების ისტორია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული მასალების მიხედვით

ფონდი ი-82; 1897-1920 წ.წ.; 25 საქმეთა ერთეული, აღწერა.

მეტად საინტერესო და საყურადღებოა ჩვენი კუთხის ისტორიული კვლევის, მისი განვითარების თვალსაზრისით მასალები, რომლებიც შემოტანილი იქნა საქართველოს საისტორიო არქივიდან (ფონდი ი-82). ეს მასალები ბათუმისა და ართვინის ოლქების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მნიშვნელოვან ხელშესახებ დოკუმენტებს იძლევიან.

ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქმე №-4 — ბათუმის ოლქის მიმოხილვის შესახებ. ეს არის მეტად ორიგინალური გამოცემა, რომელიც მოიცავს ბათუმისა და ბათუმის ოლქის მრავალმხრივ მიმოხილვას. მასში მოცემულია ჩვენი მხარის მოკლე ისტორიული ცნობები, გეოგრაფიული დახასიათება, ბუნებრივ-კლიმატური პირობები ფლორისა და ფაუნის აღწერით, მოსახლეობა, გაჭრობა და მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, სანიტარულ-ვეტერინალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების განვითარება, სააქციო მოსაკრებლები.

ფონდში დაცულია მასალები ქ. ბათუმის გეგმის, ბათუმში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის, საგაჭრო დაწესებულებებისა და მონადირეთა კავშირის წესდების, საგუშაგო პუნქტების საქმიანობის, წყალგაყვანილობის, საავადმყოფოთა და კლინიკური დაწესებულებების გახსნის, 1912 წლის საფინანსო ანგარიშის, ბათუმში ეკლესიების მშენებლობის შესახებ.

ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის მხარეების განვითარების შესახებ მოგვითხრობს საარქივო დოკუმენტები, სადაც დაცულია გენერალ-ლეიტენანტ პავლოვის მოხსენებითი ბარათი მთავარი შტაბის უფროსისადმი რუსეთისათვის ბათუმის შეერთების შესახებ. ისტორიკოსებისათვის საინტერესო იქნება აგრეთვე რეცენზიები ფრენკელის წიგნის „ნარკვევები ბათუმისა და ჩურუქ-სუს“ შესახებ თაობაზე, რომელიც 1879 წლის 2 სექტემბერს გამოქვეყნებული იქნა გაზეთ „კავკაზ“-ში. ამავე საქმეში დაცულია 1912 წლის გაზეთ „ბათუმის უწყებების“ დანართი „ქალაქ ბათუმში თავისუფალი ნავსაყუდელის დაწესების შესახებ“ ინჟინერ-ტექნოლოგ დ. ი. სვიშევსკის მოხსენების მიხედვით.

ფონდში დაცულია მასალები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქობულეთისა და გურიის რაზმების მოქმედების შესახებ.

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი და აჭარა, პირველი მეჯლისი, მემედ აბაშიძის როლი ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში

ამავე ფონდის შემადგენლობაში შევიდა ის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და მთავრობის

შემადგენლობის, რეგლამენტის შესახებ. საქმეშია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი (1918 წ.), საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, საზაო და სამეგობრო ხელშეკრულება ოტომანის საიმპერო მთავრობასთან.

ფონდში დაცულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული საბჭოს კრების (1917 წ.) საქართველოს პარლამენტის სხდომის (1917-1918 წ.წ.) ოქმები.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა სიაში ირიცხებიან მემედ ბეგ და ჰაიდარ აბაშიძეები, ჯემალ ბეგ ნიჟარაძე. კანდიდატთა სიაში არიან იუნუს წულუკიძე, ჰასან ეფენდი ლორთქიფანიძე, ისაკ ეფენდი ხალვაში და სულეიმან ეფენდი ტაბახიძე.

1917-1918 წლებში სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მასალები თავმოყრილია საარქივო საქმეში №-18, რომელშიც დაცულია: საქართველოს ეროვნული საბჭოს, სოც-ფედერალისტთა ფრაქციის, საფინანსო სექციის სხდომის ოქმები. მიმოწერები ეროვნულ საბჭოსთან სამუსლიმანო საქართველოს ეკონომიური საქმეების მოწესრიგების, სამაჰმადიანო საქართველოს ყრილობის მოსაწვევად 10000 მანეთის გამოყოფისა და ბათუმში ქართულ-თურქულ ენებზე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემისა და გამომცემელ-რედაქტორად მემედ აბაშიძის დანიშვნის შესახებ. აქვეა მასალები რეჯებ ნიჟარაძის სექციის გამგის თანაშემწედ და რიზა აბაშიძის ინსტრუქტორად დანიშვნის შესახებ.

საქმეშია „სამუსლიმანო საქართველოს“ განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი ტრაპზონში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა მდგომარეობის შესახებ. „სამუსლიმანო საქართველოს“ განმათავისუფლებული კომიტეტის მიზანს წარმოდგენდა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა, რომლის სულის ჩამდგმელი იყო საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი მემედ ბეგ აბაშიძე. 1919 წლის 31 აგვისტოს ქართველ მუსლიმანთა ყრილობის გადაწყვეტილებით აჭარა საქართველოს განუყოფელ ისტორიულ ნაწილად გამოცხადდა. ყრილობამ აირჩია მეჯლისი. მეჯლისის პირველ თავმჯდომარედ არჩეული იქნა მემედ აბაშიძე, რომელმაც შეადგინა პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა.

ბათუმის ოლქი გაზეთებში „დროება“, „ივერია“ და „ერთობა“

როდესაც მიმოიხილავ ამ შესანიშნავ კოლექციას ისტორიული დოკუმენტებისა, შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს ის საგაზეთო პუბლიკაციები და სტატიები, რომლებიც აჭარის შესახებ მოგვითხრობენ და რომელთაც ასახვა ჰპოვეს საქართველოს განვითარების იმ პერიოდის გაზეთებში: „დროება“, „ივერია“ და „ერთობა“.

გაზეთ „დროება“-ს ფურცლებზე ასახვა ჰპოვა 1878-1895 წ.წ. ბათუმში მიმდინარე პროცესებმა. აქ გამოქვეყნებულია: შინაური ქრონიკები, ცნობები ექიმ ჟილინსკის მიერ სამკურნალო მჟავე წყლების აღმოჩენის, მარადიდში ახმედ ეფენდის თაოსნობით მაჰმადიან ქართველთა შვილებისათვის სკოლის გახსნის, „ბაქო-ბათუმი“ ნავთობსადენის გაყვანის შესახებ.

„ივერიის“ ფურცლებზე სხვადასხვა წლებში (1886-1892 წ.წ.) გამოქვეყნდა ზ. ჭიჭინაძისა და აბდულ-ეფენდი მიქელაძის ინფორმაციები ბათუმში განათლების მდგომარეობისა და მედრესეებში სწავლის, ქართველი მაჰმადიანი ბეგების ხუსეინ ბეგ და იბრაგიმ ბეგ აბაშიძეებისა და სულეიმან ბეგ თულუმბაზადე ბეჟანიძის შვილების პირველ ქართულ სკოლაში შეყვანის შესახებ, აქვეა ბათუმისა და შავი ზღვის ქალაქებს შორის გემების მიმოსვლის განრიგი.

გაზეთ „ერთობა“-მ თავისი ფურცლები დაუთმო ცნობებს ბათუმ-ყარსის ბედის, სომხეთისა და ბათუმის, საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებათა, ოსმალების რეფერენდუმის შესახებ. საგაზეთო სტატიებში აღიწერა ბათუმის მდგომარეობა ინგლისის ჯარების ევაკუაციის წინ, ბრძოლები ბათუმის დასაკუთრებისათვის და სახალხო ზეიმი აჭარის საქართველოსთან დაბრუნების გამო. 1920 წელს „ბათუმის დღე“ ასევე იზეიმა თბილისმა.

გაზეთში გამოქვეყნდა „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ოლივერ უორდროპისადმი და „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის რწმუნებულის ჰაიდარ აბაშიძის წერილი „ხმა სამუსლიმანო საქართველოდან“. (გაზ. „ერთობა“ №-49, 02. 03. 1920 წ.)

ეს მხოლოდ მცირე მიმოხილვაა იმ საარქივო დოკუმენტებისა, რომელთაც ნაწილობრივ შეაგსეს ინფორმაციული გაკუწმი ჩვენი მხარის ისტორიისა. მუშაობა, კვლევა, საინფორმაციო ისტორიული წყაროების მოძიება კვლავ გაგრძელდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის საარქივო მასალებით გამდიდრებისათვის.

გზამკვლევის ძირითად ნაწილში შეუყვანელი ფონდების სია

№	ფონდების ან ფონდების ჯგუფის დასახელება	შესანახი ერთეულის რაოდენობა	დაწყებისა და დამთავრების თარიღები
	IV. სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ფონდები		
71	ბათუმის საოლქო სასამართლო	3	1919-1921
26	ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელი	1	1915-1917
	V. პოლიციის, ჟანდარმერიისა და ოხრანკის ორგანოების ფონდები		
52	ბათუმის პოლიცმეისტერის სამმრათველო	7	1896-1915
72	ქ.ბათუმის მიხეილის ციხე-სიმაგრის ჟანდარმთა რაზმის უფროსი	3	1906-1908
63	ქ. ბათუმის მიხეილის ციხე-სიმაგრიე	2	1914-1916
49	ქ. ბათუმის და მიხეილის ციხესიმაგრის საციხესიმაგრო მაიორის დროებითი გენერალ-გუბერნატორიის კანცელარია	2	1916
	VI. სამეურნეო ეკონომიკური დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები		
29	ბათუმის ხაზინა	3	1908-1912
17	ბათუმის ნავსადგურის განსაკუთრებულ საქმეთა მსაჯულება	8	
73	ქვემო აჭარის საუბნო სამმართველო	1	1896-1911
61	ბათუმის სატელეფონო სადგური	1	1900
62	ბათუმის შრომის სამინისტროს სამუშაო მაგიდა	39	1906
64	რუსულ-აზიური ბანკის ბათუმის განყოფილება	3	1920-1921
65	ბათუმის საოლქო შემფასებელი კომისია	1	1903-1920
68	ომისაგან დაზარალებულთავის დახმარების ბათუმის საოლქო კომიტეტი	1	1908-1914
47	საპორტო ქალაქ ბათუმის უფროსი	4	1915-1916
70	საპორტო ქალაქ ბათუმის უბნის პრისტავი	1	1881-1888
74	ბათუმის ოლქის გზატკეცილების სამმართველო	3	1897 1910-1920
	VII. სასწავლო დაწესებულებათა კულტსაგანმანათლებლო საზოგადოების ფონდები		
23	ბათუმის პირველი ბერძნული დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებელი	8	1895-1917
75	ბათუმის ეროვნული საბჭოს ბათუმის ვაჟთა ქართული გიმნაზია	39	1918-1921
	VIII. საქველმოქმედო და საზოგადოებრივი დაწესებულებები		
44	ბათუმის ოლქის საექიმო განყოფილება	2	1904-1917
77	ქ. ბათუმში პეტროგრად-კავკასიის ნავთობმრეწველთა და სავაჭრო საზოგადოების სამმართველო	3	1918-1921
28	ციხისძირის აგარაკთა მფლობელობის საზოგადოება	1	1908-1911
66	ავადმყოფთა და დაჭრილ მეომართა დახმარების სრულიად რუსეთის კავშირის ბათუმის კომიტეტი	1	1915-1918
76	ქუთაისის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების საზოგადოება	1	1907-1917

თ ა ვ ი I

საბჭოთა მმართველობისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ რევოლუციური კომიტეტი /რევკომი/

ფონდი № რ-1; 117 საქმეთა ერთეული, 1921-1922 წწ.; აღწერა №-1.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი.[1] ბათუმის საოლქო რევკომი იყო საბჭოთა ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანო აჭარაში. მის ფუნქციას შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნა და მისი განმტკიცება, საბჭოების არჩევნების მომზადება და მთელი ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისადმი.

1921 წლის აპრილის დასაწყისში რაიონებსა და თემებში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტებები. 1922 წლის იანვრისათვის რევკომმა და წითელმა მეჯლისმა მოამზადეს აჭარის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების პირველი ყრილობა, სადაც რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი გალდებულება შესრულებულად ჩათვალა და ფუნქციონირება შეწყვიტა.[2]

ფონდში დაცულია: საქართველოს და აჭარის რევკომის დეკრეტები, დირექტივები აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოწყობის, პოლიტიკური პარტიების ამინისტიის, საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მენშევიკური მთავრობის დაწესებულებების ლიკვიდაციის, მიწის, საგაჭრო ფლოტის, სამრეწველო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების, საგარეო და საგაჭრო ორგანიზაციების ნაციონალიზაციის, სახელმწიფო საბჭოთა დაწესებულებების ორგანიზაციის, საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მენშევიკური რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დათხოვნის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების, მოსახლეობას შორის უცოდინარობის ლიკვიდაციის, უცხო ქვეშევრდომების მიერ საქართველოს მოქალაქის უფლების მოპოვების, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის, სამაზრო, საქალაქო, რაიონული და სათემო რევკომების ორგანიზაციისა და სტრუქტურის, პურის ნატურალური გადასახადის დაწესების, კერძო გამომცემლობის, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების, საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

აჭარის რევკომის ბრძანებები და დადგენილებები: შავი მეჯლისის ლიკვიდაციის და წითელი მეჯლისის არჩევნების, ტყეების სარგებლობისა და დაცვის, სამხედრო სექციის ორგანიზაციის, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, საკურორტო მშენებლობის, აგარაკების ნაციონალიზაციის, ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის, უმუშევართა ლიკვიდაციის შესახებ; რევკომის პრეზიდიუმის ოქმები: ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების, მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესების, სახელმწიფო დაწესებულებების სტრუქტურისა და შტატების, ქალაქისა და რაიონების კეთილმოწყობის, გლეხებზე მიწის გამოყოფის, აფთიაქების არენდად გაცემის, აჭარისწყალზე ელექტროსადგურის მოწყობის, განათლების მდგომარეობის, ეპიდემიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები, რევკომის მოღვაწეობის, ღარიბთა კომიტეტების არჩევნების მიმდინარეობის, რევოლუციური ტრიბუნალის და რაიონული რევკომების მუშაობის, წარმოება-დაწესებულებების არქივების აღრიცხვის და მისი გაცემის შესახებ. სამხედრო კომისარიატთან არსებული სამხედრო-ისტორიული მასალების შემგროვებელი კომისიის, აჭარის გასაბჭოების პირველ დღეებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; სიები ბათუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების, თემების რევკომებისა და წითელი მეჯლისების შესახებ.

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

---

1. აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, გაზ. „უწყებები“, საქ. კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტ. (ბ) ორგანო. 1921 წ. 18 მარტი, №-4.
2. იქვე „უწყებები“, 1922 წ. №-243.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი /ცაკი/

ფონდი № რ-4; 1270 საქმეთა ერთეული, 1922-1938 წწ.; აღწერა №-1.

1922 წლის 14 იანვრისათვის რევკომმა და წითელმა მეჯლისმა მოამზადეს აჭარის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების პირველი ყრილობა, სადაც არჩეული იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი:[1] (პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხანაგი თახსიმ (ხასან) ხიმშიაშვილი). საბჭოების ყოველ ყრილობაზე ხდებოდა ცაკის ახალი შემადგენლობის არჩევა. საბჭოების ყრილობებს შორის ცაკი იყო მშრომელთა წარმომადგენლობითი უმაღლესი საკანონმდებლო აღმასრულებელი, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო აჭარაში.[2] ცაკის მუშაობის წესი სესიური იყო. ცაკი თავის მუშაობის შედეგებს განიხილავდა სესიაზე. ცაკმა თავისი მოღვაწეობა შეწყვიტა 1938 წლის 16 ივნისს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.[3] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 5 დეკემბრის ბრძანებულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ეწოდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. (1991 წლის 14 მარტს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ/შემსრულებლად არჩეულ იქნა ბატონი ასლან აბაშიძე).

ფონდში დაცულია: საქართველოს და აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტები, დადგენილებები, დებულებები მიწისა და ტყის ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციით და რეკვიზიციით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის, სახალხო კომისარიატების რეორგანიზაციის, აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო, სამაზრო, სათემო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის, ჩაისა და ციტრუსების კულტურების განვითარების, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისათვის მზადების, 1926 წელს მოსახლეობის აღწერის ჩატარების, მაზრებისა და თემების აღმასკომების ლიკვიდაციის, რაიონული აღმასკომებისა და ორგანიზაციების დაარსების, ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვისა და მექანიზაციის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების, მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ; აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს ყრილობის, ცაკის, მაზრების და რაიაღმასკომების პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, მიწათმოწყობის, ჩაქვის სახალხო მამულის მუშაობის, სუბტროპიკული კულტურების განვითარების, გზებისა და ქალაქთმშენებლობის, მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე და წარმოება-დაწესებულებებზე მიწის ნაკვეთის გამოყოფის, სასოფლო საბჭოების მუშაობის, განათლებისა და კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვის, ქალთა შორის მუშაობის შესახებ;

აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სისხლის აღების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი კომისია

ფონდი № რ-15; 16 საქმეთა ერთეული, 1923 წ.

აჭარის სახკომსაბჭოს 1923 წლის 10 აპრილის დადგენილებით შეიქმნა შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის საწინააღმდეგო კანონპროექტის შემმუშავებელი კომისია.[4]

აჭარცაკისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 3 მაისის დადგენილებით იგი გარდაიქმნა სახკომსაბჭოსთან არსებული სისხლის აღების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ კომისად.[5]

სისხლის აღების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარმა კომისიამ თავისი მისია შეასრულა და 1923 წლის 24 ნოემბრიდან ფუნქციონირება შეწყვიტა.[6]

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება შურისძიების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ; სისხლის აღების მებრძოლი კომისიის სხდომის და თემების შემრიგებელი კომისიების სხდომის ოქმები სისხლის აღების ადათის ნიადაგზე ჩამოვარდნილი მტრობის ლიკვიდაციის შესახებ;

---

1. აჭარის ავტ. რესპ. სახელმწ. მუზეუმი, „უწყებები“, 1922 წ. №-243.
2. აჭარის არ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. 1, საქ. 518, ფ. 15.
3. იქვე, ფონდი № რ-332, საქ. 9, ფ. 28.
4. აჭარის ასსრ ცსა. ფონდი № რ-15, საქ. 1, აღწ. 1, ფ. 1.
5. იქვე, საქ. 2, ფურც. 12.
6. იქვე, ფურც. 85.

მოხსენება ადგილობრივი შემრიგებელი კომისიების მუშაობის შესახებ; პირადობის ბარათი-ანკეტა შედგენილი ცალკე პირებზე სისხლის აღების და შურისძიების საკითხების შესახებ. მიმოხილვები და მოხსენებები სახალხო კომისარიატების, რაიაღმასკომების, სასოფლო საბჭოების, სამრეწველო, საგაჭრო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის, ჩაის, ციტრუსების, მეთამბაქოეობის კულტურების, მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ფონდი № რ-332; 2884 საქმეთა ერთეული, 1938-1990 წ.წ.; აღწერა.

არჩეული იქნა 1938 წლის 12 ივნისს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის სესიაზე.[1]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო ხელისუფლების საკანონდებლო უმაღლესი ორგანოა.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები: რესპუბლიკის ბიუჯეტის, ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ; სტენოგრაფიული ანგარიშები 1,2,3,4,5,6,7,8,9,10 სესიის შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიის ოქმები აჭარის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების, ქალაქის, რაიონების, სოფსაბჭოების არჩევნების, აჭარის ასსრ სახელმწიფო გერბის შესახებ; უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებები და ოქმები უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევის, დაჯილდოების, ორგანიზაციებისა და სკოლებისათვის სახელის გადარქმევის, სახალხო სასამართლოების შემადგენლობის დამტკიცების, სამხარეო კომისიების არჩევნების, დიდი სამამულო ომის პერიოდში თანხების მობილიზაციის შესახებ; მასალები ორდენებისა და მედლების გაცემის, მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მინიჭების, სახდაწესებულებებისა და ორგანიზაციების რეორგანიზაციის, ქუჩებისათვის სახელის გადარქმევის შესახებ; საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების და დამსახურებულ პირთა სიები, განცხადებები დამსახურებული პენსიების დანიშვნის, სამუშაოზე აღდგენის შესახებ; მიმოწერები დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარების, მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, რესპუბლიკური, რაიონული და სასოფლო სესიების ჩატარების შესახებ; ცნობები აჭარის ასსრ-ში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მდგომარეობის, უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო

ფონდი № რ-2; 7882 საქმეთა ერთეული, 1921-1990 წ.წ.; აღწერა.
520ს

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო შეიქმნა 1922 წლის 15 იანვარს საბჭოების პირველი მოწვევის ცაკის პირველ სესიაზე.[2]

რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის აპარატის ნაციონალიზაციისა და მისი მუშაობის გამარტივების მიზნით აჭარის ასსრ საბჭოების მე-9 ყრილობის /1930 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით აჭარის ასსრ სახკომსაბჭო გაუქმდა და მისი ფუნქციები გადაეცა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.[3]

1938 წლის 16 ივლისს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებით კვლავ აღდგენილი იქნა აჭარის სახკომსაბჭო.[4]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 30 მარტის დადგენილებით აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოდ, ხოლო სახალხო კომისარიატები-სამინისტროებად.[5]

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ რევკომის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, სახკომიტეტების დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებები სახელმწიფო

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-332, საქ. 9, ფ. 7. საქ. 8, ფ. 26.
2.გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 28 იანვარი.
3. აჭარის ცსა, ფონდი № რ-4, აღ. I, საქ. 379, ფ.4.
4. იქვე, ფონდი № რ-2, აღ. I, საქ. 899, ფ. 1.
5. იქვე, ფონდი № რ-332, აღ. I, საქ. 53, ფ. 144.

დაწესებულებებში სახელმწიფოებრივ ენად ქართული ენის აღიარების, ნავთობზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადების, ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის, აჭარის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის, ქ. ქობულეთის კურორტად გამოცხადების, ჩაისა და ციტრუსების კულტურის პლანტაციების ფართობის გამოყოფისა და განვითარების, გემთმშენებლობის, საგზაო, საკურორტო, საბინაო და კომუნალური ობიექტების, სამრეწველო კოოპერაციის განვითარების, ტყის დაცვის, საბინაო ფონდის, ეპიდემიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ოქმები: კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და სასკოლო მშენებლობის, სახელმწიფო ბიუჯეტის, კაუჩუკის პლანტაციების გაშენებისა და განვითარების, კომუნალური მეურნეობის, გონიოში ლიმონის მეურნეობის ორგანიზაციის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეჩაიეობის და მეციტრუსეობის კულტურების განვითარების, წარმოება-დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის, მე-12 ხუთწლედისა და 1985-2000 წლამდე პერიოდისათვის აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ.

მოხსენებები სახალხო კომისარიატებისა და სამინისტროების მუშაობის, კურორტების მშენებლობის, სამელიორაციო სამუშაოების, მაზრებისა და აღმასკომების მუშაობის, აჭარაში გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტის დაარსების, გზების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ, ანგარიშები სახალხო კომისარიატებისა და სამინისტროებზე დაქვემდებარებულ საწარმოების მოღვაწეობის შესახებ; სოფლის მეურნეობის მრეწველობის, საბინაო მშენებლობის, განათლების და კულტურის განვითარების გეგმები; სასაზღვრო გამშვები პუნქტის „სარფის“ შენობისა და მიმდინარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის, სიები ნაციონალიზაცია ქმნილ აგარაკებისა და ნაკვეთების, საზოგადოებრივი დანიშნულებით გაცემული სახლების და ბეგებზე ჩამორთმეული ქონების შესახებ; მოხსენებითი ბარათები, მიმოწერები და ბათუმში თეატრებისა და მოძრავი კინოების მოწყობის, ფილარმონიის რეკონსტრუქციის, საბაჟოს გაუქმების, სამშენებლო ობიექტების, მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის, აჭარის ეროვნულ-ტერიტორიული ათასეულის დაარსების, აეროდრომის მოწყობის, მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-კულტურული განვითარების, განათლების და კულტურის მდგომარეობის, ქ. ბათუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების, აჭარის მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები ზოგიერთი ოჯახის მახარაძის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში ჩასახლების შესახებ.

მოკლე ისტორიული მიმოხილვები ბულგარელი და ქართველი ხალხების ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაზე, „საბჭოთა აჭარა ყრილობიდან ყრილობამდე“, მეცნიერება და კულტურა 1976-1986 წლებში.

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

აჭარის ასსრ წითელი მეჯლისი

ფონდი № რ-11; 42 საქმეთა ერთეული, 1921-1922 წ.წ.; №-1 აღწერა.

შეიქმნა 1921 წლის 7 ნოემბერს ღარიბთა კომიტეტის პირველ ყრილობაზე.[1] 1922 წლის იანვრისათვის თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევასთან დაკავშირებით შეწყვიტა რწმუნებანი.[2]

წითელი მეჯლისი იყო მშრომელთა ხალხის ნებასურვილის გამომხატველი, მისი შექმნით განხორციელდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის №-54 დეკრეტი—აჭარის ასსრ შექმნის შესახებ.

ფონდში დაცულია: წითელი მეჯლისის ინტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ; წითელი მეჯლისის და ღარიბთა კომიტეტის ცენტრალური ბიუროს სხდომის ოქმები, შავი მეჯლისის ლიკვიდაციის, ღარიბთა კომიტეტის პირველი ყროლობის დელეგატების, რევკომისა და წითელი მეჯლისის წევრების არჩევის, ხიდების მშენებლობის, ბათუმის მუშათა კოოპერატივის ორგანიზაციის, ღარიბთა კომიტეტის ფუნქციების, საბჭოთა ორგანიზაციების შტატების, წითელი მეჯლისის და აჭარის ხოჯების პირველი ყრილობის მოწვევის, სისხლის აღების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მოხსენებითი ბარათები რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; რევკომისა და წითელი მეჯლისის წევრების სიები, მიმოწერები მიწათმოწყობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ.

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. I, საქ. 1, ფ. 2-3, რ-11, საქ. 2; ფ. 11.
2. იქვე, № რ-11, საქ. 7, ფ. 16.

აჭარის ასსრ მეჯლისის, ცაკის, უმაღლესი და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ორგანიზაციული პარლამენტის თავმჯდომარეები

I. 1919 წლის 31 აგვისტოს სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელმა კომიტეტმა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით მოიწვია წარმომადგენელთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც აირჩია მეჯლისი — პარლამენტი, პირველი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, 1901-1921 წლებში ბათუმის ოლქის პოლიტიკური აზროვნების შემქმნელი—მემედ აბაშიძე.

II. წითელი მეჯლისის პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ

ო ქ მ ი №-1
1921 წლის 13 ნოემბერი

პრეზიდიუმი იქნას შემდგარი 9 კაცისაგან

თავმჯდომარე — ხასან-თახსიმ ხიმშიაშვილი
თავმჯდომარის მოადგილეები: შერიფ აბდიბა, მემედ გოგიბერიძე.

წევრები: 1. ისააკ თედორაძე,
2. სულეიმან ლორთქიფანიძე,
3. იუსუფ ბოლქვაძე,
4. ხასან ჯიჯავაძე,

მდივნები: ოსმან მოწყობილი,
სულეიმან დიასამიძე.
საფუძველი: ფ. რ-11 წითელი მეჯლისი, საქ. 13; ფ. 1-2.

III. აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარეები:

1. ხიმშიაშვილი თახსიმ — I. 1922 — XI. 1922 წ.წ. (ფ. რ-4; საქ. 6; ფ. 10; საქ. 16; ფ. 38, 42)
2. მოწყობილი ოსმან — XI. 1922 — 1925 წ.წ. (ფ. რ-4; აღწ. 1; საქ. 42; ფ. 1-2; საქ. 76; ფ. 6)
3. სურმანიძე მოედინ — 1925—1930 წ.წ. (ფ. რ-4; საქ. 379; ფ. 4)
4. ლორთქიფანიძე ზექერია—1931—1937 წ.წ. (ფ.რ-4; საქ.379; ფ. 136; საქ. 439; ფ. 1; საქ. 989; ფ.1)
5. ფუტკარაძე ისმაილ — 1938—1938 წ.წ. (ფ.რ-4; საქ. 1134; ფ. 29)

IV. 1938 წლის 12 ივნისს გაიმართა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის არჩევნები. 12 ივლისს მოწვეულ პირველ სესიაზე შეიქმნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები

1. დავითაძე დავით ალის ძე—1938—1954 წ.წ. (ფ. რ-332; საქ.2; ფ. 16; საქ.8, ფ. 1-5; ს.266; ფ.
2. ბერიძე არჩილ — 1954—1955 წ.წ. (ფ. რ-332; საქ. 266; ფ.3; საქ. 281; ფ. 11)
3. კომახიძე რევაზ მურადის ძე—1955—1968 წ.წ. (ფ. რ-332; საქ. 281; ფ.11; ფ. რ-332; საქ. 684; ფ. 274)
4. დიასამიძე დავით — 1968—1990 წ.წ. (ფ. რ-332; საქ. 683; ფ. 19; საქ. 257; ფ. 1-5; აღწ. 9)

V. 1990 წლის მაისიდან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გარდაიქმნა აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმად, ხოლო ამავე წლის 5 დეკემბრიდან იწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმად.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები

1. ხახვა თენგიზ — 05/V — 1990 წ. V 1991 წ.
2. აბაშიძე ასლან — 14/III — 1991 14/III — 04/XI — 2001 წ.

VI. 2001 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორპალატიანი არჩევნები.

არჩევნების შედეგად პირდაპირი ფარული კენჭისყრით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად არჩეულ იქნა ბატონი ასლან აბაშიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარედ, სპიკერად არჩეულ იქნა ბატონი ალექსანდრე გობრონიძე, სპიკერის მოადგილედ ბატონი ოსიკო გვარიშვილი.

პირველი პარლამენტის ზედა პალატის სენატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ანთაზ ქიქავა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავმჯდომარეები

I. აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეები:
1. ღამბაროვი — 01/1922 წ. — 03/1922 წ. (ფ. რ-2; აღწ. 1; საქ. 13. ფ. 1; საქ. 13; ფ. 13)
2. დიასამიძე სულეიმან — 03/1922 წ. 12/1922 წ. (ფ. რ-2; აღწ. 1; საქ. 7, ფ. 1; საქ. 12, ფ. 42)
3. ხიმშიაშვილი თახსიმ — 1922 წ. — 1925 წ. (ფ. რ-2 საქ. 12; ფ. 47; საქ. 267; ფ. 79)
4. გოგიბერიძე მემედ — 1925 წ. — 12929 წ. (ფ. რ-2; საქ. 264; ფ. 7; საქ. 730; ფ. 30)
5. ლორთქიფანიძე ზექერია — 1930 წ. — 1931 წ. (ფ. რ-2; საქ. 730; ფ. 31; საქ. 848; ფ. 118)
6. ფუტკარაძე ისმაილ — 1938 წ. 03/1946 წ. (ფ. რ-2; საქ. 898; აღწ. 1; ფ. 1)

II. 1946 წლის მარტში აჭარის სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოდ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები:

1. ფუტკარაძე ისმაილ — 03/1946 წ.—1947 წ. (ფ. რ-2; საქ. 1620; ფ. 25)
2. გოგოლიშვილი მამია — 1947 წ.—10/1952 წ. (ფ. რ-2; საქ. 1620; ფ. 6; საქ. 2408; ფ. 6)
3. მამულაძე დავით — 10/1952 წ. — 01/1954 წ. (ფ. რ-2; საქ. 2671; ფ.ი 1; საქ. 2671; ფ. 30)
4. თხილაიშვილი ალექსანდრე — 01/1954 წ.—03/1961 წ. (ფ. რ-2; საქ. 2678; ფ. 8; საქ. 3339; ფ. 89)
5. დავითაძე ლევან — 03/1961 წ.—1975 წ. (ფ. რ-2; საქ. 3341; ფ. 13;)
6. ჯაში ირაკლი — 1975 წ.—1977 წ. (ფ. რ-2; საქ. 5035; ფ. 1; საქ. 5287, ფ. 132)
7. უნგიაძე იური — 1977 წ.—1986 წ. (ფ. რ-2; საქ. 531; ფ. 6; საქ. 672; ფ. 3)
8. ჩიგოგიძე გურამ — 1986 წ.—1991 წ. (ფ. რ-2; საქ. 6786; ფ. 12; საქ. 7389; ფ. 90)
9. გარშალომიძე გურამ — 1991 წ.—1993 წ.
10. ნაკაშიძე ჯემალ — 1993 წ.—1994 წ.
11. ფაღავა ალექსანდრე — 1994 წ.—1995 წ.
12. ხაბაძე სულიკო — 1995 წ.—1997 წ.
13. გორგილაძე ავთანდილ — 1997 წ.—1998 წ.
14. ცინცქილაძე გიორგი — 1999 წ.—09/2001 წ.
15. კაკაბაძე ედუარდ — 09/2000 წ.
16. აბაშიძე დავით (მ/შ) — 10/2001 წ.

აჭარის ასსრ ცაკთან არსებული ყოფილი წითელ გვარდიელთა და წითელ პარტიზანთა საოლქო კომიტეტი

ფონდი № რ-82; 49 საქმეთა ერთეული, 1931-1934 წ.წ.; აღწერა.

აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის 1930 წლის 4 მაისის დადგენილებით აჭარის ასსრ ცაკ-თან შეიქმნა ყოფილ წითელ არმიელთა და წითელ პარტიზანთა ბიურო.[1] 1932 წლიდან იგი რეორგანიზებული იქნა აჭარის ასსრ ცაკ-თან არსებული წითელ გვარდიელთა და წითელ პარტიზანთა აჭარის საოლქო კომიტეტად.[2]

1934 წლის 28 აგვისტოდან შეწყვიტა არსებობა უფლება-მოვალეობის გადის დამთავრებასთან დაკავშირებით.[3]

ფონდში დაცულია: წითელ გვარდიელთა და წითელ პარტიზანთა საოლქო კომიტეტის საწარმოო თათბირის ოქმები, ანგარიშები, მიმოწერები, ბალანსები წითელ გვარდიელთა და წითელ პარტიზანთა საოლქო კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

აჭარის ასსრ რევოლუციური კომიტეტის ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური ბიურო

ფონდი № რ-12; 9 საქმეთა ერთეული, 1921-1923 წ.წ; აღწერა №-1

1921 წლის 18 აგვისტოს შეიქმნა ღარიბთა კომიტეტები.[4] ხოლო ამავე წლის 31 აგვისტოს ღარიბთა კომიტეტების საერთო ხელმძღვანელობისათვის არჩეული იქნა ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური ბიურო.[5]

აჭარცაკის 1923 წლის 28 მაისის დადგენილებით აჭარის ღარიბთა კომიტეტები და აჭარის ცენტრალური ბიურო ლიკვიდირებული იქნა პირველი ივნისიდან.[6]

ფონდში დაცულია: აჭარის წითელი მეჯლისის ცირკულიარები და ინსტრუქციები საბჭოების არჩევნების, ღარიბთა კომიტეტების დახმარების შესახებ; ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური ბიუროს სხდომის ოქმები წითელი ათასეულის ორგანიზაციის, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავის მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარების, რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის, სახკომის დანიშნულების, მიწის რეფორმის მიმდინარეობის, ახალი სკოლების გახსნის, პედაგოგიური კადრების გადამზადების, მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინართა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; ღარიბთა კომიტეტების მეორე ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი ტელეგრამა ღარიბთა კომიტეტის ცენტრალური ბიუროს მეორე ყრილობისადმი; ანგარიშები ცენტრალური, რაიონული და სათემო ღარიბთა კომიტეტებისა მათი მოღვაწეობის შესახებ; მოხსენებითი ბარათები ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მიმდინარეობის შესახებ; აჭარის ასსრ ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური ბიუროს წევრთა სიები.

ფონდი აყვანილია თემატურ ბარათზე.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო აჭარის ასსრ-ში

ფონდი № რ-67; 186 საქმეთა ერთეული, 1923-1933 წ.წ.

შეიქმნა 1922 წლის 21 დეკემბერს აჭარცაკის პლენუმის დადგენილებით.[7]

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო წარმოადგენდა შრომის მომწესრიგებელ სახელმწიფო ორგანოს აჭარაში. მისი მუშაობის სფეროში შედიოდა: მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობის გამორკვევა-აღრიცხვა, სამუშაო დროის, ხელფასისა და შრომის მოწესრიგება, უმუშევართა მდგომარეობის შესწავლა, შრომის დაცვის კანონიერების ცხოვრებაში გატარება და ა.შ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4; აღწ. 1, საქ. 393, ფ. 6.
2. იქვე, ფონდი № რ-82; საქ. 9; ფ. 3.
3. იქვე. ფ. 3.
4. გაზ. „იზვესტია“, 1921 წლის 31 აგვისტო.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-11, საქ. 9, ფ. 9.
6. იქვე, ფონდი № რ-2, აღ. 1, საქ 10, ფ. 121, ფონდი №-9, საქ. 12, ფ. 10.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. 1, საქ. 18, ფ. 20.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო აჭარაში გაუქმდა.[1]

ფონდში დაცულია: აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახკომსაბჭოსა და შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებები, არტელების გაერთიანების, შრომის საქმეების მეთვალყურეობის ბიუროს დაარსების, შრომის ბირჟის რეორგანიზაციის, შრომის სახალხო კომისარიატების მუშაობის, ახალგაზრდობის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის, წარმოება-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, ქალთა საერთაშორისო დღის ღონისძიებათა, შრომის გარდაქმნისა და შრომის ბაზრის მოწესრიგების, უმუშევართა წინააღმდეგ ბრძოლის, შრომის კონფლიქტების გადაჭრის, საწარმოებთან უმუშევრობის სამარქაფო ბრიგადების მოწყობის შესახებ.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის და აჭარის ასსრ-ში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიის და სხდომის ოქმები: არტელების, პურის მცხობელთა, აუქციონთა, შრომისა და მოზრდილთა საშუამავლო ბიუროს დაარსების, აჭარის ყველა წარმოება-დაწესებულებების აღწერის, ოლქში შრომის განყოფილების მოწყობის, შრომის საქმეების საქვეყნოდ გარჩევის, საბინაო მშენებლობის, ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის, უმუშევართა მდგომარეობის, შრომის ინსპექტორების მუშაობის, შრომითი კონფლიქტების მოწესრიგების, მორიგი და დამატებითი შვებულებების მიცემის, კადრების მომზადების შესახებ; ანგარიშები, მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები შრომის ბირჟის საქმიანობის შესახებ; საქართველოს შრომის სახალხო კომისარიტთან არსებული აჭარის შრომის სამმართველოს 1930-1932 წ.წ. მიმოხილვა ჩატარებული მუშაობის შესახებ, გეგმები, სტატანგარიშები, წლიური ანგარიშები, საშტატო განრიგები.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

აჭარის ასსრ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები;

ფონდი № რ-6; 1922-1929 წ.წ. მასალები

აჭარისწყლის: ფონდი № რ-19; 25 საქმეთა ერთეული, 1923-1927 წ.წ.; აღწერა №-1.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა 1922 წლის 4 იანვარს[2] აჭარის ასსრ ტერიტორიულ დაყოფასთან დაკავშირებით.

1925 წლის 15 თებერვალს შეწყვიტა საქმიანობა და მისი ფუნქციები გადაეცა ბათუმის სამაზრო აღმასკომს.[3]

ჭოროხის: ფონდი № რ-16; 36 საქმეთა ერთეული, 1922-1925 წ.წ. ჭოროხის მაზრა შეიქმნა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით 1923 წლის იანვრიდან.[4]

1925 წლის 15 ნოემბრის აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა და ფუნქცია გადაეცა ბათუმის სამაზრო აღმასკომს.[5]

ბათუმის: ფონდი № რ-17; 229 საქმეთა ერთეული, 1925-1929 წ.წ.; აღწერა I.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით 1925 წლის 12 ნოემბერს შეიქმნა ქ. ბათუმი და მისი მაზრა.[6]

აჭარცაკის 1929 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით ა/წლის ოქტომბრიდან შეწყვიტა მოღვაწეობა და მის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.[7]

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4, აღწ. 1, საქ. 663, ფ. 140-141, ფონდი № რ-67, აღწ. 1, საქ. 52, ფ. 26.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. I, საქ. 809, ფ. 1.
3. იქვე, ფონდი № რ-4 საქ. 22, ფ. 24, 30.
4. იქვე, ფონდი № რ-2, საქ. 809, 1, ფონდი №-4, აღწ. I.
5. იქვე, ფონდი № რ-17, საქ. 2, ფ. 1.
6. აჭარის ასსრ ცსა ფონდი № რ-17, აღწ. I, საქ. 1, ფ. 1.
7. იქვე, ფონდი № რ-4, აღწ. I, საქ. 285, ფ. 157, 175, საქ. 313, ფ. 2.

ჭობულეთის: ფონდი № რ-78; 84 საქმეთა ერთეული, 1922-1929 წ.წ.; აღწერა №-1.
შეიქმნა 1922 წლის იანვარში.[1]
გაუქმდა 1929 წლის 1 ოქტომბერს.[2]

ქედის: ფონდი № რ-76; 18 საქმეთა ერთეული, 1923-1929 წ.წ.; აღწერა №-1.
შეიქმნა 1922 წლის იანვარში.[3]
გაუქმდა 1929 წლის 1 ოქტომბერს.[4]

ხულოს: ფონდი № რ-75; 133 საქმეთა ერთეული, 1922-1929 წ.წ.; აღწერა №-1.
შეიქმნა 1922 წლის იანვარში.[5]
შეწყვიტა არსებობა 1929 წლის 1 ოქტომბერს.[6]

ფონდებში დაცულია: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, მიწათმოწყობის სახკომის დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულიარები, მიწის აღრიცხვის, მაზრებზე სათესი ფართობების გამოყოფის, სასოფლო და სამაზრო აღმასკომების და თემების საბჭოების არჩევნების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, სოფლის მეურნეობის მავნებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; სამაზრო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების პრეზიდიუმის ოქმები მიწის რეფორმის მიმდინარეობის, მაზრების კეთილმოწყობის, სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციის, ჩაის, ციტრუსებისა და ტექნიკური კულტურების მეურნეობების მშენებლობისა და პლანტაციების გაფართოების, ბიუჯეტის დამტკიცების, მაზრებში მშენებლობის მიმდინარეობის, სოფლების დასახელებისა და ქუჩების გადარქმევის შესახებ; მოხსენებები და ანაგარიშები მაზრების და სასოფლო აღმასკომების მოღვაწეობის შესახებ; ელექტროსადგურის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, განცხადებები და მოწმობები საზღვარგარეთ მიგზლინების შესახებ, სიები სასოფლო საბჭოს აღმასკომებისა და თემების რაოდენობის შესახებ, მიმოწერები მოსავლის აღების, სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობის შესახებ.

სათემო საბჭოები

ჭობულეთის რაიონის ჩაქვის სათემო საბჭოს აღმასკომი:

ფონდი № რ-583; 44 საქმეთა ერთეული, 1922-1929 წ.წ.; აღწ. №-1.
შეიქმნა 1922 წელს.[7] 1929 წელს ლიკვიდირებული იქნა ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან დაკავშირებით.[8]

ბათუმის რაიონის ორთაბათუმის სათემო საბჭოს აღმასკომი: ფონდი № რ-585; 7 საქ. ერთ; 1923-1929 წ.წ.; აღწ. №-1.
შეიქმნა 1923 წელს.[9] ლიკვიდირებული იქნა 1929 წ.[10]

ქედის სათემო საბჭოს აღმასკომი:
ფონდი № ფ-586; 6 საქმეთა ერთეული, 1923-1929 წ.წ.; აღწ. I.
შეიქმნა 1923 წ.[11] ლიკვიდირებულია 1929 წ.[12]

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2 აღწ. I, საქ. 809, ფ. 1, საქ. 834.
2. იქვე, ფონდი № რ-4, აღწ. I, საქ. 43, ფ. 169, 335.
3. იქვე ფონდი № რ-4, აღწ. I, საქ. 43, ფ. 169, 335.
4. იქვე ფონდი № რ-4, აღწ. I; საქ. 313, ფ. 2.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. I, საქ. 1, ფ. 27, 205. საქ. 809, ფ. 1.
6. იქვე, ოფნდი № რ-4, აღწ. I, საქ. 313, ფ. 2.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4, აღწ. I, საქ. 35, ფ. 46.
8. იქვე, საქ. 323, ფ. 49.
9. იქვე, საქ. 35, ფ. 46.
10. იქვე, საქ. 323, ფ. 49.
11. იქვე, საქ. 35, ფ. 46.
12. იქვე, საქ. 323, ფ. 49.

ცხმორისის სათემო საბჭოს აღმასკომი:
ფონდი № რ-587; 6 საქმეთა ერთეული, 1922-1929 წ.წ.
შეიქმნა 1922 წელს, ლიკვიდირებულია 1929 წელს.

ხულოს რაიონის სხალთის სათემო საბჭოს აღმასკომი.
ფონდი № რ-584; 237 საქმეთა ერთეული, 1924-1929 წ.წ.; აღწ. I.
შეიქმნა 1923 წელს.[1] ლიკვიდირებულია 1929 წელს.[2]

ფონდებში დაცულია: სამაზრო და სათემო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმები სათემო საბჭოების არჩევნების, მიწათმოწყობის, თემების კეთილმოწყობის, სათემო აღმასკომების მუშაობის, სათესი ფართობების გამოყოფის, ჩაისა და ციტრუსების გაშენების, მეცხოველეობის განვითარების, სოფლებზე სახელების მინიჭების და გადარქმევის შესახებ; მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები და ანგარიშები სათემო აღმასკომების მოღვაწეობის შესახებ; მიმოწერები მოსაგლის აღების, სკოლების მშენებლობის საკითხებზე.

აჭარის ასსრ მშრომელთა სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები

საქალაქო საბჭოები:

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი,
ფონდი № რ-10; 1838 საქმეთა ერთეული, 1924-1929, 1930-1990 წ.წ.; 3364 საქ. ერთ; აღწერა I. 800ს
შეიქმნა 1930 წლის 15 იანვარს.[3]

ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.
ფონდი № რ-237; 1991 საქმეთა ერთეული, 1932-1982 წ.წ.; აღწერა I.
შეიქმნა 1932 წლის 16 აპრილს, ქობულეთის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.[4]
1939 წლის 28 დეკემბერს გარდაიქმნა ქობულეთის სადაბო საბჭოდ.[5]
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით 1944 წლის 29 ივლისიდან ქობულეთის სადაბო საბჭო გარდაიქმნა მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის საქალაქო საბჭოდ.[6]

რაიონული საბჭოს აღმასკომები:

ბათუმის: ფონდი № რ-18; 3187 საქმეთა ერთეული, 1930-1991 წ.წ. 107ს.
შეიქმნა 1930 წლის 16 იანვარს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე.[7]

ქობულეთის: ფონდი № რ-261; 3315 საქმეთა ერთეული, 1930-1986 წ.წ. აღწერა. 149ს.
შეიქმნა 1930 წლის იანვარში.[8]

ქედის: ფონდი № რ-750; 1825 საქმეთა ერთეული, 1930-1991 წ.წ.; აღწერა I.
შეიქმნა 1930 წლის იანვარში.[9]

---

1. აჭარის ასსრ ცსა, საქ. 35, ფ. 46.
2. იქვე, საქ. 323, ფ. 49.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-10, აღწ. I, 12 საქ. ერთ. ფ. 2.
4. იქვე, ფონდი № რ-237, საქ. ერთ. 1, ფ. 1.
5. იქვე, საქ. 85, ფ. 1-9.
6. იქვე, ფონდი № რ-332, საქ. ერთ. 53, ფ. 1.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-18, აღწ. I, საქ. ერთ. 6, ფ. 34-35.
8. იქვე, ფონდი № რ-2, საქ. ერთ. 809, ფ. 21.
9. იქვე, ფონდი № რ-2, საქ. ერთ. 809, ფ. 21.

შეადგენს: ფონდი № რ-1030; 274 საქმეთა ერთეული, 1952-1958 წ.წ.; 1962-1987 წ.წ.;
1859 საქმეთა ერთეული, აღწერა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ამავე წლის 26 დეკემბრიდან.[1] მუშაობა შეწყვიტა ხულოს რაიონთან მიერთების გამო 1962 წელს.

საქართველოს პრეზიდიუმის 1964 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით გამოეყო ხულოს რაიონს და შეიქმნა შუახევის რაიონი.

ხულოს ფონდი № რ-263; 2061 საქმეთა ერთეული, 1930-1982 წ.წ.
12ს.

შეიქმნა 1930 წლის იანვარში.[3]

1963 წელს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ქობულეთის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი შეურთდა ბათუმის რაიონს და ეწოდა ჩაქვის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი. 1964 წლის აპრილიდან ისევ გამოეყო და შეიქმნა ქობულეთის რაიაღმასკომი.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები წარმოადგენენ ადგილობრივ ორგანოებს რაიონებში. წყვეტდა ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, ახორციელებდა ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობდა თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს. იღებდა გადაწყვეტილებებს მათთვის საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობის ფარგლებში.

ქედის ინსპექტურას 1963 წლის ჩათვლით სახელწოდება არ შეუცვლია, მის ფუნქციაში შედიოდა ბუნებრივი მიგრაციისა და სახალხო მეურნეობის დარგების საქმიანობის აღრიცხვა.

ფონდში დაცულია: ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, სტატისტიკური ცნობები სახალხო მეურნეობების დარგების აღრიცხვის, სოფ. საბჭოების მუშაობის აღრიცხვის, ჯანდაცვის დაწესებულებების აღრიცხვის, ს/საბჭოების თითოეული დასახლებული პუნქტების მიხედვით კომლთა და მოსახლეობის რაოდენობის, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის, განათლების დაწესებულებათა, მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი აღრიცხვის, ხელფასის ფონდების და მომუშავეთა რაოდენობის, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების აღრიცხვის, მოქალაქეთა დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების აქტების აღრიცხვის, პირუტყვის საკავშირო აღწერის, საკარმიდამო ნაკვეთების, ვენახების სრულიად საკავშირო აღწერების, ავტომანქანების სახელოსნოების, კაპიტალური და სამეურნეო მშენებლობის შესახებ. ანგარიშები სარწყავი მიწების აღწერის, ქედის საინსპექტორო საქმიანობის, მმაჩის ბიუროს შესახებ. ცნობები საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების მოწყობილობის, ხორცისა და რძის დამზადების შესახებ.

---

1. აჭარის ცსა ფონდი რ-2, საქ. 1, აღწ. 1, ფურც. 173-176.

აღრიცხვის ორგანიზაციის სრულიად საკავშირო გაერთიანების საქართველოს სახელმწიფო განყოფილების აჭარის /„საკავშირო ორგაღრიცხვა“/

ფონდი რ-145, საქმეთა ერთეული 31, 1931-1940 წწ. აღწერა.

დაარსდა 1931 წლის დეკემბერში სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებების საფუძველზე სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზაციის, მექანიზაციის დანერგვის და დროის აღრიცხვის მიზნით, რომელიც საჭიროა მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს, აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და ბრძანებულებანი „საკავშირო ორგაღრიცხვა“-სთან არსებულ საკავშირო გაერთიანება სააქციო საზოგადოება „ორგმშენი“-ს რეორგანიზაციის შესახებ /რ-145, ან. 1, საქ. 1, ფ. 67/, აღრიცხვის რაციონალური მეთოდებით დანერგვის, აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წლიური ანგარიშის შედგენის შესახებ, სამრეწველო საწარმოების მიერ სტატისტიკურ სამმართველოში სოფლის მეურნეობისა და კაპიტალური მშენებლობის შესახებ სტატისტიკური ცნობების წარდგინების თაობაზე, 1926 წელში მოსახლეობის საკავშირო აღწერის შესახებ, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის სხდომათა ოქმები სამრეწველო საწარმოთა კონიუქტურული მიმოხილვის, პროდუქციის აღრიცხვისა და ხარისხის განმსაზღვრელი კომისიის შექმნის შესახებ, რომლებიც იწარმოება აჭარის სამრეწველო საწარმოებში, პირუტყვის რესპუბლიკური აღწერისათვის მზადების, საგაზაფხულო და საშემოდგომო სათეს ფართობთა აღრიცხვის, მოსავლიანობის განსაზღვრული საექსპერტო კომისიის შესახებ, მოსახლეობის საკავშირო აღწერის ფორმულირების შეგსების ინსტრუქციის შესახებ, მოხსენებები და აღრიცხვა სტატისტიკური ორგანოების მუშაობის შესახებ, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მეურნეობების შესახებ, ჯანმრთელობის ქსელის მუშაობის შესახებ, აჭარის 1937 წ. ელექტროქსელების რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ, ქალაქის კეთილმოწყობის, ბათუმის საზღვაო პორტის გაფართოების შესახებ, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, კომუნალური და კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშები.

მასალები /გეგმები, აქტები, სქემები/ 1921-1936 წლებში კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის შესახებ, შრომის ანაზღაურების, აჭარის კოოპერატიული მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის შესახებ, მეცხოველეობის პროდუქციის, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის, ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანების შესახებ, სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკაში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, მისი ეკონომიკური შემადგენლობის შესახებ, საკოლმეურნეო და კულტურული მშენებლობის განვითარების, გზატკეცილების მშენებლობის შესახებ, 1934 წელს აჭარაში სამრეწველო საწარმოთა სიები, აჭარის დასახლებული ადგილების სქემატური რუქები სახელწოდებების ჩვენებით, მონაცემები მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, მასალები მრეწველობის აღრიცხვის, რაიონების მიხედვით სათესი ფართობების და მოსავლიანობის აღრიცხვის, სარწყავი მიწების, საქონლის, ტრაქტორების, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო სპეციალისტების და სამკურნალო დაწესებულებების, აჭარის ასსრ მოსწავლეთა რაოდენობის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის აღრიცხვის შესახებ.

აჭარის ასსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

ფონდი №-რ-41; საქმეთა ერთეული 265, 1921-1934 წწ.; აღწერა.

დაარსდა 1921 წლის 3 მაისს სახელწოდებით ბათუმის ოლქის მუშურ-გლეხური ინსპექცია;[1]

1. აჭარის ასსრ ცსა, ფრდი № რ-11, საქ. 16, ფ. 13, 16, ფ. 13, 18, 23, საქ. 269, ფ. 1, 4, 8.

საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის № 54 დეკრეტის საფუძველზე გარდაიქმნა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატად.[1]

1923 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატი და აჭარის საოლქო საკონტროლო კომისია გაერთიანდნენ,[2] 1934 წელს კი გარდაიქმნენ საბჭოთა კონტროლის კომისიად.[3]

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატების ბრძანებები, ცირკულიარები და ინსტრუქციები, მათი განყოფილების და ცალკეული დაწესებულებების მოღვაწეობაზე კონტროლის და დაკვირვების შესახებ, მოულოდნელი რევიზიების ჩატარებაზე გაფლანგვისა და ფულადი დატაცებების გამოსავლენად; აქტები აჭარის სხვა დაწესებულებებისა და სახალხო კომისარიატებში მოულოდნელი ფულადი დოკუმენტების რევიზიების შესახებ. აქტები საკანონმდებლო წესდების დარღვევათა შესახებ, რომლებიც გამოავლინა მუშურ-გლეხური ინსპექციის მოულოდნელმა რევიზიებმა; მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის და აჭარის საოლქო საკონტროლო კომისიის სხდომის ოქმები, საქალაქო და რაიონული ინსპექციის მიერ აჭარის ასსრ საწარმოებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმოდგენილი რევიზიის აქტების განხილვის შესახებ, 1923-1924 წწ. მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის განყოფილების მუშაობის გეგმები, სამრეწველო ობიექტების მშენებლობის შემოწმების შესახებ, კომუნალური საცხოვრებელი სახლების შეკეთების შესახებ, ბათუმის საზღვაო პორტიდან უცხოური საგაჭრო გემების შემოსვლისა და გასვლის შესახებ, მიმოწერა სახალხო კომისარიატებსა და ბათუმის საბაჟოსთან აჭარის ასსრ ზოგიერთი საქონლის /ხალიჩა, ხე-ტყე/ გატანაზე კონტროლის დაწესების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონ. რ-1, საქ. 78. ფ. 121
2. სკკპ ისტორია, გამომც. 1963, გვ. 374
3. იქვე, გვ. 485 და აჭარის ასსრ ცსა ფონ. რ-41, საქ. 165, ფ.

თ ა ვ ი IV

მრეწველობის ორგანოთა ფ ო ნ დ ე ბ ი

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუს)

ფონდი № რ-8; 54 საქმეთა ერთეული, 1921-1923 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1921 წლის 20 მარტს[1] ქ. ბათუმის და მისი ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს სახელწოდებით. 1922 წლიდან ეწოდა აჭარის ასსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.[2] მის ფუნქციაში შედიოდა იმ სამრეწველო საწარმოების მართვა, რომელიც შედიოდა მის დაქვემდებარებაში. აჭარის ასსრ-ის ც.ა.კ.-ის დადგენილებით 1932 წ. გაერთიანდა აჭარის ასსრ შინსახკომის კომუნალურ განყოფილებასთან.[3]

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ რევკომისა და ს.მ.ს.-ს დებულებები, დადგენილებები ქარხნების ნაციონალიზაციის, ცალკეული სამრეწველო საწარმოს რეგისტრაციისა და აღრიცხვის, ნავთობმეურნეობის მართვის, კერძო პირებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოშვებული საქონლისა და ქონებაზე გადასახადის აკრეფის, წარმოებაში მუშაობისა და მოსამსახურეების მომარაგების შესახებ, აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიის სხდომის ოქმები ცხოვრებაში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და ს.მ.უ.ს-ს განყოფილების რეორგანიზაციის (საქმე 6, ფურც. 135), სამრეწველო საწარმოების არენდით გაცემის, სამრეწველო საწარმოების პროგრამებისა და საორგანიზაციო გეგმების დამტკიცების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, სამშენებლო მასალებისა და საწვავის დამზადების, ყველა ელექტროსადგურების აჭარის ასსრ ს.მ.უ.ს.-ზე გადაცემის, ს.მ.უ.ს.-ის სტატისტიკურ განყოფილებასთან საინფორმაციო ბიუროს შექმნის შესახებ, ქარხნების გამოკვლევის შედეგების, ნავთობ პროდუქტებზე ახალი ფასების შესახებ, 1921 წ. ბათუმში არსებული საწარმოებისა და მუშათა რაოდენობის მონაცემები, 1921 წ. ქ. ბათუმის ბაზარზე არსებული ფასების (ს. 2, ფურც. 1, 2), მოხსენებები და მიმოწერები მრეწველობის ნაციონალიზაციის, სახელმწიფო საწარმოების, ახალი წარმოებების და არსებულის გაფართოების ორგანიზაციის შესახებ, მრეწველობის მასალებით მომარაგების შესახებ, საშტატო განრიგები.

აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

ფონდი № რ-170; 3893 საქმეთა ერთული, 1922-1991 წ.წ.; აღწერა.

აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის 1924 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან შეიქმნა მრეწველობის და შიგა სახელმწიფოებრივი ვაჭრობის სამმართველო (აჭარმრეწვვაჭრობა),[4] რომელიც ხელმძღვანელობდა მრეწველობას და სახელმწიფო ვაჭრობას.

აჭარის სახელმწიფო დაგეგმვის 1927 წლის 9 თებერვლის დადგენილებით ოქმი №-1, §-2 განიცადა რეორგანიზაცია და გადაკეთდა აჭარმრეწვად.[5]

1931 წლის 4 იანვარს აჭარმრეწვის ბაზაზე შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭო (აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის დადგენილება, ოქმები №-1).[6]

აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის 1934 წლის 20 ოქტომბრის №-47 §-8 დადგენილების საფუძველზე აჭარის მრეწველობის სახკომს შეეცვალა სახელი და ეწოდა ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატი,[7] ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან ეწოდა აჭარის ადგილმრეწვის სამინისტრო.

1957 წლის ოქტომბერში ადგილმრეწვის სამინისტრო და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო გაერთიანდა და ეწოდა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.[8]

---

1. ცსა. ფონდი № რ-8, საქ. ერთ. 8, ფ. 44.
2. იქვე, საქ. ერთ. 8, ფ. 127.
3. იქვე, ფონდი № რ-4, საქ. ერთ. 63, ფ. 15.
4. აჭარის არ ცსა, ფონდი № რ-4, საქ. ერთ. 31, ფ. 37 ან. I.
5. აჭარის არ ცსა, ფონდი № რ-170, საქ. ერთ. 115, ფ. 22, ან. I.
6. აჭარის არ ცსა, ფონდი № რ- 569, ფ. 1, აღწ. I.
7. აჭარის არ ცსა, იქვე.
8. იქვე, ფონდი № რ-170, საქ. ერთ. 2470, ფ. 233, ან. I.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის №-463 დადგენილების და ადგილმრეწველობის სამინისტროს 1962 წლის 14 ოქტომბრის №-62 ბრძანების საფუძველზე აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო დაიშალა და ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სამინისტრო და აჭარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო.[1]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 22 იანვრის განკარგულების საფუძველზე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის №-55 დადგენილებით აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო გაუქმდა.[2]

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 ნოემბრის №-649 დადგენილებით კვლავ შეიქმნა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.[3]

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, შემდეგში კი მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, ცირკულიარები, განკარგულებები, ბრძანებები აჭარმრეწვგაჭრობის შექმნის და შემდგომში მისი რეორგანიზაციის შესახებ, ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოწყობილობების, გაჭრობის მოწესრიგების, აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის მდგომარეობის, ზოგიერთი საწარმოს აჭარის ადგილმრეწვის სახკომის უწყებებში გადაცემის, ნაციონალიზირებული საწარმოების გამოკვლევის შესახებ, ფეხსაცმლის წარმოებისათვის ტყავეულის ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით მომარაგების მოწესრიგების, სამრეწველო პროდუქციაზე თავისუფალი ფასების, საექსპერტო და საიმპორტო საქონელზე გეგმის შედგენის, პროდუქციის დამზადების, განრიგის, ადგილმრეწველობის საწარმოებში რეორგანიზაციისა და გამომგონებლობის, აჭარის ადგილმრეწვის სახკომის სისტემაში მწარმოებლობის გაფართოების, ზოგიერთი ქარხნების გაერთიანების, ძველი საწარმოების რემონტისა და ახალი საწარმოების გახსნის, აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, წარმოების მიერ გეგმის შესრულების, საწარმოებში კაპდაბანდების, ქედის ჰიდროელექტროსადგურის დაგეგმვის საკითხებში კვლევით სამუშაოებზე ასიგნაციების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მდგომარეობის და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის და წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის, ბათუმის საქალაქო და რაიონული სამრეწველო კომბინატების შექმნის, კერძო კოოპერაციების არტელების სახელმწიფო წარმოებად გარდაქმნისა და მათი ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში გადაცემის შესახებ, აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის საწარმოების, საპროექტო-სამძებრო განყოფილების და საინსპექტორო ჯგუფის დებულებები, მშრომელთა საწარმოო არტელების წესდებები, აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის სისტემაში შემავალი საწარმოების მოწყობილობათა დათვალიერებების აქტები, აჭარმრეწვგაჭრობის კოლეგიის სხდომის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, აჭარის უმაღლეს-ეკონომიკური საბჭოს, აჭარადგილმრეწვის ტექნიკური სხდომის ოქმები აჭარტყის დაფუძნების, არსებული ქარხნების გაფართოების და ახლის აშენების, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უწყებაში ზოგიერთი საწარმოების გადაცემის, ეკონომიკური სტატისტიკის ორგანიზაციის, სამშენებლო ნაგებობების პროექტების დამტკიცების, აჭარის ტყის მრეწველობის და ტყის სიმდიდრის, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების პერსპექტივის, სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების და აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის საწარმოების მიერ პროდუქციის გამოშვების და მისი პერსპექტიული გეგმის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, უსაფრთხოების ტექნიკური მდგომარეობისა და შრომის დაცვის საკითხების განხილვის, ბათუმმრეწვკომბინატის საწარმოების გამაგრების, სოცშეჯიბრებების შედეგების, საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ; შრომის გეგმები, დაფინანსება, აჭარადგილმრეწვის საწარმოების მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმები, ადგილობრივ მრეწველობაში კაპდაბანდებები და კაპიტალური მშენებლობის კაპდაბანდებები, გეოლოგიური და საგეგმო-სამძებრო სამუშაოების წარმოების გეგმები, ანგარიშები და მოხსენებები აჭარადგილმრეწვის მუშაობის და მისი სისტემის საწარმოების მიერ გეგმების შესრულების, ახალი სახის პროდუქციის ათვისების, ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ; ქედის რაიონში თეთრი თიხის არსებობის, აჭარის ზღვისპირეთის რიყის კირქვის გამოკვლევისა და მისი როგორც ჰიდრავლიკურ შემკვრელ მასალად გამოყენების შესახებ. რაციონალური წინადადებები და მათი დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღწერა და

---

1. აჭარის არ ცსა, ფონდი № რ-170, 2468 საქ. ერთ. ფ. 65.
2. იქვე, ფონდი № რ-170, ფ. 38, 46.
3. საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1965 წ. ნოემბერი, ფ. 58.

ტექნიკური პირობები, ქარხნების მშენებლობის პროექტები და რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვები, მოწყობილობათა პასპორტები, ბალანსები, საშტატო განრიგები, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტთან მიმოწერები მერიხის ტერიტორიაზე არსებული სპილენძის მადნის გადამუშავების საკითხებზე, ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიასთან ზოგიერთი საკვები პროდუქტის დეგუსტაციის რეცეპტურის და წარმოების რეჟიმის საკითხებზე, სამშენებლო მასალების ხარისხის გამოცდის და საწარმოო დაზღვევის დროს აღებული სინჯების ანალიზის საკითხებზე, მიმოწერები ნედლეულით მომარაგების, წარმოების ახალი ტექნიკური პრობლემების და პროდუქციის ახალი სახეების ათვისების, ტექნიკური ნორმირებების საკითხების შესახებ.

ფონდში ამრიგად: აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებები და დადგენილებანი ძირითადი საქმიანობის, 1985-1991 წლებში გამოშვებული საწარმოო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მასზე დაქვემდებარებული საწარმოების გეგმის შესრულების შედეგებისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესახებ; კოლეგიისა და ტექნიკური საბჭოს სხდომის ოქმები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, მრეწველობის ცალკეული დარგების საწარმოების განვითარებისა და რეკონსტრუქციის შესახებ; პერსპექტიული გეგმები, ანგარიშები, სტატისტიკური ცნობები, საშტატო განრიგები, ნაერთი წლიური ბალანსები და სხვა.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ბ.ნ.ქ.)

ფონდი № რ-133; -3396 საქმეთა ერთეული, 1926-1982 წ.წ.; აღწერა. 225ს

ბ.ნ.ქ. დაარსდა და ექსპლუატაციაში შევიდა 1930 წლის იანვარში.[1] აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის დადგენილების თანახმად 1936 წლის 9 იანვარს ქარხანას მიენიჭა ი. ბ. სტალინის სახელი.[2]

ფონდში დაცულია: ც.ა.კ.-ის, სსრკ სახკომსაბჭოს, საკავშირო ნავთობის მრეწველობის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებები ქარხნის ორგანიზაციის, პროექტების და კაპიტალური მშენებლობის, ქარხნის ხანძრისაგან დაცვის, შრომის დაცვის, საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოების სოცშეჯიბრების შედეგების და კოლექტიური ხელშეკრულების, სამრეწველო საწარმოებისა და ნაგებობების მდებარეობის, რაიონებში გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის ზომების შესახებ, მთავარნავთობენერგოს გადაწყვეტილებანი ფეთქებადსაშიშ სათავსოებში ელ. ძრავების გამოყენების, სინქრონული ელ. ძრავების გამოყენების და ნავთობის მრეწველობაში მათი შემდგომი გამოყენების დანერგვის შესახებ, აზნეფტის, სსრკ-ის ნავთობმრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ბრძანებები მეორე და მესამე ნავთობწარმოების ხუთწლედის შესრულების, ნავთობპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის, ნათვობმრეწველობაში რაციონალიზატორული და საგამომგონებლო წინადადებების დანერგვის შესახებ. ნავთობპროდუქტების და გაზების წარმოების თვითღირებულების კალკულაციის, ნავთობპროდუქტების პოტენციური შედგენილობის განსაზღვრის, საკონტროლო ციფრების შედგენის, შრომის აღრიცხვის და კადრების, ხელფასის ფონდის შედგენის შესახებ ინსტრუქციები, საწარმოო პროცესების დაგეგმვის, შრომის ორგანიზაციის და დაგეგმარების, საკონფლიქტო-განმფასიებელი კომისიის, მშრომელთა პრემირების, შრომის ანაზღაურების, სტახანოველებისა და დამკვრელების აღრიცხვის, სოცშეჯიბრების, ქარხნის განყოფილებების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის დებულებები, სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური ინსპექციის და ბაქოს მიერ ქარხნის მშენებლობის შემოწმების,დამთავრებული ნაგებობების ექსპლუატაციაში გადაცემის, ბ.ნ.ქ.-ნის მუშაობის შემოწმების, ნავთობის შესანახი რეზერვუარების მიღება-ჩაბარების, მანქანებისა და სხვა დანადგარების მიღების აქტები, სსრკ-ის სახკომსაბჭოს პლენუმის, ბათუმის საქალაქო საბჭოს სხდომის, მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო და ტექნიკური თათბირების, სპეციალისტთა საბჭოს და გამომგონებელთა გაერთიანებული სხდომის ოქმები, ბ.ნ.ქ.-ის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-133, ფ. 225, საქმე 322.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი №-4, საქმე 880.

შესახებ, ნაგებობათა გეგმების ექსპერტიზის, საწარმოო პროგრამების შესრულების, ნავთობის მოპოვება-გადამუშავების პროგრამის, ქარხნის წყალმომარაგების, საწარმოო გეგმების ვადამდელი შესრულების, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისა და რაც. წინადადებების განხილვის შესახებ, მასალები (გეგმები, პროექტები, ნახაზები) ქარხნის ჩამოსასხმელი დანადგარების, ნავთობპროდუქტების ექსპორტზე ჩაბარების, ტექ. განყოფილების მუშაობის, კვალიფიცირებულ მუშა-მოსამსახურეებზე მოთხოვნილების, ქარხნის ელ. ენერგეტიკულ და სატელეფონო მეურნეობის შესახებ; ანგარიშები, მოხსენებები, ქარხნის გადაიარაღებისა და კაპიტალური მშენებლობის, ნავთობპროდუქტების გადაადგილების და პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების, სტახანოვური შრომისა და პირველადი ტექმინიმუმის შესახებ, საუკეთესო ხარისხის ბრიგადების მუშაობის მაჩვენებლები, ნავთობპროდუქტების შემოტანისა და ხარჯვის, შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლის, რაც. წინადადებების, მეცნიერული დასაბუთებისა და მათი წარმოებაში დანერგვის მასალები, კოლექტიური ხელშეკრულებები და მასალები მათი შემოწმების შესახებ,

მიმოწერები გამოგონებებზე და ჯილდოების გაცემის, სტახანოვური მოძრაობის აღრიცხვის და ენერგომეურნეობის რეკოსტრუქციის შესახებ, ქარხნის დანადგარების ტექნოლოგიური რუკები.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა

ფონდი № რ-980; 2254 საქმეთა ერთეული, 1936-2001 წ.წ.; აღწერა. 78ს

ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წლის ივლისში[1] და იმყოფებოდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახკომის განკარგულებაში. სსრკ-ის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანების საფუძველზე 1939 წლის 30 აპრილს[2] ქარხანა საკავშირო დაქვემდებარებაში გადაეცა სსრკ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობის მთავარ სამმართველოს.

1943-1944 წლებში ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა.

1957 წლის ივნისიდან ქარხანა გადავიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ახალორგანიზებულ მანქანათმშენებლობის სამმართველოს დაქვემდებარებაში. ქარხნის მთავარი ფუნქცია იყო კვების მრეწველობის საწარმოებისათვის (ღვინის და ჩაის წარმოების) მანქანა-დანადგარების დამზადება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1999 წლის №-90 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1999 წლის №-60 დადგენილების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს მართვისა და რეგულირების სფეროში შემავალი საწარმოების განვითარებისა და რესტრუქტურირების პროგრამის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ლიკვიდირებული იქნა.

ფონდში ინახება: ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის წესდება, ქარხნის განყოფილებების და შრომის პრემიალური ანაზღაურების, სპეციალისტების აღრიცხვისა და დაგეგმარების დებულებები, აღრიცხვიანობის, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის, პროდუქციის აღრიცხვის და კალკულაციის ინსტრუქციები, კვების მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს დადგენილებები, დირექტიული მითითებები კადრების მომზადების, პროდუქციაზე თავისუფალი ფასების დამტკიცების, ქარხნის განვითარების ხუთწლიანი გეგმის (1946-1950 წ.წ.), საწარმო-საფინანსო გეგმების, საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმების, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შესახებ, კონიუქტურული მიმოხილვები, შრომის და საწარმოო გეგმების შესრულების ანგარიშები, საწარმოო მოწყობილობათა

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-980, ან. 16, საქ. ერთ. 2, ფ. 5.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-980, საქ. ერთ. 8.

გამოყენების გამომუშავების ნორმების შესრულების, მასიური პროდუქციის თვითღირებულებისა და გამოშვების, ქარხნის მუშებისა და სპეციალისტების აღრიცხვიანობის შესახებ, კოლექტიური სოცვალდებულებები და მასალები მათი შესრულების შესახებ, ქარხნის ტექნოეკონომიკური დახასიათება, წინადადებები ქარხნის საწარმო-სამეცნიერო შემოქმედების მოწესრიგების შესახებ, მასალები ახალი ტექნიკის ათვისებისა და კაპიტალური მშენებლობის შესახებ. მანქანების დამზადების თავისუფალი და საბითუმო ფასების პრეისკურანტები და მათი განმარტებითი ბარათები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1985-1990 წლების დადგენილებები, მანქანათმშენებელი ქარხნის ბრძანებები ქარხნის ძირითადი საქმიანობის შესახებ; გეგმები, ანგარიშები ქარხნის მიერ გამოცემული პროდუქციის შესრულებისა და რეალიზაციის შესახებ; სტატისტიკური ანგარიშები შრომის გეგმის შესრულებაზე, ცნობები ტექნიკური ღონისძიებების დანერგვის შესახებ; საბუღალტრო ანგარიშები; ანგარიშები პრემირების, რაც. წინადადებების ეკონომიურობის და კოოპერირების შესახებ, ქარხნის ძირითადი მოქმედების წლიური ანგარიშები და კაპიტალური დაბანდებები, შემაჯამებელი ბალანსები, საშტატო განრიგები, ცნობები არაგეგმიური პროდუქციის არსებობისა და ხარისხის შესახებ, ქარხნის მოწყობილობათა ძირითადი საშუალებების უწყისები, გამოშვებული მანქანების კალკულაცია, ხელშეკრულებები მანქანების დამზადებაზე და სხვა შეკვეთებზე, ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტები, წლიური განაცხადები მასალებსა და დანადგარებზე, დროისა და განფასებების ნორმები.

ბათუმის მექანიკური ქარხანა

ფონდი № რ-267; 568 საქმეთა ერთეული, 1922-1965 წ.წ.; აღწერა. 24ს

შეიქმნა 1921 წელს[1] მომთუთიებელი საამქროს სახელწოდებით. აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის 1936 წლის 9 მარტის დადგენილებით ქარხანას მიენიჭა კ. ე. ვოროშილოვის სახელი.[2]

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს №-1503 განკარგულებით ქარხანას ეწოდა მექანიკური ქარხანა.[3]

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ადგილმრეწვის სახკომის (შემდგომში სამინისტროს), აჭარის ასსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის კოლეგიის დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები თანამშრომლობის, გამოგონებებისა და რაციონალიზაციის ღონისძიებათა შესახებ, საქარხნო-საფაბრიკო მოწყობილობათა ორგანიზაციის ძირითადი დებულების დაზუსტებისა და განვითარების, საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის მუშათა პრემიების, ქარხნის გამოკვლევის შედეგების შესახებ, მუშების გამოგონებაში თანამშრომლობის დებულებები, საკალკულაციო კომისიის, ტექნიკური, საწარმოო თათბირების, აქტივის თათბირების ოქმები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის, გამომუშავების ნორმების დადგენის, მექანიზაციის გეგმის შესრულების, შიგა საქარხნო დაგეგმარების, რაც. წინადადებების, წარმოებაზე ტექნიკური კონტროლის, მასალებისა და საწვავის აღრიცხვის ფორმის, ჩარხების პასპორტიზაციის, შრომის სტახანოვური მეთოდის დანერგვის შესახებ; საფინანსო-საწარმო და საგაჭრო ხუთწლიანი გეგმები, ანგარიშები, მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები ქარხნის მუშაობის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ, გამოშვებული პროდუქციის და ქარხნის მოწყობილობათა ნახაზები, მიმოწერები სოცშეჯიბრების, ახალი სახის ინსპექციის აქტები სახარჯთაღრიცხვო თანხების ხარჯვის შემოწმების, ქარხნის ტექნიკური დათვალიერების შესახებ, წლიური საბუღალტრო ანგარიშები.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, საქ. ერთ. 1, ფ. 208.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4, საქ. ერთ. 880.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-267, საქ. ერთ. 62,ფ. 10.

საქმაჭრობის „საქმთამფარკონდიტერის“ მთავარი სამმართველოს ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკა

ფონდი № რ-212; 327 საქმეთა ერთეული, 1932-1968 წ.წ.; აღწერა.

ექსპლუატაციაში შევიდა 1931 წელს. იყო „აჭარსოფლმრეწვის“ ტრესტის უწყებაში,[1] 1934 წელს „აჭარსოფლმრეწვის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გადავიდა აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის უწყებაში.[2] 1938 წლიდან არის „საქმთამფარკონდიტერის“ მთავარი სამმართველოს უწყებაში.[3] მისი ფუნქციები იყო საკონდიტრო ნაწარმის, ფქვილეულის და კარამელის დამზადება და რეალიზაცია სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით.

ფონდში ინახება: საქვაჭრობის მთავარკონდიტერის და „აჭარსოფლმრეწვის“ დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები და ინსტრუქციები გამომგონებლობის დარგში მუშაობის ორგანიზაციის, საკონდიტრო ნაწარმის თვითღირებულების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ყოფის პირობის გაუმჯობესების ფონდის შექმნის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის, ფაბრიკაში შრომის დისციპლინის შესახებ, „აჭარსოფლმრეწვის“ ტრესტის და საკონდიტრო ფაბრიკის საწარმოო და ტექნიკური თათბირების ოქმები წლიური საფინანსო-საწარმოო გეგმების შესრულების, შტატებისა და ხელფასების ფონდების, ახალი საკონდიტრო ფაბრიკის სამრეწველო სიმძლავრის განსაზღვრის შესახებ. მოხსენებები მეორე ხუთწლიანი გეგმების შესრულების და მესამე ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შესახებ. წლიური ფინანსური ანგარიშები სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადების შესახებ, ფაბრიკა-ქარხნული და კომერციული თვითღირებულების წლიური მაჩვენებლები, სტატისტიკური მონაცემები პროდუქციის გამომუშავების ნორმების შესრულების შესახებ, ტექნიკური ნორმატივების ცხრილები, ხელშეკრულებები და ხარჯთაღრიცხვები ახალი საკონდიტრო ფაბრიკის მშენებლობაზე, ადგილობრივ ორგანიზაციებთან მიმოწერები ახალი ფაბრიკის მშენებლობისათვის მასალების, ნედლეულის და მოწყობილობების შესყიდვაზე, გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ბათუმის ჭიმიური ქარხანა

ფონდი № რ-42; 407/36 საქმეთა ერთეული, 1921-1934 წ.წ.; 1938-1972 წ.წ.; აღწერა.

დაარსდა 1921 წელს,[4] მთავარი ფუნქციები იყო საღებავების, საპოხი ზეთების, ქაღალდისა და სამეურნეო ზეთების დამზადება. ლიკვიდირებულია აჭარის ასსრ ც.ა.კ.-ის 1934 წლის 14 იანვრის[5] დადგენილებით.

ექსპლუატაციაში ხელახლა შევიდა 1938 წლის 1 ოქტომბრიდან.[6] ფონდში შემონახულია: აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დადგენილებები საწარმოებსა და დაწესებულებებში საწარმოო რეჟიმის ღონისძიებების, საწარმოში წუნისა და გაცდენების ლიკვიდაციის ზომების, წარმოებაში ნარჩენების გამოყენების შესახებ, აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის (შემდეგში ადგილმრეწვის სამინისტრო) და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს განკარგულებები, ბრძანებები და ცირკულიარები შიგა რესურსების მობილიზაციის, საქონელზე თავისუფალი ფასების შემცირების, აჭარმრეწვის სამმართველოს და ქარხნების სტრუქტურის გარდაქმნის, ტექნიკური ორგანიზაციის, ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო საწარმოების მართვის, ქიმიური ქარხნის პროდუქციაზე მყარი ფასების დადგენის, გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობაში გამოცდილებების გაცვლის, ქიმიური ქარხნის მუშაობის და მართვის, შრომის დისციპლინის ამაღლების შესახებ.

აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარმრეწვის სამმართველოს და ქიმიური ქარხნის სამეულის სხდომის ოქმები აჭარმრეწვის სამმართველოს და ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის შტატების გადამოწმების, ქარხნის მიერ

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-212, საქ. ერთ. 2, ფ. 1.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-212, საქ. ერთ. 9, ფ. 104.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-212, საქ. ერთ. 43, ფ. 5.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, საქ. ერთ. 1, ფ. 201.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-42, საქ. ერთ. 13, ფ. 82.
6. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-42, საქ. ერთ. 29, ფ. 2.

სამრეწველო ფინანსური გეგმების შესრულების და ნედლეულით მომარაგების, ქარხნის საუკეთესო მუშაკების პრემირების, ქარხნის კოლექტივის მიერ პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების, სოციალისტური შეჯიბრების, ტექნიკური კონტროლის, ქიმიური ქარხნის საამქროების მუშების სპეცტანსაცმელით მომარაგების, ქარხნის მიერ პოლიტექნიზაციის დარგში სკოლების შესახებ, საწარმოო-ფინანსური გეგმები, შრომისა და პროდუქციის გამოშვების გეგმები, ქარხნის ხუთწლიანი გეგმები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები ქარხნის მუშაობის, კაპიტალური მშენებლობის, პროდუქციის გამოშვების შესახებ; მოწყობილობებზე საამქროს ხარჯების საკონტროლო ციფრების, საწვავის და ნედლეულის ხარჯი, მიმოწერები სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, რაციონალიზატორული წინადადებები და მასალები მათი დანერგვისათვის, გამომუშავების ნორმები.

ბათუმის კოფეინის ქარხანა

ფონდი № რ-886; 689 საქმეთა ერთეული, 1929-1987 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა არტელ „ბუნებრივი საღებავები“-ის ბაზაზე სახკომსაბჭოს 1936 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით და იმყოფებოდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახკომის ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განკარგულებაში.

სსრკ სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს 1946 წლის 10 ივნისის ბრძანებით და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს 1946 წლის 16 აგვისტოს №-215 ბრძანებით ბათუმის კოფეინის ქარხანა გადაეცა სსრკ-ის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს მთავარ ქიმფარმმრეწვს.[1]

1947 წლიდან ქარხანა შედიოდა სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს „მთავქიმფარმრეწვის“ სისტემაში,[2]

1954 წლამდე ქარხანა უშვებდა მხოლოდ კოფეინს. ტეალბინის წარმოების ახალი საამქროს ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით (1954 წ.) დაიწყო ორი სახის პროდუქციის — კოფეინისა და ტეალბინის გამოშვება. 1958 წელს დაიწყო ომაინის და კელლინის გამოშვებაც. 1964 წლიდან ბათუმის კოფეინის ქარხნის მიერ გამოშვებული ნომენკლატურა გაიზარდა 14 სახემდე: კოფეინი, ტეალბინი, კელლინი, ომაინი, პრატიფილინი, ალოეს წვენი, ალოეს ემულსია, ფერრო-ალოე, კონზიცინი, „სტილნიკის“ ნაყენი, „პასიფლორა“-ს ექსტრატი, კოლხაიმი და ვიტამინი.

ფონდში ინახება: სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს და მთავქიმფარმმრეწვის ბრძანებები, ცირკულიარები გამოგონებებისა და რაციონალიზაციის შესახებ, კოფეინის ქარხნის მასალები და წესდება, საერთო კრებების საწარმოო და ტექნიკური თათბირების ოქმები, გეგმები, ანგარიშები მზა პროდუქციის გამოშვების, საწარმოო გეგმის შესრულების, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის, შრომისა და ანაზღაურების შესახებ, კოფეინის, პლატიფილინის და ტეალბინის მიღების მეთოდური მითითებები, სერებრიანოვსკის მეთოდით კოფეინის გამოყოფის, კოფეინის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების და ლაბორატორიული გამოკვლევების მასალები, საამქროს დანადგარების, ლაბორატორიისა და ქარხნის რეკონსტრუქციაზე ანგარიშები, ნახაზები და პროექტები, კაპიტალდაბანდებებისა და ძირითადი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშები. საშტატო განრიგები, მზა პროდუქციაზე ანალიტიკური პასპორტები, აქტები კოფეინის ქარხნის საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან სსრკ მთავქიმფარმმრეწვის დაქვემდებარებაში გადაცემისა და ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-886, საქ. ერთ. 36, ფ. 3.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-886, საქ. ერთ. 23.

ბათუმის კიროვის სახელობის ტყავის ქარხანა

ფონდი № რ-204; 100 საქმეთა ერთეული, 1927-1986 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1927 წლის ივლისში. იყო აჭარმრეწვის სამმართველოს დაქვემდებარებაში.[1] ქარხნის გამოშვებული პრდუქცია იყო: პოლუგვალი, ხრომი, იუფტი, ოვჩინა. 1938 წლიდან დაიწყო ბეწვის დამუშავება, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით ქარხანა გადაეცა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის დაქვემდებარებაში.[2]

ფონდში ინახება: ტყავეულის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, აჭარის ასსრ მრეწველობის სახკომის და ტყავფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველოს განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები ბათუმში ახალი ტყავის ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლის, ტყავისა და ბეწვის გადამუშავების მეთოდები, წარმოებაში ახალი რაციონალიზატორული წინადადებების განხილვის და დანერგვის, კაპიტალდაბანდებების შესახებ, ტყავეულის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ტყავის ქარხნის მუშათა ტექნიკური თათბირების და ქარხნის რაციონალიზაციის ბიუროს სხდომების ოქმები მრეწვფინგეგმების შესრულების, ახალი წინადადებების და გამოგონებების, სოცშეჯიბრების და სტახანოვური მოძრაობის, გამომგონებელთა პრემიების შესახებ, აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის სისტემიდან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ტყავის ქარხნის მიღება-ჩაბარების და ახალი ტყავის ქარხნის მშენებლობის აქტები, მრეწვ-ფინგეგმები, ტყავის ქარხნის მუშაობის წლიური ანგარიშები, ქარხნის მოწყობილობების ტექნიკური პასპორტები და ნახაზები, ტექმინიმუმის პროგრამები, გამომუშავების ნორმები.

ქობულეთის ტორფის ქარხანა

ფონდი № რ-1045; 142 საქმეთა ერთეული, 1938-1964 წ.წ.; აღწერა.

1936 წლის თებერვალში[3] დაარსდა „საქჩაიმეურნეობის“ ტრესტის ქობულეთის ტორფსაბრესი ქარხანა.

1941 წლის ივლისიდან 1942 წლის 1 თებერვლამდე[4] ქარხანა იყო დაკონსერვებული.

1942 წლის თებერვლიდან[5] ფუნქციონირებდა „საქჩაიმეურნეობის“ ტრესტის ქობულეთის ტორფო-ფოსფატის ქარხანა.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 11 თებერვლის[6] №-628 დადგენილების საფუძველზე ქობულეთის ტორფის ქარხანა გადაეცა „საქტორფის“ ტრესტის დაქვემდებარებაში. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს 1955 წლის 12 იანვრის[7] №-2-7 ბრძანების საფუძველზე, ქობულეთის ტორფის ქარხანა გადაეცა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს დაქვემდებარებაში.

ქარხნის ძირითად საქმიანობას შეადგენდა ეწარმოებინა ტორფის ადგილმდებარეობის სწორი ექსპლუატაცია, ჭაობის დაშრობა, ტორფის ნედლეულის მოპოვება, გადამუშავება და მაღალხარისხოვანი მზა პროდუქციის — ტორფსასუქის რეალიზაცია ჩაის, ციტრუსების პლანტაციებში და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის, მათი მოსავლიანობის ამაღლების უზრუნველყოფისათვის.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-204, საქ. ერთ. 5, ფ. 10.
2. იქვე, ფონდი № რ-204, საქ. ერთ. 130, ფ. 51.
3. იქვე, ფონდი № რ-1045, საქ. ერთ. 3, ფ. 1.
4. იქვე, საქ. ერთ. 7, ფ. 12.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ- 1045, საქ. ერთ. 13, ფ. 1.
6. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1045, საქ. ერთ. 13, ფ. 3.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1045, საქ. ერთ. 48, ფ. 2.

ფონდში ინახება: „საქართველოს ჩაისმეურნეობის“ ტრესტის, „საქტორფის“, და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე ჭაობის დაშრობის, სასუქებისა და ტორფის მოპოვების,გადამუშავების რეალიზაციის შესახებ, ტორფქარხნის დებულება, ტორფფოსფატის სასუქის გამოშვება-რეალიზაციის, საწარმოო-ფინანსური, შრომისა და ანაზღაურების, კაპდაბანდებების, მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმები, ქარხნის მუშაობის ანგარიშები მზა პროდუქციის გამოშვების, რეალიზაციის, კაპდაბანდებების გეგმების შესრულების, შრომის და საწარმოო დავალებების შესრულების შესახებ, მიმოწერები „საქჩაის მეურნეობის“ ტრესტთან ტორფ-ფეკალური სასუქის წარმოების გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით, ხელფასის ფონდის დამტკიცება, საშტატო განრიგები, კოლექტიური შეთანხმებები და სხვა.

ბათუმის საცდელ—საბითუმო ქარხანა

ფონდი № რ-884; 38 საქმეთა ერთეული, 1951-1955 წ.წ.; აღწერა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 26 ნოემბრის №-1852[1] დადგენილების საფუძველზე ბათუმში დაიწყო ბითუმიდან გუდრონის წარმოების ქარხნის მშენებლობა.

მშენებლობა დასრულდა 1953 წლის 5 აპრილს[2] და ამავე რიცხვიდან ქარხანა შევიდა ექსპლუატაციაში.

ქარხნის ლიკვიდაცია მოხდა 1955 წლის 1 მარტს.[3]

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ბათუმის საქალაქო საბჭოს დადგენილებები, განკარგულებები ქარხნის მშენებლობაზე მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს სსრ მთავარი საგზაო სამმართველოს უწყებიდან ქარხნის მშენებლობის ბათქალაქმრეწვკომბინატზე გადაცემის შესახებ.

აჭარის ასსრ ადგილმრეწველობის სამინისტროს ბრძანებები ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ, საცდელ-საბითუმო ქარხნის დებულება, ქარხნის აშენებაზე ტექნიკური პროექტის გენერალური ხარჯთაღრიცხვა, საექსპერტო დასკვნები და გამოცდების შედეგები გადამუშავებული პროდუქციის სამშენებლო ფინანსური გეგმები, კაპიტალდაბანდებების გეგმები და წლიური სატიტულო სიები, შრომისა და ხელფასის ანგარიშები, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და სხვა.

ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის №-5 სამკერვალო ფაბრიკა

ფონდი № რ-274; 383 საქმეთა ერთეული, 1929-1964 წ.წ.; აღწერა.

დაარსდა 1930 წლის 15 დეკემბერს. შედიოდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის სისტემაში.[4]

1938 წლის 20 მაისს მიენიჭა ს. ორჯონიკიძის სახელი.[5] 1946 წლის 15 მარტიდან შედის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში.

ფაბრიკის მთავარი ფუნქცია იყო მზა სამკერვალო ნაწარმის გამოშვება, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ცალკეული ორგანიზაციების შეკვეთების შესრულება.

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველოს სამინისტროს და საქართველოს სსრ ადგილმრეწვის სახკომის, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექციის ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები მეორე ხუთწლიანი გეგმების შესრულების

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-884, ანწ. I, საქ. ერთ. 7, ფ. 3.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-884, ანწ. I, საქ. ერთ. -27, ფ. 3.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-884, ანწ. II, საქ. ერთ. 87, ფ. 23, 29.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-274, ანწ. II, საქ. ერთ. 1, ფ. 16.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-274, ანწ. II, საქ. ერთ. 34, ფ. 2.

მიმდინარეობის, საამქროების მექანიზაციისა და შეიარაღების, მათი შემოწმების კომისიის, ბამბეულის ქსოვილების წუნდების, მუშათა ყოფის გაუმჯობესების, აქტივის თათბირების ჩატარების, სოცშეთანხმებების დადების და მათი შემოწმების შედეგების, მუშა ძალის აღრიცხვის, კადრების მომზადების ერთთვიანი კურსების შემოღების შესახებ. ფაბრიკის სამეულის, საწარმოო და ტექნიკური თათბირების ოქმები გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დამკვრელობისა და სტახანოვური მოძრაობის, საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობის, ნედლეულით მომარაგების და პრდუქციის გამოშვების, ფაბრიკის მოწყობილობების შესახებ. საწარმოო-საფინანსო გეგმები, რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის და ტექნიკური სკოლის სასწავლო გეგმები, წლიური და სტენოგრაფიული ანგარიშები ფაბრიკის მუშაობის, გამოშვებული პროდუქციის და საცხოვრებელი და კომუნალური მეურნეობის მუშაობაზე. მეორე ხუთწლედის (1933-1937 წ.წ.) გეგმების საკონტროლო ციფრების, მრეწველობის საფინანსო გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის, ფაბრიკის საუკეთესო მუშების პრემირების, კადრების მომზადების, ხელფასის ფონდის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემები. ხარჯთაღრიცხვის კალკულაციები, მოხსენებითი ბარათები საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის მისამართით ფაბრიკის მიერ საწარმოო გეგმების შესრულების, დანადგარების მდგომარეობის, ფაბრიკის კეთილმოწყობის აუცილებელი საშუალებების შესახებ, დანადგარების მიღების აქტი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან მიმოწერები საწარმოო გეგმების შესრულების, ნედლეულით და დანადგარებით მომარაგების შესახებ.

ბათუმის №-4 ფეხსაცმელის ფაბრიკა

ფონდი № რ-280; 458 საქმეთა ერთეული, 1931-1984 წ.წ.; აღწერა.

დაარსდა 1930 წლის ნოემბერში და შედიოდა აჭარმრეწვის დაქვემდებარებაში.[1] 1932 წლის მარტიდან ექვემდებარებოდა აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატს.[2] 1934 წლის 26 ოქტომბერს გადაეცა აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის უწყებაში.[3] 1938 წლის ნოემრიდან,[4] გადაეცა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის უწყებაში. 1946 წლის 15 მარტიდან კი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში.

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის, საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური მართვის საბჭოს დადგენილებები სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების შესახებ, აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები და დადგენილებები პროდუქციის განფასების და გამომუშავების ნორმების, სოცშეჯიბრების შედეგების, საწარმოს სამეურნეო და ფინანსური მოღვაწეობის, წლიური გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვის, ფაბრიკის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების, დოკუმენტური რევიზიის, შრომის ანაზღაურების ფორმირების შესახებ, ადმინისტრაციულ-ტექნიკური საბჭოს, ფაბრიკის მუშაობის საწარმოო თათბირების, დოკუმენტალური რევიზიების ოქმები საწარმოო გეგმების შესრულების შემოწმების შედეგების, შრომის დაცვის, სოცშეჯიბრების შედეგების შესახებ, საწარმოო-ფინანსური გეგმები, ანგარიშები, მოხსენებები და კონიუქტურული მიმოხილვები შრომისა და ანაზღაურების, საწარმოო გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესახებ. წლიური საბუღალტრო ანგარიშები, დანადგარების დათვალიერების აქტები, გამომუშავების ნორმები და ძირითადი მასალების ხარჯვა.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4, საქ. ერთ. 478, ფ. 21.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4, საქ. ერთ. 478, ფ. 13.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-280, საქ. ერთ. 2, ფ. 227.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-280, საქ. ერთ. -75, ფ. 93.

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა

ფონდი № რ-558; 283 საქმეთა ერთეული, 1926-1984 წ.წ.; აღწერა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში არსებობდა სამი თამბაქოს ფაბრიკა: ყოფილი ბინიათოღლი №-1 და №-2 და დანიელოვის, რომელთა ნაციონალიზაცია მოხდა 1921-1922 წლებში,[1] 1924 წელს ეს ფაბრიკები გაერთიანდა და ეწოდა „BOCTOK“-ი[2] და ექვემდებარებოდა აჭარის სამმართველოს. 1936 წლის 5 მაისიდან შეეცვალა სახელი და ეწოდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახკომის ტრესტ „საქთამბაქოს“ ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა.[3]

1946 წლის 15 მარტიდან საქართველოს სსრ მრეწველობის სამინისტროს „საქთამბაქო“.

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, მინისტრთა საბჭოს, ადგილმრეწვის სამინისტროს, თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის, თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის შრომის ინსპექციის დადგენილებები და გადაწყვეტილებები პროფკავშირების X პლენუმის გადაწყვეტილებების, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების, შვიდდღიანი სამუშაო კვირის, სოცშეჯიბრების შესახებ, ფაბრიკის დირექტორის ბრძანებები შრომის პირობების გაუმჯობესების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მუშათა ტექნიკური განათლების და საუკეთესო საწარმოს მუშის წოდებაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ, ტექნიკური თათბირების, ფაბრიკის გეგმის გადაჭარბებით შესრულების, საშუალო წლიური გამომუშავების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების, არასამუშაო საათებში მუშაობისას შრომის ანაზღაურების გადიდების, სოცშეჯიბრების შემოწმების შედეგების შესახებ, თამბაქოს მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, ფინანსური გეგმები, მოხსენებები და ანგარიშები საწარმოო გეგმის შესრულებაზე, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესახებ, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, ჩამონათვალი მოწყობილობებზე, მუშათა მატერიალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე, რაციონალიზატორული წინადადებების და მათი წარმოებაში დანერგვის მიმოწერები.

საქართველოს სსრ რძისა და ხორცის მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ხორცკომბინატი

ფონდი № რ-273; 732 საქმეთა ერთეული, 1929-1986 წ.წ.; აღწერა.

დაარდა 1929 წელს, რომლის მთავარი ფუნქცია იყო ხორცნედლეულის გადამუშავება და სავაჭრო ორგანიზაციების ხორცპროდუქტებით მომარაგება.

ფონდში ინახება: სსრკ და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახკომის, სსრკ სახკომსაბჭოს ბრძანებები და დადგენილებები სსრკ კვების მრეწველობის სახკომის ტრესტების, საწარმოებისა და ტექნიკუმების, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახკომის უწყებებში გადაცემის, საქხორცტრესტის და ბათუმის ხორცკომბინატის დებულებისა და წესდების დამტკიცების, ბათუმისა და ფოთის ხორცკომბინატების ძირითადი საამქროების პროდუქციის გადაფასების ნორმების შემოღების, ხორცის მრეწველობის ნარჩენებისაგან პირუტყვისათვის საკვების დამზადების, ნედლეულზე დასამზადებელი ფასების, კვალიფიცირებული კომისიის მუშაობის შესახებ. ხორცის მრეწველობის საქტრესტის ხორცსამრეწველო კომბინატების, ბათუმის ხორცკომბინატის, ბათუმის და ფოთის კომბინატების პირუტყვნედლეულის პირველადი გადამუშავების საამქროების მუშათა პროგრესული ანაზღაურების დებულებები და წესდებები, ხორცის მრეწველობის ნარჩენებისაგან პირუტყვის საკვების დამზადების რეცეპტები და ინსტრუქციები, გეგმების შესრულების მიმდინარეობის, სოცშეთანხმების შესრულების შესახებ საწარმოო თათბირების ოქმები, საწარმოო-საფინანსო გეგმები, ანგარიშები და მოხსენებები კომბინატის საამქროების რემონტის გეგმის შესრულების შესახებ, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, სსრკ ხორცისა და რძის მრეწველობის სახკომის მიმართვა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ, შეთანხმებები სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, საქ. ერთ. 1, ფ. 201.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2 საქ. ერთ. 1, ფ. 217.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-558, საქ. ერთ. 24 ფ. 20.

ტრესტ „საქჩაის“ ჩაის ფაბრიკები

ბათუმის ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-34; 17 საქმეთა ერთეული, 1937-1947 წ.წ.; აღწერა.
მუშაობა დაიწყო 1937 წელს, ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკის სახელწოდებით.[1]
1947 წლიდან მოიხსენება ბათუმის ჩაის ფაბრიკის სახელით.[2]

სალიბაურის ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-990; 70 საქმეთა ერთეული,
1935-1947 წ.წ.; აღწერა.
მუშაობა დაიწყო 1898 წელს.[3] ნაციონალიზაცია მოხდა 1921 წელს.[4]

ქობულეთის ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-325; 201 საქმეთა ერთეული,
1934-1964 წ.წ.; აღწერა.
ექსპლუატაციაში შევიდა 1935 წლის 1 მაისს.[5]

ჩაქვის ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-669; 148 საქმეთა ერთეული, 1933-1963 წ.წ.; აღწერა.
ექსპლუატაციაში შევიდა 1930 წელს.[6] ტრესტ „საქჩაის“ უწყებაში.

ჩაქვის ჩაისდამწნეხი ფაბრიკა №-2: ფონდი № რ-772; 116 საქმეთა ერთეული,
1937-1956 წ.წ.; აღწერა.

ხუცუბნის ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-1181; 235 საქმეთა ერთეული,
1934-1972 წ.წ.; აღწერა.
ექსპლუატაციაში შევიდა 1931 წელს.[7]

ქობულეთის ჩაის ფაბრიკა №-2 (გელაური) ფონდი № რ-1182;
81 საქმეთა ერთეული, 1957-1964 წ.წ.; აღწერა.
ექსპლუატაციაში შევიდა 1950 წელს.[8]

მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკა: ფონდი № რ-1093; 280 საქმეთა ერთეული,
1950-1957 წ.წ.; აღწერა.
ექსპლუატაციაში შევიდა 1950 წელს.[9]

ფონდებში ინახება: საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახკომის ტრესტ „საქჩაის“ დადგენილებები, ბრძანებები ჩაის ფოთლის დამზადებისა და პროდუქციის გამოშვების, ახალი ტექნიკის დანერგვის, ფაბრიკის მუშაობის და კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლების, ასორტიმენტის, ფასების, ფაბრიკაზე მწვანე ჩაის ფოთლის მიწოდების წესრიგის და მიმოწერები ვადების, ჩაის ნარგავების შენახვის უზრუნველყოფის ზომების და კუსტარულად დამზადებული ჩაის რეალიზაციის აკრძალვის, შრომის, სამუშაო დროის და ხელფასის აღრიცხვის, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის მუშაობის გაუმჯობესების, მუშა-მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვისათვის პრემირების და კულტურულ-სამეცნიერო მომსახურების შესახებ, დადგენილებები და ინსტრუქციები კოფეინის ნედლეულის დამზადებისა და გამოშრობის შესახებ, ტრესტ „საქჩაის“ კომისიის სხდომის, ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ოქმები გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და გეგმების შესახებ, ახალი ტექნიკის დანერგვისა და თვითღირებულების ამაღლების, სამრეწველო ფინგეგმების დამტკიცების, სოცშეჯიბრების შესახებ, ანგარიშები და მოხსენებები ფაბრიკის

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-34, ანწ. I, საქ. ერთ. 3, ფ. 5.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-34, ანწ. I, საქ. ერთ. 16, ფ. 11.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-990 ანწ. I, საქ. ერთ. 49, ფ. 9.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-990, ანწ. I, საქ. ერთ. 5, ფ. 2.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-325, ანწ. I, საქ. ერთ. 50, ფ. 47. ფ. პირადი საქმე.
6. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-669, ანწ. I, საქ. ერთ., ფ. 9.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1181, ანწ. I, საქ. ერთ. 1, ფ. 42.
8. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1182, ანწ. I, საქ. ერთ. 1, ფ. 1, 10.
9. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1093, ანწ. I, საქ. ერთ. 4, ფ. 36

მიერ წლიური გეგმების შესრულებაზე, მზა ჩაის ხარისხზე, მზა პროდუქციის ჩაბარებაზე, ჩაის ფაბრიკაში ჩაის მწვანე ფოთლის მიწოდებაზე კოლმეურნეობებიდან და ცალკეული პირებიდან, საქონელბრუნვასა და კაპდაბანდების გეგმების შესრულებაზე. პროდუქციის დამზადების გადამუშავებისა და გამოშვების გეგმები, საშტატო განრიგები და გასავლების ხარჯთაღრიცხვები.

მრეწველობის ორგანოების ფონდები, რომლებიც მეგზურში შეტანილია სიის-ჩამონათვალის სახით

1. საქკონსერვტრესტის აჭარის ყუთების ქარხანა
   ფონდი № რ-690; 81 საქმეთა ერთეული, 1934-1945 წ.წ.

2. საქართველოს სსრ სამრეწველო პურის ცხობის ტრესტის აჭარის პურის საცხობი კომბინატი
   ფონდი № რ-146; 442 საქმეთა ერთეული, 1932-1985 წ.წ.

3. სსრკ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის აჭარის ბაზა „მთავარკონდიტერი“
   ფონდი № რ-303; 25 საქმეთა ერთეული, 1935-1939 წ.წ.

4. ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატი
   ფონდი № რ-668; 2103 საქმეთა ერთეული, 1931-1997 წ.წ.

5. ბათუმის საქალაქო აღმასკომის ასფალტ-ბეტონის ქარხანა
   ფონდი № რ-229; 16 საქმეთა ერთეული, 1938-1940 წ.წ.

6. ნავთობპროდუქტებისა და ზეთებისათვის ტარის დამზადებისა და რემონტის საკავშირო ტრესტის „საქნავთობტარაშეზეთვის“ ორჯონიკიძის სახ. ბათუმის ბიდონის ქარხანა.
   ფონდი № რ-250; 89 საქმეთა ერთეული, 1927-1947 წ.წ.

7. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახკომის ბათუმის სახელმწიფო ღვინის ქარხანა
   ფონდი № რ-251; 10 საქმეთა ერთეული, 1936-1943 წ.წ.

8. ბათუმის თევზის რეწვის ბათუმის დელფინ-ქონსადნობი ქარხანა
   ფონდი № რ-817; 11 საქმეთა ერთეული, 1930-1939 წ.წ.

9. ბათუმის დელფინ-ქონსადნობი ქარხნის ბათუმის სექტორი
   ფონდი № რ-819; 1 საქმეთა ერთეული, 1934 წ.

10. სსრკ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის „ტყავნეღლეულის დამუშავების“ ბაზა
    ფონდი № რ-808; 10 საქმეთა ერთეული, 1933-1945 წ.წ.

11. საქ.სსრ მსუბუქი მრეწველობის ბათუმის ბაზა „სამკ. ფეხსაცმელწარმოება“
    ფონდი № რ-302; 29 საქმეთა ერთეული, 1932-1942 წ.წ.

12. ბათუმის მურაბების ფაბრიკა „საქ. კონსერვტრესტი“
    ფონდი № რ-676; 27 საქმეთა ერთეული, 1934-1939 წ.წ.

13. საქართველოს დამზადების კანტორის სამმართველოს „საქთამბაქონედლეულის“ ბათუმის თამბაქო-საფერმენტაციო ქარხანა
    ფონდი № რ-279; 255 საქმეთა ერთეული, 1932-1960 წ.წ.

14. ბათუმის საქალაქო სამრეწველო კომბინატის ბათუმის ყინულის დამამზადებელი ქარხანა
    ფონდი № რ-436; 31 საქმეთა ერთეული, 1938-1948 წ.წ.

15. ადგილმრეწვის სახკომის ბათუმის ლუდის ქარხანა
ფონდი № რ-479; 30 საქმეთა ერთეული, 1932-1945 წ.წ.

16. თევზის მრეწველობის სამინისტროს, ბათუმის თევზის ქარხანა საქთევზტრესტი
ფონდი № რ-815; 26 საქმეთა ერთეული, 1930-1945 წ.წ.

17. ბათუმის გემთსაშენი ქარხანა
ფონდი № რ-455; 593 საქმეთა ერთეული, 1943-1964 წ.წ.

18. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სამინისტროს ბათუმის სამშენებლო მასალების ქარხანა
ფონდი № რ-694; 48 საქმეთა ერთეული, 1939-1950 წ.წ.

19. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატის ბათუმის ქიშმიშის ქარხანა
ფონდი № რ-121; 50 საქმეთა ერთეული, 1934-1938 წ.წ.

20. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატის ბათუმის კომბინირებული საკვების ქარხანა
ფონდი № რ-176; 6 საქმეთა ერთეული, 1940 წ.

21. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სამინისტროს ბათუმის ტრიკოტაჟ-სამკერვალო ფაბრიკა
ფონდი № რ-692; 168 საქმეთა ერთეული, 1936-1950 წ.წ.

22. „საქკონსერვტრესტის“ ბათუმის ციტრუსკომბინატი
ფონდი № რ-674; 236 საქმეთა ერთეული, 1939-1966 წ.წ.
7ს

23. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატის მრეწველობის სამმართველო
ფონდი № რ-150; 7 საქმეთა ერთეული, 1934-1936 წ.წ.

24. აჭარის ასსრ ადგილმრეწვის სახალხო კომისარიატის კრამიტის ქარხანა
ფონდი № რ-782; 2 საქმეთა ერთეული, 1939-1941 წ.წ.

25. სსრკ-ში მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების აჭარის განყოფილება
2. იქვე, საცნობარო განყოფილება, ფონდი № რ-11, აღწ. 2, საქ. 331, ფ. 2.
3. აჭარის ცსა, ფონდი № რ-62, საქ, 3, ფ. 8.

თ ა ვ ი VIII

კავშირგაბმულობის ორგანოებისა და რადიომაუწყებლობის ფონდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველო

ფონდი რ-38; საქმეთა ერთეული 243, 1921-1963 წწ.; აღწერა.

დაარსდა 1921 წ. ამიერკავკასიის საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის ბათუმის საფოსტო-სატელეგრაფო ანგარანის სახელწოდებით[1] 1925 წ.[2] დაერქვა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს საფოსტო-სატელეგრაფო ანგარანი. 1933 წ.[3] 1 აპრილიდან დაერქვა აჭარის ასსრ რესპუბლიკური კავშირგაბმულობის სამმართველო და ექვემდებარებოდა საქარველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამმართველოს. 1942[4] წლიდან იწოდებოდა აჭარის კავშირგაბმულობის საოლქო ანგარანად, ხოლო 1967 წ.[5] რეორგანიზებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკურ სამმართველოდ; ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის-1994 წლის დადგენილების საფუძველზე იწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროდ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1994 წლის 17 თებერვლის დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბულობის სამინისტროდ, რომლის სისტემაში შედის ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონული კავშიგაბმულობის საწარმოო სამმართველოები, ბათუმის ფოსტამტი, ბათუმის ქალაქის სატელეფონო ქსელი, №-7 მაგისტრალური კავშირგაბულობის ტექნიკური კვანძი, სატელეფონო-სატელეგრაფო საამქრო, სარემონტო სამშენებლო უბანი და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ძირითადი საქმიანობაა საფოსტო, სატელეგრაფო, საქალაქთაშორისო სატელეფონო, ადგილობრივი სატელეფონო კავშირების, რადიომაუწყებლობის, რადიოფიკაციის. სატრანსლაციო საშუალებათა სრულყოფილი მუშაობა. დარგის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის, სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, სამეურნეო ობიექტების, იურიდიული პირების კავშირგაბმულობის საშუალებებით შეუფერხებელი მომსახურება.

ფონდში დაცულია: საქართველოს რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა /ცაკი/ და სახალხო კომისართა საბჭოს სახკომსაბჭოს დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულარები და ინსტრუქციები საფოსტო კავშირის განვითარებისა და ექსპლუატაციის, სასოფლო საბჭოს ტელეფონიზაციის, კოლმეურნეობების, სოფლების რადიო და საფოსტო მომსახურეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საფოსტო მომსახურების სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ; ბრძანებები აჭარის საოლქო ანგარანებზე საფოსტო კავშირის, სახაზო სამსახურის მუშაკების, რაიონული ანგარანებისა და კავშირგაბმულობის საწარმოების ხელმძღვანელთა საოლქო თათბირების და საერთო კრებების ოქმები რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებაში დანერგვის, განხილვის, დამტკიცების საკითხებზე, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სექციების ორგანიზაციის, 1927-1935 წ.წ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის საკითხებზე, საწარმოებისა და ორგანიზაციების პროფესიული ინვენტარიზაციის გეგმები, ანგარიშები კავშირგაბმულობის საშუალებათა და ექსპლუატაციის, შემოსავალ-გასავლის საკითხებზე: შრომის, კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის შესახებ, საფოსტო კავშირის საწარმოებში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-2, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 13.
2. იქვე, საქ. 9, ფ. 33.
3. იქვე, ფონდი რ-38, აღწ. 1, საქ, 2, ფ. 3.
4. იქვე, საქ. 8, ფ. 4, საქ. 12, ფ. 39.
5. იქვე, ფონდი პირადი საქმე, ფ. 19.

დანერგვის შესახებ. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეფასების, კადრების მომზადებისა და კავშირგაბმულობის ექსპლუატაციის მასალები: კოლექტიური ხელშეკრულებები, სოცვალდებულებები და მათი შესრულების მაჩვენებლები, კავშირგაბმულობის სამმართველოს ფინანსური მოღვაწეობის ანგარიშები.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობის კომიტეტი

ფონდი რ-433; საქმეთა ერთეული 1883, 1935-1992 წწ.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1932 წლის 10 მაისს აჭარის ასსრ ცაკთან შეიქმნა აჭარის რადიოგადაცემების კომიტეტი.[1] ამ სახელწოდებით იარსება 1938 წლის 18 აპრილამდე.[2] ამ პერიოდიდან აჭარის რადიოკომიტეტი უშუალოდ დაექვემდებარა საქართველოს რადიოკომიტეტს და ეწოდებოდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოკომიტეტის რწმუნებული აჭარის ასსრ რესპუბლიკაში.[3]

1940 წლის 2 თებერვლიდან აჭარის რადიოკომიტეტის რწმუნებული საქართველოს რადიოკომიტეტში შევიდა, როგორც განყოფილება და იწოდებოდა საქართველოს რადიოკომიტეტის განყოფილებად.[4] 1953 წლის 3 ივლისიდან გარდაიქმნა აჭარის კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის განყოფილებად.[5]

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 ივნისის №-323 დადგენილებით აჭარის კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის განყოფილება გარდაიქმნა აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობის კომიტეტად.[6]

1975 წლის 30 მაისს აჭარის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტი გარდაიქმნა აჭარის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტად.[7]

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის №-1976-გ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის მარტის №-197-გ განკარგულების შესაბამისად, აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში 1987 წლის 1 ნოემბრიდან შემოღებული იქნა სატელევიზიო მაუწყებლობა.[8]

1991 წლის 12 მაისიდან აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი რეორგანიზებულ იქნა და 1991 წლის 12 მაისს, აჭარის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტად.[9]

აჭარის რადიო კომიტეტის ქედის ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქტორი
ფონდი რ-365, საქ. 3, 1947 წ.

ქობულეთის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა
ფონდი რ-142, საქ. 2, 1921-1925 წწ.

ფონდში დაცულია: რადიოკომიტეტის გეგმები, ანგარიშები, ცნობები და მოხსენებითი ბარათები მათი შესრულების თაობაზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ახალგაზრდული გადაცემების მასალები. სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოსვლები, რესპუბლიკაში სახალხო განათლების და კულტურის განვითარების შესახებ, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ, სოცშეჯიბრების მიმდინარეობაზე. სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის მოწინავე მუშაკთა გამოსვლები და სხვა ლიტერატურულ გადაცემათა და უკანასკნელი ცნობების მასალები, კორესპონდენტთა მიმოწერები შემოსული შენიშვნების შესახებ.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 591, ფურც. 91.
2. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 2, საქ. 3, ფ. 20.
3. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 20, ფ. 44.
4. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 20, ფ. 1.
5. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 20, ფ. 17
6. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 2, საქ. 42, ფ. 2.
7. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 607, ფ. 6.
8. იქვე, ფონდი რ-433, აღწ. 1, საქ. 1665, ფ. 4.
9. იქვე, გაზეთი „ადჟარია“, 1991 წ. 4. 06, №97, გვ. 3.

თ ა ვ ი IX

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანოების ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო

ფონდი № რ-177; აღწერა I, 211 საქმეთა ერთეული, 1926-1985 წ.წ, თემატური ბარათები.

1924 წლის 23 თებერვალს აჭარის ასსრ ეკონომიკურ საბჭოსთან ჩამოყალიბდა საშინაო ვაჭრობის კომისია,[1] (კომშინვაჭრობა). 1924 წლის 8 ივლისს გადაკეთდა საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უფლებამოსილ სამმართველოდ,[2] 1928 წელს გადაკეთდა ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უფლებამოსილ ორგანოდ აჭარის ასსრ-ში.[3] 1931 წლიდან ეწოდება ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატის სრულუფლებიანი წევრი აჭარის ასსრ-ში.[4] 1934 წლის 10 ოქტომბერს რეორგანიზებულია აჭარის ასსრ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატად,[5] ხოლო 1938 წლის 24 იანვრიდან იწოდება აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატად.[6] 1946 წლის 15 მარტიდან რეორგანიზებულია აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროდ.

ფონდში დაცულია: სახკომსაბჭოს, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, ბრძანებები, განკარგულებები და ცირკულიარები აჭარის ასსრ-ის საშინაო ვაჭრობის, სახალხო კომისარიატზე სამომხმარებლო კოოპერაციის, საქალაქო ქსელსა და აჭარკოოპკავშირის საბაზო მეურნეობის გადაცემის, სახელმწიფო ვაჭრობის საქალაქო ქსელის რეორგანიზაციის, იმპორტულ საქონელზე სარეალიზაციო ფასების დაწესების, მთიანი რაიონების კულტსაქონელით მომარაგების თაობაზე, საექსპერტო საქონლის გამოყოფის, საგაჭრო ნიშნების დადგენის, მომხმარებლის მომსახურეობის გაუმჯობესების თაობაზე და სხვა. ფონდებში ინახება აგრეთვე—მყიდველთა კონფერენციების, საგაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და აქტივის თათბირების, აჭარის ასსრ-ის ვაჭრობის სამინისტროს საერთო კრების ოქმები, საცალო საქონელბრუნვის და საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმები, საკოლმეურნეო ვაჭრობის გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, საგაჭრო ორგანიზაციების პროდუქციით მომარაგებისა და მათზე ფონდების გადანაწილების გეგმები, მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები, საგაჭრო საზოგადოებრივი კვებისა და სასაწყობო მეურნეობების გაფართოების გეგმები, სეზონური და სადღესასწაულო მუშაობის გეგმები, ანგარიშები საგაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობაზე, ცნობები საგაჭრო ქსელის დისლოკაციის თაობაზე, მოხსენებები, ინფორმაციები, ვაჭრობის ქსელში არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების თაობაზე, ცალკეული საგაჭროებისა და საწარმოთა მუშაობაზე, საგაჭრო ქსელის სპეციალიზაციაზე, მომსახურების ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვაზე, რესპუბლიკაში ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გეგმები, ანგარიშები, ცნობები და მიმოწერა. საგაჭრო ბაზრების კაპიტალური მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის თაობაზე, საფინანსო გეგმები, ანგარიშები საგაჭრო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები და ანალიზები, სოცშეჯიბრების მასალები, საგაჭრო ორგანიზაციების ხელშეკრულებები, სოცვალდებულებები და მათი შესრულების მაჩვენებლები.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, ს. 167, ფ. 45.
2. იგივე, ს. I, ფ. 145.
3. ფონდი № რ-177, აღ. I, ს. I, ფ. 303.
4. იქვე, ს. II, ფ. 19, 20.
5. ფონდი № რ-177, აღწ. II, ს. 2, ფ. 2.
6. იქვე, აღწ. 3, ს. 75, ფ. 6.

აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს შერეული ვაჭრობა /აჭარვაჭრობა/

ფონდი № რ-181; 481 საქმეთა ერთეული, 1929-1954 წ.წ; აღწერა.

აჭარის ასსრ ეკონომიკური საბჭოს 1927 წლის 22 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო ვაჭრობის აჭარის განყოფილება გამოიყო აჭარმრეწვაჭრობიდან, როგორც დამოუკიდებელი ორგანო,[1] აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის /ცაკი/ 1932 წლის 11 მარტის დადგენილებით რეორგანიზებულია აჭარის შერეულ ვაჭრობად /აჭარვაჭრობად/,[2] ლიკვიდაცია გაუკეთდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებით,[3] საქმიანობა განაგრძო 1956 წლის 23 ივლისიდან.

ფონდში ინახება: შიდა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სსრკ, საქართველოს და აჭარის ასსრ-ს ვაჭრობის სამინისტროების დადგენილებები, დირექტიული მითითებები, ბრძანებები, ცირკულიარები, ინსტრუქციები საგაჭრო ქსელის კვალიფიციური კადრებით შევსების, საქონელზე საბითუმო დანამატებისა და სარეალიზაციო ფასების, ერთიანი სარეალიზაციო ფასდაკლების, ზამთრის პერიოდში მაღალმთიან რაიონებში საქონლის შეზიდვის, მომხმარებელთა მომსახურების წესები, საგაჭრო ქსელის გაფართოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება-რეალიზაციის თაობაზე. წლიური და კვარტალური საგაჭრო საფინანსო გეგმების შესრულების თაობაზე აჭარვაჭრობის მუშაკთა მიერ ჩატარებული საერთო კრების ოქმები, მაღაზიების ნაკლოვანების გამოვლინებისა და დოკუმენტალური რევიზიების ოქმები და მათი განმარტებითი ბარათები. საგაჭრო ქსელის გაფართოებისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმები, ახალი საგაჭრო ობიექტების სამშენებლო სარჯთაღრიცხვა და ახსნა-განმარტებითი ბარათები, ანგარიშები ძირითადი საქმიანობის თაობაზე.

აჭარის ასსრ სოფლის მრეწველობის ტრესტის საგაჭრო ქსელის სამმართველო /აჭარსოფლმრეწვაჭრობა/

ფონდი № რ-173; 14 საქმეთა ერთეული, 1932-1935 წ.წ; აღწერა.

შექმნილია 1932 წლის 2 სექტემბერს[4] კვების პროდუქტების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და საქონლის რეალიზაციის მიზნით. ლიკვიდირებულია 1936 წლის 4 მარტს.[5]

ფონდში ინახება: სსრკ, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების დადგენილებები, ცირკულიარები, ბრძანებები, საქონლისა და საგაჭრო ქსელის აღწერის, სამრეწველო საქონლის და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, მყარი ფასების დამტკიცების, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის გაზრდის, ზემო აჭარის თანამედროვე სამუშაო იარაღებით მომარაგების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება-რეალიზაციის თაობაზე. სასოფლო მრეწველობის ტრესტის საგაჭრო ქსელის სამმართველოს მიერ წლიური გეგმების შესრულების თაობაზე, საწარმოო თათბირებისა და საერთო კრების ოქმები; სოფლების სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქონლით მომარაგების გაუმჯობესების თაობაზე ჩატარებული თათბირის ოქმები; წლიური ფინანსური გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; საგაჭრო წერტებისა და სასოფლო მაღაზიების მშენებლობის სარჯთაღრიცხვები და სხვა.

---

1. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, ფონდი № რ-170, ს. 115, ფ. 22.
2. ფონდი № რ-170, ფ. 22.
3. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს შერეული ვაჭრობა /აჭარვაჭრობა/, ფონდი № რ-181, აღწ. II, ს. 15, ფ. 5.
4. ცსა, ფონდი № რ-173, ს. 1, ფ. 1.
5. იქვე, საქ. 5, ფ. 35.

აჭარის საშინაო ვაჭრობის აჭარსშრსათვაჭრობის სამმართველო

ფონდი № რ-1037; 21 საქმეთა ერთეული, 1935-1937 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა აჭარის ასსრ საშინაო ვაჭრობის სამმართველოს 1934 წლის 31 მაისის №-74 ბრძანების საფუძველზე.[1]

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 23 იანვრის №-198 ბრძანებით 1937 წლის 1 მარტს ლიკვიდირებული იქნა და შეუერთდა აჭარვაჭრობას.[2]

მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა აჭარის ასსრ-ში წარმოებული ყველა საგაჭრო ოპერაციებისა და კვების ბროდუქტების რეალიზაციის კონცენტრირება.

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, სსრკ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, აჭარის ასსრ ცაკ-ის და აჭარსურსათვაჭრობის დადგენილებები, ბრძანებები ვაჭრობის რეორგანიზაციისა და მათი ფინანსური მდგომარეობის, აჭარვაჭრობის ორგანიზაციების, სახელმწიფო და კოოპერაციულ საგაჭრო დაწესებულებებში ქონების დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების, საქონელბრუნვის დაკრედიტების სისტემის ცვლილებების, სადღესასწაულო ვაჭრობის მოწყობის თაობაზე. საქონელბრუნვის გეგმები, აჭარსურსათვაჭრობის ძირითადი საქმიანობის ფინანსური ანგარიშები, საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისა და მათი განმარტებითი ბარათები, სამეურნეო-საფინანსო გემების შესრულების თაობაზე ჩატარებული საწარმოო თათბირების ოქმები, სტახანოვური მეთოდების მუშაობის შედეგების თაობაზე ჩატარებული თათბირის ოქმები, აჭარსურსათვაჭრობის რესტორნების ფუნქციონირების შედეგები, მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების წერტების წლიური ბალანსები, საგაჭრო ქსელის დისლოკაცია და აჭარსურსათვაჭრობის აჭარვაჭრობასთან შეერთების აქტი.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათუმის განყოფილება

ფონდი № რ-51; 141 საქმეთა ერთეული, 1921-1926 წ.წ; აღწერა.

შექმნილია 1921 წლის 24 მაისს[3] სახელწოდებით ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატის ბათუმის განყოფილება, საზღვარგარეთის ფირმებთან საგაჭრო ოპერაციების ჩატარების მიზნით.

1921 წლის 1 ივლისის №-23 ბრძანების საფუძველზე გადაკეთდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის გაერთიანების ბათუმის განყოფილებად „ობევნეშტორგი“.[4]

1922 წლის აპრილიდან იწოდებოდა ამიერკავკასიის შიდა ვაჭრობის ბათუმის განყოფილებად.[5]

ფონდში ინახება: ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკის დეკრეტები, სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობის ბრძანებები საქონელზე ბეგარის დადების თაობაზე, საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის ნებართვები, გატარებულ საქონელზე სალიცენზიო მოსაკრებლების დაწესების თობაზე, ამიერკავკასიის შიდა ვაჭრობის ბათუმის განყოფილების კოლეგიებისა და ეკონომიკური თათბირების ოქმები, რომლებიც ეხებოდა დამამზადებლებისაგან საქონლის მიღებას, საქონლის ექსპერტ-იმპორტის გეგმების შესრულებას. ბათუმისა და სოხუმის პორტების გავლით საზღვარგარეთული კომერციული გეგმების მოძრაობის ანგარიშები, საზღვარგარეთ გატანილი კავკასიური ხალიჩების სიები, ამიერკავკასიის შიდა ვაჭრობის ბათუმის განყოფილების საზღვარგარეთის ფირმებთან დადებული საგაჭრო ხელშეკრულებები, საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის შემოწმების აქტები, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან სასწრაფო სათბომავლო რეისების დამყარების პროექტი.

---

1. ბათუმვაჭრობის არქივი, აჭარსურსათვაჭრობის ფონდი, აღწ. 2, საქ. 2, ფ. 1.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1037, საქ. 7, ფ. 3.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-51, საქ. 1, ფ. 1.
4. იქვე, საქ. 3, ფ. 38.
5. იქვე, საქ. 14, ფ. 5, 6.

ინგლის-რუსეთის კოოპერაციული საზოგადოება „არკოს“ თბილისის კანტორის ბათუმის სააგენტო

ფონდი № რ-93; 21 საქმეთა ერთეული, 1922-1925 წ.წ; აღწერა.

ჩამოყალიბდა 1922 წელს სსრკ-ს მთავრობათა და ინგლისურ სააქციო საზოგადოება „არკოს“-ს შორის დადებული კონცენსიური ხელშეკრულების საფუძველზე, იმპორტული საქონლის რეალიზაციის მიზნით. ლიკვიდირებულია სსრკ-ს სახკომსაბჭოს 1926 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით.[1]

ფონდში ინახება: „არკო“-ს მოსკოვსა და თბილისის კანტორის დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულიარები და ინსტრუქციები, კოოპერაციულ-მუშაკთა და საბჭოთა საქონლის აზიისა და ევროპის ქვეყნებში რეალიზაციის თაობაზე საგაჭრო დაწესებულებების წარმომადგენელთა თათბირის ოქმები, საბჭოთა საქონლის საზღვარგარეთ და საზღვარგარეთული საქონლის საბჭოთა კავშირში რეალიზაციის თაობაზე, საზღვარგარეთის ფირმებთან დადებული ხელშეკრულებები, მარგანეცის, ნედლი ნავთობისა და გასანათებელი ნავთის სტამბოლის, ლონდონის, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში მიწოდების თაობაზე შედგენილი მოხსენებები და ანგარიშები, მიმოწერა „არკოს“-ს მოსკოვისა და თბილისის კანტორებს შორის აბრეშუმის პარკის, კაკლის მორის, ხიზილალას, წებოსა და სხვა საქონლის ირანისა და თურქეთის ბაზრებზე რეალიზაციის, ნორვეგიული გეგმების დაქირავების თაობაზე, მიმოწერა „არკო“-ს ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის და სტამბოლის კანტორებს შორის ექსპორტ-იმპორტის საკითხებზე, საექსპერტო-საიმპორტო საქონლის შემოწმების აქტები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს ბათუმის საბაჟო

ფონდი № რ-43; აღწერა I; 3746 საქმეთა ერთეული, 1921-1996 წ.წ; აღწერა.

1878 წელს ბათუმში შეიქმნა სამხარეო საკონტროლო საბაჟო საგუშაგო, 1881 წელს საკარანტინო საბაჟო გადაკეთდა ბათუმის საბაჟოდ, ბათუმის სამხარეო საბაჟოდ, 1921 წლის თებერვალში ბათუმის საბაჟო ლიკვიდირებული იქნა—საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების (ანექსიის) შემდეგ. მარტის თვეში ბათუმის რევოლუციური კომიტეტის ბრძანების თანახმად ახლად შეიქმნა ბათუმის საბაჟო. 1986 წელს ბათუმის საბაჟო დაექვემდებარა ახლად შექმნილ სსრ კავშირის სახელმწიფო საბაჟო კონტროლის მთავარ სამმართველოს. 1996 წლის 30 აპრილს ბათუმის საბაჟო გარდაიქმნა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალურ საბაჟო სამმართველოდ. 1996 წლის 1 ივლისს ბათუმის საბაჟო გადაკეთდა აჭარის საბაჟო სამმართველოდ.[2]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის — ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 1999 წლის 7 მაისის №-8 განკარგულებით აჭარის რეგიონალური საბაჟო სამმართველო გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამნეტის საარქივო მასალები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია 1921 წლიდან 1996 წლამდე. ხოლო 1997 წლიდან დოკუმენტები ინახება საბაჟო დეპარტამენტის საუწყებო არქივში.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-4,საქ. 143, ფ. 62.
2. ცსა, ფონდი № რ-43, ფონდის პირადი საქმე, ფ. 57, 59.

სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მთავარი საბაჟო სამმართველოს აჭარის საბაჟო დაწესებულებები

ფონდი № რ-10; 1921-1943 წ.წ; მასალები.

1. აჭარისწყლის საბაჟო.
   ფონდი № რ-154, საქმეთა ერთეული 1, 1922 წ. აღწერა.
2. მარადიდის ფონდი № რ-81, საქმე 12, 1926-1930 წ.წ; აღწერა.
3. მაჭახლის პირის საბაჟო.
   ფონდი № რ-44, საქმეთა ერთეული 30, 1922-1923 წ.წ; აღწერა.
4. ბათუმის საბაჟოსთან არსებული სარფის საბაჟო.
   ფონდი № რ-44, საქმეთა ერთეული 30 1922-1923 წ.წ; აღწერა.
5. ახალციხის საბაჟოსთან არსებული ორდუბაშის საბაჟო საყარაულო.
   ფონდი № რ-155, საქმეთა ერთეული 9, 1925-1934 წ.წ; აღწერა.
6. მთავარი საბაჟო სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება.
   ფონდი № რ-88, საქმეთა ერთეული 3, 1922-1937 წ.წ; აღწერა.
7. თბილისის საბაჟო.
   ფონდი № რ-45, საქმეთა ერთეული 1, 1956წ; აღწერა.
8. ქობულეთის საბაჟო.
   ფონდი № რ-46, საქმეთა ერთეული 1. 1922-1926 წ.წ; აღწერა.
9. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპერტის საკავშირო გაერთიანება „სოიუზნეფტექსპორტის“ ბათუმის განყოფილება.
   ფონდი № რ-185, საქმეთა ერთეული 19, 1931-1934 წ.წ.
10. მთავარი საბაჟო. სასამართლოს ამიერკავკასიის განყოფილების ქარხნის საბაჟო.
    ფონდი № რ-268, საქმეთა ერთეული I, 1929-1930 წ.წ; აღწერა.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ აჭარის ასსრ საბაჟო სამმართველოს ფონდებში ინახება: სახკომსაბჭოს, საგარეო ვაჭრობის სახკომისა და სსრკ-ს მთავარი საბაჟოს სამმართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, დეკრეტები, განკარგულებები, ცირკულიარები და ბრძანებები საბაჟო დაწესებულებებში გამავალი საექსპერტო-საიმპორტო საქონელზე საბაჟო გადასახადების დაწესების, მათი აკრეფის წესის თაობაზე, ბათუმის საბაჟოს მუშაკთა თათბირების ოქმები, აჭარის ასსრ საბაჟო სამმართველოსა და საბაჟო დაწესებულებების საქმიანობის ანგარიშები 1929-1932 წლებში, საბაჟოების საბაჟო ტარიფების ცვლილებების თაობაზე, ცნობები უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე, ფონდში ასევე დაცულია: კონფისკაციაქმნილი საკონტრაბანდო საქონლის რეგისტრაციის წიგნები, საშტატო განრიგი, საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის 1994 წლის 26 აგვისტოს №-161 ბრძანება ახალ საბაჟოზე—ბათუმის საბაჟო მუშაკთათვის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ. (საქმე №-412); ბათუმის საბაჟოს უფროსის ბრძანებები, მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს საზღვაო დეპარტამენტთან საბაჟოს ძირითად საქმიანობაზე, საზღვარგარეთ გამსვლელ ავტომანქანების მძღოლების და მგზავრთა შემოწმებისა და აღრიცხვის ჟურნალები, უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლის აღრიცხვის ჟურნალები, საბაჟოს ხარჯთაღრიცხვები და წლიური ბალანსები.

აჭარის ასსრ საზოგადოებრივი კვების და სავაჭრო ორგანოების ფონდების ნუსხა, რომლებიც მეგზურში შეტანილია სიის სახით

1. საცალო ექსპერტიზის ბიურო.
   ფონდი № რ-928, 2 საქმეთა ერთეული, 1946-1952 წ.წ; აღწერა.

2. „აჭარმომარაგება“.
   ფონდი № რ-309, 217 საქმეთა ერთეული, 1947-1979 წ.წ; აღწერა.

3. ს/მეურნეობის ტრესტი №-1 მოსკოვის მაღაზია.
   ფონდი №-677, 6 საქმეთა ერთეული, 1935-1936 წ.წ; აღწერა.

4. უცხოეთისა და საბჭოთა გემების მომარაგების საქართველოს სავაჭრო კანტორის ბათუმის განყოფილება „სოიუზპორტორგ“.
   ფონდი № რ-256, 5 საქმეთა ერთეული, 1936-1939 წ.წ; აღწერა.

5. აჭარის სამომხმარებლო საზოგადოების კავშირი აჭარკოოპკავშირი.
   ფონდი № რ-873, 2393 საქმეთა ერთეული, 1933-1987 წ.წ; აღშერა.

6. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ქობულეთის „აჭარკურორტტორგის“ განყოფილება.
   ფონდი № რ-461, 25 საქმეთა ერთეული, 1950-1961 წ.წ; აღწერა.

7. აჭარკოოპკავშირის ქედის რაიმაღაზია.
   ფონდი № რ-362, 7 საქმეთა ერთეული, 1934-1940 წ.წ; აღწერა.

8. ბათუმის მეთევზეთა კოოპერატივი.
   ფონდი № რ-820, 83 საქმეთა ერთეული, 1940-1946 წ.წ; აღწერა.

9. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს კანტორა „კურორტვაჭრობა“.
   ფონდი № რ-135, 295 საქმეთა ერთეული, 1933-1960 წ.წ; აღწერა.

10. ერთობლივი საწარმოო „ანგლო-ამერიკან-ადჟარია-დიუთიფრი“ თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია.
    ფონდი № რ-350, 8 საქმეთა ერთეული, 1995-1996 წ.წ; აღწერა.

11. აწჰესის სპეცვაჭრობა „აჭარკოოპკავშირი“.
    ფონდი № რ-1054, 14 საქმეთა ერთეული, 1946-1953 წ.წ; აღწერა.

12. შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სავაჭრო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს ბათუმის განყოფილება.
    ფონდი № რ-253, 1462 საქმეთა ერთეული, 1941-1946 წ.წ; აღწერა.

13. უცხოელებთან ვაჭრობის საკავშირო გაერთიანების „ტორგსინის“ აჭარის რესპუბლიკური განყოფილება.
    ფონდი № რ-94, 10 საქმეთა ერთეული, 1931-1936 წ.წ; აღწერა.

14. საზღვაო ტრანსპორტით ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის ბათუმის განყოფილება „ტორგმონტრასი“.
    ფონდი № რ-255, 79 საქმეთა ერთეული, 1939-1941 წ.წ; აღწერა.

15. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილება.
    ფონდი № რ-841, 125 საქმეთა ერთეული, 1939-1958 წ.წ; აღწერა.

16. „აჭარკოოპკავშირი“-ს ქედის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოება.
ფონდი № რ-764, 606 საქმეთა ერთეული, 1938-1990 წ.წ; აღწერა.

17. ქედის რაისაბჭოს აღმასკომის სასურსათო ბარათების ბიურო.
ფონდი № რ-769, 3 საქმეთა ერთეული, 1942-1943 წ.წ; აღწერა.

18. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების რესპუბლიკური ბიურო.
ფონდი № რ-258, 20 საქმეთა ერთეული, 1941-1947 წ.წ; აღწერა.

19. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ბათუმის სასადილოს ტრესტი.
ფონდი № რ-92, 243 საქმეთა ერთეული, 1931-1960 წ.წ; აღწერა.

20. სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ბათუმის განყოფილება.
ფონდი № რ-248, 17 საქმეთა ერთეული, 1922-1925 წ.წ; აღწერა.

21. სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს ბათუმის სავაჭრო პორტის სამმართველო.
ფონდი № რ-60, 2089 საქმეთა ერთეული, 1966-1990 წ.წ; აღწერა.

22. ტრესტი „საქთევზი“-ს ზღვის ნადირწარმოების ბათუმის განყოფილება.
ფონდი № რ-818, 2 საქმეთა ერთეული, 1932-1936 წ.წ; აღწერა.

23. საქართველოს სსრ მანქანებით ვაჭრობის მთავარი სამმართველოს „მთავარმანქანათვაჭრობა“ აჭარის კანტორა.
ფონდი № რ-1134, 199 საქმეთა ერთეული, 1935-1961 წ.წ; აღწერა.

24. აქციონალური საზოგადოება „საქთევზის“ ბათუმის რაიონული თევზის რეწვა.
ფონდი № რ-816, 3 საქმეთა ერთეული, 1931-1946 წ.წ; აღწერა.

25. საქართველოს საჩვენებელი სასურსათო მაღაზიების „გასტრონომი და ბაკალეა“ სამმართველოს განყოფილების ბათუმის №-11 მაღაზია „გასტრონომი“.
ფონდი № რ-156, 130 საქმეთა ერთეული, 1936-1941 წ.წ; აღწერა.

26. ამიერკავკასიაში უკრაინის ვაჭრობის გაერთიანების კანტორის რწმუნებული აჭარის ასსრ-ში.
ფონდი № რ-683, 18 საქმეთა ერთეული, 1936-1940 წ.წ; აღწერა.

27. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა მთავარი სახელმწიფო საგაჭრო და საწარმოო-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო აჭარის განყოფილება.
ფონდი № რ-249, 248 საქმეთა ერთეული, 1934-1946 წ.წ; აღწერა.

28. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ბათუმის შერეული ვაჭრობის „ბათუმვაჭრობა“.
ფონდი № რ-563, $\frac{75}{19}$ საქმეთა ერთეული, 1956-1960 წ.წ; აღწერა.

29. სანავსადგურო ვაჭრობისა და ბუფეტების საქართველოსკანტორის ბათუმის განყოფილება.
ფონდი № რ-257, 6 საქმეთა ერთეული, 1938 წ; აღწერა.

30. ამიერკავკასიის სახელმწიფო საექსპერტო-იმპორტული ვაჭრობის კანტორის „ზაკგოსტორგის“ ბათუმის განყოფილება.
ფონდი № რ-50, 235 საქმეთა ერთეული, 1921-1936 წ.წ; აღწერა.

31. სსრკ საგარეო ვაჭრობის ტყის ექსპორტის სახ. ბრაკერატი აჭარაში.
ფონდი № რ-685, 121 საქმეთა ერთეული, 1927-1935 წ.წ; აღწერა.

32. ხილბოსტნეულის და ყველა სახის კონსერვების ექსპორტის სრულიად საკავშირო გაერთიანების ამიეკავკასიის წარმომადგენლობის ბათუმის სააგენტო.
ფონდი № რ-284, 2 საქმეთა ერთეული, 1932-1934 წ.წ; აღწერა.

33. აჭარის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათუმის სასწავლო კომბინატი.
ფონდი № რ-574, 6 საქმეთა ერთეული, 1938-1940 წ.წ; აღწერა.

34. ტრესტ „გრუზსირმასლოპრომის“ აჭარის რესპუბლიკური კანტორა.
ფონდი № რ-374, 53 საქმეთა ერთეული, 1946-1956 წ.წ; აღწერა.

35. საქართველოს სსრ წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკური კანტორის „საქწიგნი“ ბათუმის განყოფილება.
ფონდი № რ-822, 80 საქმეთა ერთეული, 1937-1961 წ.წ; აღწერა.

36. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაზრის სამმართველო.
ფონდი № რ-336, 1965-1987 წ.წ; აღწერა.

37. სატყეო მასალათა ექსპერტის საკავშირო გაერთიანების ამიერკავკასიის სამხედრო კანტორის, ბათუმის სანავსადგურო კანტორა „ექსპორტტყე“.
ფონდი № რ-85, 54 საქმეთა ერთეული, 1931-1935 წ.წ; აღწერა.

38. აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს კანტორა „კურორტვაჭრობა“.
ფონდი № რ-135, 295 საქმეთა ერთეული, 1933-1960 წ.წ; აღწერა.

39. „სოზოპტბაკალეის“ ბათუმის ბაზა.
ფონდი № რ-300, 64 საქმეთა ერთეული, 1936-1949 წ.წ; აღწერა.

40. აჭარის ასსრ სოფლის მრეწველობის ტრესტის საგაჭრო ქსელების სამმართველო.
ფონდი № რ-173, 14 საქმეთა ერთეული, 1932-1935 წ.წ; აღწერა.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი X

კოოპერაციული ორგანოების ფ ო ნ დ ე ბ ი

საქართველოს სახალხო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ აჭარის ასსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი ინსპექტორი

ფონდი № რ-453; 76 საქმეთა ერთეული, 1947-1949 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა 1947 წლის 1 აპრილიდან სსრკ 1941 წლის 9 იანვრის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად. ახორციელებდა კონტროლს სარეწაო, სამომხმარებლო და ინვალიდთა კოოპერაციაზე.[1]

ფონდში დაცულია: დადგენილებები მთავარი სამმართველოს საქმეებზე; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი ინსპექტორის დანიშვნის, კოოპერაციულ ორგანიზაციებში კერძო სამეწარმეო საქმიანობის ლიკვიდაციის დარგში ღონისძიებების შესრულების შედეგების, ტიპიური შტატების, რესპუბლიკური და საოლქო სარეწაო, სამომხმარებლო და ინვალიდების კოოპერაციული კავშირის თანამდებობრივი ხელფასების, აჭარმრეწკავშირის სისტემების არტელების მუშაობის შედეგების შემოწმების შესახებ, საწარმოთა შემოწმების შედეგების ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები, ცნობები აჭარმრეწკავშირისა და აჭარკოოპკავშირის სისტემაში ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ობიექტებზე დოკუმენტური რევიზიის შემოწმების აქტები, პროკურატურის ორგანოებთან და სახალხო სასამართლოებთან მიმოწერები დამნაშავეთა მიერ სახელმწიფო ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ, აქვეა მოხსენებითი ბარათები, მასალები საგაჭრო ობიექტებში ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვის, პროფილაქტიკის მართლწესრიგისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის სხდომის ოქმები (1985 წ.), კოოპორგანიზაციებში მომუშავეთა ატესტაციების ჩატარების; მოხსენებითი ბარათები, მასალები საგაჭრო ობიექტებში ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვის შესახებ; გეგმები სამშენებლო საპროექტო-საძიებო სამუშაოების, კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული გეგმები; საბაიო მეურნეობის და მათი შესრულების მასალები, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები (1983-1988 წ.წ.), სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, კოოპერაციული კონტროლის კომისიის საუკეთესო სახელისა და კონკურსის ჩატარების, სანიმუშო საგაჭრო წოდების მოპოვების, ცეკავშირის გამგეობის დადგენილებები, ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რეალიზაციის გაზრდის, კულტსაყოფაცხოვრებო და სპორტული დანიშნულების საქონლის ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, ცეკავშირის გამგეობის ანგარიშები, ინფორმაციები, პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიმოწერები დამსვენებელთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (1983 წ.)

ბათუმის სამომხმარებლო კოოპერაციის სამმართველო

ფონდი № რ-87; 48 საქმეთა ერთეული, 1931-1936 წ.წ; აღწერა.

დაარსდა 1931 წლის 20 ოქტომბერს. მისი ფუნქციებია: ქ. ბათუმში ვაჭრობის ორგანიზაციის რეგულირება და დაგეგმვა.[2]

ფონდში დაცულია: ცეკავშირის პრეზიდიუმის, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებები სამომხმარებლო კოოპერაციის თანამშრომლებისათვის შრომითი ხელფასის გადიდებისა და არენდული ხელფასის შესახებ, ინსტრუქციები ქალაქის კოოპერაციული ორგანიზაციების საქართველოს საშინაო ვაჭრობის სისტემისათვის გადაცემის შესახებ, ბათუმის

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-453, საქ. 4, ფ. 17.
2. ფონდი № რ-87, საქ. 1, ფ. 32

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გეგმები და ანგარიშები, პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, მუშათა დახურული კოოპერატივების ორგანიზების შესახებ, მათი გეგმები მომარაგებისა და გემის შესრულების, სავაჭრო ქსელის გაფართოების, დამოუკიდებელ ბალანსზე მაღაზიების გამოყოფის, წლიური ბუღალტრული ანგარიშებისა და შტატების განრიგის შესახებ.

აჭარკოოპკავშირის სამომხმარებლო საზოგადოების აჭარის კავშირი — „აჭარკოოპკავშირი“

ფონდი № რ-873; 2393 საქმეთა ერთეული, 1933-1987 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა 1933 წლის 4 თებერვალს[1] რაიკავშირების (ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს) და გაერთიანება „საქჩურტრესტის“, „საქხილბოსტნეულის“, „საქფრინველის“[2] ბაზაზე.

სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი მიზანია საბჭოთა გაჭრობის ორგანიზაცია მოზიარე მეპაიების ძალებითა და საშუალებებით. ამ მიზნის მისაღწევად სამომხმარებლო კოოპერაცია სამრეწველო და სასურსათო საქონლით ქმნის საცალო გაჭრობის ქსელს. ხდება სახელმწიფო და სავაჭრო ორგანიზაციებისაგან საქონლის შესყიდვა. სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს დამზადებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, აფართოებს საქონლის საკუთარ წარმოებას, ქმნის საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებს საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

ფონდში არის პრეზიდიუმის დადგენილებები და აჭარკოოპკავშირის სამმართველოს სხდომების, აჭარის ასსრ (1935 წ.) სამომხმარებლო სისტემის მუშაკთა ყრილობის მოწვევის ოქმები, საქონელბრუნვის მუშაობის დარგში გეგმის შესრულების, სოფლად გაჭრობის საქმის გაუმჯობესების, სოფლის მაღაზიების მუშაობის, მასალები დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის აჭარკოოპკავშირის მუშაკების პრემიებით დაჯილდოების შესახებ, ფონდში არის ასევე აჭარკოოპკავშირის I კონფერენციის ოქმები; აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირის დაარსების, გამგეობის კავშირის არჩევნების ფინანსური გეგმის დათვალიერებისა და დამტკიცების შესახებ, მოხსენებები და ანგარიშები აჭარკოოპკავშირის მუშაობაზე,ხუთწლიანი გეგმების შესრულების მასალები, მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთთან საზოგადოების სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების, კოოპერაციული ქონების დამტკიცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, წლიური ბალანსები, საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდები.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის საკრედიტო კოოპერაციული კავშირი /აჭარსოფლკრედიტი/

ფონდი № რ-56; 52 საქმეთა ერთეული, 1927-1930 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა 1927 წლის 15 ივნისს,[3] მისი ფუნქცია იყო სოფლის მეურნეობის მომარაგება კრედიტებით, ხელშეკრულებისა და კონტრაქტების დადება თესვის მოსავალის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებაზე. 1930 წლის 30 აგვისტოს ლიკვიდირებული იქნა.[4]

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის კომისარიატის დადგენილებები, სოფლის მეურნეობის კრედიტების ფორმების, სოფლის მეურნეობის ამხანაგობების კრედიტების, მატერიალურ ფასეულობათა სოფლის მეურნეობის კოოპერაციებისათვის გადაცემის, სოფლის მეურნეობის საკრედიტო კოოპერაციის დარგში კომისიების მდგომარეობის შესახებ. აჭარის ასსრ სახელმწიფო კრედიტთან ურთიერთობის ცენტრალური კომისიის სხდომის ოქმები, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის საკრედიტო კოოპერაციის საბჭოს სხდომის ოქმები კავშირის მუშაობის შესახებ, კრედიტების გაცემის, ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების მრეწველობის განვითარების, მეცხოველეობის კოოპერაციის შექმნის, 1928-1929 წ.წ. მიღებული მოგების განაწილების, კოლექტიური და კოოპერატიული მეურნეობების, კრედიტების განაწილების, სოფლის ღარიბების ფონდების კოოპერირების და კოლექტივიზაციის შესახებ, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის კოოპერაციის მუშაობის ანგარიშები, მიმოწერა თანხების განაწილების, გეგმის განუყოფელი ფონდების დაგროვების შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-873, ან. I, საქ. 2, ფ. 12.
2. აღწ. I, საქ. 6. ფ. 44.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფფონდი № რ-57, საქ. 3, ფ. 5.
4. აჭარის ასსრ ცსა, საქ. 48. ფ.

აჭარის სარეწაო საბჭო
/აჭარმრეწსარეწაო საბჭო/

ფონდი № რ-559;[1] 742 საქმეთა ერთეული, 1932-1960 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა 1929 წლის 1 აპრილს აჭარმრეწგკავშირის სარეწაო კოოპერაციის არტელების ხელმძღვანელობისათვის. 1953 წლის 8 ივნისს[2] იგი შეუერთდა აჭარკოოპკავშირს და მას ეწოდა აჭარმრეწგსაბჭო. გაფორმდა 1960 წლის 1 ივლისს.[3]

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ საქმრეწკავშირის პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებები, გადაწყვეტილებები, აჭარკოოპკავშირის (1953 წ.), საქმრეწკავშირის პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, აჭარმრეწგკავშირის ოქმები, ყრილობის სტენოგრამები, სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა პლენუმების, ახალგაზრდა სპეციალისტების თათბირები, კონტროლისა და რევიზიის მუშაკთა, არტელის წევრთა საერთო კრებების, არტელების განმტკიცებისა და მათი დახელოვნების შესახებ, არტელების საანგარიშო საარჩევნო კრებების ოქმები, აჭარმრწკავშირისა და არტელების სამრეწველო გეგმები და ანგარიშები, არტელების ტექმრეწგფინგეგმები, საწარმოო არტელების ტექნოლოგიის ტექნიკური ინსტრუქციები, საწარმოო არტელების ტექნოლოგიის გამომუშავების ნორმები, ფასის დაწესების, შრომისა და ხელფასის გეგმები, კაპიტალური მშენებლობის გეგმები და ანგარიშები, სატიტულო სიები, ფინანსური გეგმები, დაფინანსების ლიმიტები, არტელების ანგარიშები ძირითადი შემოქმედების დარგში, კოლექტიური ხელშეკრულებები, მასალები და ღონისძიებები მოსახლეობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, რაციონალიზაციის, გამომგონებლობისა და არტელების მუშაობის შესახებ.

აჭარის ასსრ კოოპერატიულ—საწარმოო
ა რ ტ ე ლ ე ბ ი

1. აჭარის საწარმოო—კოოპერატიული კავშირის პარიკმახერთა კოოპერაციულ—საწარმოო არტელი „ისკრა“.
   ფონდი № რ-207; 86 საქმეთა ერთეული, 1933-1958 წ.წ; აღწერა.

2. საწარმოო—კოოპერატიული არტელი „ჟენტრუდი“.
   ფონდი № რ-233; 509 საქმეთა ერთეული, 1932-1953 წ.წ; აღწერა.

3. აჭარის ასსრ ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის საწარმოო-კოოპერატიული სამკერვალო არტელი „ტრუდი“.
   ფონდი № რ-234; 182 საქმეთა ერთეული, 1930-1953 წ.წ; აღწერა.

4. სამრეწველო-საწარმოო არტელი „მეტალტრუდი“.
   ფონდი № რ-242; 61 საქ. ერთ; 1930-1956 წ.წ; აღწერა.

5. ფეხსაცმელის „კოჟობუვი“ კუსტარულ-კოოპერატიული არტელი.
   ფონდი № რ-245; 110 საქმეთა ერთეული, 1929-1945 წ.წ; აღწერა.

6. ტყავის საწარმოო „დუშკოჟი“ კუსტარულ-კოოპერატიული არტელი.
   ფონდი № რ-246; 6 საქმეთა ერთეული, 1928-1933 წ.წ; აღწერა.

7. აზიური ყველა სახის ტყავის დამუშავების კუსტარულ-კოოპერატიული საწარმოო არტელი „ადჟარკოჟი“.
   ფონდი № რ-247; 3 საქმეთა ერთეული, 1929-1931 წ.წ; აღწერა.

8. აჭარის ასსრ ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის სისტემის არტელი „პროვოდნიკი“.
   ფონდი № რ-301; 65 საქმეთა ერთეული, 1944-1948 წ.წ; აღწერა.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-559, ფონდის პირადი საქმე.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-559, ფონდის პირადი საქმე.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-170 საქ. 229, ფ. 160.

9. ინვალიდთა კოოპერატიულ-სამრეწველო არტელი „ინვსტრო“.
ფონდი № რ-480; 129 საქმეთა ერთეული, 1947-1950 წ.წ; აღწერა.

10. კოოპერაციულ-საწარმოო არტელი „წინსვლა“.
ფონდი № რ-482; 171 საქმეთა ერთეული, 1930-1963 წ.წ; აღწერა.

11. აჭარკოოპკავშირის კრამიტის წარმოების საწარმოო კოოპერატიული არტელი „ტრუდი“.
ფონდი № რ-552; 13 საქმეთა ერთეული, 1940 წ; აღწერა.

12. აჭარსარეწაო კავშირის აჭარის მრავალდარგობრივი საწარმოო არტელი „კუსტპრომი“.
ფონდი № რ-553; 3 საქმეთა ერთეული, 1937-1941 წ.წ; აღწერა.

13. სამრეწველო-სარეწაო კოოპერატიული არტელი „ჟენპობედა“,
ფონდი № რ-554; 14 საქმეთა ერთეული, 1935-1941 წ.წ; აღწერა.

14. აჭარის სამრეწველო კოოპერატიული კავშირის სამკოოპერატიული არტელი „ავტოტრანსპორტი“,
ფონდი № რ-555; 1 საქმეთა ერთეული, 1950 წ.; აღწერა.

15. ფოტოგრაფების პირველი შრომითი კოოპერატიული არტელი „აჭარფოტო“,
ფონდი № რ-556; 10 საქმეთა ერთეული, 1939-1943 წ.წ.; აღწერა.

16. აჭარის სამშენებლო-სარემონტო არტელი „რემონტტრესტი“,
ფონდი № რ-557; 11 საქ. ერთ; 1938-1941 წ.წ; აღწერა.

17. ენერგეტიკული ელექტრო-მოწყობილობების სარემონტო და საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კოოპერატიული-სამრეწველო არტელი „ელექტრომონტაჟი“.
ფონდი № რ-691; 93 საქმეთა ერთეული, 1947-1953 წ.წ; აღწერა.

18. აჭარის საწარმოო კავშირის კოოპერატიული სამრეწველო არტელი „ავტორული“,
ფონდი № რ-785; 18 საქმეთა ერთეული, 1948-1950 წ.წ; აღწერა.

19. კოოპერატიულ-სამრეწველო არტელი „პერვოე მაია“.
ფონდი № რ-789; 22 საქმეთა ერთეული, 1935-1941 წ.წ; აღწერა.

20. კოოპერატიულ-სამრეწველო არტელი „რაზნოპრომი“.
ფონდი № რ-790; 121 საქმეთა ერთეული, 1940-1953 წ.წ; აღწერა.

21. ინვალიდთა სამრეწველო-კოოპერატიული არტელი „ინვაჭრობა“.
ფონდი № რ-798; 50 საქმეთა ერთეული, 1947-1950 წ.წ; აღწერა.

22. კოოპერატიულ-სამრეწველო არტელი „პროგრესი“.
ფონდი № რ-800; 67 საქმეთა ერთეული, 1939-1953 წ.წ; აღწერა.

23. სამკერვალო-საწარმოო არტელი „შვეინიკი“.
ფონდი № რ-807; 77 საქმეთა ერთეული, 1938-1960 წ.წ; აღწერა.

24. აჭარმრეწვკავშირის სისტემის არტელი „ავანგარდი“.
ფონდი № რ-870; 204 საქმეთა ერთეული, 1940-1956 წ.წ; აღწერა.

25. „8 მარტის“ სახელობის კოოპერატიულ-სარეწაო არტელი.
ფონდი № რ-871; 284 საქმეთა ერთეული, 1948-1953 წ.წ; აღწერა.

26. აჭარის საწარმოო კავშირის სისტემის კოოპერატიულ-საწარმოო არტელი „მეტალისტი“.
ფონდი № რ-960; 140 საქმეთა ერთეული, 1946-1960 წ.წ; აღწერა.

27. აჭარის საწარმოო კავშირის სისტემის კოოპერატიულ-საწარმოო სარემონტო-სამშენებლო არტელი „მშენებელი“.
ფონდი № რ-961; 170 საქმეთა ერთეული, 1945-1960 წ.წ; აღწერა.

28. საწარმოო-კოოპერატიული არტელი „ხიმიკი“.
ფონდი № რ-1154; 153 საქმეთა ერთეული, 1946-1956 წ.წ; აღწერა.

29. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის კავშირის ბათუმის ტყის „საბჭოთა სპორტი“.
ფონდი № რ-90; 78 საქმეთა ერთეული, 1930-1940 წ.წ; აღწერა.

30. სსრკ სამხედრო-საამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს შავ ზღვაზე დახურული მუშაკთა კოოპერატივი „მაიაკი“.
ფონდი № რ-93; 8 საქმეთა ერთეული, 1933-1935 წ.წ; აღწერა.

31. სამომხმარებლო კოოპერაციის აჭარის კავშირი.
ფონდი № რ-278; 5 საქმეთა ერთეული, 1939-1944 წ.წ; აღწერა.

32. კოოპერატიული სამრეწველო არტელი „პიშევიკი“.
ფონდი № რ-787; 80 საქმეთა ერთეული, 1935-1953 წ.წ; აღწერა.

33. საწარმოო-კოოპერაციის აჭარის ურთიერთსადაზღვევო სალარო.
ფონდი № რ-805; 61 საქმეთა ერთეული, 1934-1944 წ.წ; აღწერა.

34. საწარმოო და ინვალიდთა კოოპერაციის კოოპერატიული დაზღვევის წევრთა საბჭო.
ფონდი № რ-806; 126 საქმეთა ერთეული, 1939-1960 წ.წ; აღწერა.

35. მონადირეთა სარეწაო-კოოპერატიული კავშირი „ადჟარმონკავშირი“.
ფონდი № რ-812; 25 საქმეთა ერთეული, 1932-1945 წ.წ; აღწერა.

36. აჭარის ასსრ ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი „ადჟარკომპინსოიუზი“.
ფონდი № რ-481; 120 საქმეთა ერთეული, 1928-1953 წ.წ; აღწერა.

37. შუახევის რაიკოოპერატივი.
ფონდი № რ-1101; 864 საქმეთა ერთეული, 1937-1991 წ.წ; აღწერა.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები არტელების ორგანიზაციის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ, სამრეწველო არტელებში შრომითი ანაზღაურების ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ; საქმისწარმოების და აჭარმრეწვსაბჭოს დირექტიული მითითებები სამრეწველო არტელების მიერ გამოშვებულ პროდუქტებზე ფასების დაწესების შესახებ, გამოშვებული ნაწარმის ნომენკლატურის ცვლილებების, საქმრეწვკავშირის პრეზიდიუმის, აჭარმრეწვკავშირის და არტელების სამმართველოს ოქმები მრეწვკოოპერაციის სისტემის არტელების და სახალხო ბანკის ფილიალების ურთიერთკავშირის შესახებ, მრეწველობის მოწინავეთა, შრომის სტახანოვური მეთოდით მომუშავეთა მონაცემები, არტელების გამგეობების და სარევიზიო კომისიების არჩევნების შესახებ, მასალები მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, 1941-1945 წლების ომის დროს წითელი არმიის მებრძოლებზე დახმარების, საფინანსო-საწარმოო გეგმების, არტელების წლიური საქმიანობის, საბუღალტრო წლიური ანგარიშების, სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვების, სტატისტიკური ანგარიშები მზა პროდუქციის გამოშვების შესახებ.

თ ა ვ ი XI

მომარაგების, დამზადების და გასაღების ფ ო ნ დ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და მათი გასაღების სამმართველოს ბათუმის ცენტრალური ნავთობგადამტვირთავი ბაზა

ფონდი რ-188; საქმეთა ერთეული 2039, 1921-1992 წწ.; აღწერა. 1865

1921[1] წლის მარტში ნაციონალიზირებულ კერძო მესაკუთრეთა ბაზაზე შეიქმნა ბათუმის ცენტრალური ნავთობის სამმართველოს განყოფილება[2], ხოლო 1934 წლის დეკემბერში[3] გადაერქვა ბათუმის მთავარი ნავთობგასაღების სამმართველო. 1960 წლის 16 იანვარს[4] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს №-84 განკარგულების საფუძველზე გადაერქვა ბათუმის ცენტრალური ნავთობმტვირთავი ბაზა.

მის ფუნქციებს შეადგენს ნავთობპროდუქტებით ნავთობის მეურნეობის მომარაგება და მათი რეალიზაცია.

ბათუმის ცენტრალური ნავთობგადამტვირთავი ბაზა 1990 წლის 30 ოქტომბრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა სიბჭოს №-344 დადგენილებით, შრომითი კოლექტივის 1990 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოვიდა საკავშირო დაქვემდებარებიდან და ჩამოყალიბდა სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების „ნავთობიმპექსის“ სახით დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებით.

ფონდში ინახება: სსრ კავშირის, საქართველოს და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს, (მინისტრთა საბჭოს) აჭარის ასსრ ცაკის დადგენილებები, განკარგულებები, ნავთობპროდუქტების განაწილების, ტექნიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ნავთობის მრეწველობის დაწესებულებებში სანიტარულ-სამკურნალო პუნქტების ორგანიზების შესახებ, ინსტრუქციები და სადირექტივო მითითებები სსრკ და საქ. სსრ სახალხო კომისარიატის საგარეო ვაჭრობის შესახებ, საწარმოო და ტექნიკური თათბირების, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომების, შემფასებელ კომფლიქტური კომისიის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საბჭოს ოქმები, თათბირების სტენოგრამების წყლის ტრანსპორტით ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტის ექსპორტის საკითხებზე, მოწყობილობებისა და ნავთობის მილების ტექნიკურ მდგომარეობაზე, ცალკეული საქაჩი მოწყობილობების გაუმჯობესებაზე და ტუმბოთა დანადგარებზე, რაციონალური წინადადებების განხილვასა და მათი წარმოებაში დანერგვაზე, მოხსენებები, მიმოხილვები, მთავარნავთობგასაღების ბათუმის სამმართველოს მოღვაწეობის შესახებ, ანგარიშები მათი შესრულების შესახებ, კაპიტალური მშენებლობის გეგმები და მოწყობილობები რეკონსტრუქციაზე, ანგარიშები ხარისხზე, ნავთობპროდუქტების მიღება და გადატვირთვა, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შესახებ, ანგარიშები ძირითადი საქმიანობის შესახებ, მიმოწერები სსრკ-ს მთავარნავთობგასაღებასთან, ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ფირმებთან შრომითი და კომერციული ხელშეკრულების დადების შესახებ, გეგმებისა და სახალხო მეურნეობის დაწესებულებების საწვავით მომარაგების შესახებ, კოლექტიური ხელშეკრულებები, სოც. შეჯიბრებების მასალები და მათი შესრულების მაჩვენებლები, ტექნიკური კომისიის აქტები მოწყობილობების მუშაობის გამოკვლევის, ნავთობჩამომსხმელი სადგურების და ობიექტების რეკონსტრუქციის შემდეგ ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ; ბრძანებები ძირითადი საქმიანობის შესახებ, გეგმები (1986-1992) ნავთობპროდუქტების საექსპორტოდ გატანის შესახებ; რაციონალური წინადადებები ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისა და დანერგვის შესახებ; მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები შავი ზღვის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმოს „პონტოს“ საქმიანობის, ტვირთბრუნვის და ტვირთის გადაზიდვის მდგომარეობის შესახებ; მიმოწერები წარმოების სახელის შეცვლისა და კოდირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი ბ-2, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 202.
2. იქვე, ფონდი № რ-188, აღწ. 1, საქ. 1, ფ. 1.
3. იქვე, საქ. 585, ფ. 3.
4. იქვე, საქ. 862, ფ. 16.

დაკავშირებით საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილის რეესტრი №-ბბ-2205/336 შეცვლის, საქველმოქმედო ფონდის შექმნის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შეუსრულებლობის გამო საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმო „პონტო“-ს და მისი სავალუტო ანგარიშის გაუქმების შესახებ.

სსრკ დამზადების სამინისტროს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში

ფონდი რ-236, საქმეთა ერთეული 522, 1932-1935 წწ.; აღწერა.

1930 წელს[1] შეიქმნა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს სოფლის მეურნეობის სურსათის დამზადების კომიტეტის რწმუნებული აჭარის ასსრ-ში. 1928 წელს[2] გადაერქვა სსრკ ს/მ სურსათის დამზადების სახალხო კომისარიატის რწმუნებული აჭარის ასსრ-ში. 1946 წლის 15 მარტიდან დაერქვა სსრკ დამზადების სამინისტროს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში.

ფონდში დაცულია: სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს კპ ცკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს, დამზადების სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და აჭარის ასსრ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რწმუნებულის დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები, სოფლად დაგეგმვისა და სამრეწველო ნაწარმის შეტანაში დამამზადებელი ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ შალეულის, თამბაქოს და კონცენტრაციის და სოფლდამზადების სხვა პროდუქტების სტიმულირებისათვის. პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების, ფქვილის დაწყობისა და შენახვის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო სურსათის აუცილებელი მოწოდების, კარტოფილისა და ბოსტნეულის შემოტანის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების, სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, გეგმები და საკონტროლო ციფრები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების შესახებ.

ამიერკავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სამმართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საკავშირო რწმუნებულის კომიტეტის სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომის ოქმები შალეულის, თამბაქოს, ციტრუსის დამზადების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

წლიური სტატისტიკური მონაცემები ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ხორცისა და რძის პროდუქტების, აგრეთვე ხილეულის დეცენტრალიზებული დამზადების შესახებ, რაიონების ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები, მარცვლეულის, ზეთოვანი, ტექნიკური კულტურების /თამბაქო, ტუნგო/ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მიმდინარეობის შესახებ; წლიური საბუღალტრო ბალანსები, ადმინისტრაციულ-საწარმოო გასვლის ხარჯთაღრიცხვა, რწმუნებულთა აპარატის საშტატო განრიგი, აქტები და ახსნა-განმარტებითი ბარათები ციტრუსოვანთა ნაყოფის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დამზადების მიმდინარეობის შესახებ, ცალკეული მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გეგმის დამზადების შესრულების შესახებ, ხილის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების, დაფნის ფოთლის, აბრეშუმის პარკის, ჩაის ფოთლის, თიხის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ, მიმოწერა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების აჭარის ანგარიში /აჭარციტრუსდამზადების ანგარიში/

ფონდი რ-450; საქმეთა ერთეული 209, 1930-1951 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1931 წელს, მისი ფუნქციები მდგომარეობდა აჭარის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებაში, გადამუშავებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე საქკონსერვტრესტის საწარმოების ციტრუსოვანთა ნაყოფის მომარაგებაში.[3]

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-236, პირადი საქმე, ფ. 7.
2. იქვე, ფ. 8.
3. ფონდი რ-450, საქ. 46, ფ. 65.

ქობულეთის რაიონის ჩაის ანგარანი

ფონდი რ-241; საქმეთა ერთეული 38, 1931-1935 წწ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები, ბრძანებები და ცირკულიარები, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების და რეალიზაციის, ფონდების ათვისების, საქკონსერვტრესტის საწარმოებში ტექნიკის უსაფრთხოების გაუმჯობესების, 1937 წ. საქკონსერვნაყოფტრესტის აჭარის რესპუბლიკური გასაღების ანგარანის შექმნის შესახებ, დებულება აჭარის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების ანგარანის საქკონსერვტრესტის შესახებ, საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების ოქმები ციტრუსოვანთა ნაყოფისა და მწვანე ჩაის ფოთლის აღების შესახებ მათი დამზადების და სახელმწიფოზე ჩაბარების, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე მანდარინის შემფუთავი პავილიონების მშენებლობის შესახებ; აჭარციტრუსდამზადების ანგარანის 1933-1934 წწ. მოხსენებები და ანგარიშები, ქობულეთის ჩაის ანგარანის მოღვაწეობის შესახებ, წლიური ფინანსური ანგარიშები, საწარმოო ფინანსური გეგმები, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციულ-საწარმოო გასვლის ხარჯთაღრიცხვის, სტატისტიკური ანგარიშები ციტრუსოვანთა ნაყოფის გადმოტვირთვისა და მწვანე ჩაის ფოთლის დამზადების შესახებ.

სრულიად საკავშირო გაერთიანების დამზადების, გადამუშავების, საშინაო ბაზრის მომარაგების, სამკურნალო ეთერ-სურნელოვანი და თამბაქოს ნედლეულის ექსპორტის ბათუმის საექსპორტო ბაზა.

ს/ზ „წამალტექნედლეული“

ფონდი რ-686; საქმეთა ერთეული 8, 1933-1934 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1933 წლის 1 ოქტომბერს[1] წამლეულის, ეთერ-სურნელოვანი და თამბაქოს ნედლეულის გაშენების, გადამუშავებისა და ექსპორტის მიზნით. 1934 წლის 16 აგვისტოს[2] გადაერქვა ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ბათუმის განყოფილება.

ფონდში დაცულია: ხელშეკრულებები საზღვარგარეთის სავაჭრო ფირმებთან მოცვის ჩაის, ძირტკბილას ფესვების, რეჰანის ზეთის, თამბაქოს ნედლეულის და სამკურნალო მცენარეების საზღვარგარეთ გატანის შესახებ, მიმოხილვა ამიერკავკასიის პალატის 1933 წლის საგარეო ვაჭრობის მოღვაწეობის შესახებ, მიმოწერა ტრესტთან „ქართული ჩაი“ სამკურნალო ნედლეულის საექსპერტოდ დამზადების შესახებ.

ტყის თესლეულისა და სხვა სატყეო დანამატის გამოყენების, ხე-ბუჩქოვანი ტექნიკური კულტურების განაშენიანებისა და ემსპლოატაციის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ტრესტის აჭარის განყოფილება.

ფონდი რ-97; საქმეთა ერთეული 116, 1932-1937 წწ.; აღწერა.

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ სკს ცირკულიარები, საკავშირო ტრესტის „ტექტყეთესლკულტურა“, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებები და ბრძანებები, სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველოს ტუნგოს დათესვის, ლიმონის განაშენიანების, ნარგავების ყინვისაგან დაცვის გეგმების შესახებ, შრომის ანაზღაურების, მუშა-მოსამსახურეების საწარმოო-ტექნიკური სწავლების, სამკურნალო ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების, სამკურნალო ბალახების თესლის აღებისა და დაცვის შესახებ, 1934 წლის ტექნიკური თათბირების ოქმები, საწარმოო-ფინანსური გეგმები ტუნგოს მეურნეობებისა და სათბურების შესახებ.

მოხსენებები და მიმოხილვები აჭარის განყოფილების „ტექტყეთესლკულტურის“ მუშაობის შესახებ, საკონტროლო ციფრები და ნაერთი ანგარიში მეურნეობებსა და სათბურებში 1935 წელს ტუნგოს გეგმის შესრულების შესახებ, ახსნა-განმარტებითი ბარათები, აქტები, მიმოწერები ნიადაგის თესვისათვის მომზადების შესახებ, ნერგებისა და თესლეულის ხარისხის შემოწმების, პლანტაციების მდგომარეობის, მცენარეების მავნებლებთან ბრძოლის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, გამომუშავების ნორმების, ნერგებით მომარაგების, ტუნგოს

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-686, საქ. 4, ფ. 46.
2. იგივე, საქ. 11, ფ. 7.

ნაყოფისა და სამკურნალო ნედლეულის აღების შესახებ, 1936 წლის წლიური საბუღალტრო ანგარიში, ხელშეკრულებები და ხარჯთაღრიცხვები ბეტონის სათბურების მშენებლობის, ამომშრობი არხების დამონტაჟების შესახებ, ადმინისტრაციულ-საწარმოო გასავლის ხარჯთაღრიცხვა, მონაცემები ნერგების დარგვისა და პლანტაციებში სასუქების გამოყენების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საშტატო განრიგები.

აჭარის რესპუბლიკური და რაიონული დამამზადებელი ანგარანები /„საქონლის დამზადება“/

ფონდი №4; 1937-1957 წლების დოკუმენტები,
აჭარის რესპუბლიკური დამამზადებელი კანტორა
„საქონელდამზადება“; ფონდი რ-849; საქმეთა ერთეული 156, 1937-1957 წწ. აღწერა.
რაიონული დამამზადებელი ანგარები„საქონელდამზადება“.
ქედის: ფონდი რ-847; საქმეთა ერთეული 13, 1944-1951 წწ.; აღწერა.
ქობულეთის: ფონდი რ-848; საქმეთა ერთეული 17, 1941-1949 წწ.; აღწერა.
ხულოს; ფონდი რ-850; საქმეთა ერთეული 27, 1944-1951 წწ.; აღწერა.

ფონდებში ინახება: სახალხო კომისართა საბჭოს, დამზადების სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მიწათმოქმედების, „საქონელდამზადების“ აჭარის კანტორის დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულიარები, ინსტრუქციები საქონლის დამზადების ფასების, მიღების, დაცვის, დაფასოების, დამზადების და შალის კონტრქტაციის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ, სოციალისტური შეჯიბრების, საქონლისა და ფრინველის დამამზადებელ ანგარანებში მიღების წესების შესახებ; მოხსენებები, ანგარიშები საქონლისა და ფრინველის დამზადებისა და მოძრაობის შესახებ, საერთო კრებების ოქმები ხორცის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების, ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებელი ღონისძიებების შესახებ, საქონლის მიღებისათვის ეზოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ; საწარმოო ფინანსური გეგმები და ანგარიშები ძირითადი ფინანსური მოღვაწეობის შესახებ, მიმოწერა საქონლის დამზადების, რაიონული ანგარანების საქონლის საკვებით მომარაგების შესახებ, საშტატო განრიგები.

სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის საკავშირო გაერთიანების ბათუმის /რესპუბლიკური/ განყოფილება /„საკავშირო ნავთობექსპორტი“/

ფონდი რ-185; საქმეთა ერთეული 347, 1931-1934 წწ.; აღწერა.

შეიქმნა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნედლეულის საზღვარგარეთ გატანის მიზნით.

ფონდში დაცულია: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საკავშირო გაერთიანების ცირკულიარები, ინსტრუქციები და ბრძანებები, საზღვარგარეთის საგაჭრო ფირმებთან ნავთობპროდუქტების ექსპორტზე ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ, ბათუმის განყოფილების თანამშრომელთა თათბირების ოქმების გეგმების შესრულების შესახებ, ბრძანებები ანგარიშები 1930-1932 წლებში ნავთობპროდუქტების საექსპორტოდ გადატვირთვის შესახებ, ხელშეკრულებები და მიმოწერები სსრკ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნედლეულის ექსპორტის საკითხების შესახებ, ბათუმის განყოფილება „საკავშირო ნავთობექსპორტის“ მიმოწერები საზღვარგარეთის ფირმებთან სადავო საკითხებზე, სიები საზღვარგარეთ დაქირავებული გემების დასახელებებითა და ტონაჟის მითითებით, ბათუმის საზღვაო პორტიდან საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნედლეულის გატანის განხორციელების შესახებ.

საკავშირო გაერთიანებების „ექსპორტბური“ ბათუმის კანტორა

ფონდი რ-123; საქმეთა ერთეული 76, 1927-1940 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1924 წ.[1] 15 თებერვალს და დაექვემდებარა სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოებას „ექსპორტბური“, 1935 წელს[2] გადაერქვა სრულიად საკავშირო გაერთიანება „ექსპორტბურის“ ბათუმის კანტორა.

ფონდში ინახება: საკავშირო გაერთიანება „ექსპორტბურის“ ბრძანებები, დირექტივები, ინსტრუქციები, საუწყებათაშორისო თათბირების ოქმები სამეურნეო და სატრანსპორტო ორგანიზაციების საექსპორტო საქონლის ტვირთბრუნვის გაზრდის შესახებ, წლიური საწარმოო გეგმების განხილვის, დამტკიცების და მათი შესრულების შესახებ, საზღვარგარეთის საგაჭრო ფირმებთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, ირანისა და თურქეთის წარმომადგენლებთან მათი საქონლის ბათუმის გავლით ტრანზიტის შესახებ, მოხსენებები 1935 წელს ბათუმის კანტორის მოღვაწეობის შესახებ, საზღვარგარეთის გეგმების სიები, 1932 წ. ბათუმის პორტში საბჭოთა საექსპორტო საქონლის შემოტანის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისარიატის საგარეო ვაჭრობის რწმუნებული ამიერკავკასიაში, აჭარის ასსრ-ში საექსპორტო სატყეო მასალების ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორი

ფონდი რ-685; საქმეთა ერთეული 12, 1927-1935წ.; აღწერა.

შეიქმნა 1927 წლის[3] 20 იანვარს საექსპორტო სატყეო მასალების ხარისხის შემოწმებისა და კონტროლის მიზნით.

ფონდში ინახება: ამიერკავკასიიდან საექსპორტო საქონლის გატანის მიზნით /1927 წ./ ინსტრუქციები, დებულება ბათუმის საკონტროლო პუნქტის მეთვალყურეობის შესახებ,მოხსენებები, ანგარიშები, თათბირების ოქმები სსრკ სახალხო კომისარიატის გაჭრობის სამმართველოს ექსპორტ-იმპორტის სტანდარტისა და წუნდების ამიერკავკასიის საექსპორტო სატყეო მასალების საკითხებზე, 1934-1935 წწ. ბათუმის განყოფილების „ექსპორტტყე“ და საექსპორტო სატყეო მასალების სახელმწიფო ინსპექციების მოღვაწეობის შესახებ, 1932-1935 წ.წ. ტყის ექსპორტის, ტყის ჯიშების ნაირსახეობის საექსპორტოდ დამზადების შესახებ, საექსპორტო სატყეო მასალების დათვალიერების აქტები, აჭარის ტყის იმ ჯიშების სიები, რომლებიც განკუთვნილია საზღვარგარეთ გასატანად; ტყის სახინსპექტორის საფინანსო ანგარიშები.

ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საჭართველოს კანტორის ბათუმის საგაჭრო ბაზა /„ქსოვილგასაღება“/

ფონდი რ-137; საქმეთა ერთეული 111, 1932-1940 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1932[4] წლის 4 ოქტომბერს შემდეგი დასახელებით: ბამბეულის წარმოების მთავარი სამმართველოს საქართველოს ანგარანის ბათუმის განყოფილება-„ქსოვილგასაღება“.

1934 წლის 30 აპრილს მას გადაერქვა სახელი და ეწოდა ბათუმის საგაჭრო ბაზა „საკავშირო ბამბის გასაღება“, 1938 წლის 25 აგვისტოს სსრკ სკს არსებული ეკოსაბჭოს დადგენილებების საფუძველზე 1938 წლის 2 აგვისტოს დაერქვა ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს ანგარანის ბათუმის საგაჭრო ბაზა[5].

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-123, საქ. 9, ფ. 27.
2. იქვე, საქ. 26, ფონდი 345.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-685, საქ. 2, ფ. 15.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-685, საქ. 44, ფ. 83.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-685, საქ. 90, ფ. 22.

ფონდში ინახება: სსრკ სახალხო კომისარიატის მსუბუქი მრეწველობისა და ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს ანგარანის დადგენილებები, ცირკულიარები, განკარგულებები, ბრძანებები, ინსტრუციები, დებულებები აჭარის სავაჭრო ორგანიზაციების მანუფაქტურით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაადგილების დაჩქარების შესახებ, საქონლის გეგმიური რეალიზაციის შესახებ, ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სავაჭრო ბაზების მუშაობისა და დაჩქარების შესახებ, თათბირების ოქმები, თანამშრომელთა საერთო კრების, ბათუმის სავაჭრო ბაზის, ასორტიმენტული კომისიის წლიური გეგმების შესრულების შესახებ, აჭარის სავაჭრო ორგანიზაციების მანუფაქტურების გადმოტვირთვისა ამიერკავკასიაში სავაჭრო ქსელის განვითარების პერსპექტივების, ბათუმის სავაჭრო ბაზის მუშაობის გაუმჯობესების, გასავლიანი და გაუსავლიანი საქონლის და მათი გაუსაღებლობის მიზეზების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესახებ, მოხსენებები, ანგარიშები, 1933-1936 წწ. ბათუმის სავაჭრო ბაზის მუშაობის შესახებ, 1935-1939 წწ. წლიური ფინანსური ანგარიშები; ანგარიშების კონსტრუქტურული მიმოხილვები სასამართლო-არბიტრაჟული საქმეების მოძრაობის შესახებ.

დამზადების კანტორები

1. სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებებით მომარაგების საქართველოს რესპუბლიკის ანგარანის აჭარის განყოფილება - „საქსოფმომარაგება“;
ფონდი რ-275; საქმეთა ერთეული 8, 1939-1944 წწ.; აღწერა 1.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ სახკომის დადგენილებები მინერალური სასუქების გატანის შესახებ, საქ. სსრ და ასსრ დადგენილებები ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანის, აღრიცხვის და შენახვის გაუმჯობესების შესახებ; დადგენილებები თამბაქოს აღების გეგმის შესრულების შესახებ, აჭარის ასსრ სახკომის დადგენილება აჭარის კოლმეურნეობისა და მეურნეობებში მეფუტკრეობის გაუმჯობესების შესახებ და სხვა.

2 .„საქხილბოსტნეულკონსერვტრესტის“ აჭარის ციტრუსების დამამზადებელი ანგარანი;
ფონდი რ-451; საქმეთა ერთეული 27, 1944-1945 წწ.; აღწერა 2.
შეიქმნა 1936 წელს, მისი მთავარი დანიშნულება იყო ციტრუსების შესყიდვა, გადამუშაება და დამზადება.
ფონდში დაცულია: ბრძანების წიგნები, წლიური ანგარიშები, საშტატო განრიგი, თანამშრომელთა სიები.

3. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო მომარაგების და გასაღების აჭარის ანგარანი.
ფონდი რ-666, საქმეთა ერთეული 69, 1939-1950 წწ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: ბრძანებების წიგნები, პირადი ბარათები, ხელფასის უწყისები, წლიური ანგარიშები და ბალანსები.

4. საქართველოს წამლის ნედლეულის დამამზადებელი ანგარანი.
ფონდი რ-670; საქმეთა ერთეული 127, 1939-1952 წწ.; აღწერა. შეიქმნა 1940 წელს, დაექვემდებარა სსრკ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

ფონდში დაცულია: მიმოწერები წამლის ნედლეულის დამზადების შესახებ; ბრძანებათა ასლები, მიმოწერები დაფინანსების წესახებ „მთავარწამალ ტექმრეწველობა“ და სხვა.
1952 წლის 19 ივლისს ანგარანი ლიკვიდირებული იქნა სსრკ ჯამრთელობის სამინისტროს ბრძ. №-3070-ის საფუძველზე.

5. ბათუმის რაიონული დამამზადებელი ანგარანი:
ფონდი რ-276; საქმეთა ერთეული 7, 1936-1944 წწ.; აღწერა 1. შეიქმნა ქ. ბათუმში 1936 წელს.

ფონდში დაცულია: წლიური გეგმები ტყავნედლეულის დამზადების შესახებ, დადგენილებები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, ტყავნედლეულის სახელმწიფოზე ჩაბარების შესახებ, მიმოწერები და თანამშრომელთა სიები.

6. სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით მომარაგების სამმართველოს ბათუმის განყოფილების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბი.
ფონდი რ-297; საქმეთა ერთეული 9, 1938-1942 წწ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: საწარმოო-ფინანსური გეგმები, ანგარიშები ობიექტების მდგომარეობის შესახებ, სამუშაო გეგმები და სხვა.

7. აჭარის ასსრ ს/პროდუქციის დამზადების ქედის რაიონული სახელმწიფო ინსპექტურა.
ფონდი რ-751; საქმეთა ერთეული 631, 1934-1980 წწ.; აღწერა 1.

ფონდში დაცულია: ქედის რაიაღმასკომის დადგენილებები, საკარმიდამო მიწების აზომვის აქტები, წლიური ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები, მიწათმოსარგებლეთა სიები, საწარმოო-საფინანსო გეგმები, მოხსენებითი ბარათები და სხვა.

8. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ქედის რაიონული რწმუნებული.
ფონდი რ-752; საქმეთა ერთეული 31, 1937-1955 წწ.; აღწერა 1, 2. შეიქმნა 1936 წელს, გაუქმდა 1956 წლის 24 იანვარს.

ფონდში დაცულია: სტატისტიკური ცნობები მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების შესახებ, საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვები, დამზადების გეგმები, დასკვნითი ანგარიშები, ბრძანების წიგნები, ხელფასის უწყისები, მუშა-მოსამსახურეთა სიები.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XII

დაფინანსებისა და დაზღვევის ორგანოთა

ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

ფონდი რ-49; საქმეთა ერთეული 3181, 1942-1990 წ.წ.; აღწერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის №-54 დეკრეტის საფუძველზე. 1946[1] წლის 15 მარტს რეორგანიზებული იქნა აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროდ.

ფონდში ინახება: საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის /ასფსრ/ საქართველოს რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომიტეტების /სამინისტროების/ დადგენილებები და განკარგულებები, საკანონმდებლო და ინსტრუქციული მასალები ბეგარის შეწერის წესის შესახებ. გეგმები, ანგარიშები, ცხრილები და გაანგარიშებები სახელმწიფო შემოსავალზე, სხვა ტიპის ბეგარის გადარიცხვებისა და აღებათა თაობაზე. ანგარიშები და მოხსენებები ფულადი რესურსების მობილიზაციის შესახებ აჭარაში. დაწესებულებებსა და საწარმოებში მოანგარიშეების შემოღების წესის, საფინანსო და საბიუჯეტო მდგომარეობის, აჭარის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რაიონების სახალხო მეურნეობის დარგების და საწარმოების საბიუჯეტო-საკასო გეგმები, ფინანსური გეგმები, კაპიტალ-დაბანდებათა ფინანსების ლიმიტები და ანგარიშები მათ შესრულებაზე.

სახალხო კომისარიატთა საბჭოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო კომისიის სხდომათა ოქმები, შავი ჭირისაგან საქონლის დაღუპვის, დაზარალებული გლეხებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის სახსრების გამოყოფის თაობაზე, აჭარის წყლის ელექტროსადგურების /აღ. 4-ბ, საქ. 10, ფ. 116/, ხულოს რაიონში გეტერინალური პუნქტების მშენებლობის, სათესი კამპანიის ჩატარების, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის, სკოლების ასაშენებლად დამატებითი სახსრების გამოყოფისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების ფინანსების შესახებ, მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საბიუჯეტო-ხარჯთსააღრიცხვო და საკასო-საოპერაციო საკითხების, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი დაწესებულებების საქმიანობაზე მეთვალყურეობის, გადასახადებისა და შემოსავლების აკრეფის, ფულადი და მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის შემოწმების, რესპუბლიკური და ადგილობრივ გადასახადების შემოღების, მრეწველობაში, სავაჭრო და საკრედიტო საწარმოებში დაბანდებული სახელმწიფო სახსრების ანგარიშების შესახებ. აჭარის ყველა დაქვემდებარების საფინანსო დაწესებულებათა ზედამხედველობის შესახებ. ყველა დაწესებულებების, წარმოებისა და საფინანსო კანონმდებელი პირების მიერ საუწყებო განკარგულებების შესრულებაზე მეთვალყურეობის შესახებ. აჭარის რაიონებისა და მაზრების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, სახალხო კომისარიატებისა და საფინანსო განყოფილებების ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშები, სამაზრო კერძო მეურნეობის სიები, ინდივიდუალური წესით დაბეგვრის, საწარმოთა, სოფლის მეურნეობის და სხვა ფინანსური საქმიანობის გამოკვლევის აქტები.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური ანგარანი

ფონდი რ-37, საქმეთა ერთეული 1785, 1922-1990 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1921 წლის 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის დადგენილების საფუძველზე,[2] საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის კრედიტორებისა და ფინანსირებისათვის წარმოადგენს შუამავალს საუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის ანგარიშსწორების საქმეში.

---

1. ცსა აჭარის ასსრ, ფ. რ-1, საქ.---ფ.---
2. ცსა აჭარის ასსრ, ფ. რ-87, საქ. 2, ფ. 1, 7.
   ფონდი რ-2, საქ. 1, გვ. 286, 287.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომიტეტის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბანკების გამგეობების ინსტრუქციები, ბრძანებები და ცირკულიარები კრედიტების გახსნის ახალი წესების შემოღების, ფულადი ჩეკების გაცემის, წლიური ანგარიშების შედგენის, რუქების და საგადასახადო დავალებების გადახდის წესების შესახებ, ფულადი სახსრების მობილიზაციის, საზღვარგარეთ სავალუტო ღირებულებების გადაყვანის წესების, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის და რაიონული განყოფილებების ფილიალების გახსნისა და გარდაქმნის, სასაქონლო სესხის ოპერაციების წარმოების წესების შესახებ, სახელმწიფო სესხების რეალიზაციის, მოგებათა გადახდის წესის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების სახელმწიფო ფულადი სახსრების ანგარიშის, შენახვისა და ხარჯვის შესახებ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის სხდომათა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის კონტროლის საწარმოო თათბირების ოქმები საბანკო ოპერაციების მოწესრიგების შედეგების შესახებ, შრომითი დისციპლინის ამაღლების, საწყობის წიგნის შემოღების შესახებ, კრედიტების გახსნის, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ უწყებათა საქმიანობაზე კონტროლის დაწესების შესახებ, ფულადი და რეალური ფასეულობების ბრუნვის შემოწმების, სამრეწველო საგაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებში და საწარმოებში დაბანდებული სახელმწიფო კაპიტალების აღრიცხვის შესახებ.

ანგარანის საკრედიტო გეგმები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები 1928-1941 წ.წ. მიმდინარე კაპიტალდაბანდებაზე წლიური სტატისტიკური ანგარიშები, მოხსენებები საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის კანტორის საქმიანობის შესახებ 1924-1925 წწ. /აღწერა 1 საქართველოს 5 ფფ. 107, 109/, მოხსენებეთი ბარათები საკრედიტო გეგმების შესრულების შესახებ, საზღვარგარეთულ ოპერაციებზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის შესახებ, სახელმწიფო ბანკის აჭარის ანგარანის სექტორების მუშაობის გამოკვლევების აქტები, სარეზერვო ფონდების, ბილეთებისა და სახაზინო ვალუტის რეალიზაცია, ოპერატიული საანგარიშო სამუშაოების, საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშიანობის შემოწმებები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სახსრების, სადამოსსალაროს, ხელფასის ფონდების ხარჯთაღრიცხვა, საქართველოს ჩაის გაჭრობის სააქციონერო საზოგადოების წესდება 1928 წლისათვის /აღწერა 1, საქ. 9/, უცხოურ ბანკებთან და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებთან მიმოწერა ფულადი ოპერაციებისა და ურთიერთ-ანგარიშების შესახებ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘ

სსრკ სასოფლო-სამეურნეო ბანკის აჭარის კანტორა.
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-58, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 417, 1920-1959 ᲬᲬ.;

სსრკ მრეწველბანკის აჭარის კანტორა.
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-843, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 151, 1938-1944 ᲬᲬ.;

შეიქმნა 1937 წლის 1 ნოემბერს[1].
საქართველოს რესპუბლიკის სააქციო ბანკის „კავკასიის ბანკის“ ქ. ბათუმის ფილიალი.
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-338, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 7, 1992-1995 ᲬᲬ.;

შეიქმნა 1992 წლის 24 იანვარს „კავკასიის ბანკის“ საბჭოს გადაწყვეტილებით[2].
ლიკვიდირებული იქნა 1995 წლის 10 აგვისტოდან[3].
საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის აჭარის კანტორა.
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-513, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 108, 1934-1959 ᲬᲬ.;
9ს

ბათუმის სააქციონერო საგადასახადო სამმართველო
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-486, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 1, 1923 ᲬᲬ.;

აჭარის ასსრ მთავარი რევიზორ-კონტროლიორი.
ᲤᲝᲜᲓᲘ რ-801, ᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 22, 1936-1955 ᲬᲬ.;

---

1. ცსა აჭარის ასსრ, ფონდი რ-843, საქ. 1, ფ. 1.
2. ფონდი რ-338, საქ. 1, ფ. 1, 5.
3. იგივე, საქ. 4, ფ. 44.
4. ფონდი რ-801, ბ/საქ. ფ.1, 2.

შეიქმნა 1938 წლის 1 ივლისიდან ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. 1949 წლიდან რეორგანიზებული იყო მთავარ რევიზორ-კონტროლიორის აპარატად[4].

ფონდებში ინახება: საბჭოთა კავშირის, აჭარის ფინანსთა სახალხო კომისარიატის /სამინისტროს/, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ბანკის ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულარები ფინანსირებისა და კრედიტორების საკითხებზე, საბანკო ოპერაციების წარმოების საკითხებზე, ფინანსირებისა და კრედიტების გეგმები, მათი შესრულების ანგარიშები, საკრედიტო მუშაობის, კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების მოძრაობის, მშენებლობათათვის შიგა რესურსების მობილიზაციის შესახებ ცნობები, ნაერთი ცხრილები სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსირების და საკუთარი სახსრების მიზიდვის შესახებ, სამრეწველო საწარმოთა მიერ კაპიტალდაბანდებების გეგმების შესრულების შესახებ, მშენებლობაზე კანტორის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშები.

საფინანსო განყოფილებები

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.
ფონდი რ-890, საქმეთა ერთეული 2043, 1930-1956 წ.წ.;
18ს

შეიქმნა 1940 წელს 18 დეკემბერს, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.[1]

ბათუმის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.
ფონდი რ-1038, საქმეთა ერთეული 1200, 1937-1994 წ.წ.;

შეიქმნა 1930 წლის ოქტომბერს, მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.[2]

ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ფინანსური განყოფილება.
ფონდი რ-240, საქმეთა ერთეული 20, 1928-1957 წ.წ.;

შეიქმნა 1930 წლის ოქტომბერს, მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.[3]

ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.
ფონდი რ-761, საქმეთა ერთეული 673, 1930-1978 წ.წ.;

შეიქმნა 1930 წლის ოქტომბერს, მშრომელთა დეპუტატების ქედის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.[4]

შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.
ფონდი რ-1099, საქმეთა ერთეული 56, 1953-1957 წ.წ.;

შეიქმნა 1930 წლის ოქტომბერს, მშრომელთა დეპუტატების შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება.
ფონდი რ-315, საქმეთა ერთეული 130, 1930-1937 წ.წ.;

შეიქმნა 1930 წლის 27 ნოემბერს, მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით[5].

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-17, საქ. 3, ფ. 6,; აღწერა.
2. ფონდი რ-18, საქ. 1, ფ. 4, აღწერა.
3. ფონდი რ-261, საქ. 1, ფ. 15, აღწერა.
4. აჭარის ასსრ ცსა, იქვე, ფონდი რ-750, საქ. 1, ფ. 277, აღწერა.

ფონდებში დაცულია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის /სამინისტროს/ დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულარები, ინსტრუქციები. ბათუმის რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებები და განკარგულებები საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, კოლმეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ქალაქისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმის სხდომათა ოქმები სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ფულადი სახსრების მობილიზაციისა და სათესი კამპანიის ჩატარების შესახებ, სახელმწიფო სესხების გავრცელების შესახებ, რაიონული შემნახველი სალაროების მუშაობის შესახებ, დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საფინანსო კანონმდებლობის საუწყებო გამგებლობის პირთა მიერ გეგმების შესრულებაზე მეთვალყურეობის დაწესების და საუწყებო განკარგულებების შესრულების შესახებ; მოხსენებითი ბარათები ხარჯთასააღრიცხვო საბიუჯეტო და საკასო-ოპერაციულ საკითხებზე, სასოფლო კოოპერატივების, კოლმეურნეობების და დაწესებულებების მშენებლობაზე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები.

შემნახველი სალაროები

სსრკ სახელმწიფო ბანკის აჭარის ასსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო.

ფონდი რ-1004, საქმეთა ერთეული 222, 1947-1968 წწ.; ანაწერი.

შეიქმნა 1930 წლის 5 თებერვალს რესპუბლიკის შემოსავლების სალაროს ბაზაზე-სახელმწიფო შრომითი შემოსავლების სალაროს სამმართველოს სახელწოდებით, რომელმაც გააერთიანა აჭარის ასსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა შემნახველი სალაროების საქმიანობა.

1931 წლიდან ეწოდა აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შრომითი შემოსავლების შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტების სამმართველო.[1]

აჭარის ასსრ სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტების სამმართველოს ბათუმის რაიონული შემნახველი სალარო

ფონდი რ-48, საქმეთა ერთეული 56, 1944-1952 წწ.;
სახელმწიფო შემნახველი სალარო №-472.

ფონდი რ-287, საქმეთა ერთეული 2, 1926-1927 წწ.;

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირი „აჭარსოფლკრედიტკავშირი“.
ფონდი რ-56, საქმეთა ერთეული 52, 1927-1930 წწ.;

ფონდებში დაცულია: სსრკ, საქართველოს სსრ აჭარის ავტონომიური სსრ, აჭარის ავტონომიური სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ და საქართველოს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოების დადგენილებები და ბრძანებები მოგებათა ტირაჟების ჩატარების შესახებ, სახელმწიფო სესხების დაფარვის ტირაჟების შესახებ, მოსახლეობის სახსრების ანაბრებში მოზიდვის საქმეში შემნახველი სალაროების მუშაობისა და შემნახველი სალაროების მიერ მოსახლეობის ანაბრების მიზიდვის გეგმების შესრულების ღონისძიებების შესახებ, სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტისშესრულების უზრუნველყოფისათვის მიღებული ზომების შესახებ, საფინანსო ორგანოებში მუშაობის ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, შემნახველი სალაროების მუშაობის შესახებ, მუშაობის გეგმები, ცენტრალური და რაიონული შემნახველი სალაროების მიერ გეგმების შესრულების ანგარიშები, შემნახველი სალაროების ბალანსები, ფონდები და ხარჯთაღრიცხვები.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-1004, ბ/საქმე, ფ. 2.

სადაზღვევო ორგანოები

აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო /სახდაზღვევა/.

ფონდი რ-63, საქმეთა ერთეული 480, 1923-1966 წწ.; აღწერა.

რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის საქმის ხელმძღვანელობისათვის ქ. ბათუმში 1922 წლის 6 ოქტომბერს შეიქმნა აჭარის სახელმწიფო დაზღვევის სააგენტო[1].

1927 წლიდან სახელმწიფო დაზღვევის სააგენტო რეორგანიზებული იყო აჭარის სახელმწიფო დაზღვევის კანტორად[2].

ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სადაზღვევო ინსპექცია.

ფონდი რ-568, საქმეთა ერთეული 66, 1940-1957 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1939 წლის 17 დეკემბერს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით[3].

ბათუმის რესპუბლიკური სახაზინადრო.

ფონდი რ-286, საქმეთა ერთეული 1, 1923 წწ.; აღწერა.

ბათუმის რაიონული მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სადაზღვევო ინსპექცია.

ფონდი რ-1044, საქმეთა ერთეული 90, 1946-1958 წწ.; აღწერა.

ფონდებში დაცულია: საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების და საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველოს ბრძანებები, რესპუბლიკაში პირადი დაზღვევის ხაზით ჩატარებული მუშაობის, ბათუმის დაწესებულებათა სისტემაში რევიზიის ჩატარების შედეგების შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებები: სახელმწიფო დაზღვევის შემოსავლებისა და სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების მიმდინარეობის, საგალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გატარების, სახდაზღვევის ორგანოების მუშაობის შესახებ, წლიური და სტატისტიკური ანგარიშები, საფინანსო გეგმების ხარჯთაღრიცხვები და სხვა.

---

1. აჭარის ასსრ ცსა , ფონდი რ-63, საქ. 2, ფ. 2. აღწერა 1.
2. ფონდი რ-9, საქ. 3, ფ. 35. აღწერა 1.
3. ფონდი რ-2, საქ. 907, ფ. 41. აღწერა 1.

თ ა ვ ი XIII

კომუნალური მეურნეობის ორგანოების

ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო

ფონდი № რ-434; 424 საქმეთა ერთეული, 1933-1957 წ.წ; აღწერა; თემატური ბარათები.

ჩამოყალიბდა 1933 წლის 1 იანვარს სახელწოდებით საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სრულუფლებიანი სამმართველო აჭარის ასსრ-ში. მისი ფუნქცია იყო: აჭარის ასსრ-ში საცხოვრებელი და კომუნალური მშენებლობის ხელმძღვანელობა, 1937 წლის 23 ოქტომბრიდან სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობა გადაკეთდა აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად,[1] 1946 წლის 15 მარტიდან — „აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ".[2]

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 იანვრის №-84 დადგენილების საფუძველზე აჭარაში შეიქმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.[3]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 2 თებერვლის ბრძანებულებით რეორგანიზებული იქნა აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროდ.[4]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით გაუქმდა აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, შეიქმნა აჭარის ასსრ საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტრო, რომელიც ახორციელებდა საერთო ხელმძღვანელობას რესპუბლიკის საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებისადმი.

ფონდში დაცულია: სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის დირექტივები, დადგენილებები, ბრძანებები—ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მუნიციპალური შენობების იჯარით გაცემის შესახებ, კომუნალური ბანკის რეორგანიზაციის, ქალაქის წყალსადენის ქსელის გაფართოების, მიწის ნაკვეთების გამოყოფის, საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, საპარიკმახეროებისათვის შენობების აგების შესახებ. ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მის გარეუბნებში წყალსადენი მილებისათვის არხების აგების, ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისა და შარაგზების რემონტის, სანაპიროზე გასამაგრებელი სამუშაოების გეგმის შესრულების, სასმელი წყლის ქლორით გაწმენდის, ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის, საცხოვრებელი მეურნეობის საექსპლოატაციოდ დარეგულირების შესახებ, მასალები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კომუნალურ მეურნეობასთან არსებული კონტროლის ცენტრალური სამმენებლო სამმართველოსა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ. ქალაქების დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების, აჭარაში საცხოვრებელი და კულტურის სახლების მშენებლობის შესახებ, აჭარის ასსრ მიწათმოქმედების კოლეგიასთან ჩატარებული თათბირის ოქმები, რკინიგზისა და საზღვაო ვაგზლების გადაკეთების, ბნქ და ბონის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ნარჩენებისათვის ადგილის შერჩევის, ბათუმში 1933 წლისათვის კანალიზაციის მშენებლობის, 1934-1935 წლებში აჭარის ასსრ-ში კომუნალური მშენებლობის საქმის გარდაქმნის, აჭარის ასსრ-ში კომუნალური მშენებლობის განახლების შესახებ, აქვეა ქ. ბათუმის გეგმები, აჭარის ასსრ კომუნალური დაწესებულებების მიერ გეგმის შესრულების ანგარიშები და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის დაწესებულებების წლიური ფინანსური ანგარიშები, მრეწფინგეგმები, საქფინგეგმები, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან მიმოწერა კომუნალური მშენებლობის წლიური გეგმების შესრულების შესახებ, დაწესებულებების საწარმოო-ფინანსური და აჭარაში მეურნეობის განვითარების გეგმები, მოხსენებითი ბარათები ქ. ბათუმის კეთილმოწყობის შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-434, საქ. 1, ფ. 1.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-434, საქ. 33 ფ. 11.
3 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-434, აღწ. II საქ. 1, ფ. 1.
4 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-434, აღწ. I საქ. 114, ფ. 19.

აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატთა საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ფონდი № რ-9; 934 საქმეთა ერთეული, 1921-1934 წ.წ; აღწერა; თემატური ბარათები.

დაარსდა 1921 წლის 20 მარტს აჭარის რევკომის დროს.[1] 1922 წლის იანვრიდან გადაკეთდა აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის განყოფილებად.[2] მისი ფუნქცია იყო მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, განყოფილებაში შედიოდა: კომუნალური სახლები, ელექტრო-სადგურები, მუზეუმები, არქივი, ბულგარი, აბანოები, საპარიკმახეროები, სანიტარული ტრანსპორტი, წყალკანალი, კანალიზაციის მშენებლობა და მეეზოვე მუშები.

ფონდში ინახება: დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულიარები, რევკომის, სახალხო კომისართა საბჭოსა და აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ რიგის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარებოდა საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებების მშენებლობა კომუნალური მომსახურების წესების გამოყენებით; კომუნალური მომსახურების ცალკეული სახეობების სარგებლობის დროს საფასურის გაუქმების, უბინაოთა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების, ტრანსპორტისათვის თანხების გადიდების, ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის, კომუნალური მეურნეობის განყოფილებების, სექციების შექმნისა და მათი სტრუქტურის, მუშებისათვის ხელფასის მომატების, ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ძველის კაპიტალური რემონტის შესახებ, 1924 წლისათვის საცხოვრებელი ბინების სარგებლობისათვის საგადასახადო ტარიფის დაწესების, ტრამვაის ხაზის მშენებლობის, წყალგაყვანილობის ქსელის გაფართოების, 1928-1930 წ.წ. კანალაზაციის მშენებლობის, ქ. ბათუმის ე.წ. „ჭაობის“ რაიონში წყალსადინარი არხის აგების შესახებ. აქვეა ახალი საცხოვრებელი სახლების მიღების აქტები, კაპიტალური რემონტის ხარისხის შემოწმებისა და კომუნალური მეურნეობის კოლეგიის სხდომების ოქმები, კომუნალური ობიექტების, საგაჭრო ქსელის გაფართოების, ქალაქში დამატებითი სასწრაფო დახმარების, სამკურნალო პუნქტების გახსნის შესახებ, საშემოსავლო გადასახადების აკრეფის, კომუნალური სახლების საგაჭრო ორგანიზაციებისა და სამრეწველო დაწესებულებებისაგან გამოყოფის შესახებ; მოხსენებები და ანგარიშები განყოფილებების, კომუნალური მეურნეობის სექციების, სოფელ ნატანებთან ახლოს საბითუმო ნარჩენებისათვის ადგილის გამოყოფისა და საგაჭრო-სამრეწველო და კომუნალური დაწესებულებების მუშაობის შედეგების შემოწმების შესახებ, აქვეა საქრეწფინგეგმები, წლიური ფინანსური ანგარიშები, პროექტები და 1929 წლის კანალიზაციის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, მდინარე ყოროლისწყლის გასწვრივ ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოების, არდაგანის ყაზარმების რეკონსტრუქციის, ხიდების აშენების, 1929 წლის ქალაქის ელექტროსადგურისა და პურის ქარხნის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, კომუნალური მეურნეობის სისტემის დაწესებულებებისა და საწარმოების სიები.

ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილება

ფონდი № რ-930; 1142 საქმეთა ერთეული, 1925-1990 წ.წ; აღწერა.

შეიქმნა 1923 წელს.[3]

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები კრედიტების გაცემაზე, ბათუმში კომუნალური მეურნეობის აღდგენის შესახებ, აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმებიდან ამონაწერები და ბათუმის სამაზრო და ქალაქის აღმასკომების ოქმები ახალი საავადმყოფოს მშენებლობის შესახებ (1933 წ.)., ავიაქიმიის სახლის აშენების, ნავსადგურის კეთილმოწყობის, დახურული ბაზრის მშენებლობის, აჭარის საოლქო კომიტეტის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის, უწყებაში მყოფი აბანო-სამრეცხაო-საპარიკმახეროს მეურნეობის კომუნალური განყოფილებისათვის გადაცემის შესახებ, ცნობები კომუნალური დაწესებულებების მიერ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ, დირექტიული წერილი სსრკ კომუნალური მეურნეობის პროფკავშირის

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1, საქ. 29, ფ. 30.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-9, საქ. 2, ფ. 39.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-2, აღწ. I, საქ. 38, ფ. 295.

კომუნალური მეურნეობის პროფკავშირის ც.კ. 1949 წლისათვის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების, სახელმწიფო ბანკისა და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინიტროს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მიმოწერა პიონერთა პარკში ნურიე-გელის ტბასთან და ე.წ. „ჭაობის“ რაიონში ჭაობის დაშრობის თაობაზე, მდინარეების „ბარცხანისა“ და „ყოროლისწყლის“ ნაპირების გამაგრების შესახებ, სასუქის ქარხნის მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ, კომუნალური დაწესებულებებისა და ქვეგანყოფილებების ჯამობრივი ფინანსური გეგმები, ბიუჯეტი, საშტატო აღრიცხვები.

ფონდში ამრიგად დაცულია: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებები, ქ. ბათუმის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ძირითადი საქმიანობის (1985-1990 წ.წ.), წყალსადენის სათავე მეურნეობათა ქსელის სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქ. ბათუმის საბინაო კომუნალური მეურნეობის სამმართველოსთან სარემონტო-სააშენებლო უბნის შექმნის შესახებ; ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები რიგი ქუჩებისათვის სახელწოდების შეცვლის, სასმელი წყლის ხმარების ლიმიტის დამტკიცების, ბულვარისა და ქუჩების კეთილმოწყობის შესახებ; ანგარიშები შრომითი გეგმის შესრულების, გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებეთა გატარების, საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის შესრულების შესახებ; საწარმოო-საფინანსო გეგმები, საშტატო განრიგები, წლიური ბალანსები და სხვა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური მეურნეობების განყოფილებები

ქობულეთის კომუნალური მეურნეობის განყოფილება:
ფონდი № რ-228; 82 საქმეთა ერთეული, 1938-1940 წ.წ; აღწერა.

მშრომელთა დეპუტატების ქედის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება:
ფონდი № რ-827; 341 საქმეთა ერთეული, 1941-1980 წ.წ; აღწერა.

მშრომელთა დეპუტატების შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება:
ფონდი № რ-1159; 25 საქმეთა ერთეული, 1954-1995 წ.წ; აღწერა.
შეიქმნა 1959 წლის 4 სექტემბერს.[1]
მათი ფუნქცია იყო: რაიონის ცენტრების კეთილმოწყობა და გამწვანება, კომუნალური სახლების მშენებლობის ხელმძღვანელობა.

ფონდებში დაცულია: რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებები მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ რაიონის ცენტრში კომუნალური სახლების ასაშენებლად, რაიონის ცენტრების ელექტროფიკაციის შესახებ, სახლების ასაშენებლად პროექტების მომზადება, განყოფილებების ხელფასები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, საშტატო აღრიცხვები.

ბათუმის ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ტრესტი (წყალკანალი)

ფონდი № რ-182; 254 საქმეთა ერთეული, 1921-1967 წ.წ; აღწერა.
1921 წლიდან 1930 წლამდე არსებობდა კომუნალური მეურნეობისა და ბათუმის აღმასკომის კანალიზაციის კომუნალური მშენებლობის განყოფილების კომუნალური წყალგაყვანილობის სახელოსნოს[2] სახელწოდებით.
1930 წლიდან მიიღო სახელწოდება-ბათუმის აღმასკომის კომუნალური განყოფილების წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სამმართველო — „წყალკანალი“,[3] 1938 წლიდან--ბათუმის აღმასკომის კომუნალური განყოფილების „წყალკანალის“ ტრესტი.[4]

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1030, აღწ. I, საქ. 35, ფ. 5.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-182, საქ. 2, ფ. 19.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-182, საქ. 2, ფ. 1.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-182, საქ. 55, ფ. 12, 16.

ფონდში დაცულია: დადგენილებები ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქ. ბათუმის მდინარე ყოროლისწყლით მომარაგების, საბინაო კანალიზაციის მშენებლობის, წყალგაყვანილობის რეკონსტრუქციის, მდინარეთა ადიდების წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარების, კომუნალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მიმდინარეობის, სააშენებლო მასალებით მომარაგების შესახებ; ბათუმის ნავთობქარხნის დასახლების, ბონის, ციხისძირის ჩამდინარე სამრეწველო წყლების დაბინძურების ხარისხის განსაზღვრისათვის კომისიის გამოყოფის შესახებ, „ტრესტ წყალკანალის“ დებულებები და წესდებები: ანგარიშები ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი წყაროების გამოყენების, მოხსენებები წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგების შესახებ, წყალგაყვანილობის ქსელის გაზრდის საკითხებთან დაკავშირებით კომისიის სხდომის ოქმები, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებები და საწარმოო თათბირები წყალგაყვანილობის ქსელის გაზრდის შესახებ, მოსახლეობის სუფთა წყლით მომარაგების, შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვის, საწარმოო გეგმების შესრულების, წყალგაყვანილობის რემონტის, შრომითი დისციპლინის, მუშებისა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო კულტურული პირობების გაუმჯობესების შესახებ, წყლის ქლორირებისა და დაზიანებული წყალგაყვანილობის მილების რემონტის, საცხოვრებელი სახლების კანალიზაციის გაყვანილობის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, დათვალიერების აქტები, გაზომვები და წყლის ქიმიური ანალიზები, ბათუმის საქალაქო წყალგაყვანილობის აბონენტების მიერ დახარჯული წყლის უწყებები, წყლით სარგებლობისათვის გადასახადების დაწესების შესახებ, სამრეწველო დაწესებულებების წყლით მომარაგების თაობაზე ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან მიმოწერისა და საცხოვრებელი სახლების მცხოვრებლებთან წყალგაყვანილობისა და რემონტის, ქალაქში ახალი წყალგაყვანილობის ექსპლუატაციაში შეყვანის შესახებ და სხვა.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების ელექტრომოწყობილობის სამმართველო

ფონდი № რ-888; 153 საქმეთა ერთეული, 1929-1960 წ.წ; აღწერა.

ქ. ბათუმში ცენტრალური ელექტროსადგური არსებობს 1898 წლიდან.[1]

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წლის 25 მაისიდან ელექტროსადგურები დაექვემდებარა აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს.[2] 1924 წლიდან კი აჭარის სახალხო მეურნეობის კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას.[3] 1926 წლიდან იგი გადავიდა ბათუმის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში.[4]

1935 წელს ბათუმის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში მოხდა ბათუმის ელექტრომოწყობილობების სამმართველოს გაერთიანება.

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილების, აჭარის ასსრ და ბათუმის აღმასკომის ბრძანებები და დადგენილებები სოციალისტური შეჯიბრების, დაჯილდოების, ელექტროქსელების რეკონსტრუქციის შესახებ, მაღალი და დაბალი ძაბვის დენის გასატარებლად საჰაერო მოწყობილობის მომზადების, ტრანსფორმატორების, ელექტროფირფიტების გამართვის შესახებ და სხვა; ბათუმის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომების ოქმები ელექტროსადგურებისა და ელექტროგენერატორების, რემონტისა და რეკონსტრუქციის, ელექტროენერგიის მოხმარების წესების შესახებ; წლიური ანგარიშები, საშტატო განრიგი, სამრეწველო ფინანსური გეგმები, ელექტროქსელის, ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ნახაზები.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-888, აღწ. I, საქ. 1, ფ. 9.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1, აღწ. I, საქ. 1, ფ. 39.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-888, აღწ. I, საქ. 1, ფ. 1.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-888, აღწ. I, საქ. 1, ფ. 27.

მშრომელთა დეპუტატების ქ. ბათუმის აღმასკომის საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველო

ფონდი № რ-232; 114 საქმეთა ერთეული, 1925-1941 წ.წ; აღწერა.

მშრომელთა დეპუტატების ქ. ბათუმის აღმასკომის საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველო შეიქმნა 1921 წელს, კომუნალური მეურნეობა კი მის ერთ-ერთ ქვეგანყოფილებას შეადგენდა. 1925 წლიდან იგი გადაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოდ.

(საწუძველი: ფონდი № რ-10; 14, საქმეთა ერთეული, ფ. 105, 3 საქმეთა ერთეული, ფ. 97)

კეთილმოწყობის სამმართველოს ფუნქციებს შეადგენდა: ქუჩების შეკეთება, მოკირწყვლა, მოასფალტება, ქალაქის გამწვანება, ქალაქის ბაღისა და სასაფლაოს მოვლა, ჭაობიანი ადგილების ამოშრობა, ქალაქის ბაზრის კეთილმოწყობა და სხვა.

მის სტრუქტურულ ნაწილს შეიცავდა საქმეთა მმართველობა და ბუღალტერია. სტრუქტურული ნაწილის შეცვლა არ მომხდარა.

ფონდში დაცულია: ბრძანებების წიგნი, აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, კეთილმოწყობის სამმართველოს საანგარიშო მოხსენებები, სამუშაო გეგმები, ხელფასის უწყისები.

აჭარის ასსრ საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტრო

ფონდი № რ-440; აღწერა I, 952 საქმეთა ერთეული, 1963-1991 წ.წ; აღწერა.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 იანვრის №-54 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, რომელიც ახორციელებდა ხელმძღვანელობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგისადმი დაჩქარებულ კომპლექსურ განვითარებასა და მუშაობის სრულყოფას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 თებერვლის ბრძანებულებით იგი გადაკეთდა აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროდ იგივე ფუნქციებითა და სტრუქტურული დანაყოფებით (აღწერა I, საქმე 114, ფურცელი 19).

აჭარის ასსრ მსმ სამინისტრო შედგებოდა შემდეგი სტრუქტურული დანაყოფებისაგან: საერთო, საგეგმო-საფინანსო და საწარმოო ტექნიკური განყოფილებები, კადრების სექტორი და ბუღალტერია.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით გაუქმდა აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროები და შეიქმნა აჭარის ასსრ საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, რომელიც ახორციელებდა ხელმძღვანელობას რესპუბლიკის საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგისადმი.

სამინისტრო თავისი საქმიანობით ექვემდებარებოდა აჭარის ასსრ მინიტრთა საბჭოსა და საქართველოს საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინიტროს. მის ძირითად ამოცანას შეადგენდა აჭარის ტერიტორიაზე საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

კომუნალური ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც მეგზურში შესულია სიის სახით

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების სასტუმრო „აჭარა“.
ფონდი № რ-956; 3 საქმეთა ერთეული, 1938-1939 წ.წ.

ბათუმის საბინაო მეურნეობის ტრესტი.
ფონდი № რ-334; 77 საქმეთა ერთეული, 1981-1991 წ.წ.

აბანო-საპარიკმახეროების ტრესტი „ჰიგიენა“.
ფონდი № რ-431; 145 საქმეთა ერთეული, 1931-1991 წ.წ.

მწვანე ნარგავთა ტრესტი.
ფონდი № რ-560; 125 საქმეთა ერთეული, 1923-1959 წ.წ.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო.
ფონდი № რ-689; 1719 საქმეთა ერთეული, 1922-1962 წ.წ.

ქ. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სასტუმრო „მოსკოვი“.
ფონდი № რ-957; 2 საქმეთა ერთეული, 1937-1938 წ.წ.

ბათუმის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარენდო-საექსპლოატაციო სამმართველო.
ფონდი № რ-889; 240 საქმეთა ერთეული, 1934-1937 წ.წ; აღწერა.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მომარაგების სამმართველო.
ფონდი № რ-937; 63 საქმეთა ერთეული, 1936-1954 წ.წ.

შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გაერთიანება.
ფონდი № რ-1159; 25 საქმეთა ერთეული, 1954-1958 წ.წ.

ქ. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.
ფონდი № რ-410; 416 საქმეთა ერთეული, 1963-1986 წ.წ.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურო.
ფონდი № რ-1196; 2350 საქმეთა ერთეული, 1930-1960 წ.წ.

ქ. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს სასტუმრო „ინტერნაციონალი“.
ფონდი № რ-955; 8 საქმეთა ერთეული, 1938-1940 წ.წ.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების სასაფლაო მეურნეობის სამმართველო.
ფონდი № რ-938; 19 საქმეთა ერთეული, 1944-49 წ.წ.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება, სასტუმრო „პირველი მაისი“.
ფონდი № რ-953; 110 საქმეთა ერთეული, 1937-1956 წ.წ.

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეკორატიული კულტურების ბათუმის სანერგე.
ფონდი № რ-445; 67 საქმეთა ერთეული, 1936-1963 წ.წ.

ბათუმის გაერთიანებულ კომუნალურ საწარმოთა სამმართველო.
ფონდი № რ-292; 7 საქმეთა ერთეული, 1925-1927 წ.წ.

თ ა ვ ი XIV

სახალხო განათლების ორგანოების ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო (განსახკომი)

ფონდი რ-5, საქმეთა ერთეული 4319, 1921-1983 წწ.; აღწერა: თემატური ბარათები.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის №-54 დეკრეტის თანახმად აჭარისტანის რევკომთან არსებული სახალხო განათლების განყოფილება რეორგანიზებული იქნა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატად[1] /განსახკომი/.

მის ფუნქციას წარმოადგენდა ხელმძღვანელობა გაეწია სახალხო განათლების მთლიანი სისტემისა და ბავშვთა სკოლამდელი აღზრდისათვის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1946 წლის 27 მარტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს 28 მარტის ბრძანებულებით სახალხო კომისარიატები გარდაიქმნა სამინისტროებად. განსახკომს ეწოდა აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1990 წლის 5 დეკემბრს მას ეწოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო[2].

ფონდში დაცულია: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის /ცაკ/, სახალხო კომისართა საბჭოს /სკს/, მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ, საქართველოს რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დადგენილებები, ბრძანებები და ინსტრუქციები-აჭარაში სახალხო განათლების მდგომარეობის, განათლების ორგანოების ამოცანების, მუზეუმების დაარსების, სასწავლო-კვლევითი დაწესებულებებისა და პოლიტექნიკურ განათლების სკოლების ორგანიზაციის, პოლიტიკური, მხატვრული, პედაგოგიური და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის, საბავშვო ბაგა-ბაღისა და არასრულწლოვანთა კოლონიის მუშაობის ორგანიზაციის, უპატრონო ბავშვთა სოციალურ-სამართლებრივი და მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზაციის, მათი მეურნეობის წესების,სასწავლო პროგრამებისა და გეგმების შედეგების, სასკოლო დაწესებულებათა შენახვის წესის, სკოლებში ტურისტული საქმის შემდგომი განვითარების, პედაგოგთა მატერიალური ანაზღაურების, სადამრიგებლო მუშაობის ცენზის განსაზღვრის, შრომითი სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დებულების შემუშავებისა და მათი მუშაობის ორგანიზაციის, რუსული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების, პედაგოგთა კვალიფიციური კადრებით სოფლის სკოლების დაკომპლექტების, პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზაციის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მცირეწლოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების დანერგვის, სტუდენტთა მიღებისა და შერჩევის ნორმების დადგენის, სასწავლო დაწესებულებების-სახელოსნოების, ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, კულტურულ დაწესებულებათა რეორგანიზაციის, ანგარიშების წარმოდგენის წესის, ქ, ბათუმის ქალთა და გაჟთა 8-წლიანი სკოლების გაერთიანებისა და საშუალო სკოლად გადაკეთების, რაიონული დაქვემდებარების პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რესპუბლიკური დაქვემდებარების სასახლედ რეორგანიზაციის, საშუალო სკოლებში მოსამზადებელი კლასების გახსნის (1970 წ.), აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსთან ცენტრალიზებული ბუღალტერიის შექმნის, (1977 წ.) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თეატრალური ხელოვნების კვირეულის ჩატარების (1977-1980 წ.წ.) შესახებ.;

აქვე დაცულია სამუშაო და საწარმოო-საფინანსო გეგმები, ოქმები: აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომების, საერთო კრებების-აჭარის ქალაქებისა და რაიონების სკოლების სასწავლო და დამხმარე ლიტერატურით მომარაგების, ყველა სამაზრო ცენტრში სკოლა-ინტერნატების დაარსების, აჭარის ასსრ ცაკ-ის 1925 წლის დადგენილების შესაბამისად ქალაქების სკოლების რეორგანიზაციის, კერძოდ აუცილებელი 7-წლიანი განათლების, 1929 წელს უკრაინის სსრ აღმოსავლეთმცოდნეობის ასოციაციის სხდომაზე დელეგატების წარგზავნის, განსახკომთან არსებული განსაკუთრებული კომისიის 1922 წლის სხდომისა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად კანდიდატების შერჩევის შესახებ; მოხსენებები და ანგარიშები აჭარის განსახკომის, სახალხო განათლების რაიონული განყოფილებების, სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის, სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩატარების, 1925 წელს ა.მგელაძის პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს ჩატარების /საქ. 111/ შესახებ; წლიური

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-1, საქ. 78, ფ. 121-122.
2. აჭარის ცსა, გაზეთი „აჭარა“ №-242 1990 წლის 19 დეკემბერი.

სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშები კაპიტალური მშენებლობის, რემონტის წლიური ხარჯთაღრიცხვების, საშტატო განრიგები, მონაცემები პედაგოგთა კვალიფიციური და რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ; ქალაქებისა და რაიონების სკოლების სიები, სასკოლო პროგრამები, მასობრივი სწავლების ძირითად მაჩვენებელთა საკონტროლო ციფრები, აჭარის ადმინისტრაციული დაყოფის 1926 წლის სქემა /საქ. 126/, სკოლების პასპორტები, მიმოწერები განათლების აუცილებლობის, სკოლათა მშენებლობის, პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზაციის, ახალგაზრდობის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად წარგზავნის, უწიგნურობასა და მცირეწიგნობრობასთან ბრძოლის, მასწავლებელთა საოლქო კონფერენციებისა (1970-1983 წ.წ.) და აჭარის ასსრ მასწავლებელთა მე-2 ყრილობის მასალები, კოლეგიის სხდომის ოქმები (1980-1983 წ.წ.). მიმოწერები ზემდგომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან რაციონალიზატორ მ. მურმანიძის მიერ კონსტრუირებული „პირველკლასელთა საანგარიშო სახაზავის“ სწავლებაში დანერგვის, სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუჯობესების შესახებ; მასწავლებელთა კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები (1980-1983 წწ.).

სტატისტიკური ცნობები, ანგარიშები სკოლების, კლასების და მოსწავლეთა შემადგენლობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება

ფონდი რ-678, საქმეთა ერთეული 2419, 1932-1976 წწ.; აღწერა.

1927 წლის 4 მარტს ქალაქის აღმასკომთან შეიქმნა განათლების სექცია[1].

1931 წლის 15 თებერვალს შეიქმნა ბათუმის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება[2].

განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს სახალხო განათლების სისტემასა და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობას ქალაქის ფარგლებში.

სახალხო განათლების რაიონული განყოფილებები

ხელვაჩაურის /ბათუმის/- ფონდი რ-217, საქმეთა ერთეული 892, 1937-1984 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1930 წელს ბათუმის /ხელვაჩაურის/ რაიონის შექმნასთან დაკავშირებით. მის ფუნქციას წარმოადგენს რაიონის ფარგლებში სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა.

ქობულეთის—ფონდი რ-239, საქმეთა ერთეული 190, 1936-1962 წწ.; აღწერა.

ჩამოყალიბდა ქობულეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 6 თებერვლის დადგენილების საფუძველზე[3], როგორც განათლების განყოფილება, ხოლო აჭარის და რაიონების შემდეგ 1930 წლიდან ფუნქციონირებს როგორც ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება[4].

ქედის—ფონდი რ-770, საქმეთა ერთეული 555, 1931-1980 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1931 წელს[5], მის ფუნქციას წარმოადგენს რაიონის ტერიტორიაზე სახალხო განათლების მთლიანი სისტემისა და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-2, საქ. 567, ფ. 70. აღწერა 1.
2. იქვე, ფონდი რ-10, საქ. 1, ფ. 13. აღწ. 2. ფონდი რ-678, საქ. 4, ფ. 15. აღწ. 1.
3. ფონდი რ-78, საქ. 7, ფ. 28. აღწ. 1.
4. იქვე.
5. ფონდი რ-4, საქ. 533, ფ. 187. აღწ. 1.

შუახევის - ფონდი რ-1031, საქმეთა ერთეული 435, 1954-1978 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით[1], /შუახევის რაიონის აღმასკომისა და მისი განყოფილებების შექმნის შესახებ/, ხოლო ფუნქციონირება დაიწყო 1953 წლის 1 იანვრიდან[2].

ხულოს - ფონდი რ-1121, საქმეთა ერთეული 355, 1944-1982 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1930 წელს[3].

ფონდებში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს დადგენილებები, ბრძანებები, „საყოველთაო სახალხო სწავლების“- კანონის ცხოვრებაში დანერგვის, სასკოლო განათლების შემდგომი გაუმჯობესების, უწიგნურობის ლიკვიდაციის, საყოველთაო აუცილებელი 8 წლიანი სწავლების, დაწყებით სკოლებში ახალგაზრდების მიზიდვის, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი, ფიზიკური აღზრდის, საგანმანათლებლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების, სასკოლო ოლიმპიადებისა და სპარტაკიადების ჩატარების შესახებ.

აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს, განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების სხდომების, კონფერენციების, მასწავლებელთა თათბირების, ცალკეული სკოლების პედსაბჭოს სხდომების ოქმები-სკოლებში დამატებითი კლასების, საბავშვო ბაღების, საზაფხულო ბანაკების გახსნის, სახელმწიფო ბიბლიოთეკისა /1933 წ./ და ახალგაზრდობის სკოლების მოწყობის, ბათუმის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტთან და სასოფლო საბჭოებთან უწიგნურობასთან ბრძოლის სექციის შექმნის შესახებ, ცნობები მოსწავლეთა კონტიგენტის, მეორე მსოფლიო ომში /სამამულო ომი/ სკოლის როლისა და ამოცანების, უპატრონო და ობოლ ბავშვებთან მუშაობის, სკოლებში მეთოდ-კაბინეტებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის, აჭარაში /1932-1937 წ.წ./ განათლების მდგომარეობისა და სხვათა შესახებ.

მოხსენებები ხულოს რაიონის სკოლებში სამასწავლებლო მუშაობისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ, შუახევის რაიონის სკოლების განვითარების პერსპექტიული გეგმა /1954-1961 წ.წ./, სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების სამუშაო გეგმები და ანგარიშები, სტატისტიკური ანგარიშები საშუალო და არასაშუალო სკოლების, საბავშვო ბაღების, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობის შესახებ. რესპუბლიკური ოლიმპიადების მასალები, ბეჭდვითი ანგარიშები, სამტატო განრიგები, ხარჯთაღრიცხვები.

მასწავლებელთა რაიონული კონფერენციების მასალები; ხულოს რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმები (1979-1981 წ.წ.); განათლების მუშაკთა დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების მასალები (1975-1987 წ.წ.); ხელვაჩაურის რაიონის სკოლების დირექტორთა 1980 წლის დემოგრაფიული მონაცემები.

მოხსენებითი ბარათები საყოველთაო სავალდებულო და საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი

ფონდი რ-432, საქმეთა ერთეული 2432, 1935-1990 წ.წ.; აღწერა.

თემატური ბარათები.

საქართველოს სსრ განსახკომის 1935 წლის 11 ივნისის №-413 ბრძანების თანახმად ბათუმში დაარსდა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი[4], რომელიც 1945 წლის 1 სექტემბერს რეორგანიზებული იქნა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად[5]. ინსტიტუტი ამზადებდა პედაგოგ-მასწავლებელთა კადრებს საშუალო და არასაშუალო სკოლებისათვის.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-332, საქ. 226, ფ, 119. აღწ. 1.
2. იქვე.
3. იქვე, ფონდი რ-2, საქ. 884, ფ. 293. აღწ. 1.
4. ფონდი რ-432, საქ. 1, ფ. 1. აღწ. 1.
5. იქვე, საქ. 498, ფ. 90.

ფონდში დაცულია: საქართველოს და აჭარის ასსრ ცაკ-ის, საქართველოს სსრ და აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის, ბათუმის სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტის დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები ინსტიტუტში აბიტურიენტთა მიღების წესების, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სტიპენდიის დანიშვნის წესის, ინსტიტუტისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის, სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოების, ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარის შეძენის, სწავლების მეთოდების, ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობის დანერგვის, სახელმწიფო-გამოსაშვები გამოცდების, ინსტიტუტის სასწავლო ლაბორატორიის როლის ამაღლების შესახებ. სამუშაო გეგმები, ინსტიტუტის, ფაკულტეტების სასწავლო პროგრამები, გამოსაშვები გამოცდების მიმღები საგამოცდო კომისიების სხდომის ოქმები, საერთო კრებების, ფაკულტეტებისა და დეკანატების სხდომების ოქმები; სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა-დამუშავების, სტუდენტთა ჩარიცხვა-გარიცხვის, ფაკულტეტთა საქმიანობის, სტუდენტთა სასწავლო დაგალებების შესრულების, შემმოწმებელი საკონტროლო კომისიების დანიშვნის შესახებ.

ფონდში დაცულია აგრეთვე სსრკ ისტორიის, პოლიტეკონომიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, გეოლოგიის, ბოტანიკის, ქიმიის, ანატომიისა და ზოოლოგიის კათედრის მასალები, სტუდენტთა საკურსო საგადასახადო ფურცლები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, მიმოწერები სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის გაფართოების, თბილისიდან პროფესორების მოწვევის, მშრომელთა დღესასწაულების ჩატარების, ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების შესახებ. პირადი საქმეები და სტუდენტთა სიები.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმები; კათედრის სხდომის ოქმები კათედრის მუშაობისა და სადოქტორო დისერტაციის განხილვის შესახებ, რეცენზიები ინსტიტუტის დოცენტების ნაშრომებზე (1980-1990 წ.წ.); ანგარიშები ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ (1980-1990 წ.წ.); მოხსენება პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ მე-10 ხუთწლედში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ღონისძიებათა გეგმები და მასალები შოთა რუსთაველის დაბადების 800 და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით; მასალები (ოქმები, მიმოწერა, მიმართვები და სხვა) რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. სეგეთის უნივერსიტეტისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს შორის სამეცნიერო ინფორმაციების ურთიერთგაცვლის შესახებ.

მიმოწერები სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ისტორიული საარქივო დოკუმენტების გადმოცემის თაობაზე, (1969 წ.):

მიმოწერები ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებთან დოცენტ შუშანა ფუტკარაძის თურქეთში მივლინების, ქ. ბათუმისა და ქ. სამსუნის უნივერსიტეტებს შორის კონტაქტების დამყარების შესახებ (1990 წ.) და სხვა.

ტ ე ქ ნ ი კ უ მ ე ბ ი

12 ფონდი, 1921-1966 წლების მასალები.

ჰუმანიტარული ქალთა №-2— ფონდი რ-23; საქმეთა ერთეული 7, 1923-1924 წწ.; აღწერა.

ჰუმანიტარული გაჟთა №-1—ფონდი რ-24; საქმეთა ერთეული 7, 1921-1925 წწ.; აღწერა.

ლენინის სახ. ინდუსტრიული—ფონდი რ-125; საქმეთა ერთეული 90, 1923-1941 წწ.; აღწერა.

კომუნალური—ფონდი რ-132; საქმეთა ერთეული 262, 1931-1939 წწ.; აღწერა.

საფინანსო-ეკონომიკური—ფონდი რ-667; საქმეთა ერთეული 93, 1932-1941 წწ.; აღწერა.

პედაგოგიური—ფონდი რ-21; საქმეთა ერთეული 1525, 1926-1958 წწ.; აღწერა.

საბჭოთა კავშირის—ფონდი რ-844; საქმეთა ერთეული 106, 1930-1959 წწ.; აღწერა.

ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი-
ფონდი რ-899; საქმეთა ერთეული 122, 1930-1958 წწ.; აღწერა.

ბათუმის ინდუსტრიული მუშათა ფაკულტეტი-
ფონდი რ-124; საქ. 394, 1930-1937 წწ.; აღწერა.

ქედის პედაგოგიური—ფონდი რ-756; საქმეთა ერთეული 412, 1942-1956 წწ.; აღწერა.

ქედის სასოფლო-სამეურნეო—ფონდი რ-1132; საქმეთა ერთეული 86, 1956-1966 წწ.; აღწერა.

აჭარის სასოფლო-სამეურნეო—ფონდი რ-979; საქმეთა ერთეული 83, 1933-1955 წწ.; აღწერა.

თემატური ბარათები.

ფონდში შენახულია: დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები ცაკ-ის, სკს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ განსახკომის, განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების საყოველთაო სავალდებულო სწავლების, სკოლებისა და დამატებითი კლასების გახსნის /ფონდი რ-21/, სკოლათა მშენებლობის, მასწავლებელთა კადრების მომზადების, რაიონულ ცენტრებში სკოლა-ინტერნატების გახსნის, ტექნიკუმში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის, სასწავლო პროგრამების დამუშავების, სწავლების მეთოდების, ტექნიკუმში მოსწავლეთა ჩარიცხვა-გარიცხვის წესის, შეღავათებისა და სტიპენდიების, საწარმოო პრაქტიკის, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების, პრაქტიკული მეცადინეობისა და პროფესიული დაოსტატებისათვის ტექნიკუმებთან სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიების გახსნის, სასწავლო და საწარმოო გეგმების შესახებ /ფონდი რ-21/, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები /ფონდები რ-21, 125, 132/, სადიპლომო შრომების დაცვის /ფონდირ-132/, ციკლური კომისიის /ფონდი რ-125/, მეთოდიკისა და საგნობრივი კომისიის /ფონდი რ-21/, საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების ოქმები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, აკადემიური მოსწრების, საწარმოო პრაქტიკის შედეგების, სასწავლო წიგნებისა და ინვენტარის შეძენის, პედაგოგთა შორის კურსების განაწილების და სხვა შესახებ.

ფონდში ამბრძოლა: მოხსენებები, მიმოხილვები ტექნიკუმთა საქმიანობის, სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ, წლიური სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშები /ფონდი რ-21, 125, 132/, დოკუმენტალური რევიზიის აქტები და ახსნა განმარტებითი ბარათები, საშტატო განრიგები /ფ.ფ. 21, 125, 132/ აკადემიური მოსწრების ჟურნალი და საგამოცდო ფურცლები, სახელოსნოების მშენებლობისათვის გაწეული ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები, სიები, სტუდენტთა და პედაგოგთა პ/საქმეები, მიმოწერები საწარმოო პრაქტიკის ჩატარების, კურსდამთავრებულთა ობიექტებზე განაწილების და სხვა შესახებ.

სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების ბათუმის საზღვაო სასწავლებელი

ფონდი რ-673; საქმეთა ერთეული 612, 1930-1995 წწ.; აღწერა.

დაარსდა 1929 წლის აგვისტოში[1], როგორც ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი. მის ფუნქციას შეადგენდა საზღვაო ტრანსპორტისათვის მეზღვაურთა კადრების /შტურმან-გემთწამყვანები და გემთ-მექანიკოსები/, აგრეთვე საპორტო მექანიზაციისა და ჰიდრომშენებელ სპეციალისტთა მომზადება, 1944 წელს გარდაიქმნა საზღვაო სასწავლებლად. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის 1990 წლის 3 აპრილის №-21 ბრძანებით ბათუმის საზღვაო სასწავლებლის ბაზაზე 1990 წლის სექტემბრიდან ქ. ბათუმში გაიხსნა ნოვოროსისკის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის ბათუმის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 ივლისის №-772 დადგენილებით ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა და ნოვოროსისკის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის ბათუმის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი[2] /აჭარის ცსა, ფონდი რ-673; საქ. 612; 1930-1995 წწ.; აღწერა/.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 თებერვლის №-121 დადგენილებით ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი გარდაიქმნა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად[3].

ფონდში დაცულია: ბრძანებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები სსრკ წყალსახკომის (Наркомвод), სასწავლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს, ბათუმის საზღვაო სასწავლებლისა, რომლებიც შეეხება ტექნიკუმის დაკომპლექტების, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, გამოსაშვები გამოცდებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების, ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარების, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების

1. აჭარის ა.რ. ცსა, ფონდი რ-673; საქ. 2; ფ. 1. აღწერა 1.
2. ცსა, ფონდი რ-673; საქ. 493; ფ. 2. აღწერა 1.
3. ცსა, ფონდი რ-673; საქ. 493; ფ. 1. აღწერა 1.

საკითხებს. აქვეა ტექნიკუმის ყველა ფაკულტეტის სახელმწიფო საკვალიფიკაციო და საბალანსო კომისიების სხდომის ოქმები-ტექნიკუმის /სასწავლებლის/ საქმიანობის, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შედეგების შესახებ, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშები, ადმინისტრაციულ-საწარმოო და კაპიტალური მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები, საშტატო განრიგები, აქტები, ბ/საქმეები და სტუდენტთა სიები, მიმოწერები შორეული ნაოსნობის გემებზე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ.

ასევე ფონდში დაცულია სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები (1989-1994 წ.წ.) ბათუმის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გეგმა, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის დებულება; მიმოწერები საზღვაო სასწავლებლის თანამშრომლებსა და კურსანტებზე 100 დოლარიანი აქციების გაცემის შესახებ (1992 წ.) და სხვა.

სახალხო განათლების ფონდები, რომლებიც მეგზურში შეტანილია სიის სახით (დამატებები)

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-2 რუსული საბჭოთა სკოლა.
ფონდი რ-25; საქმეთა ერთეული 8, 1922-1929 წწ.;

საქართველოს სსრ მრეწველობის სამინისრტოს ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი სწავლების მეთევზეთა და მეზღვაურთა საშ. სკოლა.
ფონდი რ-26; საქმეთა ერთეული 1025, 1966-1986 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის რუსული სკოლა.
ფონდი რ-27; საქმეთა ერთეული 3, 1925-1927 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-4 რუსული სკოლა.
ფონდი რ-28; საქმეთა ერთეული 2, 1921-1924 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-13 რუსული სკოლა.
ფონდი რ-29; საქმეთა ერთეული 2, 1921-1923 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის I საყოველთაო შრომითი ქართული სკოლა.
ფონდი რ-30; საქმეთა ერთეული 1, 1921 წ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-5 საბჭოთა სკოლა.
ფონდი რ-32; საქმეთა ერთეული 2, 1922-1923 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-1 საბჭოთა სკოლა.
ფონდი რ-33; საქმეთა ერთეული 1, 1923 წ.;

აჭარის ასსრ ცსკ-თან არსებული საზოგადოების „ბავშვის მეგობარი“ ბათუმის განყოფილება.
ფონდი რ-95; საქმეთა ერთეული 7, 1930-1933 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის №-6 საბჭოთა რუსული სკოლა.
ფონდი რ-144; საქმეთა ერთეული 4, 1920-1925 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის I საფეხურის ბათუმის ერთიანი საბჭოთა სკოლა.
ფონდი რ-160; საქმეთა ერთეული 1, 1922 წ.;

აჭარის ასსრ განსახკომის ბათუმის სრული შრომითი სკოლა.
ფონდი რ-161; საქმეთა ერთეული 1, 1923 წ.;

აჭარის ასსრ განსახკომის II საფეხურის №-2 ქართული საბჭოთა სკოლა.
ფონდი რ-162; საქმეთა ერთეული 2, 1921-1922 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის ბათუმის №-2 ქართული სრული შრომითი სკოლა.
ფონდი რ-163; საქმეთა ერთეული 2, 1921-1923 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის II საფეხურის ბათუმის სომხური არასრული საშუალო შრომითი სკოლა.
ფონდი რ-164; საქმეთა ერთეული 1, 1926 წ.;

აჭარის ასსრ განსახკომის საბუღალტრო და კომერციული კურსები.
ფონდი რ-165; საქმეთა ერთეული 1, 1923-1927 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის უცხო ენებისა და საზღვარგარეთის კორესპოდენტების უმაღლესი კურსები.
ფონდი რ-166; საქმეთა ერთეული 1, 1927-1930 წწ.;

ბათუმის ვ.ი. ლენინის სახ. ინდუსტრიული ტექნიკუმის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები.
ფონდი რ-168; საქმეთა ერთეული 50, 1936-1940 წწ.;

აჭარის მოსწავლეთა და პიონერთა რესპუბლიკური სასახლე.
ფონდი რ-404; საქმეთა ერთეული 17, 1953-1961 წწ.;

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი.
ფონდი რ-477; საქმეთა ერთეული 53, 1959-1962 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის ბათუმის დაუსწრებელი პედსასწავლებელი.
ფონდი რ-510; საქმეთა ერთეული 10, 1937-1941 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის ბათუმის კრუპსკაიას სახ. №-2 პედსასწავლებელი.
ფონდი რ-511; საქმეთა ერთეული 78, 1930-1941 წწ.;

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს განათლების განყოფილების ბარათაშვილის სახელობის №-2 სკოლა-ინტერნატი.
ფონდი რ-521; საქმეთა ერთეული 55, 1960-1968 წწ.;

ბათუმის საქალაქო პროფესიული-ტექნიკური სასწავლებელი.
ფონდი რ-569; საქმეთა ერთეული 247, 1940-1973 წწ.;

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მექანიკური სახელოსნო.
ფონდი რ-853; საქმეთა ერთეული 59, 1938-1956 წწ.;

ბათუმის №-4 რუსული ქალთა საშუალო სკოლა.
ფონდი რ-901; საქმეთა ერთეული 270, 1932-1949 წწ.;

ხულოს რ-ნის სკოლა-ინტერნატი.
ფონდი რ-1199; საქმეთა ერთეული 93, 1958-1983 წწ.;

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ბათუმის ზ.ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა.
ფონდი რ-835; საქმეთა ერთეული 25, 1936-1946 წწ.;

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ბათუმის სკოლა.
ფონდი რ-131; საქმეთა ერთეული 27, 1925-1935 წწ.;

ბათუმის ქალთა №-10 8-წლიანი რუსული სკოლა.
ფონდი რ-428; საქმეთა ერთეული 129, 1921-1949 წწ.;

ბათუმის №-21 რუსული დაწყებითი სკოლა.
ფონდი რ-136; საქმეთა ერთეული 20, 1934-1941 წწ.;

აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბათუმის ტექნიკური სასწავლებელი.
ფონდი რ-130; საქმეთა ერთეული 25, 1921-1925 წწ.;

ბათუმის II საფეხურის არასრული ბერძნული სკოლა.
ფონდი რ-147; საქმეთა ერთეული 117, 1926-1938 წწ.;

II საფეხურის ბათუმის №-2 რუსული სკოლა.
ფონდი რ-312; საქმეთა ერთეული 13, 1923-1929 წწ.;

ბათუმის №12 რუსული დაწყებითი ვაჟთა სკოლა.
ფონდი რ-922; საქმეთა ერთეული 10, 1944-1953 წწ.;

ბათუმის №-13 დაწყებითი რუსული სკოლა.
ფონდი რ-921; საქმეთა ერთეული 18, 1945-1952 წწ.;

ბათუმის 7 წლიანი თურქული შრომითი სკოლა.
ფონდი რ-35; საქმეთა ერთეული 36, 1926-1938 წწ.;

ბათუმის №-15 არასრული საშუალო რუსული სკოლა.
ფონდი რ-140; საქმეთა ერთეული 18, 1939-1941 წწ.;

ბათუმის ვაჟთა №-7 8-წლიანი ქართული სკოლა.
ფონდი რ-894; საქმეთა ერთეული 50, 1933-1954 წწ.;

ბათუმის ვაჟთა №-10 8-წლიანი რუსული სკოლა.
ფონდი რ-920; საქმეთა ერთეული 22, 1945-1953 წწ.;

ბათუმის ქართულ-რუსული ცხრაწლედი.
ფონდი რ-22; საქმეთა ერთეული 2, 1924-1933 წწ.;

ბათუმის №-6 სომხური საშუალო სკოლა.
ფონდი რ-897; საქმეთა ერთეული 65, 1936-1945 წწ.;

ბათუმის №-8 ქალთა საშუალო რუსული სკოლა.
ფონდი რ-893; საქმეთა ერთეული 89, 1936-1947 წწ.;

ბათუმის №-9 ქართული საშუალო სკოლა.
ფონდი რ-910; საქმეთა ერთეული 149, 1938-1979 წწ.;

ბათუმის №-19 დაწყებითი დამხმარე სკოლა.
ფონდი რ-305; საქმეთა ერთეული 10, 1935-1937 წწ.;

ბათუმის მუშა-ახალგაზრდობის №-4 რუსული საშუალო სკოლა.
ფონდი რ-904; საქმეთა ერთეული 43, 1936-1955 წწ.;

ბათუმის №-17 რუსული საშუალო სკოლა.
ფონდი რ-909; საქმეთა ერთეული 48, 1936-1953 წწ.;

ბათუმის მუშა-ახალგაზრდობის დაუსწრებელი სწავლების საშუალო სკოლა.
ფონდი რ-914; საქმეთა ერთეული 17, 1941-1950 წწ.;

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების №-1 და №-2 ბავშვთა სახლები.
ფონდი რ-891; საქმეთა ერთეული 65, 1935-1991 წწ.;

აჭარის ასსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფსაბჭოს საოლქო კომიტეტების მასწავლებელთა სახლი.
ფონდი რ-845; საქმეთა ერთეული 27, 1936-1946 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის №-2 საშ. სკოლასთან არსებული ექსტერნთა კურსები.
ფონდი რ-310; საქ. 4; 1937-1940 წწ.;

თბილისის სახ. უნივერსიტეტში შემავალთა მოსამზადებელი კურსები.
ფონდი რ-311; საქმეთა ერთეული 2, 1935 წ.;

ბათუმის მუშა-ახალგაზრდობის №- 15 ქართული საშუალო სკოლა
ფონდი რ-905: საქმეთა ერთეული 129, 1934-1953 წწ.;

აჭარის ასსრ განსახკომის პოლიტ-განათლების სკოლა.
ფონდი რ-842; საქმეთა ერთეული 144, 1938-1941 წწ.;

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XV

მეცნიერების ორგანოთა ფ ო ნ დ ე ბ ი

საქართველოს თევზსამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი სადგური

ფონდი № რ-1005; 424 საქმეთა ერთეული, 1926-1955 წ.წ.; აღწერა.

1932 წლის იანვარში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 ნოემბრის დადგენილებისა და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისართა[1] 1931 წლის 15 ივნისის №-62 ბრძანების საფუძველზე დაარსდა[2] თევზსამეურნეო სამეცნიერო და ბიოლოგიური სადგური. იგი შევიდა საქართველოს სსრ გასაღება-მომარაგების განყოფილებაში,[3] 1937 წლიდან კი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის კომისარიატის დაქვემდებარებაში.[4]

1938 წლიდან მას ეწოდა საქართველოს თევზსამეურნეო სადგური და შევიდა საზღვაო და ოკეანოგრაფიის თევზის მეურეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამგეობაში.[5]

1941 წლიდან სადგური იყო საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის განკარგულებაში.[6]

1944 წლის 1 ივლისიდან იგი კვლავ გადავიდა საზღვაო და ოკეანოგრაფიის თევზის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის[7] დაქვემდებარებაში.

1949 წლიდან მას დაერქვა აზოვ-შავი ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება.[8]

1956 წლიდან იგი საქართველოს თევზსამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი სადგურია და შედის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი თევზსამეურნეო საზღვაო და ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში.[9]

სადგურის ფუნქცია იყო შავი ზღვის ყოველმხრივი შესწავლა იხტიოლოგიის, ჰიდრობიოლოგიური და თევზსამეურნეო ინტერესების მომსახურების მიზნით.

ფონდში ინახება სამეცნიერო-კვლევითი შრომები, რომლებშიც გამოვლენილია: მეურნეობისათვის ტბის გარგისიანი ფართობები, სათევზაოდ გასვლის დრო და ზღვის თევზის სარეწაო პროგნოზები, მელიორაციის გზები, თევზჭერის რეგულირებისა და თევზსამეურნეო-საექსპლუატაციო ტბების, პალიასტომის, თავფარავნის, ტუმან-გელის, ტაბაწყურის, ბაზალეთის, ჯაფარას, რიწისა და ბებე-სირის წყლის ორგანიზმების ეკოლოგიის თეორიული და გამოყენებითი პრობლემების დამუშავების საკითხები, საქართველოს წყალსატევების (მდინარეები, ტბები, წყაროები) შესწავლის საფუძველზე სარეწაო თევზების მარაგის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადანაწილების შესახებ, სარეწაო ქაფშიის გააქტიურების სამუშაოები შავი ზღვის სამხრეთ ნაწილში, წყალსატევების რეჟიმზე დაკვირვების რეგულირება, მრეწველობაში დანილოვსკის მიმდევრების კონსტრუქციის დანერგვა და ბადის ნაწილები მოცემული თევზის დასაჭერად, აფხაზეთის ტბების-ამტკელის, ინტიკის, ბებესირის თევზსამეურნეო გამოკვლევა, ეკონომიური პირობების გამოყენებისათვის და ნურიე-გელის ტბაში კეფალის მეურნეობის შექმნისათვის, ბათუმის რაიონში ზღვის სანაპირო ზონის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მდინარე ჭოროხის გავლენის შესწავლის, საქართველოს წყალსატევებისა და მათი სარეწაო მნიშვნელობით, თევზის სარეწაო და ნაკლებად გამოყენებული თევზის გაზრდა ახალ რაიონებში, წყლის სარეწაო ობიექტების გამოკვლევით ნაკლებად გამოყენებული თევზის სარეწების განვითარება; სამეცნიერო შრომები, გამოკვლევები თევზის დანაშნულების შეცვლის შესახებ, წყლის სარეწაო ობიექტების გამოკვლევა, მეთოდები და ამოცანები დინების შესწავლის საქმეში, წყნარი ოკეანის ქაშაყის გაშვების გამოცდილება, სარეწების მიხედვით დელფინები თურქეთში, საქართველოს სანაპიროზე ქაფშიის დაჭერის გამოცდილების შესწავლა და სხვა.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 124. ფ. 25.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 1. ფ. 1.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 27. ფ. 225.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 278. ფ. 2.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 278. ფ. 2.
6. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 27. ფ. 185.
7. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 27. ფ. 178.
8. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 27. ფ. 116.
9. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1005, საქ. 397. ფ. 65.

ფონდში მოცემულია: თევზსამეურნეო-კვლევითი სადგურის მუშაობის მიმოხილვა, შავიზღვისპირეთსა და საქართველოში (1931-1936 წ.წ.) ზღვის თევზჭერა, თევზჭერის ნედლეულის ბაზის მოკლე დახასიათება, აზოვ-შავი ზღვის წყალსატევების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები, შთაბეჭდილებები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში და სხვა.

კონსერვის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი

ფონდი № რ-984; 355 საქმეთა ერთეული, 1945-1964 წ.წ.; აღწერა.

1945 წლის იანვრიდან ბათუმის ციტრუსკომბინატთან გაიხსნა კონსერვის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის[1] ბათუმის განყოფილება, რომელიც ექვემდებარებოდა სსრკ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან ბათუმის განყოფილება შედიოდა საკონსერვო მრეწველობის სამმართველოში „მთავარი კონსერვი“.[2]

ბათუმის ეს ფილიალი იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ეწეოდა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას საკონსერვო მრეწველობის დარგში.

ფონდში ინახება სამეცნიერო შრომები: ეთერ-ზეთების მიღება ციტრუსების ნარჩენებისაგან, ტექნიკური ინსტრუქციით დამუშავებული ხურმის ნაყოფის ხარისხის მიხედვით დაყოფა გასახმობად, ინჟინერ მამიჩევის მიერ შესწავლილი ფაქტორებით მურაბის ხარშვის წესების მიხედვით პროდუქტების გადამუშავება დაწვის გარეშე, უკანო მანდარინის გაყინვა, ეთეროვანი ზეთების, კომპოტების, ჯემისა და ხილფაფის წარმოების დროს ნარჩენების ექსპერიმენტული შემოწმება, ალუბლის, ტყემლისა და ქლიავის დაჩხვლეტისა და დაყალიბების დროს მანქანების გამოცდა, რომლებიც მოწყობილია ქუთაისის და სამტრედიის კონსერვის ქარხნებში და სხვა. მეცნიერ-მუშაკების რეფერატები თემებზე: „ნატურალური წვენების წარმოება“, „ეთერ-ზეთების მიღება სათანადო მოწყობილობის გამოყენებით“, „ეთერ-ზეთების მიღება ციტრუსების წვენებიდან აორთქლების გზით მისი კონცენტრაციის პირობებში“ და სხვა. ბათუმის განყოფილების მუშაკების მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ დაწერილი მოხსენებები: „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ციტრუსების ნაყოფის ხარისხის დადგენა ნატურალური წვენებისა და მურაბების დასამზადებლად“.

აქვე ინახება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატური გეგმები, ბათუმის განყოფილების მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები და ამ შრომების დასკვნები, საწარმოო თათბირების ოქმები, წარმოების მექანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვა სამეცნიერო მუშაობის განხილვის მიხედვით, ცხიმისა და მშრალი ნივთიერებების განსაზღვრა ბოსტნეულის კონსერვებში, ციტრუსის ნაყოფის ყუთებში ჩაწყობის მექანიზმის რეკონსტრუქცია და სხვა. ყუთებიდან ნაყოფის გადმოსატვირთავი მანქანების ტექნიკური პროექტი და სხვა. ნახაზები, ესკიზები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი

ფონდი № რ-1040; 258 საქმეთა ერთეული, 1927-1972 წ.წ.; აღწერა I, თემატური ბარათები.

1926 წელს ჩაქვის ჩაის მეურნეობასთან გაიხსნა ჩაის საცდელი სადგური, რომელიც ექვემდებარებოდა ვ/ტ „საქართველოს ჩაის.“[3] 1931 წელს იგი გადაკეთდა სრულიად საკავშირო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალად.[4]

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-983, საქ. 3, ფ. 1.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-983, აღწ. I, საქ. 52, ფ. 1, 13.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, აღწ. II, საქ. 3, ფ. 1.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, აღწ. II, საქ. 3, ფ. 1.

1938 წლიდან მას ეწოდებოდა სსრკ სახალხო კომისარიატის ადგილობრივი მრეწველობის სრულიად რუსეთის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სმეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი.[1]

1945 წლის 15 მარტიდან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 1 დეკემბრის №-3014 დადგენილების საფუძველზე შევიდა სსრკ ტექნიკური კულტურების სამინისტროს შემადგენლობაში.[2]

1947 წლის 1 აპრილიდან სრულიად რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურის ჩაქვის ფილიალი შედიოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში.[3]

მისი ფუნქცია იყო: ჩაის კულტურის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით რაიონის კლიმატისა და ნიადაგის შემადგენლობის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარება, ნიადაგის გასანოყიერებლად მასში სასუქის შეტანა, აგროტექნიკური ვადების დაცვით ნიადაგის დამუშავება და ჩაის ბუჩქების მოვლა.

ფონდში არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ქ. ბახტაძის მოხსენებები, ანგარიშები სამეცნიერო მუშაობის ჩატარების შესახებ. (საქართველოს ჩაის ბუჩქის სწრაფად ზრდის ბიოლოგიის შესახებ). ქ. თბილისში მეცნიერი ქალების I ქართულ კონფერენციაზე (1950 წლის ნოემბერი) წაკითხული მოხსენებები — სსრ კავშირის ჩაის მეთესლეობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, აზერბაიჯანის კომპლექსური ექსპედიციის სამეცნიერო საბჭოს II სესიაზე — სელექციური ხარისხის ჩაის გამოყენებისა და ჩაქვის ფილიალის მეცნიერ-მუშაკების მიერ ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩაის კულტურის განვითარება, ჩაის მეთესლეობა საქართველოში, ჩაის აკლიმატიზაციის მიხედვით ჩინური ჩაის წარმოების, ჩაის სელექციის გზების, ჩაქვის რაიონის ჩაის თესლისა და სათესლეს შესახებ, ადგილობრივი პირობების მიხედვით ჩაის ბუჩქების შერჩევის მეთოდიკის შესახებ, ჩაის აყვავება და ნაყოფის მოცემა ჩაქვის პირობებში, ჩაის პლანტაციების მოსავლიანობისა და მისი განსაზღვრის მეთოდიკის შესახებ, 1939 წლამდე საქართველოში და აზერბაიჯანში ჩაის სელექციისა და მეთესლეობის შესახებ, სრულიად რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ზუგდიდის ფილიალში სელექციის მიხედვით ჩატარებული მუშაობის პოპულარული ხარისხების გამოსაყვანი კლანური ჩაის ხარისხების, აზერბაიჯანის სსრ ჩაის რაიონებისათვის სელექციური ხარისხის ჩაის გამოყვანისა და ჩაქვის ფილიალის მუშაობის შესახებ, აქვეა ჩაქვის ფილიალის თემატური და სამუშაო გეგმები სამეცნიერო მუშაობის ჩასატარებლად, სელექციური ჩაის ხარისხების გამოყვანისა და წარმოებაში მათი დანერგვის შესახებ (1964 წ).[4], სამრეწველო-ფინანსური გეგმები შრომებისათვის, პროგრამები ჩაქვის საცდელი სადგურის სელექციური და გენეტიკური შრომებისათვის, ჩაქვის ფილიალის მონოგრაფია (შემდგენელი პროფესორი ქ. ე. ბახტაძე), ჩაის კულტურის აგროწესები, ქართული ჩაის I და II ხარისხის დასახელება, ჩაის კულტურის ძირითადი ხარისხები ჩაის კულტურისა და სელექციური (1, 2, 4, 5, 6, 8, 11, 12) ხარისხების მიხედვთ, კომისიის დასკვნა ჩაის კულტურის განვითარების, ქედის რაიონში ჩაქვის ფილიალის გამოცდილების შედეგების მიხედვით თესლის შენახვის, შეფუთვის, მწვანე ჩაის ფოთლის სელექციური ხარისხების გადამუშავების შესახებ, წლიური საბუღალტრო ანაგრიშები, საშტატო განრიგები, კეთილშობილური დაფნის ხარისხების მეცნიერულად გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვის შესახებ (1965 წ.)[5].

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, აღწ. II, საქ. 4, ფ. 4.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, აღწ. II, საქ. 2, ფ. 7.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, აღწ. II, საქ. 21, ფ. 4.
4. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, საქ. 352, ფ. 15.
5. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-1040, საქ. 294, ფ. 16.

ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური „ვილარი“ (ქ. ქობულეთი)

ფონდი № რ-983; 160 საქმეთა ერთეული, 1939-1962 წ.წ.; აღწერა.

ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური „ვილარი“ სამკურნალო წამლების, არომატული მცენარეების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როგორც ფილიალი, სსრკ ჯანმრთელობის კომისარიატის დაქვემდებარებაში არსებობს 1939 წლის ნოემრიდან.[1]

1946 წლის 15 მარტიდან წამლების, არომატული მცენარეების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური სსრკ სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს სისტემაშია.[2]

„ვილარის“ ძირითადი ამოცანა იყო ამიერკავკასიაში მეცნიერული მუშაობის გაღრმავება, ქინაქინის მცენარეების, კულტურისა და სხვა ძვირადღირებული ახალი სამკურნალო მცენარეების სუბტროპიკულ ნესტიან ზონაში შემოტანა და დამკვიდრება.

ფონდში არის „ვილარის“ დადგენილებები, ბრძანებები, ამიერკავკასიის ზონალური, საცდელი სადგურის სამკურნალო მცენარეების კომპლექსური შესწავლისა და მისგან სამკურნალო პრეპარატების მიღების შესახებ, სამედიცინო პრაქტიკაში მათი დაჩქარებული დანერგვის, სელექციის სექტორის მუშაობის, პრობლემატურ-თემატური გეგმებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ, ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის „ვილარის“ ექსპერიმენტულ ბაზაზე მუშაობის ჩატარების, ქინაქინის ანალიზის მეთოდების შემუშავებაზე სელექციური შერჩევის გამოსაყენებლად, სამკურნალო კულტურების განვითარების ღონისძიებების შესახებ, „ვილარის“ სამეცნიერო კონფერენციის (1948 წლის თებერვალი) მოხსენების თეზისები, ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის „ვილარის“ ძირითადი მოღვაწეობა ხუთწლედში (1946-1950 წ.წ.) და ამიერკავკასიაში სამკურნალო მცენარეების დარგში მუშაობის შესახებ, სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე საბჭოთა სუბტროპიკებში სუბტროპიკული და ტროპიკული სამკურნალო კულტურის ათვისების, წარმოებისადმი დახმარების, კოფეინის ნედლეულის დამზადების სისტემის რაციონალიზაციის შესახებ და სხვა. აჭარის ასსრ პირობებში ერთწლიანი ქინაქინის კულტურის ქიმიური დახასიათება, სელექციის და მეთესლეობის განყოფილების ანგარიშის დასკვნები, სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო თათბირების ოქმები ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის „ვილარის“ ძირითადი მიღწევების შესახებ ხუთწლედში (1946-1950 წ.წ.) სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ვილარი) ქობულეთის სადგურის ბაზაზე სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზირებული მეურნეობის ორგანიზაციის, სსრკ ჯანდაცვის სამინიტროსა და ქობულეთის მეურნეობის კოლექტივებს შორის დადებული სოციალისტური თანამეგობრობის ხელშეკრულებები, კაპიტალური დაბანდებისა და მშენებლობის გეგმის შესრულების ანგარიშები, ბალანსები, საშტატო განრიგი და გასავლის ხარჯთაღრიცხვები.

აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭო

ფონდი № რ-116; 128 საქმეთა ერთეული, 1932-1938 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1932 წლის 28 აგვისტოს.[3] იგი დაექვემდებარა სრულიად საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს, აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭო ლიკვიდირებული იქნა 1939 წელს და მისი ფუნქციები გადაეცა პროფკავშირების ორგანიზაციების.

აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭოს ევალებოდა გამომგონებლებისათვის დახმარების გაწევა, მათი წინადადებების შესწავლა და მისი წარმოებაში დანერგვა, გამომგონებელთა აზრისა და მიღწევების ფართო აგიტაცია.

ფონდში ინახება: საქართველოს სსრ პროფესიული ორგანოების და აჭარის ასსრ ცაკის, სახალხო კომისარიატის კომისართა საბჭოს, გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს დადგენილებები, დირექტივები, ინსტრუქციები, ცირკულარები გამომგონებლობისადმი

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-983, საქ. 5, ფ. 13.
2. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-983, აღწ. I, საქ. 10,ა ფ. 51.
3. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი № რ-10-116, საქ. 7, ფ. 1.

მუშათა ფართო ფენების დიდი ყურადღების შესახებ, მუშების მნიშვნელოვანი გამოგონებების აღრიცხვის, პრესის ფურცლებზე რაციონალიზაციის და გამომგონებლობის საკითხების გაშუქების შესახებ, 1932 წელს (საქმე 7) გამომგონებელთა აჭარის კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში, მუშაობის გეგმები და რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებაში დანერგვის შესახებ. 1934 წლის აჭარის გამომგონებელთა საზოგადოების საბჭოს პლენუმის სხდომების, ფაბრიკების, ქარხნების, მეურნეობების გამომგონებელთა ბიუროების საერთო კრებების ოქმები, მასობრივი მასალები საწარმოო რეიდების ჩასატარებლად, მუშათა წინადადებების რეალიზაციის შემოწმება და ახალი რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი წინადადებების შეკრების ახალი რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი მუშაობის გაჩაღების შესახებ, ფაბრიკებში, ქარხნებში, მეურნეობებში, ცალკეული რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების საწარმოო პროცესების მექანიზაციის დარგში ნედლეულის, დროის და სახელმწიფო სახსრების დაზოგვის, სოციალისტური შეჯიბრების, წარმოებაში გამომგონებლობის დანერგვისათვის გამომგონებლების მიერ ნიმუშების დამზადებისა და შემდეგ წარმოებაში დანერგვის დროს მათთვის მატერიალური და ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ; ანგარიშები, მოხსენების ჩანაწერები აჭარის გამომგონებელთა საზოგადოების მუშაობის, ფაბრიკებისა და ქარხნების უჯრედების გამომგონებლობის შესახებ, გამომგონებლების განცხადებები, ნახაზები, ტექნიკური აღწერები, ჩაის ფაბრიკებში მექანიზაციის საწარმოო პროცესების საკითხებთან დაკავშირებით გამოცდის შედეგების აქტები ხელოვნური წვიმის, ჩაის ბუჩქების შემოწმების და ტ. ბარკალაიას მიერ ჩაის ბერკეტებად დაწნეხვის შესახებ 1932 წ. (საქმე 10) გამოგონების, მანდარინის მექანიკური დაყალიბების, ნიადაგის მოსამზადებელი მანქანების, ქარხნებში საწარმოო პროცესის მექანიზაციის, ცალკეულ დაწესებულებებში მუშათა გამომგონებლობის ბიუროს მუშაობის, პროფკავშირებისა და კომკავშირული ორგანიზაციების სოციალისტური ვალდებულება 1932 წლისათვის მუშათა მასობრივი გამომგონებლობის გაშლის (საქმე 8), ადმინისტრაციულ-პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის კოლექტიური ხელშეკრულებების, აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭოს პლენუმის წევრთა სიები 1934 წლისთვის, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მოძრაობის წინადადებების აღრიცხვის ბარათები 1934 წლისათვის. 1936 წ. (საქმე 74) ბათუმში სტახანოველებისა და გამომგონებლების ტექნიკური ცოდნის ამაღლების მიზნით ორგანიზებისა და ჩატარების პროგარამა და ხარჯთაღრიცხვა, მიმოწერა საქართველოს გამომგონებლების, ცენტრალურ საბაჟოსთან და დაწესებულებების გამომგონებელთა ბიუროსთან გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების პრემიებით დაჯილდოების საკითხებთან დაკავშირებით.

ბათუმის ეთერ-ზეთების ლაბორატორია

ფონდი № რ-115; 4 საქმეთა ერთეული, 1929-1930 წ.წ.; აღწერა.

ბათუმის ეთერ-ზეთების ლაბორატორია 1929 წლიდან 1930 წლამდე იყო სამრეწველო ერთეული, რომელიც შედიოდა მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებაში.[1]

ლაბორატორია ეწოდა ევკალიპტისა და ნემსიწვერასაგან ზეთის მიღებას. გარდა ამისა ლაბორატორია დამოუკიდებლად ქმნიდა სამეცნიერო შრომებს, ამასთანავე ამარაგებდა ლაბორატორიას სასუქით, აპარატებით და სხვა მოწყობილობით. სანერგეს ახლოს მდებარე ფართობზე აშენდა ზეთის გამოსახდელი ქარხანა. გარდა ნემსიწვერას გამოსახდელი ქარხნისა, ლაბორატორიას ჰქონდა თავის განკარგულებაში რაიონებიც, სადაც აწარმოებდა პროდუქციის გამოშვებას.

მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმური ქარხანა ნედლეულს ღებულობდა ბათუმის ლაბორატორიიდან.[2]

---

1. ფონდი № რ-115, საქ. 4, ფ. 1.
2. ფონდი № რ-115, საქ. 4, ფ. 1.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში წარმოებდა საცდელი მუშაობა ეთერზეთების კულტურის დარგში. ლაბორატორიას მოლაპარაკება ჰქონდა მრავალი დაწესებულების ხელმძღვანელებთან. 1930 წელს ლაბორატორიას ჰქონდა დადებული ხელშეკრულება სოხუმის ცხიმიანი პარფიუმერიისა და ძვლის გადამამუშავებელი მრეწველობის მმართველობასთან.[1]

მახინჯაურის განყოფილება გადაკეთდა №-5 მეურნეობად და 1931 წლიდან მახინჯაურის №-5 და №-7 მეურნეობად (ერგეში), რომლებიც იყვნენ ეთეროვანი კულტურის ბაზები და გადავიდნენ ომლპ-ს მმართველობაში.[2]

ბათუმის ლაბორატორია იყო აჭარისტანის №-5 მეურნეობის გამგებლობაში. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 7 აპრილის დადგენილებებით დაარსდა რსფსრ სისტემაში რესპუბლიკური ეთერზეთოვანი ტრესტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მოკავშირე რესპუბლიკების ქარხნები და მეურნეობები.

აჭარისტანის მეურნეობა, რომელიც იყო მახინჯაურში, შევიდა ამიერკავკასიის ეთერზეთოვანი რესპუბლიკური განყოფილების ტრესტში, რომლის მმართველობა იყო თბილისში.

რესპუბლიკური ტრესტი დაარსდა იმ მიზნით, რომ იმპორტული ზეთები შეუფერხებელი მომარაგებით შეეცვალათ პარფუმერიის ზეთებით.

1934 წლიდან იგი გადადის სრულიად საკავშირო ეთერზეთოვანი ტრესტის დაქვემდებარებაში. ამის შემდეგ რესპუბლიკურმა ტრესტმა მიიღო ნატურალური ეთერზეთოვანი და სინთეტიკური სურნელოვანი ნივთიერებების სრულიად საკავშირო ტრესტის სახელი. 1936 წელს აჭარის მეურნეობა ლიკვიდირებული იქნა.

საკავშირო აგრონტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის საცდელი ბაზა

ფონდი № რ-318; 21 საქმეთა ერთეული, 1937-1939 წ.წ.; აღწერა.

ჩამოყალიბდა 1937 წელს. მის სტრუქტურას შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო კულტმესაქონლეობის სახელმწიფო გეგმის შესრულება. იგი შედიოდა ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის სისტემაში.

ფონდში ინახება: საერთო კრებების ოქმები, მასალები სტახანოველებზე, პირადი ბარათები და სხვა, ე.ი. ისეთი საბუთები, რომლებიც ჩამოყალიბების დღიდან დღემდე გვაძლევენ ცნობებს ფონდშემქმნელი ორგანიზაციის საქმიანობაზე.

---

1. ფონდი № რ-1115, საქ. 4, ფ. 48.
2. ფონდი № რ-115, საქ. 10, ფ. 48.

თ ა ვ ი XVI

ლიტერატურის, ხელოვნების, ბეჭდვითი სიტყვის, კულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანოთა ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო

ფონდი რ-972; საქმეთა ერთეული 1331, 1953-1990 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო შეიქმნა 1953 წლის ივნისში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს №-418 დადგენილების საფუძველზე.[1]

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, კულტურის სამინისტროს დადგენილებები და ბრძანებები, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს შექმნის, მისი ცენტრალური აპარატისა და სტრუქტურის, სახელმწიფო დრამატული თეატრის, სახელმწიფო ფილარმონიის, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შტატების, აჭარის კულტურის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების მიხედვით დამატებითი სახსრების გამოყოფის, კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი რაიონული კულტურის განყოფილებებისა და სხვა. კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საექსპლუატაციო-ფინანსური გეგმებისა და მათი შესრულების, ქ. ქობულეთში სამუსიკო სკოლის გახსნის, თოჯინების თეატრისა და სხვათა შესახებ. ფონდში აგრეთვე დაცულია მასალები აჭარის ასსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებით აჭარის კულტურის მუშაკთათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების, კულტურის სამინისტროს, მისი განყოფილებებისა და მასში შემავალი დაწესებულებების წლიური გეგმები და ანგარიშები, სამინისტროს კოლეგიის სხდომის ოქმები, მოხსენებითი ბარათები რესპუბლიკაში კულტ-მასობრივი მუშაობის შესახებ. ბათუმში კინოთეატრებისა და კულტურის სახლის, ქობულეთში მუზეუმისა და შუახევში კლუბის მშენებლობის პროექტები, მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის სტატისტიკური ანგარიშები, საშტატო განრიგი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამ საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, რამაც საქართველოს საშუალება მისცა საზღვრების გახსნისა და საზღვარგარეთთან როგორც კულტურული, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, განკარგულებებითა და ბრძანებებით აფართოებს კულტურული ურთიერთობების სფეროებს საზღვარგარეთთან, კერძოდ მეზობელ თურქეთთან, როგორც ტერიტორიულად ახლოს მდებარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, რის შესახებ ფონდში დაცულია მიმოწერა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ქ. ბათუმში მყოფ უცხოელ მოქალაქეებთან კულტურული ურთიერთობის ცენტრის შექმნის, საზღვარგარეთ ანსამბლების გაგზავნის, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის კაჭარავას 60 წლის იუბილეს ჩატარების შესახებ.

კულტურის სამინისტროს ფონდში ინახება აგრეთვე იმ ქანდაკებების ფოტოპირები, რომელიც აღმოჩნდა საბერძნეთის ბაზარზე გასაყიდად, ინახება პოლიციის უფროსის მიმოწერა კულტურის სამინისტროსთან ამ საკითხზე; აგრეთვე მიმოწერა ფერწერული ტილოების საზღვარგარეთ გატანისა და გამოფენის მოწყობის, საზღვარგარეთ სტუდენტების გაგზავნის, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალები.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-972; საქ. 1; ფ.3; აღწერა 1.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი

ფონდი რ-986; საქმეთა ერთეული 436, 1936-1967 წწ.; აღწერა.

თემატური ბარათები.

ხალხური შემოქმედების სახლი შეიქმნა 1937 წელს აჭარის ასსრ სახ. კომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შემადგენლობაში, როგორც ხალხური შემოქმედების კაბინეტი.[1]

1940 წლიდან სახელი შეეცვალა და ეწოდა აჭარის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლი[2].

1946 წლის 15 მარტიდან კი აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების საოლქო სახლია.[3]

1954 წლის იანვრიდან გადავიდა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.[4] ხოლო 1962 წელს ეწოდა აჭარის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლი[4].

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის კოლეგიის დადგენილებები და ბრძანებები ხალხური შემოქმედების სახლის მუშაობის, დებულება რაიონული გუნდების შესახებ, ინსტრუქციები და მეთოდური წერილები ბავშვთა თვითმოქმედების, სამხატვრო საბჭოს კომისიის სხდომის ოქმები, რუსული დრამატიული თეატრის შექმნის, ოლიმპიადის ჩატარების მასალები; ოლიმპიადის გეგმები, პროგრამები, რეპერტუარები, პიესები, მოთხრობები და მათი რეცენზიები, ინსტრუმენტზე დამკვრელთა I სრულიად საკავშირო დათვალიერების მასალები და შთაბეჭდილებები, ქების სიგელები და მოხსენებითი ბარათები თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის შესახებ. მოსკოვში მოწყობილი ხელოვნების ნიმუშთა პირველი გამოფენის /1938 წ./ მასალები და მასზე გამოხმაურებები, წლიური ანგარიშები და სხვა მასალები.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის აჭარის განყოფილება

ფონდი რ-832; საქმეთა ერთეული 104, 1939-1960 წწ.; აღწერა.

1939 წლის 25 იანვარს აჭარის სახელმწიფო ესტრადა რეორგანიზებული იქნა აჭარის სახელმწიფო ფილარმონიად[6] აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს /მინისტრთა საბჭოს/ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებარებაში.

1953 წლის ივლისში გადაეცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას, 1955 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ფილარმონიის აჭარის განყოფილება რეორგანიზებული იქნა აჭარის სახელმწიფო ფილარმონიად.[7]

---

1. ფონდი რ-986; საქ. 7; ფ.3; აღწერა 1.
2. აჭარის ცსა, იქვე, საქ. 15; ფ. 69, 74; საქ. 80; ფ. 89.
3. იქვე, საქ. 86; ფ. 80.
4. იქვე, საქ. 130; ფ. 139.
5. იქვე, საქ. 343; ფ. 1.
6. ფონდი რ-832; საქ. 1; ფ. 1; აღწერა 2.
7. ფონდი რ-832; საქ. 1; ფ. 5; აღწერა 2.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურის საქმეთა სამმართველოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებები და დირექტიული მითითებები, დებულებები და დირექტიული მითითებები ფილარმონიისა და ორკესტრის მუსიკოსთა ბიუროს, სამხატვრო საბჭოს არტისტების დამდგენი კონკურსების ჩატარების, კომისიის სხდომის, კონცერტების რეპერტუარების გაუმჯობესების საკითხებზე. სკკპ /ბ/ 1946 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება დრამატული თეატრის რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ.[7] საკონცერტო გამოსვლების პროგრამების, ქალაქებსა და სოფლებში ჩატარებული კონცერტებისა და სახელმწიფო ფილარმონიის აჭარის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ. საფინანსო გეგმები და წლიური ბალანსი.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს აჭარის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნო

ᲤᲝᲜᲓᲘ Რ-981; ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ 108, 1943-1962 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

1943 წლის 13 მაისს შეიქმნა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სამხატვრო-საწარმოო კომბინატი.[2]

1944 წლის 16 ივლისს სამხატვრო-საწარმოო კომბინატს სახელი შეეცვალა და ეწოდა მხატვრულ ნაკეთობათა ტრესტი.[3]

1950 წლის ივლისში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 ივლისის №-377 დადგენილების საფუძველზე აჭარის მხატვრულ ნაკეთობათა ტრესტი გადაეცა სსრკ სამხატვრო ფონდის საქართველოს განყოფილებას.[4]

1951 წლის 22 თებერვალს ტრესტს სახელი შეეცვალა და ეწოდა აჭარის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნო.[5]

1953 წლის 22 ივლისიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე აჭარის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნო გადავიდა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.[6]

აჭარის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოს ფუნქციაში გადავიდა იდეურად მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა-კომუნისტური მშენებლობის, მშვიდობისა და დემოკრატიის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების ასახვა, მხატვრებისა და სამხატვრო კრიტიკოსების გაერთიანება.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებები, აჭარის მხატვრულ ნაკეთობათა ტრესტის, სსრკ სამხატვრო ფონდის საქართველოს განყოფილების დაქვემდებარებაში გადაცემის, სამხატვრო სახელოსნოების მუშაობის, პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების შესახებ, სსრკ მხატვართა კავშირის წესდება, დადგენილება მხატვართა ტრესტის შესახებ, სამხატვრო-საწარმოო კომბინატის რეორგანიზაციისა და სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების აჭარის კულტურის სამინისტროსათვის გადაცემის, მხატვართა სახლის მშენებლობის, საწარმოო-ფინანსური გეგმების, სტატისტიკური ანგარიშების შესრულების, სამხატვრო საბჭოს სხდომის, საწარმოო თათბირებისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ოქმები. მხატვართა საბჭოს არჩევნების, აჭარის მხატვართა ნამუშევრების მხატვრული ღირებულების განხილვის, საარჩევნო უბნებში საშეფო სამუშაოების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეიმის ჩატარებისათვის მზადების მასალები, საშტატო განრიგი, საბუღალტრო ბალანსი, კალკულიაციები, პრეისკურანტები, მხატვრულად გაფორმებული სამუშაოების ფასები და სხვა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-832, საქ. 1; ფ. 5.
2. ფონდი რ-981; საქ. 6; ფ. 1; აღწერა 2.
3. იქვე, საქ. 3; ფ. 42; აღწერა 1.
4. აჭარის ცსა, იქვე, საქ. 18; ფ. 3; აღწერა 1.
5. იქვე, საქ. 21; ფ. 36; აღწერა 1.
6. იქვე, საქ. 42; ფ. 1; აღწერა 1.

საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება

ფონდი რ-982; საქმეთა ერთეული 275, 1928-1985 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება შეიქმნა 1927 წლის 17 ივნისს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საქართველოს ცენტრალური განყოფილების დადგენილების საფუძველზე საქართველოს მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილების სახელწოდებით.[1]

1932 წლის 12 სექტემბრიდან სახელი შეეცვალა და ეწოდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება.[2]

1935 წლის 19 მაისიდან ეწოდა აჭარის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობა.[3]

1936 წლის 1 იანვრიდან ეწოდა აჭარის ასსრ მწერალთა კავშირი.[4]

1945 წლის მაისიდან კი საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება.[5]

აჭარის მწერლები დიდი აღმავლობით მუშაობდნენ თავის ახალ ნაწარმოებზე, ისწრაფოდნენ მშობლიური მხარის დიდი გარდაქმნების ასახვისა და საქართველოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საერთო საქმისათვის და მასში მწერალთა კავშირის შემოქმედებითი წვლილის შესატანად.

ფონდში დაცულია: სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის დადგენილებები ახალგაზრდა ლიტერატორთა, დრამატურგთა შემოქმედების შესახებ. საქართველოს მწერალთა უახლესი ამოცანები, ახალგაზრდა დამწყებ მწერალთა საქართველოს კავშირის აჭარის განყოფილების მუშაობის შესახებ. აჭარის მწერალთა კავშირის გეგმები და ანგარიშები, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომათა ოქმები, საბჭოთა მწერალთა II ყრილობის მოსაწვევები, თემატური გეგმები, გამოსაცემად გამზადებული წიგნების, პიესებისა და ლექსების განხილვის, საბჭოთა ლიტერატურის ამოცანების, რუსული და უკრაინული ლიტერატურის ისტორიული კავშირების, საიუბილეო მასალები, საზეიმო აღნიშვნების და სხვათა შესახებ. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისა და აჭარის განყოფილების სხდომათა ოქმები, სექციების მუშაობის, ჟურნალ-„მნათობში“ გამოქვეყნებული ნაწარმოების განხილვის რეცენზიები, თბილისში და აჭარაში მომუშავე მწერლების მოხსენებები, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მუშაობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, დღიურები, კრიტიკული წერილები და სხვა.

აგრეთვე მწერალთა კავშირის ფონდში ინახება აკადემიკოს ი. აბაშიძისა და დ. გურამიშვილის საიუბილეო საღამოების ჩატარების მასალები, საქმეშია შ.ქურიძის სიტყვა „ა.წერეთელი- ხალხთა მეგობრობის მომავალი“, ახალგაზრდა შემოქმედთა საოლქო კონკურსის ჩატარების მასალები, ნ. მალაზონიას, გ. ტაბიძის, გ. სალუქვაძის, მ. ხინიკაძის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გაზეთში გამოქვეყნებული მისასალმებელი სიტყვები, აჭარაში მომუშავე მწერლების სია, ფ. ხალვაშის სიტყვა წაკითხული აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, ჟურნალი „ჭოროხის“ განხილვა პრესის ფურცლებზე, რუსთაველის საზოგადოების წევრთა სია, მწერლების ანგარიშები თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ და სხვა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-982; საქ. 1; ფ. 68, 77, 78; აღწერა 1.
2. იქვე, საქ. 8; ფ. 21.
3. იქვე, საქ. 8; ფ. 5.
4. იქვე, საქ. 4; ფ. 50.
5. იქვე, საქ. 4; ფ. 50.

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა

ფონდი რ-880; საქმეთა ერთეული 445, 1931-1990 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა შეიქმნა 1931 წლის 18 მაისს აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის №-11 დადგენილების საფუძველზე.[1]

1953 წლის 21 მაისიდან სახელმწიფო გამომცემლობა შევიდა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.[2]

1963 წლის 4 აპრილის აჭარის კულტურის სამინისტროს №-49 ბძრანების საფუძველზე აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა ლიკვიდირებულ იქნა,[3] ხოლო 1967 წელს კვლავ აღსდგა სახელმწიფო გამომცემლობა.

ფონდში დაცულია: პოლიტგანყოფილების კოლეგიის დადგენილებები გამომცემლობის „სახელგამისა“და ჟურნალ „ტექნიკა და შრომის“ სარედაქციო საბჭოს მუშაობის შესახებ. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები გამომცემლობისა და გამოცემული ლიტერატურის თაობაზე.

სახელმწიფო გამომცემლობის წესდება, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებები აჭარის საგამომცემლო /1931 წ./ წიგნის მაღაზია სახელგამის ორგანიზაციის, მკინძავ-სახელოსნოს ლიკვიდაციის და მისი ფუნქციების ტიპოგრაფიისათვის გადაცემის, სასკოლო და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის, სამუშაო გეგმების დამტკიცების და მისი შესრულების, წიგნების გამოცემის შესრულების, წიგნების რეცენზიების, სახელგამის მიერ გამოშვებული წიგნების სიები, წლიური, თემატური საწარმოო-საფინანსო გეგმები და ანგარიშები.

აჭარის ასსრ ადგილობრივ მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ტიპოგრაფია

ფონდი რ-183; საქმეთა ერთეული 98, 1921-1945 წწ.; აღწერა.

1921 წელს ნაციონალიზებული კერძო ტიპოგრაფიის ბაზაზე შეიქმნა აჭარის სახალხო მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილება.[4] 1924 წლის 1 ოქტომბერს გადავიდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტექნიკური საწარმოოს ქვეგანყოფილების დაქვემდებარებაში.[5]

1924 წლის ნოემბრიდან იგი აჭარის ასსრ სამრეწველო გაჭრობის სამინისტროშია, 1926 წლის სექტებრში აჭარის სამრეწველო გაჭრობის აჭარის ასსრ მრეწველობის სამმართველოდ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ტიპოგრაფია ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაშია.[6]

1931 წლის იანვარში აჭარმრეწვს ეწოდა აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელიც 1932 წლის მარტში რეორგანიზებული იქნა მრეწველობის სახალხო კომისარიატად, რომელშიც შევიდა ტიპოგრაფია.[7] 1934 წლის ივლისიდან იგი გადადის სახელგამის დაქვემდებარებაში.[8] მის ფუნქციას წარმოადგენდა რესპუბლიკისა და ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე გაზეთების რედაქციების, წიგნების, ჟურნალების და სხვა გამოცემების აწყობა, დაბეჭდვა, აკინძვა. დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა ფორმებისა და ბლანკების ბეჭდვა.

ფონდში დაცულია: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისარიატის საბჭოს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ადგილმრეწის სახალხო კომისარიატის, აჭარის ასსრ სახელგამის პოლიგრაფიული განყოფილებისა და ტიპოგრაფიის დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და ცირკულიარები გეგმის შესრულების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის, გამომუშავების ნორმების, შტატების, საწარმოებთა ტექნიკური აღჭურვილობის, შრომის ნორმების,

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-880; საქ. 445; ფ. 55; აღწერა 1.
2. იქვე, ფონდი რ-972; საქ. 1; ფ. 3; აღწერა 1.
3. იქვე, ფონდი რ-972; საქ. 57; ფ. 220; აღწერა 2.
4. ფონდი რ-2; საქ. 1; ფ. 201, 202; აღწერა 1.
5. იქვე, ფ. 204.
6. აჭარის ცსა, ფონდი რ-170; საქ. 134; ფ. 22; აღწერა 1.
7. ფონდი რ-183; საქ. 9; ფ. 55; საქ. 485; ფ. 16; აღწერა 1.
8. იქვე, საქ. 36; ფ. 36.

საბუღალტრო აღრიცხვის ოქმები, მასალები ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოო ამოცანების შესრულების შესახებ, საწარმოო ფინანსური გეგმები, 1944 წლის სტატისტიკური ანგარიშები, წლიური ბალანსები, კონიუქტურული მიმოხილვები, საკონტროლო ციფრები, მიმოწერა საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის შესახებ და სხვა.

აჭარის ასსრ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მთავარი სამმართველო

ფონდი რ-6; საქმეთა ერთეული 50, 1925-1930 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

აჭარის ასსრ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მთავარი სამმართველო შეიქმნა 1921 წელს.[2] მის ფუნქციას წარმოადგენდა მოსახლეობაში, ორგანიზაციებში, კლუბებში, კინო-თეატრებში, სამკითხველოებში და ბიბლიოთეკებში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა, აგრეთვე მათი მუშაობის კონტროლი და ხელმძღვანელობა,[1] სკოლების ორგანიზება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, აჭარის ტერიტორიაზე ლიტერატურული საცენზურო მუშაობის წარმართვა.

ფონდში დაცულია: დოკუმენტები რეგკომების დეკრეტების შესახებ, დადგენილებები საქართველოს სსრ და აჭარი ასსრ ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს, განათლების სახალხო კომისარიატის, რსფსრ მთავარი პოლიტიკური საგანმანათლებლო სამმართველოს ბრძანებები, ცირკულიარები, ინსტრუქციები და დირექტივები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, ქალაქისა და სოფლის კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, კინოს, წიგნის მაღაზიის გახსნისა და მათი მუშაობის, ლექციების ჩატარების, მოზრდილი მოსახლეობის სწავლის მეთოდების, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად სახსრების გამოყოფის, ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედების საღამოების მოწყობის, კულტ-მასობრივ მუშაობაში მთლიანი მოსახლეობის ჩაბმის, მუშათა შორის მასობრივი-სააგიტაციო სამუშაოების ჩატარების, კულტურული მშენებლობის ამოცანების, მუშათა კლუბებისა და თეატრებისათვის რეპერტუარის შერჩევის, ღატაკთა შორის მუშაობის, ინსტრუქტორთა უფლება-მოვალეობის, კულტურულ დაწესებულებათა რეორგანიზაციის, სკოლების ლიტერატურითა და ინვენტარით მომარაგების შესახებ, 1927-1928 სასწავლო წლების მუშაობის გეგმები, აჭარის ასსრ მთავარ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სამმართველოს 1928-1933 წლების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა 1928 წლის ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, აჭარის ასსრ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სამმართველოს კოლეგიის, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლების გამომკვლევი კომისიის ოქმები და სხვა.

აჭარის პოლიტგანათლების მუშაკთა 1925 წლის პირველი თათბირის რეზოლუციები, მოძრავი პოლიტსკოლების მუშაობის, პარტიული განათლების, საქმის მდგომარეობის, 1923 წელს მთავლიტის განყოფილების ორგანოების სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1927 წელს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საერთო კავკასიური სამხარეო მეთოდური კონფერენციის სხდომათა ოქმები, 1928 წლის ანგარიშები, მოხსენებები და მიმოხილვები სამმართველოსთან არსებული მხატვრულ ნაწარმოებთა განმხილველი კომისიის წევრთა რეცენზიები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების სიები და სხვა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-6; საქ. 12; ფ. 50; აღწერა 1.
2. იქვე, საქ. 5; ფ. 81.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო

ფონდი რ-877; საქმეთა ერთეული 74, 1946-1953 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

1946 წლის 1 თებერვალს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო.[1]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 20 მაისის №-53 დადგენილების საფუძველზე მოხდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს შერწყმა და შეიქმნა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო.[2]

მის ფუნქციებში შედიოდა კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, დასვენების პარკების, კულტ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის კადრების მოსამზადებელი სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ფონდში დაცულია: კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დადგენილებები, ბრძანებები და ოქმები რაიონებში კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების განყოფილებების მოღვაწეობის, დამსვენებელთა შორის კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების, საქალაქო, რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ. კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს მუშაობის გეგმები. აკაკი წერეთელის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის და სხვა ბიბლიოთეკების მუშაობის ანგარიშები, მოხსენებითი ბარათები, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სიები, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, საშტატო განრიგები, ხარჯთაღრიცხვა და სხვა.

საქართველოს პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილება

ფონდი რ-978; საქმეთა ერთეული 209, 1947-1967 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

საქართველოს პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილება შეიქმნა 1947 წლის 8 ნოემბერს, სახელწოდებით საზოგადოება „ცოდნა“. იგი ამუშავებს და ცხოვრებაში ატარებს პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გავრცელების ღონისძიებებს, ახორციელებს ლექციების ხარისხისა და მათი იდეური შინაარსის კონტროლს.

ფონდში დაცულია: საკავშირო და საქართველოს სსრ პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პრეზიდიუმის, პლენუმების და სხდომების დადგენილებები მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერების შეგროვების კომპანიაში საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის შედეგების, კომუნიზმის დიდი მშენებლობის პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების, სსრკ-ში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებასთან დაკავშირებით სალექციო პროპაგანდის ორგანიზების, ფიზიკა-მათემატიკური, ასტრონომიული გეოფიზიკური, ქიმიური და გეოლოგია-გეოგრაფიული ცოდნის გავრცელების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის გაუმჯობესების, ლექციური პროპაგანდის იდეური შინაარსის ხარისხის ამაღლების შესახებ. ინსტრუქციები საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების ჩატარების, საზოგადოების წევრთა აღრიცხვისა და ლექციური პროპაგანდის შესახებ.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ განკარგულებები VI პლენუმის და საზოგადოების აქტივის მასალები გამგეობისა და რაიონული განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების, რესპუბლიკის შრომითი რეზერვების, სასწავლო დაწესებულებებზე შეფობის გაწევის შესახებ. რეცენზიები, დასკვნები, ცნობები ლექციური მუშაობის, გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-2; საქ. 1520; ფ. 14; აღწერა 1.
2. იქვე, ფონდი რ-332; საქ. 245; ფ. 48.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული აღმასკომების კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებები

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ბათუმის განყოფილება
ფონდი რ-952; საქმეთა ერთეული 346, 1946-1992 წწ.; აღწერა.

ბათუმის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებები შეიქმნა 1946 წლის 14 თებერვალს ბათუმის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტთან. ლიკვიდირებული იქნა 1954 წლის 16 დეკემბერს, ხოლო შემდგომ განახლდა 1956 წლის 16 აგვისტოს. კვლავ მოხდა მისი ლიკვიდაცია 1960 წელს და მისი ყველა ფუნქცია გადაეცა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს. აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კვლავ აღსდგა რაიონის კულტურის განყოფილებები, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკებისა და კლუბების ხელმძღვანელობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1993 წლის დადგენილებით ქ. ბათუმის პრეფექტურის (მერიის) კულტურის განყოფილება გაუქმდა და ფუნქციები გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და შესაბამისად აჭარის კულტურის სამინისტროს 1993 წლის 25 დეკემბრის №-107 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა ქ. ბათუმის კულტურის განყოფილება და ფუნქციები გადაეცა კულტურის სამინისტროს.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და რაიონის აღმასკომის დადგენილებები და გადაწყვეტილებები განყოფილების ძირითად საქმიანობაზე, გამოფენების მოწყობის, კონცერტების ჩატარების, სხვადასხვა სანახაობების, შეჯიბრების და სხვათა შესახებ.

აგრეთვე ფონდში ინახება მოხსენებითი ბარათები, მიმოწერები ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციებთან განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, სია იმ ქუჩებისა, რომლებსაც ბოლო წლებში შეეცვალა სახელწოდება, ასევე სისტემის დაწესებულებებისა და გამსხვილებული ბიბლიოთეკების სია.

ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმი

ფონდი რ- 1168; საქმეთა ერთეული 92, 1937-1959 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1936 წელს,[1] როგორც ორგანიზაციული ბიურო, რომელიც შედიოდა აჭარის ასსრ სახალხო განათლების კომისარიატის დაქვემდებარებაში.

1939 წლიდან მუზეუმს დაერქვა რევოლუციის მუზეუმი[2] და იგი დაექვემდებარება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს.

1946 წლიდან[3] მუზეუმი შევიდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს დაქვემდებარებაში, ხოლო 1953 წლის 20 ივლისიდან[4] რევოლუციის მუზეუმი შევიდა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში და თავის საქმიანობას ანხორციელებდა უშუალოდ სამინისტროს ხელმძღვანელობით.

1989 წლის 9 აპრილმა, რომელმაც საქართველოში დასაბამი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. შექმნა საფუძველი იმისა, რომ კულტურის სამინისტროს 1994 წლის ბრძანებულებით რევოლუციის მუზეუმი გარდაიქმნა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმად.

აჭარის კულტურის სამინისტროს 1996 წლის 27 ივნისის №-132 ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმი გაუქმდა და სამუზეუმო ფასეულობა გადაეცა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს, რომლის ბაზაზეც ამჟამად ფუნქციონირებს, როგორც ხელოვნების სახ. მუზეუმი.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-1168; საქ. 21; ფ. 9; აღწერა 1.
2. იქვე, ფ. 9.
3. იქვე, ფ. 46.
4. იქვე, ფონდი რ-972; საქ. 8; ფ. 32- 34; აღწერა 1.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ფონდი რ-1143; საქმეთა ერთეული 186, 1924-1965 წწ.; აღწერა.

ბათუმში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხს 1899 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ლიტერატურით დაინტერესებულმა პირებმა ბიბლიოთეკის გახსნაზე მსურველთა 108 კაცის ხელწერა შეაგროვეს, ამავე წლის 10 ოქტომბერს შედგა ბიბლიოთეკის გახსნის მსურველთა დამფუძნებელი კრება. შემუშავებული იქნა ბიბლიოთეკის წესდება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მრავალმხრივი განხილვის შემდეგ დამტკიცდა 1901 წლის 23 ნოემბერს, რის შემდეგ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის 1902 წლის 13 ოქტომბერის გადაწყვეტილებით ბათუმში გაიხსნა ბიბლიოთეკის სამკითხველო, რომელსაც ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა უწოდეს.[1]

ბიბლიოთეკას ჰყავდა გამგე, რომელიც ბიბლიოთეკის ყველა სამუშაოს ასრულებდა. ახალი ბიბლიოთეკის მუშაობის ძირითად საკითხებს წყვეტდა ბიბლიოთეკის გამგეობა, რომლის წევრებს ქალაქის მოწინავე საზოგადოებისაგან ირჩევდნენ, მიუხედავად ამისა მკითხველებს წიგნის სარგებლობისათვის საფასურს ახდევინებდნენ. ქალაქის თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი თანხები იმდენად მცირე იყო, რომ ორდინატადაც არ აკმაყოფილებდა ბიბლიოთეკის ნორმალურ მუშაობას, ამიტომ ბიბლიოთეკის გამგეობა აწყობდა ფასიან საღამოებს და აგროვებდა ქალაქის მოსახლეობისაგან შემოწირულობებს წიგნებისა და ფულის სახით.

ბიბლიოთეკის მუშაობისათვის პირობები აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ-/1921 წლის მარტში შეიქმნა.

1921 წლიდან ბიბლიოთეკის საქმიანობის წარმართვა ჯერ ბათუმისა და მისი ოლქის რევოლუციურ კომიტეტს, ხოლო შემდეგ ბათუმის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას დაეკისრა. ბიბლიოთეკას ბათუმის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა ეწოდა. დამტკიცდა ბიბლიოთეკის ახალი შტატი ბიბლიოთეკის გამგისა და ბიბლიოთეკარის შემადგენლობით.[2]

იმის გამო რომ ბათუმის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებდა აჭარის მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს, აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1937 წლის 15 იანვრის დადგენილებით ბათუმის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა რეორგანიზებული იქნა აჭარის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად.[3]

ბიბლიოთეკა შევიდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგეობაში. დამტკიცდა ბიბლიოთეკის ახალი სტრუქტურა და შტატი, ბიბლიოთეკას აკაკი წერეთლის სახელი მიეკუთვნა.

საჯარო ბიბლიოთეკაში შეიქმნა დაკომპლექტების, დამუშავების, მკითხველთა დარბაზისა და აბონენტზე მომსახურების განყოფილება. ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 17 საშტატო ერთეული—დირექტორი, დირექტორის მოადგილე, განყოფილების გამგეები და ბიბლიოთეკარი.[4]

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოს ბრძანებები ბიბლიოთეკის მუშაობისა და შემოწმების მასალები. ღონისძიებათა გეგმები, ანგარიშები, მკითხველთა კონფერენციების, კონკურსების მოწყობის, მწერლებთან შეხვედრების მასალები და სხვა.

საკავშირო სააქციონერო გაერთიანება „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილება

ფონდი რ-134; საქმეთა ერთეული 345, 1932-1941 წწ.; აღწერა.

საკავშირო სააქციონერო გაერთიანება „ინტურისტი“ შეიქმნა 1930 წელში, რომლის ბაზაზე მოძმე რესპუბლიკებში შეიქმნა მისი განყოფილებები და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საქართველო, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც 1932 წლის მაისში ბათუმში შეიქმნა საკავშირო სააქციონერო გაერთიანება „ინტურისტი“ ბათუმის განყოფილება.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-1143; საქ. 3; ფ. 33; აღწერა 1.
2. იქვე, საქ. 3; ფ. 35; აღწერა 1.
3. ფონდი რ-4; საქ. 997; ფ. 3; აღწერა 1.
4. იქვე, საქ. 3; ფ. 36, 37.

ფონდებში დაცულია: სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ცაკის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ „ინტურისტის“ დადგენილებები, ბრძანებები, ცირკულიარები, უცხოელ ტურისტთა მომსახურეობაზე მთავრობის გადაწყვეტილებების კონტროლი, სასტუმროების შენობების დაქირავებისა და სწორი ექსპლუატაციის, სახელმწიფო გეგმის შესრულების, ხელფასის დამტკიცების, კადრების მომზადების, ანგარიშების წარდგენის, ხელფასის, კადრების მომზადების, ანგარიშების წარდგენის, 1933 წელში იაპონიის საელჩოს მუშაკთა მიღების და მომსახურეობის, უცხოელთა პასპორტის წესრიგში მოყვანის, მეთოდურ კაბინეტების ორგანიზების, ტურისტთა შორის კულტმასობრივი მუშაობის, საფინანსო გეგმების შესრულების, სასტუმროს თანამშრომელთა მიერ ინგლისური ენის შესწავლის, 1935 წელს ბათუმში ჩამოსული გემის გენერალ „ფონშტეინერის“ მგზავრთა სიების ასლები, პროდუქტების ვალუტაზე რეალიზების დებულება, ახსნა-განმარტებითი ბარათები და მიღება-ჩატარების აქტები ბარის მშენებლობის, შენობის რემონტის, პროდუქტების პირადი სახელების, საქონლის და მომსახურების ფასების პრეისკურანტი და ძირითადი ღირებულების, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშებისა და სხვათა შესახებ. აგრეთვე კონიუქტურული მიმოხილვები „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ და სხვა.

პოლიტიკური კატორღელებისა და გადასახლებულთა საკავშირო გაერთიანების, საქართველოს გაერთიანების საბჭოს აჭარის განყოფილება

ფონდი რ- 91; საქმეთა ერთეული 58, 1925-1935 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1924 წლის მაისში, მის ფუნქციაში შედის მასალების შეგროვება-დამუშავება კატორღელების, გადასახლებულების და რევოლუციური მოძრაობის შესახებ. დაღუპულ, რევოლუციონერ ოჯახების დახმარება, რევოლუციის საქმისათვის დაღუპული მებრძოლების სხოვნის უკვდავყოფა, მოგონებათა და მოხსენიებათა საღამოების ორგანიზება.

ფონდებში დაცულია: პოლიტკატორღლეებისა და გადასახლებულთა სრულიად რუსეთის, სრულიად საქართველოს აჭარის საზოგადოების დადგენილებები, ცირკულიარები, ურთიერთდამხმარე სალაროს წევრად მიღების, პოლიტკატორღელთა ოჯახებისათვის პენსიების დანიშვნის, პოლიტიკურ-მასობრივი და საგამომცემლო მუშაობის, ანტირელიგიური კომპანიის ჩატარების, ლექციების ორგანიზების, საუბრების ჩატარების ოქმები, მოსახლეობასთან შეხვედრის მასალები, ფულადი სახსრების ანგარიშები, საზოგადოების წევრთა გარიცხვისა და უფლებების აღდგენის, დოკუმენტალური რევიზიის აქტები, ხარჯთაღრიცხვები, მუზეუმის საექსპოზიციო კუთხის სქემა და ექსპონანტების სია, საეკლესიო საბჭოს წევრთა სია და სხვა.

რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოების /რმსს/ აჭარის საოლქო კომიტეტი

ფონდი რ-70; საქმეთა ერთეული 242, 1924-1948 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1923 წლის ოქტომბერში, მის ფუნქციაში შედიოდა რევოლუციის საქმისათვის მებრძოლთა, ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეებში დაპატიმრებულთა ოჯახებისა და მათი შვილებისათვის დახმარების გაწევა, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ასრულებდა რა ცაკის დავალებებს რმსს საოლქო კომიტეტი ასრულებდა აგრეთვე აჭარის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობას და კონტროლს. აღნიშნული ორგანიზაცია ლიკვიდირებულია 1948 წლის 12 თებერვალს რმსს ცაკის დადგენილების საფუძველზე.

ფონდში დაცულია: სსრკ და საქართველოს სსრ რმსს ცაკის, აჭარის ასსრ რმსს ცაკის საოლქო კომიტეტის მასობრივი სამუშაოების გაშლის, რევოლუციის მებრძოლთა და მათი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში უჯრედების შექმნის, ლექციების ჩატარების, მოსახლეობასთან საუბრების, საოლქო და რაიონული კომიტეტების უჯრედების არჩევნების ჩატარების, სოციალისტური რევოლუციის მებრძოლთა და მათი ოჯახებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების, ზემდგომ ორგანოებში ანგარიშების წარდგენის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, რევოლუციის მებრძოლთათვის სანიტარულ-ჰიგიენური დახმარების გაწევა, აჭარის რმსს 1934 წლის კონფერენციის მასალები, გეგმები, აჭარის საოლქო კომიტეტის ცაკის პრეზიდიუმის,

წარმოება-დაწესებულებების, რაიონული კომიტეტების სხდომის ოქმები.რმსს ცაკის 1924-1927 წ.წ. ბიულეტენები, რმსს სამაზრო განყოფილების 1924 წლის წესდება. რმსს აჭარის საოლქო და რაიონული კომიტეტების 1924-1948 წწ. წლიური სტატისტიკური ანგარიშები, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციული და საწარმოო ხარჯთაღრიცხვები, მიმოწერა სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების გაწევისათვის და სხვა.

ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესების აჭარის ასსრ ბავშვთა კომისია

ფონდი რ-143; საქმეთა ერთეული 182, 1926-1938 წწ.; აღწერა.

დაარსდა 1924 წელს აჭარის ასსრ ცაკთან. მის ფუნქციას შეადგენდა აჭარაში უპატრონო ბავშვთა ხელმძღვანელობა, მათთვის დახმარების გაწევა. აერთიანებდა ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და იბრძოდა ერთიანი ძალით ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ. ლიკვიდირებულ იქნა 1938 წელს.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ცაკის დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და ცირკულარები უპატრონო ბავშვთათვის დამხმარე კომისიის მოღვაწეობის, ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ღონისძიებების, ბავშვთა თავშესაფრების მომარაგების, უპატრონო ბავშვთა შორის პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობის, ბავშვთა საწარმოო სწავლების, ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესების მუშაობის, სახელმწიფო ორგანოებთან თანადგომის, ბავშვთა უპატრონობის გამოვლენისა და მასთან ბრძოლის, ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, სახელოსნოებში ბავშვთათვის ადგილების გამოყოფის, საბავშვო დაწესებულებების შეფობისა და მოზარდ ბავშვთათვის სამედიცინო-სანიტარული დახმარების გაწევის შესახებ. ბავშვთა კომისიის პრეზიდიუმისა და პროფკავშირის ორგანოების სხდომათა ოქმები ბავშვთა შრომის პირობების და ტექნიკური უსაფრთხო წესების დაცვის, სახელოსნოების ორგანიზების კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარების, უპატრონო ბავშვთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის, ცაკის დადგენილებები დედებისა და ჩვილ ბავშვთა დაცვის შესახებ.

მოხსენებითი ბარათები ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ღონისძიებების, მექანიკური და სადურგლო სახელოსნოების გახსნის, რაიონული საბავშვო დაწესებულებათა გამოკვლევის მასალები, საშტატო განრიგები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა.

აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტი

ფონდი რ-1144; საქმეთა ერთეული 158, 1954-1989 წწ.; აღწერა.

1921 წლის აპრილში ბათუმში გაიმართა აჭარელ ქალთა პირველი მიტინგი, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან დაკავშირებით აჭარელ ქალთა მონაწილეობის შესახებ.

1924 წლის 28 ივლისს აჭარისტანის სახკომსაბჭოს ინიციატივით შეიქმნა ქ. ბათუმის და მისი რაიონის აჭარელ ქალთა კომიტეტი,[1] რომელიც იყო ერთადერთი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, იდეური წამოწყება აჭარელ ქალთა მოძრაობისა.

1926 წლის მარტში აჭარისტანის ცაკის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისია,[2] რომელსაც ჰქონდა თავისი პლენუმი. მის შემადგენლობაში შედიოდა ყველა კომიტეტების წარმომადგენლები და პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობა დამტკიცებული იყო აჭარცაკის მიერ. პლენუმისა და პრეზიდიუმის მუშაობას ხელმძღვანელობადა ქალთა კომისიის პირადი შემადგენლობა-მდივანი და თავმჯდომარე. ქალთა კომისიის თავმჯდომარე იყო თავად ცაკის თავმჯდომარე.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-2; აღწერა 1; ცირკულიარული წერილი №-23.
2. იქვე, ფონდი რ-4; საქ. 550; ფ. 1, 16; აღწერა 1.

1930 წლის ოქტომბერში აჭარცაკთან არსებული ქალთა კომისიას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ქალთა კომიტეტი. მისი შემადგენლობა განისაზღვრებოდა სამი კაცით-ქალთა კომიტეტის პ/მგ მდივანი და ორი ინსტრუქტორი.

1960 წელს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დებულების თანახმად შეიქმნა აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობით აჭარის რაიონებში, დაბებსა და სოფლებში შეიქმნა ქალთა კომიტეტები. აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტი არის ერთ-ერთი თვითმოქმედი ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, მოადგილე და პ/მგ მდივანი. ეს ორგანიზაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქალთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფო მართვაში, მათი როლის ამაღლებას, სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში.

ფონდში დაცულია ქალთა საოლქო კომიტეტის პლენუმის, კონფერენციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების მასალები, საქმიანი წინადადებები, ქალთა სოციალურ-უფლებრივი პირობების გაუმჯობესებისა და ამაღლების, სხვადასხვა შეხვედრების შესახებ.

აგრეთვე ფონდში დაცულია მასალები ქალთა კომიტეტის მიერ ქალთა-შრომის პირობების გაუმჯობესების, დასვენების, მათი შემოქმედებითი საქმიანობის, ბაგა-ბაღების მუშაობის გაუმჯობესების, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობის, მისასალმებელი სიტყვების, გამოსვლების, სოციალური დახმარების გაწევისა და სხვათა შესახებ.

აჭარის ასსრ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ფონდი რ-838; საქმეთა ერთეული 145, 1932-1955 წწ.; აღწერა.

ბათუმის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა 1908 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ბათუმის პუშკინის სახელობის სასწავლებელთან გაიხსნა საბავშვო მუზეუმი. 1912 წლის 15 ოქტომბერს იგი გადაკეთდა საქალაქო მუზეუმად.[1]

ბათუმის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები მუზეუმის შემდგომ გაფართოებაზე, მისი სოლქო მუზეუმად გადაკეთებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ მეფის მთავრობის წინააღმდეგობის გამო ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა. სამუზეუმო საქმე საბჭოთა ორგანოების მზრუნველობის საგნად იქცა. ჯერ მის საქმიანობას ხელმძღვანელობდა ბათუმის, და მისი ოლქის რევკომის კომუნალური განყოფილება,[2] ხოლო შემდგომ /1922 წლის 20 დეკემბრიდან/ აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატი.[3]

1925 წლიდან ბათუმის საქალაქო მუზეუმი გადაკეთდა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად, ხოლო 1930 წლის მაისიდან ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მუზეუმი გადაეცა აჭარის ახლად შექმნილ მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევით ბიუროს, 1932 წლიდან მუზეუმი გამოეყო აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს და გახდა დამოუკიდებული ერთეული-აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი.[4]

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა და იქ თავმოყრილია მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, ექსპონანტები, კოლექციები, ხელნაწერები უძველესი ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ცივილიზებულ ეპოქამდე. აგრეთვე ფონდში დაცულია საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს დადგენილებები, ბრძანებები, ლექცია-მოხსენებები და სხვა.

---

1. ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი ბათუმი, 1958 წ. გვ. 9.
2. აჭარის ცსა, ფონდი რ-9; საქ. 4; ფ. 50; აღწერა 1.
3. იქვე, ფონდი რ-5; საქ. 10; ფ. 1; აღწერა 1.
4. იქვე, ფონდი რ-562; საქ. 20; ფ. 4; აღწერა 1.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი /იგივე ადრინდელი „კაპელა“/

ფონდი რ-198; საქმეთა ერთეული 323, 1937-1990 წწ.; აღწერა.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი /იგივე ადრინდელი „კაპელა“/ შეიქმნა 1937 წელს და ექვემდებარებოდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს.[1] მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ექვემდებარებოდა ცალკე ბიუჯეტზე არსებობდა.[2]

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ემსახურებოდა დასასვენებელ სახლებს-მახინჯაურის, მწვანე კონცხის, ციხის-ძირისა და ქობულეთის სანატორიუმებს და ხელს უწყობდა მათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

1941 წელს განხორციელდა ანსამბლის რეფორმა.[3]

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ზაფხულის პერიოდში ასევე ემსახურებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ დამსვენებლებს.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საუკეთესო კადრებითა და მოვალეობის კარგი შესრულებით.

ფონდში დაცულია: მასალები, ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, გადაწყვეტილებები და ბრძანებები ანსამბლის საქმიანობაზე, მათ მუშაობაზე სხვადასხვა ქალაქებში გასტროლების ჩატარებაზე. ანსამბლის წევრების დაჯილდოებაზე. აგრეთვე ფონდში ინახება ბიუჯეტის შესრულების, ბალანსისა და სტატისტიკური ანგარიშები ანსამბლის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული გასტროლების ამსახველი მასალები, დაღესტანის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი ანსამბლის მიერ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ყაზახეთის ასსრ ჯამბულის ოლქის საავტომობილო გზების სამინისტროს კურდასის ქარხნის კოლექტივის სამადლობელო წერილი გაგზავნილი გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარია“-ს. რედაქციაში ანსამბლის მიერ ჩატარებული კონცერტებისათვის, საქართველოს კულტურის სამინისტროს მილოცვის წერილი ანსამბლის შექმნის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ქალაქების თეატრებიდან მოსული მილოცვები, მასალები ანსამბლის მიერ საშეფო კონცერტების ჩატარების შესახებ და სხვა.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი

ფონდი რ-186; საქმეთა ერთეული 147, 1929-1953 წწ.; აღწერა.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი გაიხსნა 1928 წლის 21 აგვისტოს აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილებით.[4]

ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი იყო აჭარის ასსრ რესპუბლიკაში ერთადერთი პროფესიონალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა საშუალო ცოდნის მუსიკალური პროფესიის კადრებს, აგრეთვე პედაგოგებს დაწყებითი სამუსიკო სკოლებისათვის.

სამუსიკო სასწავლებელს გააჩნია შემდეგი სპეციალობები: ფორტეპიანო, საკრავების /ინსტრუმენტალები/, ვოკალური და თეორიული. სასწავლებელი ტექნიკუმის კოლეგიალურ ორგანოდ ითვლებოდა. მას ჰყავდა პედაგოგიური საბჭო, რომელსაც სასწავლებლის დირექტორი თავმჯდომარეობდა. 1936 წლის 15 სექტემბრის საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანებით /№-140/ ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელს ეწოდა კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სახელი.[5]

1938 წელს მუსიკალური სასწავლებლის შტატი ასე გამოიყურებოდა, დირექტორი, მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში, ცალკეული საგნების პედაგოგები, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ტექნიკური მდივანი, მემანქანე, ხელოსანი, ექიმი, პატრონაჟი, კომენდანტი, სამნეო ნაწილის გამგე, დამლაგებელ-კურიერი.[6]

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-198; საქ. 7; ფ. 60.
2. იქვე, ფ. 3.
3. იქვე, ფ. 7.
4. აჭარის ცსა, ფონდი რ-5; საქ. 93; ფ. 22; აღწერა 1.
5. აჭარის ცსა, ფონდი რ-186; საქ. 25; ფ. 3, 4; აღწერა 1.
6. იქვე, საქ. 47; ფ. 8.

ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი 1928-1929 წწ. იმყოფებოდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში. 1936 წლიდან 1940 წლის 15 მარტამდე აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებარებაში.

1953 წლის ივნისში—აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს №-418 დადგენილებით კულტურის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი დაექვემდებარა კულტურის სამინისტროს.[1]

ფონდში დაცულია: მასალები-ბრძანებები, ცირკულიარული წერილები, ინსტრუქციები, გადაწყვეტილებები, დადგენილებები საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატების, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს, სასწავლებლის სასწავლო გეგმები, პროგრამები, მეთოდური მითითებები, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მასალები, პედსაბჭოს სხდომის ოქმები, დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის ასი წლისთავისადმი /1940 წ./ მიძღვნილი საიუბილეო მასალები, მეთოდური თათბირების ოქმები (1931, 1937); მოხსენება, მიმოხილვა სასწავლებლის ორგანიზაციის, მისი მუშაობა-მოღვაწეობის შესახებ, სასწავლო ანგარიშები, საშტატო განრიგი, ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ადმინისტრაციულ-საწარმოო შემოსავლების, საგამოცდო ფურცლები, მიმოწერა სასწავლებლის კონტინგენტის შესახებ.

ბათუმის საქალაქო არქივი

ფონდი რ-958; საქმეთა ერთეული 36, 1949-1954 წწ.; აღწერა.

1935 წლის 10 ივლისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის №-74/1 გადაწყვეტილებით შეიქმნა საქალაქო არქივი სამეცნიერო-საცნობარო დოკუმენტების მოწესრიგების და მისი სახელმწიფო შენახვის მიზნით.

თავდაპირველად საქალაქო არქივი შედგებოდა შემდეგი სტრუქტურული ნაწილებისაგან, ქალაქის კეთილმოწყობის საექსპლუატაციო-საარენდო, საბინაო, მშენებლობის, სასტუმრო-აბანოების, ქალაქის დასუფთავების, ჯანდაცვის სამმართველოები, ელექტრო და რადიო კვანძები, ლომბარდი, წყალგაყვანილობა და ასფალტის ქარხანა[2].

საქალაქო არქივის ძირითად ფუნქციას შეადგენდა არა მარტო მის სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციების საარქივო დოკუმენტების მოწესრიგება, არამედ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სხვა წარმოება-დაწესებულებებში თავმოყრილი მასალების მოგვლა-პატრონობა. საქალაქო არქივი შედიოდა ქალაქის აღმასკომის დაქვემდებარებაში და ძირითადად მასში დაცულია აღმასკომის გადაწყვეტილებები, ექსპერტიზის აქტი. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ მოხდა საქალაქო არქივის გაფართოება როგორც საუწყებო არქივის და მასში შევიდა სკოლები და სხვა ოგანიზაციების საარქივო დოკუმენტური მასალები, ფონდი ძალიან მწირია და იგი ვერ პასუხობს საქალაქო არქივის როლსა და ფუნქციას, სამწუხაროდ 1935 წლის მასალებიც არ არის შემონახული.

ფონდში თავიდან ირიცხებოდა 44 საქმე, შემდგომ ფონდს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რის შედეგად 8 საქმე, რომელიც მოკლებული იყო სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებას გამოიყო გასანადგურებლად. ამის შედეგად ფონდში დარჩა 36 საქმე.

1963 წლის 13 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქალაქო არქივი შეუერთდა ცენტრალურ სახელმწიფო არქივს,[3] რის გამო შეწყდა მისი ფუნქციონირება.

ქობულეთის რაიონის კულტურის განყოფილება

ფონდი რ-1046; საქმეთა ერთეული 32, 1947-1956 წწ.; აღწერა.

ქობულეთის რაიონის კულტურის განყოფილება შეიქმნა 1946 წლის 15 თებერვალს ქობულეთის რაიაღმასკომის დაქვემდებარებაში. მის ფუნქციას შეადგენდა ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონტროლი, ძირითადი ხელმძღვანელობა კი რაიაღმასკომს ეგვალებოდა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-972; საქ. 1; ფ. 3; აღწერა 1.
2. ფონდი რ-889-ა; საქ. 182; ფ. 13; აღწ. 1.
3. ფონდი რ-1041; საქ. 63; ფ. 22; აღწერა 2.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: მასალები აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და ქობულეთის რაიაღმასკომის გადაწყვეტილებები და დადგენილებები განყოფილების ძირითად საქმიანობაზე. ბიბლიოთეკის და კლუბების მუშაობის შემოწმების მასალები, კონცერტების ჩატარების გეგმები და რეპერტუარები, მკითხველებთან შეხვედრების, სხვადასხვა სანახაობის მოწყობის დოკუმენტები, გამოსვლები, მოხსენებები, თემატური და ღონისძიებათა გეგმები და სხვა.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲤᲝᲜᲓᲘ Რ-1140; ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 111, 1947-1961 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ქედის რაიონის კულტურის განყოფილება დაარსდა 1946 წლის 13 თებერვალს. მის ფუნქციას შეადგენდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ; ბათუმისა და ქედის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებები და გადაწყვეტილებები ქედის კულტურის განყოფილების შექმნის, მისი მუშაობის შესახებ. საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებები-კლუბების, წითელი კუთხეების, აგიტპუნქტების, მხატრული თვითმოქმედი კოლექტივების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, სოცშეჯიბრების მასალები, წლიური ბალანსი, საშტატო განრიგი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვა და სხვა.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲤᲝᲜᲓᲘ Რ-357; ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ 312, 1937-1990 ᲬᲬ.; ᲐᲦᲬᲔᲠᲐ. ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი გაიხსნა 1937 წლის 18 მარტს, რომლის დასი შედგებოდა რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუდიაში გაზრდილი აჭარელი ახალგაზრდებისაგან.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 25 აგვისტოს №-527 დადგენილებებით გადაწყდა ბათუმში სახელმწიფო დრამატული თეატრის მშენებლობის საკითხი, თეატრის ახალი შენობა გაიხსნა 1952 წლის 19 მარტს.[1]

1972 წელს დაარსდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილება.

1983 წელს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.[2]

ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, საქართველოს ბრძანებები თეატრის ძირითად საქმიანობაზე, თეატრის 70 წლის იუბილეს ჩატარების მასალები, ხელოვნების მუშაკთათვის სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის, მსახიობთათვის საპატიო წოდებების მინიჭების, პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ. სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმები, 1957 წლის დეკადის მასალები, სარეპერტუარო გეგმები, ბულგარეთისა და ბათუმის თეატრის კავშირურთიერთობის, ბულგარეთში ჩატარებული გასტროლების მასალები, აჭარის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დაარსების შესახებ. მასალები გარდაცვლილ მსახიობთათვის მემორიალის დადგმის, ჩატარებული რეპერტუარისა და სპექტაკლების ოქმები, როლების განაწილებისა და როლებზე მუშაობის, მისი შედგენის, აღრიცხვის მასალები და სხვა.

---

2. აჭარის ცსა, ფონდი რ-2; საქ. 1905; ფ. 16; აღწერა 1.
3. ს. ბუხნიკაშვილის წიგნი „ბათუმის თეატრი“, თბ. 1979 წ.

აჭარის ასსრ კინოფიკაციის სამმართველო

ფონდი რ-272; საქმეთა ერთეული 425, 1946-1960 წწ.; აღწერა.

1932 წლის 26 მაისამდე მთელ აჭარაში კინო-თეატრებს ხელძღვანელობდა აჭარის პროფსაბჭო, ხოლო 1932 წლის 26 მაისის აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის /სხდომის ოქმი №2/ დადგენილებით, აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებული იქნა კინოფიკაციის კომიტეტი.[1]

აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის კომიტეტი შედგებოდა შემდეგი სტუქტურული ნაწილებისგან, კანცელარია, საგეგმო განყოფილება და ბუღალტერია.

კინოფიკაციის კომიტეტი 1932-1940 წლებში უწევდა მომსახურებას და ხელმძღვანელობას სხვა რაიონებსაც. კერძოდ: მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის.

1941 წელს აჭარის კინოფიკაციის კომიტეტი გადაკეთდა კინოფიკაციის სამმართველოდ, ხოლო კინოფიკაციის სამმართველოს უკვე აღარ ექვემდებარებოდა მეზობელი გურიის რაიონები.

1953 წლის 4 ივნისის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის №-47 ბრძანებით აჭარის ასსრ კინოფიკაციის სამმართველო გაუქმდა და მისი გამგებლობა გადაეცა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს- კინოფიკაციის განყოფილების სახით, რომელსაც ჰქონდა ცალკე ბრძანებების წიგნი და ანგარიშსწორება ბანკში.

1961 წლის 28 ივნისს აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის განყოფილება გამოეყო კულტურის სამინისტროს და ბრძანების საფუძველზე შეიქმნა კინოფიკაციის და კინოგაქირავების სამმართველო.

1963 წლის 14 ნოემბერს კვლავ აღდგენილი იქნა კინოფიკაციის სამმართველო შემდეგი სტრუქტურული ნაწილით, კანცელარია, საგეგმო და ტექნიკური განყოფილება და ბუღალტერია.[2]

1975 წლის 25 მაისის სსრკ კულტურის სამინისტროს ბრძანებულებით მოხდა კინოფიკაციის სამმართველოსა და კინოგაქირავების გაყოფა და კინოფიკაციის სამმართველო დაექვემდებარა კულტურის სამინისტროს, ხოლო კინოგაქირავების კანტორა კინოგაქირავების მთავარ სამმართველოს. 1980-იან წლებში შეიქმნა აჭარის ასსრ კინოვიდეოგაერთიანება.

1991 წელში აჭარის ა.რ. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აჭარის კინოვიდეოგაერთიანება აჭარის ა.რ. კულტურის სამინისტროს დაექვემდებარა და დღესაც მის შემადგენლობაშია.

ფონდში დაცულია: სსრ კავშირის კინომატოგრაფიის და კინოკომიტეტის, საქართველოს სსრ და აჭარის კულტურის სამინისტროს, კინოფიკაციის სამმართველოს, საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებები და ბრძანებები კინოთეატრების ქსელის გაზრდის შესახებ, კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომის ოქმები, კინოფილმების ჩატარების განრიგები, წლიური ბალანსები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის კინოგაერთიანების კანტორის აჭარის განყოფილება

ფონდი რ-834; საქმეთა ერთეული 28, 1938-1945 წწ.; აღწერა.

საქართველოს რესპუბლიკის კინოგაერთიანების კანტორის აჭარის განყოფილება შეიქმნა 1938 წელს და იგი ექვემდებარებოდა საქარველოს კინოგაერთიანების კანტორას, მისი სტრუქტურა შედგებოდა: კანცელარია და ბუღალტერია. მის ფუნქციას შეადგენდა კინოთეატრის გაქირავების ორგანიზაცია.

ფონდში დაცულია საწარმოო თათბირის ოქმები, მოხსენებითი ბარათები, თანამშრომელთა სიები, ბრძანების საფუძვლები, წლიური ბალანსები და სხვა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-4; საქ. 564; ფ. 1, 4; აღწერა 1.
2. აჭარის ცსა, ფონდი რ-272; 1968 წ. ბრძანების წიგნი.

სსრკ და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ბათუმის განყოფილება

ფონდი რ-564; საქმეთა ერთეული 45, 1961-1974 წწ.; აღწერა.

სსრკ და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ბათუმის განყოფილება შეიქმნა 1961 წლის 12 სექტემბერს.[1]

ფონდში დაცულია: მიმოწერები, ბრძანებები, დადგენილებები სსრკ და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ბათუმის განყოფილების მუშაობის, დელეგაციების გაცვლის, კოლექციები, ორივე ქვეყნის სამკერვალო ფაბრიკების მუშაობის, გეგმები სსრკ და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ბათუმის განყოფილების, საინფორმაციო ბიულეტენები, ღირშესანიშნავი თარიღების მხატვრული პლაკატები; მოსაწვევი ბარათები, ჩეხოსლოვაკიიდან დელეგაციების ჩამოსვლის, პრეზიდიუმის სხდომის ოქმები, პერსპექტიული გეგმები, ბათუმის №-1 მუსიკალური სკოლისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხური შემოქმედების სკოლის ქ. იგლავის დელეგაციის გაცვლის, ექიმთა საზოგადოების დელეგაციების, სსრკ ჩეხოსლოვაკიის ბათუმის განყოფილების III კონფერენციის მასალები და სხვა.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი

ფონდი რ-89; საქმეთა ერთეული 2081, 18, საიდუმლო; 1923-1995 წლები; აღწერა.

1921 წლის 15 ივლისს ბათუმისა და მისი ოლქის სამხედრო კომისარიატთან შეიქმნა საარქივო დოკუმენტების შემგროვებელი კომისია, რომელმაც ხელი მოჰკიდა, როგორც სამხედრო, ასევე საქალაქო საარქივო დოკუმენტების შეგროვებას და დაცვას, აგრეთვე ოჯახებში მიმობნეული დოკუმენტების შეგროვებასა და აღწერა-კლასიფიკაციას[2].

თავიდანვე აჭარაში საარქივო საქმის ორგანიზაციას საოლქო სამხედრო კომისარიატთან ერთად წარმართავდა ბათუმისა და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტი, ხოლო 1922 წლის იანვრიდან აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს შექმნასთან დაკავშირებით საარქივო საქმის ორგანიზაცია უშუალოდ ხელთ აიღო სახკომსაბჭომ[3].

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის 1923 წლის 11 აპრილის დადგენილებით შეიქმნა აჭარის ასსრ საარქივო სამმართველო ოთხი შტატით[4] და ის დაექვემდებარა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

1928 წლის დასაწყისიდან იგი განათლების სახალხო კომისარიატიდან გადავიდა აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაქვემდებარებაში,[5] ხოლო 1938 წლიდან კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიტის შემადგენლობაშია.[6]

1939 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნა საარქივო განყოფილება[7] /შემდგომში მის ბაზაზე საარქივო სამმართველო/ სწორედ ამ განყოფილებას დაექვემდებარა შემდგომ არქივი.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი არის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ამავე დროს 1939 წლამდე—მანამ, სანამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეიქმნებოდა საარქივო განყოფილება ცენტრალური სახელმწიფო არქივი წარმოადგენდა აჭარის რესპუბლიკის მასშტაბით საარქივო მმართველობით ორგანოს. ის ხელმძღვანელობდა ჯერ სამაზრო საარქივო ბიუროებს, ხოლო შემდგომ რაიარქივის განყოფილებებს.

1996 წელს საქართველოს რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტის 1996 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ცენტრალურ არქივს შეეცვალა კატეგორია და გადავიდა II კატეგორიაზე, შეიქმნა განყოფილებები, მათ შორის დაემატა პარტიული და საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციების, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილებები.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-564; საქ. 1; ფ. 1, 13; აღწერა 1.
2. აჭარის ცსა, ფონდი რ-1; საქ. 40; ფ. 103-104; აღწერა 1.
3. იქვე, საქ. 14; ფ. 120; აღწერა 1.
4. ფონდი რ-2; საქ. 91; ფ. 7, 11,; აღწერა 1.
5. აჭარის ცსა, ფონდი რ-89; საქ. 1; ფ. 4; აღწერა 1.
6. ფონდი რ-2; საქ. 91; ფ. 7; აღწერა 1.
7. იქვე, საქ. 14; ფ. 121; აღწერა 1.

სახელმწიფო არქივის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს რესპუბლიკაში წარმოქმნილი დოკუმენტური მასალების აღრიცხვა, კონცენტრაცია, დაცვა, მათი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოყენება.

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში დაცულია, როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტები.

რევოლუციამდელი პერიოდის დოკუმენტების საარქივო ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს 1850-1921 წლებს. ეს ფონდები წარმოდგენილია ყოფილი ბათუმის ოლქისა და ქ. ბათუმის ცარიზმის დროინდელი ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და საწარმოების, საზოგადოებრივი და წოდებრივ-დაწესებულებათა მუშაობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტური მასალებით, ინახება აგრეთვე მასალები თურქეთისა და ინგლისელების მიერ აჭარის ტერიტორიის ოკუპაციის შესახებ მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

საბჭოთა პერიოდის მასალები, რომლებიც დაცულია ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ასახავენ აჭარის საბჭოთა ეპოქის ისტროიას 1921 წლიდან და წარმოქმნილია ისინი სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწოფო მმართველობის, სახალხო სასამართლოების, პროკურატურის, სახალხო მეურნეობის დარგების, ცენტრალური უწყებათა სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, პროფკავშირების, საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების მოღვაწეობის პროცესში. ცენტრალურ არქივში დაცულია აგრეთვე ყოფილი კომუნისტური პარტიის და კომკავშირის საარქივო დოკუმენტები.

არქივის ფონდში დაცულია ჩატარებული ღონისძიებების, კონფერენციების, შეხვედრების ამსახველი მასალები, სამეცნიერო საბჭოსა და მეთოდ საბჭოს სხდომის ოქმები, არქივის წლიური და პერსპექტიული გეგმები, მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი საქმეები. დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილ ადამიანთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი ფონდები, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით დამზადებული საგამოფენო ფოტო ფირები, რომლებზედაც ასახულია როგორც გამოჩენილ არქივისტთა საქმიანობა, ასევე აჭარა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, მასალები მოძრავი და სტაციონალური გამოფენებისა, ხელმძღვანელთა გამოსვლები.

არქივში დაცულ ფონდებზე შედგენილია სამეცნიერო-საინფორმაციო აპარატი, აღწერები, თემატური და სახელობითი კატალოგები, მიმოხილვები, ნუსხები, განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების აღწერები, დოკუმენტური კრებულები. არქივთან არსებობს საექსპერტო შემფასებელი კომისია, სამეცნიერო-საცნობარო აპარატი და ბიბლიოთეკა.

აჭარის ასსრ მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ფონდი რ-562; საქმეთა ერთეული 229, 1925-1952 წწ.; აღწერა.

მხარეთცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შესაქმნელად ჯერ კიდევ 1925 წელს მომზადდა ნიადაგი-შავი ზღვის ნაპირებისა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეობის II ყრილობაზე.

1929 წელს ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის სექცია, რომელიც შევიდა საქართველოს მხარეთმცოდნეობის ბიუროს გამგეობაში. პირველად სექციის საშტატო შემადგენლობა მცირერიცხოვანი იყო. მიუხედავად ამისა მცირე მანძილზე შეისწავლა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუშაობის საკითხები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მხარეთმცოდნეობის ბიუროს დაარსება.

1930 წლის 1 თებერვალიდან დაარსდა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიურო,[1] რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატს. აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროში შეიქმნა შემდეგი სექტორები: კულტურულ-ისტორიული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური, ამავე დროს სექციების-საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური, ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, სასკოლო, ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის და გეოგრაფიის.[2]

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-562; საქ. 1; ფ. 12, 23; აღწ. 2.
2. იქვე, ფონდი რ-4; საქ. 370; ფ. 2; აღწ. 1.

აჭარცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 4 აპრილის დადგენილებით, განისაზღვრა მხარეთმცოდნეობის ბიუროს შტატი 9 კაცის შემადგენლობით.[1]

აჭარცაკის 1930 წლის 4 მაისის დადგენილებებით აჭარის მუზეუმის გადაეცა მხარეთმცოდნეობის ბიურო, სადაც მოეწყო რევოლუციური განყოფილება და შევსებული იქნა ახალი ექსპონანტებით.[2]

აჭარცაკის პრეზიდიუმის 1936 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიურო გადაკეთდა მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ინსტიტუტთან არსებობდა ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, ლაბორატორია.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალი შეადგებოდა: დირექტორი, მოადგილე, სასწავლო მდივანი, სექციების გამგეები, უფროსი და უმცროსი მეცნიერ მუშაკები.

ინსტიტუტის მოღვაწეობა განისაზღვრება შემდეგი სახეებით: აწყობდა ექსპედიციებს, ექსკურსიებს, საჭირო ლექციებსა და მოხსენებებს, სცემდა მეცნიერულ და პოპულარულ შრომებს.

ფონდში დაცულია მასალები შავი ზღვის ნაპირების და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეობის II ყრილობის, მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სხდომის ოქმები, მეცნიერული შრომები, სამეცნიერო საბჭოს მასალები, მოხსენებები, თეზისები, კონფერენციების, ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები მხარეთმცოდნეობის ბიუროს მუშაობაზე, კომპლექსური ექსპედიციების, ექსკურსიების და სემინარების მასალები, წლიური და პერსპექტიული გეგმები, დირექტორის მოხსენებები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოღვაწეობის შესახებ და სხვა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-4; საქ. 372; ფ. 5; აღწ. 1.
2. იქვე; ფ. 8, 16.

დ ა ნ ა რ თ ი

სია იმ ფონდებისა, რომლებიც მეგზურში შეტანილია ჩამონათვალის სახით

31. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“
ფონდი რ-7; საქმეთა ერთეული 7, 1922-1930 წწ.

32. თოჯინების თეატრი
ფონდი რ-190; საქმეთა ერთეული 7, 1936-1938 წწ.

33. ბერძნული სახელმწიფო დრამა
ფონდი რ-192; საქმეთა ერთეული 2, 1937-1938 წწ.

34. მეჩონგურეთა აზიური ორკესტრი
ფონდი რ-191; საქმეთა ერთეული 4, 1939-1940 წწ.

35. სომხური სახელმწიფო დრამა
ფონდი რ-193; საქმეთა ერთეული 2, 1937-1938 წწ.

36. სიმფონიური ორკესტრი
ფონდი რ-194; საქმეთა ერთეული 11, 1938-1940 წწ.

37. სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი
ფონდი რ-195; საქმეთა ერთეული 9, 1939-1940 წწ.

38. მიმოწერის ბათუმის საქალაქო ბიურო
ფონდი რ-295; საქმეთა ერთეული 1, 1922 წ.

39. ბეჭდვითი სიტყვის საიდუმლოებათა დაცვის სამმართველო
ფონდი რ-581; საქმეთა ერთეული 106, 1940-1975 წწ.

40. შუახევის რაიონული გაზეთი „დროშა“
ფონდი რ-1016; საქმეთა ერთეული 9, 1953-1957 წწ.

41. ქობულეთის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“
ფონდი რ-1035; საქმეთა ერთეული 29, 1938-1958 წწ.

42. ქობულეთის რაიონის კინოფიკაციის განყოფილება
ფონდი რ-1049; საქმეთა ერთეული 6, 1949-1952 წწ.

43. შუახევის რაიონის კულტურის განყოფილება
ფონდი რ-1076; საქმეთა ერთეული 19, 1952-1957 წწ.

თ ა ვ ი XVII

ჯანმრთელობის დაცვის, შრომის სოციალური უზრუნველყოფისა და სპორტის ორგანიზაციათა ფ ო ნ დ ე ბ ი

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ფონდი რ-73; საქმეთა ერთეული 2313, 1921-1990 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

35

შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის №-54 დეკრეტის საფუძველზე[1].

1946 წლის 15 მარტს რეორგანიზებული იქნა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის მორიგი 1991 წლის 22 ოქტომბრის სხდომის დადგენილებით გაუქმდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, მათ ნაცვლად შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 27 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად 1995 წლის 1 მაისიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდ.

ფონდში ინახება: მინისტრთა საბჭოს, სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სახკომის /სამინისტროს/, საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დადგენილებები, ცირკულარები, ინსტრუქციები პროფესიულ დაავადებათა სფეროში მუშაობის, საკურორტო მშენებლობის, მუშა-მოსამსახურეთა დასვენებისათვის აგარაკებად დაწესებულებების გადაცემის, ყვავილის საწინააღმდეგო აუცილებელი აცრის, მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებების, ტიფის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, კონფერენციების, თათბირებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის სხდომის ოქმები; საექიმო ექსპერტიზის, სამკურნალო დაწესებულებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და რაიონული განყოფილებების შემოწმების შედეგების, ეპიდემიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა და სანიტარულ-საგანმანათლებლო სამუშაოების გაუმჯობესების შესახებ, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების მუშაობის ანგარიშები და გეგმები. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გეგმები, მოხსენებითი ბარათები, ინფორმაციები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესრულების მსვლელობის თაობაზე, სამედიცინო-სანიტარული მომსახურეობის ამოცანებისა და მდგომარეობის, სამეანო-გინეკოლოგიურ დახმარების შესახებ, ბავშვების გამოსაჯანმრთელებელ ღონისძიებათა ორგანიზაციის, მოსახლეობის სამკურნალო პროფილაქტიკური მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ, რესპუბლიკის სამკურნალო ორგანიზაციების შემოწმების შედეგების შესახებ, სააგადმყოფოების, აფთიაქების, სამედიცინო პუნქტების გახსნის შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ /1945 წ./, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის კონიუქტურული მიმოხილვები და სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულებათა აღრიცხვიანობის მონაცემები, რესპუბლიკაში სამკურნალო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა, ბალანსები, შტატები და კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიები.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი პირადი საქმე, №რ-1144, ფ, 4.

ასევე ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებები აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ძირითად საქმიანობაზე (1985-1990 წწ.); ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებები: ამბოლატორიულ-პოლიკლინიკური სამსახურის შემდგომი სრულყოფის, ჯანმრთელობის ქსელის გაფართოების, ბავშვთა სამედიცინო დახმარების მდგომარეობის, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული სამკურნოლო-პროფილაქტიკური ღონისძიების კონიუქტურული მიმოხილვა (1983 წ.); მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების, ბავშვთა სააგადმყოფოს მუშაობის, მსხვილ სამედიცინო დაწესებულებებთან დამხმარე მეურნეობების მოწყობის, აჭარის სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებების რეორგანიზაციის, ხულოს რაიონის მოსახლეობის მედ-მომსახურების კომპლექსური შემოწმების შედეგების, მიზნობრივი პროგრამებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ; ანგარიშები, გეგმები, მიმოწერები სამინისტროს საქმიანობაზე და სხვა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები

ბათუმის საქალაქო
ფონდი რ-424; საქმეთა ერთეული 767, 1933-1993 წწ.; აღწერა.

ბათუმის /ხელვაჩაურის/ რაიონის
ფონდი რ-175; საქმეთა ერთეული 230, 224, 1937-1961 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1930 წ.[1].

ქობულეთის რაიონის
ფონდი რ-466; საქმეთა ერთეული 50, 1937-1948 წწ.; აღწერა. დაარსდა 1930 წ.[2].

ქედის რაიონის
ფონდი რ-826; საქმეთა ერთეული 72, 1941-1957 წწ.; აღწერა. დაარსდა 1930 წ.

შუახევის რაიონის
ფონდი რ-1019; საქმეთა ერთეული 38, 1952-1958 წწ.; აღწერა. დაარსდა 1952 წ.[3].
ლიკვიდირებულია — 1958 წ.

ხელმძღვანელობას უწევენ სამედიცინო-სანიტარულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების სანიტარულ დაცვას, სოფლად მოღვაწეობას, ატარებენ სანიტარულ-პროპაგანდისტულ მუშაობას მოსახლეობაში, უწევენ ორგანიზაციასა და ხალმძღვანელობას საკურორტო და სააფთიაქო საქმეს, აკონტროლებენ სამედიცინო კადრების მომზადებასა და დასაქმებას.

ფონდებში ინახება: აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ბათუმის, ქობულეთის, ქედის და შუახევის აღმასრულებელი კომიტეტების ჯანდაცვის განყოფილებების დადგენილებები, ბრძანებები, დებულებები, ინსტრუქციები სანიტარულ- პროფილაქტიკური ღონისძიებების, დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, სამამულო ომის ინვალიდების, სოფლის მოსახლეობის, ტუბერკულოზისა და ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა, მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურეობის

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-2; საქ. 809; ფ. 21; აღწერა 1.
2. იქვე, ფონდი რ-322; საქ. 226; ფ. 119; აღწერა 1.
3. იქვე, ფონდი რ-2; საქ. 3086; ფ. 96; აღწერა 1.

შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა თათბირებისა და კონფერენციების ოქმები და დადგენილებები ჯანმრთელობის საკითხებზე, საექიმო, საფერშლო და სამეანო პუნქტების შესახებ, საქალაქო და სარაიონო ჯანდაცვის განყოფილებებისა და დაქვემდებარებულ დაწესებულებათა სამუშაო გეგმები და ანგარიშები, მოხსენებები, ცნობები, მონაცემები ქ. ბათუმსა და რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის, მისი განვითარების გზები, ბალანსები, ხარჯთაღრიცხვები, საშტატო განრიგები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი

ფონდი რ-306; საქმეთა ერთეული 395, 1929-1951 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1929 წლის 15 აპრილს და ექვემდებარებოდა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, 1946 წლის 15 მარტიდან აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, 1948 წლის 2 იანვრიდან იწოდება ფიზიოთერაპიულ სააგადმყოფო-პოლიკლინიკად.

ფონდში ინახება: აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის ბრძანებები და ცირკულიარები, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გეგმის შემუშავების შესახებ, სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის განვითარების შესახებ, ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ, ავადმყოფთა კვების ნორმების შესახებ, დამხმარე მეურნეობის მუშაობის შესახებ, მედიკამენტებითა და სამედიცინო აპარატურით მომარაგების შესახებ, 1931, 1935, 1937-1939 წ.წ.-ის საფინანსო გეგმები, მოხსენებითი ბარათები ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის მუშაობის, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ 1938-1941 წლების წლიური სტატისტიკური ანგარიშები და 1931-1951 წლების საბუღალტრო ანგარიშები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვა, 1932-1951 წლების ავადმყოფთა ისტორიები, ინსტიტუტის თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვისათვის არსებული მიმოწერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მალარიის საწინააღმდეგო რესპუბლიკური სადგური

ფონდი რ-184; საქმეთა ერთეული 378, 1924-1959 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1921 წელს აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან[1], 1926 წელს რეორგანიზებული იქნა ცენტრალურ ტროპიკულ სადგურად[2], 1952 წელს გადაკეთდა რესპუბლიკურ ანტიმალარიულ სადგურად. 1954 წლის 16 დეკემბერს ლიკვიდირებულ იქნა აჭარის ასსრ სანეპიდემსადგურზე ფუნქციების გადაცემით[3].

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30.06. №389 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული იქნა 1997 წლის 28 თებერვალს №65 დადგენილება. დადგენილების საფუძველზე შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-33; საქ. 2; ფ. 265.
2. იქვე, ფონდი რ-184; საქ. 5; ფ. 185.
3. იქვე, საქ. 336; ფ. 65.

ფონდში ინახება: საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის /სამინისტროს/ დადგენილებები და ბრძანებები მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებების ტიპიური შტატების, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა აუცილებელი ჩატარების, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმების შესრულების, მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებების დებულების შესახებ, მიმოხილვები მალარიის განვითარებისა და მკურნალობის ისტორიიდან, მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის მოღვაწეობის ანგარიშები და მოხსენებები, მალარიით დაავადებულთა გადაადგილების სტატისტიკური მონაცემები, მოხსენებები კურორტების მნიშვნელობასა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, ქობულეთისა და ბათუმის ჭაობიანი ადგილების ამოშრობის შესახებ, სადგურის სტაციონალური განყოფილების ავადმყოფობის ისტორიები.

სანიტარულ-ეპიდემიური სადგურები

რესპუბლიკური
ფონდი რ-1198; საქმეთა ერთეული 327, 1949-1965 წწ.; აღწერა.
შეიქმნა 1949 წლის 4 იანვარს.[1]

ბათუმის საქალაქო
ფონდი რ-794; საქმეთა ერთეული 241, 1939-1956 წწ.; აღწერა.
შეიქმნა 1939 წლის სექტემბერში.[2]
ლიკვიდირებულია 1956 წლის 14 აგვისტოს.[3]

ჯანდაცვის სამინისტროების 1978 წლის დადგენილების საფუძველზე აღსდგა ქ. ბათუმის სანეპიდემიოლოგიური სადგური, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ქედის რაიონი
ფონდი რ-1097; საქმეთა ერთეული 50, 1922-1964 წწ.; აღწერა.
შეიქმნა 1952 წელს.[4]
ლიკვიდირებულია 1956 წ.

შუახევის რაიონი
ფონდი რ-1018; საქმეთა ერთეული 22, 1953-1958 წწ.; აღწერა.
შეიქმნა 1953 წლის 1 სექტემბერს.[5]
ლიკვიდირებულია 1958 წ 1 მარტს.[6]

ახორციელებენ სანიტარულ ზედამხედველობას, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, ეწევიან მოსახლეობას შორის სანიტარულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის საკითხებზე.

ფონდში ინახება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების დადგენილებები, ბრძანებები, დირექტივები, რაიაღმასკომების ინსტრუქციები და განკარგულებები, ქალაქებისა და რაიონების სანეპიდემსადგურების ინსტრუქციები და დებულებები, ინფექციურ დაავადებათა შესამცირებელ ღონისძიებათა გეგმები, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული სანეპიდემსადგურებისა და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების წლიური სამუშაო გეგმები და ანგარიშები, ცნობები, მოხსენებითი ბარათები, მონაცემები რესპუბლიკაში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-ანტიეპიდემიური მომსახურეობის კულტურის ამაღლების და ხარისხის გაუმჯობესების, ინფექციურ დაავადებათა შესახებ.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-73; საქ. 492; ფ. 1; აღწერა 1.
2. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-424; საქ. 12; ფ. 39; აღწერა 1.
3. იქვე, საქ. 27; ფ. 57.
4. იქვე, ფონდი რ-1097; საქ. 1; ფ. 1; აღწერა 1.
5. იქვე, ფონდი რ-2; საქ. 2545; ფ. 33; აღწერა 1.
6. იქვე, საქ. 3096; ფ. 98.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კანისა და ვენეროლოგიურ დაავადებათა დისპანსერი

ფონდი რ-1008; საქმეთა ერთეული 76, 1935-1963 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1927 წლის ივლისში ბათუმის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან,[1] 1938 წლის[2] აგვისტოში გარდაიქმნა რესპუბლიკურ კანისა და ვენეროლოგიურ დაავადებათა დისპანსერად და დაექვემდებარა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს /სახკომს/.

არის კლინიკური და საორგანიზაციო-მეთოდური ცენტრი რესპუბლიკის სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და მოსახლეობის სპეციალიზირებული საქიმო /დერმატო-ვენეროლოგიური/ დახმარების აღმოსაჩენად.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ და საქალაქო ჯანდაცვის განყოფილების ცისკულიარები, ბრძანებები და ინსტრუქციები, დერმატო-ვენეროლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის ოქმები, საქართველოს ვენინსტიტუტის სამედიცინო ბრიგადის აჭარის მეან-გინეკოლოგთა და პედიატრების, ქ. ბათუმის სახსანინსპექტორთა, ეპიდემიოლოგთა და თერაპევტთა, აგრეთვე სასოფლო სამედიცინო უბნების წარმომადგენლების, ქ.ბათუმის საუწყებათშორისო კომისიის სხდომები ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით.

მოხსენებები, გეგმები, ანგარიშები, კონიუნქტურული მიმოხილვები დისპანსერის 1935-1938 წლების მოღვაწეობის შესახებ, სარაიონო ვენკაბინეტების 1949-1955 წლების კომპლექსური ღონისძიებები აჭარის რესპუბლიკაში კანისა და ვენერიული, სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, აჭარაში /1938-1950 წლების/ ვენერიული დაავადებების დინამიკა, დიაგრამები, ცნობები ამბულატორიულ ავადმყოფთა გადაადგილების შესახებ /1938-1946 წლები/, წლიური საბუღალტრო ანგარიშები, საშტატო განრიგები, არასაბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვები.

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საავთიაქო სამმართველო

ფონდი რ-167; საქმეთა ერთეული 143, 1925-1957 წწ.; აღწერა.

დაარსდა 1925 წლის 1 ივლისს[3].

ემსახურება სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებებისა და მოსახლეობის მომარაგებას მედიკამენტებით, სამედიცინო ინსტრუმენტებითა და სანიტარულ-ჰიგიენური მასალებით.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატის /სამინისტროს/ ბრანებები, დადგენილებები და დირექტიული მიმართვები რესპუბლიკაში საავთიაქო ქსელის გაფართოების შესახებ, აფთიაქების გადაცემა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საოლქო კომიტეტიდან აჭარის ასსრ საავთიაქო სამმართველოს კუთვნილებაში, აფთიაქების გახსნისა და მუშაობის დებულების შესახებ, სამუშაო გეგმებისა და მათი შესრულების ანგარიშები, რესპუბლიკის ფარმაცევტთა რესპუბლიკური და საწარმოო თათბირების ჩატარების ოქმები, სტატისტიკური ანგარიშები რესპუბლიკაში არსებული აფთიაქების რაოდენობის შესახებ, მოხსენებითი ბარათები და ცნობები მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების შესახებ, აფთიაქების მშენებლობის ნახაზები და საწარმოო ხარჯთაღრიცხვები, ხელფასის ფონდები და საშტატო განრიგები.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-73; საქ. 68; ფ. 7; აღწერა 1.
2. იქვე, ფონდი რ-1008; საქ. 14; ფ. 32; აღწერა 1.
3. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-2; საქ. 1; ფ. 35; აღწერა 1.

აჭარის ასსრ შრომის სახალხო კომისარიატი

ფონდი რ-67; საქმეთა ერთეული 136, 1923-1933 წწ.; აღწერა.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივნისის №-54 დეკრეტის თანახმად შეიქმნა აჭარის ასსრ შრომის სახალხო კომისარიატი[4]. გაუქმდა 1933 წელს.

მის ფუნქციებში შედიოდა შრომის დაცვა, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, შრომის დაზღვევა და სტატისტიკა.[1]

ფონდში დაცულია: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახკომსაბჭოს, საქართველოსა და აჭარის ასსრ შრომის სახალხო კომისარიატების დადგენილებები და ცირკულიარები მუშაკთა მიღების წესის, განთავისუფლებისა და მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოს შეცვლის შესახებ, საცხოვრებლის მშენებლობის შუამდგომლობის შესახებ, შრომის დაცვის შესახებ, 7 საათიანი სამუშაოს დამკვიდრების შესახებ, უწყვეტ სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ, შრომითი დისციპლინის შესახებ, შვებულების გაცემის შესახებ, საწარმოო შრომითი არტელების ორგანიზაციის შესახებ, სახელფასო ფონდის გამოთვლის წესის შესახებ, შრომის მოწინავე მეთოდების წარმოებაში დანერგვის შესახებ, აჭარის ასსრ შრომის სახკომის დებულების შესახებ, აჭარის ასსრ შრომის სახკომის კოლეგიის ოქმები, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ, სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ, მშრომელთა დენადობის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ, წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებულ მეომრებზე შეღავათების გაწევის შესახებ, ანგარიშები და მოსხენებები შრომის სახკომის მოღვაწეობის შესახებ, I და II ხუთწლედის გეგმების შესახებ.

საწარმოებში და დაწესებულებებში მუშებისა და მოსამსახურეთა შინა განაწესი, სოცშეჯიბრების შესახებ, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების შემოწმების აქტები, კლუბებში და კულტურულ-მასობრივ დაწესებულებებში მათი მუშაობის შესახებ, მუშახელის გადანაცვლების /მოძრაობის/ შესახებ, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების შესახებ, შტატებისა და თანამდებობრივი ხელფასების შესახებ, მიმოწერა სოცდაზღვევის შესახებ, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კონფლიქტების მოგვარების შესახებ.

აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

ფონდი რ-68; საქმეთა ერთეული 1302, 1923-1989 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1921 წლის ივლისში თანახმად საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისს №-54 დეკრეტისა.[2]

ფონდში დაცულია: სსრკ, საქ. სსრ, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ცაკ-ის დადგენილებები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო მომარაგებისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ, პერსონალური პენსიების შესახებ, 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ინვალიდთა დახმარების კომიტეტის შესახებ, გარდაცვლილ მეომართა ოჯახების, დემობილიზებულ და სამხედრო ოჯახებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, სამხედროთა ოჯახების სახელმწიფო სოციალური დაცვისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს კოლეგიის შექმნა, ინვალიდთა საწარმოო არტელების დებულების დამტკიცების შესახებ, სოციალისტური შრომის გმირებისათვის მაქსიმალური პენსიის მიცემის, სოცდაზღვევის დროს დონორებისათვის შეღავათების გაწევის შესახებ, პენსიონერებისათვის დანამატი თანხების მიცემა შრომითი სტაჟის მიხედვით, ინვალიდთა კოოპერატიული საბჭოს შესახებ, პენსიონერების საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას პენსიების გაცემის შესახებ, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის საპენსიო საბჭოს, ყოფილი წითელგვარდიელთა და პარტიზანთა

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-1; საქ. 78; ფ. 121.
2. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-1; საქ. 78; ფ. 121, 122.

საბჭოს, საექიმო-საექსპერტო კომისიის სხდომის ოქმები პენსიების დანიშვნისა და დახმარების გაცემის შესახებ, სოცუზრუნველყოფის სარაიონო განყოფილებების შემოწმების შედეგების შესახებ, პენსიონერების აღრიცხვის ჩატარების შესახებ, პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ, ანგარიშები და მოხსენებები სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მოღვაწეობის შესახებ, 1905 წლის რევოლუციის ყოფილ მორიგ რაზმელთა, წითელ გვარდიელთა და წითელ პარტიზანთა, პერსონალურ პენსიონერთა სიები, რომელიც აჭარის ასსრ ცაკ-ის მიერ იყო დამტკიცებული.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები

ბათუმის საქალაქო
ფონდი რ-399; საქმეთა ერთეული 1114, 1942-1990 წწ.; აღწერა.

ხელვაჩაური /ყოფ.ბათუმის/ სარაიონო
ფონდი რ-1033; საქმეთა ერთეული 104, 1941-1958 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1937 წ.[1]

ქედის
ფონდი რ-868; საქმეთა ერთეული 185, 1938-1975 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1938 წ.[2]

შუახევის
ფონდი რ-1020; საქმეთა ერთეული 35, 1952-1955 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1952 წ.[3]

მის ფუნქციებში შედის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახებისა და პენსიონერების შრომითი დასაქმება და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებები, მითითებები და წერილები, აგრეთვე საქალაქო და რაიონული აღმასკომების გადაწყვეტილებები განყოფილებების შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების სხდომის ოქმები, განყოფილებების სამუშაო გეგმები, ანგარიშები, მოხსენებები, ცნობები პენსიონერების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესახებ, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების, 1941-1945 წლების სამამულო ომის ინვალიდების, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების დახმარების შესახებ, საქალაქო და რაიონების სოცუზრუნველყოფის განყოფილებების საფინანსო გეგმები და ანგარიშები, პენსიონერთა პირადი საქმეები.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ-1033; ფონდის პირადი საქმე.
2. იქვე, ფონდი რ-750; ფონდის პირადი საქმე.
3. იქვე, ფონდი რ-332; საქ. 226; ფ. 119; აღწერა 1.

ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოები

„სპარტაკის“
ფონდი რ-814; საქმეთა ერთეული 715, 1936-1988 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1936 წ.[1]

„კოლმეურნე“
ფონდი რ-443; საქმეთა ერთეული 60, 1951-1962 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1949 წლის 10 ნოემბერს.[2]

„განთიადი“
ფონდი რ-487; საქმეთა ერთეული 937, 1958-1984 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1958 წლის 2 იანვარს.[3]

„დინამო“
ფონდი რ-1065; საქმეთა ერთეული 237, 1939-1966 წწ.; აღწერა.
დაარსდა 1925 წ.[4]

სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის ფუნქციებს შეადგენს აჭარის ასსრ ფიზკულტურული ორგანიზაციების კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოებებისა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, სპორტთანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურის კადრების მომზადება.

ფონდებში დაცულია: ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო, საქართველოს სსრ აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებები, დადგენილებები, აჭარაში სპროტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ, სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ, სპროტული თანრიგების მინიჭების შესახებ, აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს სხდომის ოქმები აჭარის სპორტის განვითარების შესახებ, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციის, ჩატარებისა და შედეგების შესახებ, მსაჯთა კოლეგიის, სექციის სხდომები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებული შეჯიბრებების შედეგების შესახებ, აჭარის ასსრ-ში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, კომიტეტისა და ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოების ანგარიშები აჭარის ასსრ-ში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებათა შესახებ, მწვრთნელებისა და კადრების მომზადების შესახებ, ჩატარებული თამაშების მასალები, აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან დადებული ხელშეკრულება და მისი შესრულების შემოწმების მასალები, ბალანსები, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვები.

---

1. აჭარის ასსრ, ცსა, ფონდი რ- 814; ფონდის პირადი საქმე ფ. 2.
2. იქვე, ფონდი რ-824; საქ. 204; ფ. 216; აღწერა 1.
3. იქვე, ფონდის პირადი საქმე, ფონდი რ-487; ფ. 5.
4. იქვე, ფონდი რ-1065; საქ. 2; ფ. 1; აღწერა 1.

მთავარი საკურორტო სამმართველო, შემდგომ კურორტების მართვის საოლქო საბჭო

ფონდი რ-215; საქმეთა ერთეული 1105, 1927-1976 წწ.; აღწერა; თემატური ბარათები.

დაარსებულია 1924 წლის 1 აპრილს; მის ფუნქციებში შედიოდა კურორტების მშენებლობა, სამკურნალო-სანიტარული საქმიანობის ორგანიზაცია, საკურორტო სამკურნალო ფაქტორების შესწავლა, ახალი საკურორტო რესურსების გამოვლენა და საკურორტო სიმდიდრეთა გამოყენება.

1960 წლიდან გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და შეიქმნა პროფკავშირების კურორტების მართვის აჭარის რესპუბლიკური საბჭო, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

აჭარის ასსრ-ს ტერიტორიაზე არსებული აგარაკებისა და კურორტების თავმოყრა აჭარის ასსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში, სამთო სანიტარული დამცავი ზონის დადგენა მახინჯაურის გოგირდის ვანებისათვის, კურორტებზე სამკურნალო საქმინობის გაუმჯობესების შესახებ, აჭარის ასსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების შესახებ, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის შესახებ, მოხსენებები და ანგარიშები საკურორტო მშენებლობის განვითარების შესახებ, აჭარის მთავარი საკურორტო სამმართველოს მუშაობის, სამკურნალო ფაქტორების დახასიათების შესახებ, აჭარის კლიმატისა და ბუნების შესახებ, საკურორტო რეზერვების შესახებ, ქ.ბათუმის კეთილმოწყობის თაობაზე, ქ. ბათუმში ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის მშენებლობის შესახებ, შავი ზღვის სანაპიროს გამაგრების შესახებ, 1938 წლის ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის კურორტოლოგიის ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ, კლიმატური სადგურების მუშაობის შესახებ, აჭარის ფიზიოთერაპიული ინსტიტუტისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და მთავარი საკურორტო სამმართველოს მუშაკთა თათბირების ოქმები, კურორტებზე სამკურნალო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის, გინეკოლოგიის, ნევროპათოლოგიის კაბინეტების მუშაობის შესახებ, 1934 წელს ზღვის ვანების გახსნის შესახებ, მტირალას მიდამოების შესწავლის შესახებ, კურორტების კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებების გატარების შესახებ, კურორტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ნახაზები და ხარჯთაღრიცხვები.

ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დისპანსერული გაერთიანება

ფონდი რ-950; საქმეთა ერთეული 258, 1933-1970 წწ.

შეიქმნა 1933 წელს ბათუმის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დაქვემდებარებით.

1947 წლიდან ეწოდა მედსანპუნქტი.

1956 წლიდან ეწოდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სააგადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება.

ფონდებში დაცულია: აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებები და კოლეგიის გადაწყვეტილებები, სააგადმყოფოსა და პოლიკლინიკის სამუშაო გეგმები და ანგარიშები, ჩატარებული სამუშაოების ანალიზი, საშტატო განრიგები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვა, ბალანსები და სხვა.

ქ. ბათუმის ონკოლოგიური დისპანსერი

ფონდი რ-573; საქმეთა ერთეული 198, 1946-1967 წწ.

შეიქმნა ონკოლოგიური პუნქტი აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის ივნისის დადგენილებით.

1952 წელს რეორგანიზებული იქნა ონკოლოგიურ დისპანსერად.

1953 წლიდან შეიქმნა ონკოლოგიური დისპანსერის სტაციონარი.

ფონდებში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებები და დადგენილებები მოსახლეობაზე ონკოლოგიური დახმარების, რესპუბლიკაში ავთვისებიანი სიმსივნეების აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ; ონკოლოგიური დისპანსერის ექიმთა სხდომის ოქმები; ონკოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა; წლიური ანგარიშები ონკოლოგიური დისპანსერის მუშაობა-მოღვაწეობის, კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის მდგომარეობის, ხულოს რაიონის ონკოლოგიური სამსახურის მდგომარეობის შესახებ; მოხსენებები ძირითადი საქმიანობის შესახებ, სტატანგარიშები და სხვა.

ქ. ბათუმის საშობიარო სახლი

ფონდი რ-373; საქმეთა ერთეული 127, 1936-1965 წწ.

შეიქმნა: ქალაქის საბჭოს 1933 წლის 16 მაისს №-10 დადგენილების საფუძველზე, როგორც სამეანო-გინეკოლოგიური საავადმყოფო.

1940 წლის 1 იანვრიდან ეწოდა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი.

ფონდებში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებები სამშობიარო სახლის შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება სამშობიარო სახლის მუშაობას; ანგარიშები, მოხსენებები სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა; ავადმყოფთა რაოდენობის შესახებ, სამშობიარო სახლთან არსებული ლაბორატორიის სეროლოგიური გამოკვლევის, ახალშობილთა ვაქცინირების და ბეცეჟირების შესახებ; ექიმთა კონფერენციების და საერთო კრების ოქმები; საწარმოო გეგმები, ანგარიშები და სხვა.

ქ. ბათუმის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა საავადმყოფო

ფონდი რ-945; საქმეთა ერთეული 86, 1950-1967 წწ.

შეიქმნა 1938 წელს, როგორც ქ. ბათუმის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა კონსულტაცია.

1950 წელს რეორგანიზებული იქნა ქ. ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოდ.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებები, კოლეგიის გადაწყვეტილებები ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის, საავადმყოფოს მუშაობის შესახებ; ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს კონიუქტურული მიმოხილვა; ანგარიშები, მოხსენებითი ბარათი, საშტატო განრიგი ძირითადი საქმიანობის შესახებ.

აჭარის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფო

ფონდი რ-679; საქმეთა ერთეული 664, 1922-1990 წწ.

რესპუბლიკური საავადმყოფო შეიქმნა 1902 წელს.

1921 წლიდან გადადის აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში.

1952 წელს განიცადა სტრუქტურული ცვლილებები:

გამოეყო ინფექციური, ტუბერკულოზური განყოფილებები და იზოლატორი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული.

აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1995 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა ქ. ბათუმის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებები, კოლეგიის გადაწყვეტილებები (1980-1990 წ.წ.), რომლებშიც ასახულია საავადმყოფოს ძირითადი საქმიანობა, სამედიცინო საბჭოს სხდომის და კონფერენციების ოქმები; საავადმყოფოს მთავარი ექიმის ბრძანებები ავადმყოფთა მკურნალობის გაუმჯობესების, სამედიცინო საბჭოს მუშაობის, მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ღონისძიებების შესახებ; მოხსენებები; მოხსენებითი ბარათები, წლიური სამედიცინო ანგარიშები და სხვა.

საქალაქო და სარაიონო საავადმყოფოები, რომლებიც მეგზურში შეტანილია სიით

ბენზეს №-3 საავადმყოფო
ფონდი რ-950; საქმეთა ერთეული 215, 1933-1970 წწ.; შეიქმნა 1933 წ.

ქ. ბათუმის ბავშვთა საავადმყოფო
ფონდი რ-945; საქმეთა ერთეული 97, 1950-1969 წწ.; შეიქმნა 1938 წ.

აჭარის რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო
ფონდი რ-680; საქმეთა ერთეული ---, 1935-1971 წწ.; შეიქმნა 1935 წ.

ქობულეთის რაიონული საავადმყოფო
ფონდი რ-540; საქმეთა ერთეული 71, 1948-1971 წწ.; შეიქმნა 1948 წ.

ქედის რაიონული საავადმყოფო
ფონდი რ-1094; საქმეთა ერთეული 72, 1946-1964 წწ.; შეიქმნა 1946 წ.

შუახევის რაიონული საავადმყოფო
ფონდი რ-1100; საქმეთა ერთეული 20, 1953-1963 წწ.; შეიქმნა 1953 წ.

ქედის რაიონის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება
ფონდი რ-868; საქმეთა ერთეული 185, 1938-1975 წწ.; შეიქმნა 1938 წ.

აჭარის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი

ფონდი რ-356; საქმეთა ერთეული 415, 1967-1990 წწ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 მარტის დადგენილებითა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 4 აპრილის №-169 დადგენილებით შეიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესპუბლიკის გამოყენების სამმართველო.[1]

აჭარის ასსრ პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ივნისის დადგენილების საფუძველზე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო გარდაიქმნა კომიტეტად.[2]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომის რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნა შრომის სახელმწიფო კომიტეტად, ხოლო 1989 წლის 1 იანვრიდან შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად.[3]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი გაუქმდა და მისი რეორგანიზაციის ბაზაზე 1991 წლის ოქტომბრიდან შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრო.[4]

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოს შექმნის, დებულების დამტკიცების, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის, შრომითი რესურსების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ, კომიტეტის ბრძანებები და ოქმები თანდართული მასალებით; მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის და დაზარალებულ მოსახლეობის განსახლების მიმდინარეობის, მუშახელის ორგნიზებული შეგროვების და შრომითი მოწყობის შესახებ; პერსპექტიული სამუშაო გეგმები, სტატანგარიშები და სხვა.

---

1. აჭარის არ ცსა, ფონდი რ-356; საქ. 1; ფ. 1;
2. გაზ. „საბჭოთა აჭარა“; 1969 წ. 2 ივლისი.
3. ფონდი რ-356; საქ. 386; ფ. 1.
4. გაზ. „საბჭოთა აჭარა“; 1991 წლის 22 ოქტომბერი.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამინისტრო (აჭარის ატონომიური ს.ს. რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი)

ფონდი რ-356; საქმეთა ერთეული 415, 1967-1990 წწ.

შეიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 მარტის №-135 დადგენილების, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 4 აპრილის №-169 დადგენილების საფუძველზე.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 27 ივნისის დადგენილების საფუძველზე გადაკეთდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტად.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტად.

1989 წლის 1 იანვრიდან გარდაიქმნა აჭარის ასსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად.

1991 წლის 22 ოქტომბრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო.

ფონდებში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს ბრძანებები, განკარგულებები, მინისტრთა საბჭოს დადგენილები: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოს შექმნის, შრომითი რესურსების გამოყენების, შრომითი მოწყობის, ოჯახების გადასახლება-ჩასახლების, სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა, დაზარალებული ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის შესახებ; საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებები ძირითადი საქმიანობის, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის, ხულოს რაიონის ეროზირებულ ადგილებში მცხოვრებთა სხვადასხვა რაიონებში გეგმიური წესით ჩასახლების მიმდინარეობის შესახებ; აჭარის ასსრ შრომის კომიტეტის სხდომის ოქმები ძირითადი საქმიანობის შესახებ; ანგარიშები, მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები, სტატისტიკური ცნობები.

აჭარის ასსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირი (ფიზიკური კულტურის და სპორტის კომიტეტი)

ფონდი რ-824; საქმეთა ერთეული 2227, 1936-1982 წწ.; აღწერა. თემატური ბარათები.

დაარსდა 1924 წელს,[1] როგორც ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი და ექვემდებარებოდა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

1938 წლის იგლისიდან[2] გადავიდა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დაქვემდებარებაში, ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან-აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში.

1961 წელს გარდაიქმნა აჭარის ასსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირად.

1966-1987 წ.წ. ეწოდა აჭარის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

1987-1991 წ.წ. გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტად.

1991-1995 წ.წ. რეორგანიზებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროდ.

---

1. აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-4; საქ. 31; ფ. 293; აღწერა 1.
2. იქვე, ფონდის პირველი საქმე, რ-824; ფ. 6.

1995 წლიდან გაიყო სამინისტრო და დღემდე ფუნქციონირებს როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სპორტის სამინისტროს ბრძანებები, დადგენილებები სპორტის განვითარების შესახებ.

ქ. ბათუმის აღმასკომის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტი

ფონდი რ-572; საქმეთა ერთეული 889, 1948-1972 წწ.

ქ. ბათუმის აღმასკომის 1948 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ბ. ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

1959 27 თებერვალს რეორგანიზებული იქნა ქ. ბათუმის საბჭოთა სპორტის საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირად.

1969 წლის იანვარში კვლავ ეწოდა ქ. ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებები: ბრძანებები კომიტეტის ძირითადი საქმიანობის, სპარტაკიადების ჩატარების, სპორტული შეჯიბრებების შესახებ; ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სხდომის ოქმები სპორტული საზოგადოების მეორე საქალაქო კონფერენციის ჩატარების, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ჩატარებული სპარტაკიადების შედეგების, სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ; ქალთა 62-ე სპარტაკიადის მასალები; ანგარიშები, გეგმები, მოხსენებები, სტატანგარიშები.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XVIII

ავიაციისა და ქიმიის ხელშემწყობი საზოგადოების „აი“ აჭარის ასსრ ცენტრალური საბჭო (ოსოვიაქიმია)

ფონდი რ-283; საქმეთა ერთეული 32 1928-1947 წწ.; აღწერა.

ჩამოყალიბდა 1924 წელს.

ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მოსახლეობაში ავრცელებდა სამხედრო ცოდნას, იღებდა შემოწირულობებს საჰაერო ფლოტის საჭიროებისათვის.

1948 წლის იანვარში „ოსოავიაქიმი“ გაიყო სამ საზოგადოებად: „დოსარმ“-ი, „დოსავ“-ი, „დოსფლოტ“-ი.

ფონდში დაცულია: სსრკ-ს „ოსოავიაქიმ“-ის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თათბირის ოქმები, სამუშაო გეგმები, ცენტრალური საბჭოთა და რაისაბჭოების ანგარიშები ორგანიზაციულ-მასიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, პირველად ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრებების ჩატარების თაობაზე, „ოსოავიაქიმიის“ წევრთა სიები.

არმიის ხელშეწყობის ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი „დოსაავი“

ფონდი რ-997; საქმეთა ერთეული 23, 1940-1951 წწ.; აღწერა.

საზღვაო ფლოტის ხელშეწყობის ნებაყოფილობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი /„დოსააფი“/.

ფონდი რ-996; საქმეთა ერთეული 15, 1949-1951 წწ. აღწერა.

ეს ორი საზოგადოება ჩამოყალიბდა 1948 წლის იანვარში, 1951 წელს შეერთდნენ ერთ ნებაყოფილობით საზოგადოებად „დოსააფი“.

აჭარის ასსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური კომიტეტი

ფონდი რ-993; საქმეთა ერთეული 620, 1951-1965 წწ.

177

1920 წელს შეიქმნა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ეწეოდა სამხედრო სწავლების პროპაგანდას, 1923 წელს შეიქმნა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. შემდგომ შეიქნა აგრეთვე ქიმიური თავდაცვისა და ქიმიური მრეწველობის მეგობრების ნებაყოფლობითი საზოგადოება (დობროხიმი).

1925 წელს ორივე საზოგადოების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა საზოგადოება „ავიახიმი.

1927 წლის 23 იანვარს „ავიახიმისა“ და სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა „ოსოვიახიმი“. „ოსოვიახიმი“ მალე გახდა მასობრივი და პოპულარული ორგანიზაცია. იგი იქცა ომის წინა პერიოდში წითელი არმიის დამხმარედ. დიდი სამამულო ომის შემდეგ შეიცვალა ნებაყოფილობითი თავდაცვის საზოგადოების მუშაობის პირობები, გაიზარდა საზოგადოების წინაშე დაყენებული ამოცანები. აუცილებელი გახდა ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა. აქედან გამომდინარე, 1948 წლის მაისში „ოსოვიახიმი“ გაიყო სამ დამოუკიდებელ ნაწილად: სამხედრო-საზღვაო ფლოტის დახმარების საკავშირო ნებაყოფილობითი საზოგადოება (დოსფლოტი), არმიის დამხმარე საკავშირო ნებაყოფილობითი საზოგადოება (დოსარმი), დამხმარე საკავშირო ნებაყოფილობითი საზოგადოება (დოსავი).

1951 წლის 20 აგვისტოს მუშაობაში პარალელიზმისა და გამეორების გამორიცხვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დოსარმის, „დოსავისა“ და „დოსფლოტის“ ერთიან საკავშირო ნებაყოფილობითი საზოგადოებად გაერთიანება, რის შედეგადაც შეიქმნა „დოსააფი“.

„დოსააფის“ მიზნად და ამოცანად დაისახა ავიაციისა და ფლოტის გაძლიერების დახმარება; საზოგადოების წევრებში პატრიოტიზმის აღზრდა და სამშობლოს დაცვის მზადყოფნა. 1951 წლის ოქტომბრის საქართველოს სსრ „დოსაფის“ რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა აჭარის ასსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური კომიტეტი.

ბათუმის სამხედრო-საზღვაო კლუბების დოსააფის კომიტეტი

ფონდი რ-994; საქმეთა ერთეული 25, 1949-1954 წწ.; აღწერა.

დოსააფის კომიტეტი ჩამოყალიბდა 1948 წელს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნებაყოფილობითი საზოგადოების /„დოსააფის“/ აჭარის რესპუბლიკურ კომიტეტთან, 1954 წლის ნოემბრიდან წარმოადგენს დოსააფის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის სტრუქტურულ ნაწილს.

ფონდში დაცულია: დოსააფ-ის, დოსარმ-ის, დოსფლოტ-ის ცენტრალური კომიტეტების ბრძანებები, დადგენილებები, დირექტიული მითითებები, რესპუბლიკური კონფერენციების, რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სექციების თათბირის ოქმები, სამუშაო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, პირველადი ორგანიზაციებისა და რაიონული კომიტეტების მიერ ჩატარებული საკავშირო და რესპუბლიკური სპარტაკიადების მასალები, მასალები ტექნიკური კადრების მომზადების, სამხედრო-თავდაცვითი და სპროტული მუშაობის ერთთვიურის ჩატარების თაობაზე, მოხსენებითი ბარათები, „დოსააფის“ მუშაობის შემოწმებისა და მათზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ბუნების დაცვის ნებაყოფილობითი საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური საბჭო

ფონდი რ-985; საქმეთა ერთეული 127, 1948-1963 წწ.; აღწერა.

ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წლის აპრილში სახელწოდებით ნებაყოფილობითი საზოგადოების „ტყის მეგობარი“ რესპუბლიკური საბჭო, ხოლო 1959 წლის ივნისში ეწოდა ბუნების დაცვის ნებაყოფილობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.[1]

ხელმძღვანელობს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას, ეწევა ბუნების დაცვის საქმიანობას და აგიტაციას ეწეოდა დასახლებული პუნქტების და გზების გამწვანებისათვის.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საოლქო კომიტეტის დადგენილებები ბუნების დაცვის ნებაყოფილობითი საზოგადოების „ტყის მეგობარი“ ორგანიზაციის თაობაზე, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დირექტიული მითითებები, ბუნების თაობაზე ბათუმის აღმასკომისა და რაიაღმასკომების გადაწყვეტილებები, რესპუბლიკური კონფერენციების ოქმები, მოხსენებები „ტყის მეგობარი“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საწარმოო თათბირების ოქმები და მოხსენებები: მოხსენებითი ბარათები, მასალები თავდაცვითი-მასობრივი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების ერთთვიურის და პირველადი ორგანიზაციების და საზოგადოების წევრთა რაოდენობის, აჭარის ასსრ-ში დარგულ ხეთა რაოდენობის თაობაზე.

---

1. აჭარის ც.ს.ა, ფონდი რ-925; ფონდის პირადი საქმე, ფ. 3.

სოფელზე შეფხობის ნებაყოფილობითი საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭო

ფონდი რ-113; საქმეთა ერთეული 92, 1927-1936 წწ.; აღწერა.

ჩამოყალიბდა 1927 წელს აჭარის ასსრ პროფსაბჭოს შემადგენლობაში.

ორგანიზაციის ფუნქცია იყო აჭარის სოფლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდირება.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ პროფსაბჭოს დადგენილებები, საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის თათბირის ოქმები, მასალები კოლმეურნეობებში მუშაობის, საგაზაფხულო თესვის ჩატარების, უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ, სამუშაო გეგმები, ანგარიშები მათი შესრულების შესახებ.

წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტი

ფონდი რ-329; საქმეთა ერთეული 662, 1923-1990 წწ.; აღწერა.

41ს

წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1923 წლის 3 მაისს, როგორც წითელი ჯვრის დროებითი ადგილობრივი კომიტეტი, 16 ივნისს აჭარისტანის წითელი ჯვრის კომიტეტის სხდომაზე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი აჭარის წითელი ჯვრის კომიტეტის სახელის შეცვლა და ეწოდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტი, რომელიც იწოდებოდა 1940 წლამდე; 1941 წლიდან 1945 წლამდე იწოდებოდა წითელი ნახევარ მთვარის კომიტეტი, 1945 წლიდან 1951 წლამდე ეწოდებოდა აჭარის წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მთვარის საოლქო კომიტეტი, 1951 წლიდან ეწოდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტი.[1]

საზოგადოება ეხმარება ჯანდაცვის ორგანოებს სანიტარულ-პროფილაქტიკურ საქმიანობაში, ამზადებდა სანიტარული დახმარების კადრებს და მედდებს.

ფონდში დაცულია: აჭარის წითელი ჯვრის საზოგადოების კონფერენციის და პლენუმების ოქმები ძირითადი საქმიანობის შესახებ; დონორთა კადრების დაკომპლექტების, მატერიალური დახმარების, შიდსთან ბრძოლის ერთკვირეულის ჩატარების შესახებ, 1990 წელს საერთაშორისო წითელი ჯვრის 125 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მასალები (ინფორმაციები, მოხსენებები, მიმოწერები); მიმოწერები ზემდგომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებზე დახმარების გაწევის შესახებ.

სსრკ და ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილება

ფონდი რ-548; საქმეთა ერთეული 21, 1960-1974 წწ.; აღწერა.

სსრკ და ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილება შეიქმნა 1960 წლის 20 აგვისტოს.[2]

ორგანიზაცია ძირითადად ემსახურებოდა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. მარტო 1960-1965 წლებში აჭარაში თორმეტჯერ ჩამოვიდა დელეგაცია ქალაქ დრვედან.

ფონდში ინახება მასალები, რომლებიც ასახავენ ქ. ბათუმისა და ქ. დრვ-ს მეგობრობას, ამ ორ ქალაქს შორის გამართული სოციალისტური შეჯიბრებების, მაგალითად: ქ. ბათუმის ჩაის ფაბრიკისა და დრვ ფუ ტხუს ჩაის ფაბრიკას შორის.

საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო პოეტი ფრ.ხალვაში.[3] 1964 წელს კი საზოგადოებას თავმჯდომარეობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ.ხეჩინაშვილი.[4]

---

1. ც.ს.ა. ფონდი რ-329; ფონდის პირადი საქმე; ფ. 6-7.
2. ც.ს.ა. ფონდი რ-548; ფონდის პირადი საქმე; ფ. 3; აღწერა 1.
3. იგივე.
4. იგივე, ფ. 4.

ქართველ და ვიეტნამელ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში დიდი როლი ეკისრებოდა ბათუმის საზღვაო საგაჭრო ნავსადგურს, საიდანაც სისტემატიურად იგზავნებოდა ნავთობპროდუქტები ვიეტნამის სხვადასხვა საზღვაო ნავსადგურებში.

სსრკ და ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების მასალები ინახება 1974 წლის ჩათვლით, რომელშიც დაცულია: განყოფილების სხდომის ოქმები, ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ, ამონაჭრები გაზეთებიდან, რომელიც ასახავს ქართველი და ვიეტნამელი ხალხის მეგობრობას.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილება

ფონდი რ-545; საქმეთა ერთეული 29, 1965-1974 წწ.; აღწერა.

1965 წლის 22 აპრილს, ქ.თბილისში ქართველი საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა საქართველო-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოება. ხოლო ივნისში კი ქ. ბათუმში, კულტურის მუშაკთა სახლში მოეწყო ფოტო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქ.ბათუმისა და ქ.ბუდაპეშტის მშრომელთა მეგობრობას.[1]

ბათუმში შექმნილმა საინტერესო ჯგუფმა აქტიური მუშაობა გამართა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ხშირი იყო კულტურული ღონისძიებების გამართვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებთან, ხოლო ქ.ბათუმის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სახლში ხშირად იმართებოდა მეგობრობის საღამოები და შეხვედრები მოძმე უნგრეთის წარმომადგენლებთან.[2]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მასალები დაცულია 1965 წლის ჩათვლით.

ფონდში დაცულია: განყოფილების სხდომის ოქმები, ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ, მასალები რომლებიც ასახავენ ქართველი და უნგრელი ხალხის მეგობრობას.

---

1. ც.ს.ა. ფონდი რ-545; საქ. 1; ფ. 4; აღწერა 1.
2. იგივე, ფონდი რ-545; საქ. 1; ფ. 1, 10-11, 19-21; აღწერა 1.

თ ა ვ ი XIX

ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილება

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 აგვისტოს №-382 განკარგულების შესაბამისად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1998 წლის 22 იანვრის დადგენილების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1998 წლის 16 სექტემბრის №-186 დადგენილებით აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილება.

სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ძირითადი ამოცანებია: სამეცნიერო-ტექნიკური მასალების დამუშავება, მათი დაცვის უზრუნველყოფა, ს.ტ.დ-ის განყოფილების საცნობარო სისტემის შექმნა, განყოფილებაში დაცული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენება.

ამჟამად, განყოფილებაში მიღებულია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის და „საქქალაქმშენის“ სახ. პროექტის ბათუმის ფილიალის საარქივო მასალები.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა

ფონდი რ-980; საქმეთა ერთეული 580, 1974-1987 წწ.; აღწერა.

ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წლის ივლისში.[1]

ქარხნის ტექნიკური დოკუმენტაცია ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემოვიდა 2000 წლის აპრილში.

ფონდში დაცულია: ორმაგი მოქმედების როლერის, ავტოკლავის, დაგრეხილი მწვანე ჩაის ფოთლის დამხარისხებელი მანქანის, პროდუქციის ბოთლებში სტერილი-ზაციის დანადგარის, კალციუმის ტარტრატის საშრობი, კალციუმის ტარტრატის სუსპენზის მანქანის გაბარიტული ნახაზები და სქემები.

ღვინის წარმოების ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზის, ჩაის ფოთლის წინასწარი დამგრეხი, დამსრესი, დასაქუცმაცებელი, საშრობი მანქანის გაბარიტული ნახაზები და პრინციპიალური სქემები.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა

ფონდი რ-133; საქმეთა ერთეული 109, 1930-1986 წწ.; აღწერა.

აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 1930 წლის[2] იანვარში.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემოვიდა 2000 წლის აპრილში.

ფონდში დაცულია: ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის გენერალური გეგმის, „ვინკლერ-კოხ“-ის, „ლ-35-11/300“-ის, „გკ-5“-ის დანადგარების რეკონსტრუ-ქციის, ქარხნის სიგნალიზაციის, ლაბორატორიის, იმპორტული ნავთობის კომპლექსური ნაგებობის, ქარხნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, ტექნიკურ-ეკონომიკური რეკონსტრუქციის, კინოდარბაზისა და სპროტული მოედნის პროექტები და მუშა ნახაზები.

ფონდში ინახება აგრეთვე ნავთობის მეორადი გადამუშავების დანადგარის რეკონ-სტრუქციის მასალები.

---

1. ფონდი რ-980; საქ. 2; ფ. 5; აღწერა 1.
2. ფონდი რ-133; საქ. 322; ფ. 225.

„საქქალაქმშენსახპროექტი“

ფონდი რ-515; საქმეთა ერთეული 6200, 1946-1990 წწ.; პროექტები და მუშა ნახაზები.

„საქქალაქმშენსახპროექტის“ ბათუმის ფილიალი დაარსდა 1950 წლის თებერვალის თვეში „აჭარპროექტის“ ბაზაზე და უშუალოდ ემორჩილებოდა 1951 წლის 22 ოქტომბრამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქთმშენსახპროექტს.“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათუმის II ფილიალი „საქქალაქმშენსახპროექტი“ გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს შემდეგი სტრუქტურული დანაყოფებით: კანცელარია, ბუღალტერია, საგეგმო განყოფილება, არქივი. ტექნიკური ბიბლიოთეკა, დოკუმენტების გაფორმების განყოფილება, არქიტექტურის №-1,2 სახელოსნოები და კადრები.

„საქქალაქმშენსახპროექტის“ მასალები ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემოვიდა 2000 წლის აგვისტოში.

ფონდში დაცულია: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლის, ბათუმის დრამატული თეატრის, საბავშვო ბაღების, საცხოვრებელი სახლების და სხვათა პროექტები, მუშა ნახაზები და ნაკრები ხარჯთაღრიცხვები.

წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტი

ფონდი რ-182; საქმეთა ერთეული 30, 1938-1990 წწ.; აღწერა.

ქ. ბათუმის წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტი შეიქმნა 1923 წელს.

წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის ტექნიკური დოკუმენტაცია ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შესანახად შემოვიდა 2001 წლის მაისში.

ფონდში დაცულია; ჩაისუბნის და ბათუმის წყალსადენების, ჭოროხის ფილტრების, ჭაბურღილების და მდინარე „ინჯალოზე“ წყალგაყვანილობის მშენებლობის პროექტები და მუშა ნახაზები.

სსრკ „ცენტროსოიუზის“ საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბათუმის განყოფილება.

ფონდი ტ-516; საქმეთა ერთეული 4500, 1959-1991 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1959 წელს[1] ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ტექნიკური დოკუმენტაცია ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შემოვიდა 2001 წლის 11 ოქტომბერს.

ფონდში დაცულია; სავაჭრო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების პროექტები და ნაკრები ხარჯთაღრიცხვები.

---

1. ფონდი რ-516; საქ. 1; აღწერა 1. ფ. 2.

თ ა ვ ი XX

პირადი ფონდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილია აჭარის გამოჩენილ პიროვნებათა, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის სფეროს დამსახურებული მუშაკების, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეების პირადი ფონდები, სულ 23 პირადი ფონდი. მათ შორისაა მწერლისა და დრამატურგის ა. შერვაშიძის; პოეტების მ. გარშანიძის, ნ.მალაზონიას; ექიმ-მწერალის — რ. სურმანიძის; პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრის-ნ.გუგუნავას; ყოფილი სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სოციალისტური შრომის გმირის — ქ. ბახტაძის; საქართველოს სახალხო არტისტის — ი. კობალაძის; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმის — გ. ხეჩინაშვილის; კომპოზიტორების, აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკების ი. თაგბერიძის, გ. ნოღაიდელის და სხვათა პ/ფონდები.

ცენტრალური სახელმწიფო არქივი სათუთად ინახავს საარქივო დარგში მოღვაწე არქივისტების, ომის ვეტერანის გ. პინიანცის და ისტორიკოს-არქივისტის გ.მკერვალიშვილის მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. აქვეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს უფროსის (1963-1989 წ.წ.) ნ.ნოღაიდელის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის შ. აბაშიძის შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

პირად ფონდებში დაცულია ფონდშემქმნელთა ბიოგრაფიები, სამეცნიერო, კვლევითი თუ ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მიმოწერები, მილოცვები, დაჯილდოების მასალები, ფოტო-დოკუმენტები, საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

1. ბახტაძე ქსენია ერმილეს ასული /პირადი ფონდი/

ფონდი რ-20; საქმეთა ერთეული 88, 1949-1966 წწ.; აღწერა

ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე /1899-1978 წწ./—სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში.

ფონდში დაცულია: სამეცნიერო მოხსენებები, სტატიები მომზადებული სამეცნიერო კონფერენციებისათვის, რადიოსა და პრესისათვის, ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების სამეცნიერო გეგმის შესახებ. თემები: „ჩაის ყინვაგამძლეობის ამაღლების გზები“, „ჩაის პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“, „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ჩაის სელექცია და მეთესლეობა“, „ჩაის ახალი ხარისხები“, „მეცნიერება-სუბტროპიკულ მეურნეობას“.

სამეცნიერო მუშაობის თემატური გეგმა, ანოტაციები ჩაის სელექციისა და მეთესლეობის სისტემის დასადგენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. მასალები მოხსენებისათვის სოფლის მეურნეობის შესახებ შრი-ლანკა-ზე, ბათუმის რაიონის ახალშენის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის, ქართული ჩაის ღირსებებისა და ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ამაღლების შესახებ; საბჭოთა კავშირ-შრი-ლანკას საზოგადოების წესდება, მუშაობის გეგმა, ღონისძიებათა და ორგანიზაციის მოღვაწეობის ქრონიკა, ინფორმაცია საზოგადოების მუშაობის შესახებ, საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული სხდომის ოქმები, მოგონებები შრი ლანკაში მოგზაურობის შესახებ, მისალოცი დეპეშები წოდებების მინიჭებისა და დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად. წერილები მეცნიერებებისაგან, ჩაის მოყვარულებისაგან, ჩრდილოეთის ახალ რაიონებში ჩაის კულტურის დანერგვისა და გამრავლების საკითხებში მეთოდური დახმარების, ჩაის თესლის გაგზავნისა და სხვათა შესახებ.

ქსენია ბახტაძის პირადი წერილები და ავტობიოგრაფია, საბჭოთა კავშირში ლანკას საზოგადოების წევრების ფოტოსურათთა კოლექცია, მოსკოვში გამართული სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირის მონაწილეთა ალბომი.

2. ვარშანიძე მამია ომერის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-1010; საქმეთა ერთეული 159, 1946-1967 წწ.; აღწერა

მამია ვარშანიძე /1916-1998 წწ./ —პოეტი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი 1935 წლიდან, ჟურნალ „ჭოროხის“ პასუხისმგებელი მდივანი.

მამია ვარშანიძე ჩვენი ციხე-ტაძრებიდან, ჩვენი ტკივილიანი ისტორიიდან მომავალი პირველი პროფესიონალი პოეტია, რომელმაც დღიდან ქართულ პოეზიაში გამოჩენისა, სხალთის ლოდივით მხარზე შემოიდგა სამხრეთ საქართველოს ბედი თუ უბედობა და შემოქმედების უმთავრეს თემად აღიარა იგი. მძიმეა ეს ტვირთი, რადგანაც როგორც დიდი ილია იტყოდა,: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცილსლეს იქ უჩქეფნია, ჩვენს სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“.

მამია ვარშანიძემ ღირსეულად გააგრძელა ის გზა, რომელსაც საფუძველი დიდმა მემედ აბაშიძემ ჩაუყარა და მისი შემოქმედება ერთი ლამაზი ფურცელია საქართველოს სიყვარულისა.

სამშობლოს მხურვალე პატრიოტი გულანთებული წერდა: „მოდი ნახე“, „ზარების გუგუნი“, „ღვინოს წურავს ჩემი ქალი“, „ბათუმი“, „მინდა მიმღეროს ქალმა ლამაზმა“, „ჩემი ტაძარი“, „აჭარას“, „იყო და მარად იქნება“, „წყლის პირას დაგრჩა ქოშები“, „სულ პატარა მამული მაქვს“ და სხვა, რომელიც ჩვენი პოეზიის შესანიშნავი შენაძენია.

ფონდში დაცულია: ლექსებისა და პოემების ხელნაწერები, რეცენზიები და გამოხმაურებები მათ შესახებ, გამოსვლები: 8 მარტისადმი მიძღვნილი აჭარის ქალთა კომიტეტის თათბირზე, შ.ქურიძის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ჰ. აბაშიძის გარდაცვალების ერთი წლისთავის მიტინგზე,კომკავშირის 48-ე წლისთავის იუბილეზე, აგრეთვე პოეტის პირადი წერილები, ავტობიოგრაფია, შენიშვნები გამოქვეყნებული გაზეთებში და სხვა.

3. ჯინჭარაძე მაყვალა თევრათის ასული
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-1012; საქმეთა ერთეული 39, 1957-1965 წწ.; აღწერა

მაყვალა თევრათის ასული ჯინჭარაძე /1937 წ. 25 თებერვალი/—სოციალური შრომის გმირი, ცხოვრობს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში.

ფონდში დაცულია: მასალები სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, საპატიო სიგელები, გაზეთებისა და ჟურნალის სტატიების ამონაჭრები ჯინჭარაძის შესახებ, ფოტოსურათები ჩაის კრეფისა და სოფლის მეურნეობის გამოფენაზე ჯინჭარაძის ყოფნის დროს.

4. კობალაძე იუსუფ ომერის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-1011; საქმეთა ერთეული 56, 1933-1977 წწ.; აღწერა

იუსუფ ომერის ძე კობალაძე /1906-1981 წწ./ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. 1929 წლიდან მუშაობდა აჭარის ასსრ სახელმწიფო დრამატულ თეატრში. 1946 წლის 23 თებერვალს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის, იმავე წლის 5 მარტს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წლის 5 მარტს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

ფონდში დაცულია: მონოგრაფიები და საგაზეთო სტატიების ამონაჭრები ი. კობალაძის მოღვაწეობის შესახებ, საპატიო სიგელები, მილოცვები სასცენო მოღვაწეობის 25-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილის, საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ, თეატრალური აფიშები, რეკლამები, ფოტოსურათები.

5. მალაზონია ნესტორ გლახუნის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-1120; საქმეთა ერთეული 90, 1938-1976 წწ.; აღწერა

ნესტორ გლახუნის ძე მალაზონია /1892-1983 წ.წ./—პოეტი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი 1935 წლიდან.

ფონდში დაცულია: /პოემები, ლექსები, ბალადები, ნარკვევები, პიესები/, პირადი წერილები, მილოცვის დეპეშები, ავტობიოგრაფია.

6. ხეჩინაშვილი გიორგი გაბრიელის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-203; საქმეთა ერთეული 44, 1931-1984 წწ.; აღწერა

გიორგი გაბრიელის ძე ხეჩინაშვილი /1895-1985 წ.წ./ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმი.

გ.ხეჩინაშვილი დაიბადა 1895 წელს ბათუმში, დაამთავრა ქ. ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 20 წლის მანძილზე იყო ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი, მეან-გინეკოლოგთა საკავშირო საზოგადოების წევრი და აჭარის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, იყო მრავალი საკავშირო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე მეან-გინეკოლოგიაში, ხოლო ორ საერთაშორისო კონფერენციასა და ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმში გამოვიდა მოხსენებებით.

იყო საბჭოთა კავშირ—ვიეტნამის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე.

დაჯილდოვებული იყო: ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით, მედიცინის წარჩინებული მუშაკის ნიშნით, მინიჭებული ჰქონდა აჭარის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება, არის 100-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი.

გიორგი ხეჩინაშვილის პირად ფონდში ინახება სამეცნიერო შრომები, რეფერატები, მოხსენებები, ფონდშემქმნელის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, შრომათა ბიბლიოგრაფიული სია, მონოგრაფიები და რეცენზიები, მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების სხდომის ოქმები, მიმოწერები, მისი ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები.

7. ნოღაიდელი ნაზი ქემალის ასული
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-57; საქმეთა ერთეული 40, 1952-1987 წწ.; აღწერა

ნაზი ქემალის ასული ნოღაიდელი /1927-1999 წ.წ./—ფილოლოგი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი /1963-1989 წ.წ./ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

დაიბადა 1927 წელს ქობულეთში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა აჭარის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სახელმწიფო მუზეუმში, 1958-1963 წ.წ. აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორად, 1963-1989 წ.წ. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსად. იყო სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

არის 9 წიგნის ავტორ-შემდგენელი, ასამდე საგაზეთო სტატიის ავტორი და მრავალი წიგნის რედაქტორი.

დაჯილდოვებული იყო საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, საკავშირო მთავარი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით, საიუბილეო მედლით, მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ნ. ნოღაიდელის პირად ფონდში დაცულია შრომები, მოხსენებები, სტატიები, რომლებშიც გაშუქებულია საარქივო საქმის განვითარება და არქივის როლი. ქართველ და თურქ ქალთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის მასალები, ბრძოლა მავნე ადათების წინააღმდეგ და სხვა აქტუალური საკითხები, სიტყვები წარმოთქმული სხვადასხვა ღონისძიებებსა და სამეცნიერო-კონფერენციებზე; ფონდში ინახება ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები-ავტობიოგრაფია, პარტიულ კონფერენციებზე დასწრების მანდატები. ნ.ნოღაიდელის დაბადების 60 წლის საიუბილეო და დაჯილდოების მასალები, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათები, ფოტოსურათები.

8. თავბერიძე იური ნიკიფორის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-579; საქმეთა ერთეული 98, 1945-1978 წწ.; აღწერა

იური ნიკიფორის ძე თავბერიძე /1923-2000 წწ./—კომპოზიტორი, აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

იური ნიკიფორის ძე თავბერიძე დაიბადა 1923 წელს ოზურგეთის მაზრის, სოფ. ზემო სურებში, ექიმის ოჯახში. თავბერიძეების ოჯახში თავს იყრიდნენ იმ დროის ცნობილი ხალხური მომღერლები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის მუსიკალურ განვითარებაზე. იბრძოდა სამამულო ომში, დემობილიზაციის /1943 წ./ შემდეგ დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, ხელმძღვანელობდა პედინსტიტუტის საკონცერტო ბრიგადას, პერიოდულად ამზადებდა გუნდებსა და ქალთა ანსამბლებს.

როგორც თვითნასწავლი კომპოზიტორი არის 880 მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მისი ოთხი საბავშვო ოპერა „მამაცი წიწილები“, „განთიადის დილა“, „ყვინჩილა“ და „იავნანამ რა ჰქნა“ შეტანილია საქართველოს ოქროს ფონდში.

მიღებული აქვს მრავალი საპატიო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები, ფრონტზე მამაცობისათვის დაჯილდოებულია დიდების ორდენითა და თორმეტი მედლით, არის საქართველოს ფესტივალების ლაურიატი.

1977 წელს გადაუხადეს შემოქმედებითი მუშაობის 40 და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

ფონდში დაცულია: პირადი და ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, მუსიკალური ნაწარმოებები, მის მიერ შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებთა სია, მხატვრული კოლექტივების დათვალიერებისა და ოპერების აფიშები, მოლოცვები, დაჯილდოების მასალები, საკონცერტო პროგრამები, ფოტოსურათები.

9. სურმანიძე რამაზ დურსუნის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-571; საქმეთა ერთეული 131, 1965-1973 წწ.; აღწერა

რამაზ სურმანიძე—ექიმი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი.

რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, 1956 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, ქ. ბათუმის №-1 ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ ექსპერტიზის დარგში, აჭარის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ. 1975 წ. ინიშნება აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად. 1988 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1976 წ. დოცენტის წოდება. 1999 წელს მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ასევე მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

იგი აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. მისი კვლევის სფერო გასცდა მედიცინის ჩარჩოებს.

ფონდში დაცულია: სამეცნიერო შრომები, პირადი და ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, მხატვრულ ნაწარმოებთა რ. სურმანიძისეული თარგმანები, სამეცნიერო-საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მასალები, მიმოწერები და რეცენზიები, სიტყვები წარმოთქმული სამეცნიერო, საიუბილეო სალამოებსა და კონფერენციებზე, სურმანიძის მიერ სხვადასხვა თემებზე გამოკვლეული და შეგროვილი მასალები და სხვა.

10. ლორია პარმენ ონისიმეს ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-61; საქმეთა ერთეული 125, 1921-1976 წწ.; აღწერა

პარმენ ლორია /1896-1978 წ.წ./ ქართველი მწერალი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

პარმენ ლორია დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფ. ქვაყუდეში გლეხის ოჯახში. მის ლიტერატურულ მოღვაწეობას საფუძველი ჩაეყარა 1920 წელს. არის მრავალი რომანის, პიესის, მოთხრობისა და ლექსის ავტორი. მის შემოქმედებაში ასახვა ჰპოვა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა.

1932-1952 წ.წ. პ. ლორია არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ფონდში დაცულია: რომანები, მოთხრობები, პიესები და ლექსები, როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელთნაწერები, საგაზეთო სტატიები და რეცენზიები პ.ლორიას ახალ შექმნილ ნაწარმოებებზე; ავტობიოგრაფია, მწერლის საგაზეთო სტატიები, მისი მოგონებები, დღიურები, მკითხველთა წერილები, მასალები მწერლის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ; მთავრობის ჯილდოები და მილოცვები მწერლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

პ. ლორიას პირადი ფონდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შესანახად შემოვიდა 1984 წელს, 125 საქმეთა ერთეულის რაოდენობით.

11. გუგუნავა ნანი ახმედის ასული
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-440; საქმეთა ერთეული 44, 1960-1998 წწ.; აღწერა

ნანი ახმედის ასული გუგუნავა /1939 წ./—აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღირსების ორდერის კავალერი.

ნ. ა. გუგუნავა დაიბადა 1939 წ. ქ. ბათუმში მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. 1969 წელს დაიცვა დისერტაცია, ხოლო 1973 წ. მიენიჭა დოცენტის წოდება. 1998 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობის როლი აჭარაში ეროვნული სკოლის ფორმირების საქმეში“ და მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.[1] ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის კათედრაზე დაიკავა პროფესორის თანამდებობა.

ნანი გუგუნავას წლების მანძილზე ირჩევდნენ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1986-1993 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.[2]

1989 წლიდან ნ .გუგუნავა ხელმძღვანელობს აჭარის ქალთა რესპუბლიკურ საბჭოს და საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციას. 1994 წლიდან იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.[3]

---

1. ფონდი რ-400; საქ. 7; ფ; 70; აღწერა 1.
2. ფონდი რ-400; საქ. 24; ფ; 1-2; აღწერა 1.
3. ფონდი რ-400; საქ. 37; ფ; 68-72; აღწერა 1.

გამოქვეყნებული აქვს 27 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 16 აკრედიტირებულ ჟურნალებში, 5 ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო მიმოქცევის გამოცემებში.[1] არის მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი, გამოირჩევა საიუბილეო თუ ისტორიული მოვლენების აღსანიშნავი საჯარო გამოსვლებით, როგორიცაა სიტყვა-წარმოთქმული თბილისში თავისუფლების მოედანზე გამართულ დიდ დღესასწაულებზე საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმზე, მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე და თბილისში მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე.[2]

დაჯილდოვებულია მედლებითა და სიგელებით, 1989 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ფონდში დაცულია: სამეცნიერო შრომები, ჟურნალებში, /ჭოროხი და „სკოლა და ცხოვრება“/ გამოქვეყნებული ნარკვევები: „მემედ აბაშიძე-განმანათლებელი“, „მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო იდეები და ქართული პრესა“ და სხვა; გამოქვეყნებული შრომების სია, მოხსენებები წარმოთქმული გაეროს პროგრამის ქალთა წარმომადგენლობის შეკრებაზე, გალაქტიონ ტაბიძის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარისა და ბლაგოევგრადის მეგობრობის დღეებზე, სიტყვები წარმოთქმული თბილისში გაეროში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით გამართულ დღესასწაულზე, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75-ე წლისთავთან დაკავშირებით ზეიმზე, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე თბილისში, ფონდში ინახება აგრეთვე გაზეთები, ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებული წერილი „როგორ გიზარდეთ“, „ქართული მანდილი საქართველოს ქალის სიტყვაა“, „ინტერვიუ საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივან ნ. გუგუნავასთან, რომელსაც ესაუბრება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის განყოფილების გამგე ნანული ცაგარეიშვილი, ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, დაჯილდოების მასალები, სამთავრობო მისალოცი დეპეშები და ბარათები, რომელთა ავტორები არიან ე. შევარდნაძე, ა. აბაშიძე, ჯ. პატიაშვილი, ჟ. შარტავა, გ. ენუქიძე და სხვა. პირადი წერილები და მისალოცი ბარათები, დელეგატის მანდატები, ჯილდოები და მილოცვები ნ.გუგუნავასადმი მიწერილი /ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი სტურუა /„მუყაოზე დაწერილი წერილი“/ ახმედ გუგუნავას შესახებ.

12. აბაშიძე შალვა ბინალის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-500; საქმეთა ერთეული 59, 1976-1999 წწ. აღწერა

შალვა ბინალის ძე აბაშიძე /1955 წ./ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სოციალისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი.

შალვა აბაშიძე დაიბადა 1955 წელს შუახევის რაიონის სოფ. კარაპეტში. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად და მეორე მდივნად, აჭარის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ.[3]

მიღებული აქვს კომკავშირული ჯილდოები და სიგელები, საკავშირო, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპატიო დიპლომი, 1986 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებულია მედლით „მამაცური შრომისათვის“.[4]

1989 წლიდან შალვა აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეა.

---

1. ფონდი რ-400; საქ. 7; ფ; 2-3; აღწერა 1.
2. იქვე, რ-400; საქ. 13, 14; ფ; 1-9.
3. ფონდი რ-500; საქ. 46; ფ. 1, 5.
4. იქვე, საქ. 47; ფ. 23-24.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

შალვა აბაშიძის პირად ფონდში დაცულია ფონდშემქმნელის მოღვაწეობის ამსახველი მასალები, შრომები წაკითხული სამეცნიერო კონფერენციებზე; შ. აბაშიძის ნაშრომი „ბეტონის გრავიტაციული კაშხალის ანგარიში სიმტკიცეზე სრული ელემენტების მიხედვით“, რომელიც მოწონებული და წარდგენილი იქნა საკავშირო კონკურსზე, ნაშრომი „აჭარის კომკავშირული ორგანიზაცია“ /კონფერენციიდან კონფერენციამდე/, რეფერატები და მოხსენებები, მოხსენებითი ბარათი გაგზავნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში თურქეთის რესპუბლიკაში შ.აბაშიძისა და შ.ფუტკარაძის სამეცნიერო მივლინების შედეგებზე.[1] მოხსენება „აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 120 წელი საარქივო მასალების მიხედვით,“ გამოსვლები და სიტყვები წარმოთქმული ახალგაზრდობის მიტინგზე „ახალგაზრდობის როლი მსოფლიო განიარაღების საქმეში“, ფონდში დაცულია შ.აბაშიძის გამოსვლები ი. ჭავჭავაძის დაბადების 160-ე, ტბელ აბუსერისძის 800 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებზე, გამოსვლები მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. აქვეა გამოსვლები აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომასა და სესიაზე საარქივო საქმის განვითარების პროგრამის საკითხებზე, შაგი ზღვის აუზის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ასამბლეის მეორე გენერალურ სესიაზე /ქ. ქობულეთში/, სატელევიზიო გამოსვლები და საგაზეთო სტატიები საარქივო საქმის განვითარების აქტუალურ პრობლემებსა და საქართველოს სოციალისტური პარტიის მიზნებსა და ამოცანებზე.

მილოცვები და დაჯილდოვების მასალები, ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები-ავტობიოგრაფია, სანათესაოთა გენიალოგია, ფოტოსურათები, მოსაწვევი და მისალოცი ბარათები, ღონისძიებათა პროგრამები და სხვა.

13. ეკიზაშვილი მიხეილ გიორგის ძე /პირადი ფონდი/

ფონდი რ-413; საქმეთა ერთეული 19, 1957-1974 წწ. აღწერა

მიხეილ გიორგის ძე ეკიზაშვილი აჭარის ასსრ საოლქო პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

მიხეილ ეკიზაშვილი დაიბადა 1915 წელს.

1948 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1956 წელს სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი სკოლა.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: 1947-1948 წ.წ. საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის III მდივნად, 1948-1951 წწ. აჭარის ასსრ გაჭრობის მინისტრად, 1951-1952 წ.წ. აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად, 1952-1955 წ.წ. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად, 1955-1957 წ.წ. მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

19 წლის განმავლობაში 1957-1976 წ.წ-ში პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეა.[2]

დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პროფკავშირებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის დაჯილდოვებულია სამკერდე ნიშნით „პროფკავშირებში აქტიური მუშაობისათვის, მიღებული აქვს „შრომის წითელი დროშის“ ორდენი და მედლები.

ფონდშემქმნელის პირად ფონდში დაცულია მ. ეკიზაშვილის მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მოხსენებები ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, კონფერენციებზე. პარტაქტივის კრებებზე. აქვეა გამოსვლები და მოხსენებები წარმოთქმული საქართველოს პროფკავშირთა მე-11, მე-12 ყრილობაზე, გაზეთების: „საბჭოთა აჭარა“, „Советская Аджария“-ს, „Заря Востока“-ს, „Советская Торговля“-ს, „Батумский Рабочий“-ს, „Труд“-ის ამონაჭრები მ. ეკიზაშვილის სტატიებით.

---

1. ფონდი რ-500; საქ. 18.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცსა, ფონდი რ-413; საქ. 1; ფ. 2, 3, 8, 9.

14. პატარაია პარმენ მათეს ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-403; საქმეთა ერთეული 53, 1948-1990 წწ. აღწერა

პარმენ მათეს ძე პატარაია /1907-1990 წწ./ ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი.

პარმენ პატარაია დაიბადა 1907 წელს მარტვილის რაიონის სოფ. ბანძაში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

ქ. ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის დღიდან /1935 წ./ იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ინსტიტუტში. იყო ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო 1938-1941 წლებში ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.[1]

სამამულო ომის პერიოდში პ. პატარაია მუშაობდა დივიზიის პოლიტგანათლების აგიტატორ-პროპაგანდისტად და უფროს ინსპექტორად. დემობილიზაციის შემდეგ 1946 წლიდან იგი კვლავ ინსტიტუტშია, იყო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და პოლიტიკური ეკონომიის უფროსი მასწავლებელი.

1962 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1965 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.[2]

გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია, არის 30-მდე მეცნიერული ნაშრომის ავტორი.[3]

პ. პატარაია ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო შტატგარეშე ლექტორი, საზოგადოება „ცოდნის“ სექციის ხელმძღვანელი, მრავალგზის არჩეული იყო პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტო და საფაკულტეტო პარტბიუროს მდივნად.

30 წლის განმავლობაში იყო სამეცნიერო საბჭოს წევრი.

პ. პატარაია დაბადებიდან 80 და სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით შეტანილი იქნა ინსტიტუტის საპატიო წიგნში.

დაჯილდოვებული იყო მედლებითა და სიგელებით. მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშანი „სკკპ 50 წელი“.

1980 წლიდან პერსონალური პენსიონერია. გარდაიცვალა 1990 წლის დეკემბერში.

პირად ფონდში დაცულია ფონდშემქმნელის მოღვაწეობის ამსახველი მასალები. შრომები აჭარისა და საქართველოს ზოგიერთ რაიონების ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობის საკითხი“, რეფერატები და მოხსენებები, ცნობები „პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებისა და კათედრის გამგეების შესახებ“, საგაზეთო სტატიები და რეცენზიები, აქვეა ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, ბიოგრაფია, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოკლე ისტორიული ცნობა, დიპლომი, პირადობის მოწმობა, სიგელები, დაჯილდოების მასალები.

15. პინიანცი გრიგორ ასატურის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-271; საქმეთა ერთეული 54, 1954-1995 წწ. აღწერა.

გრიგორ ასატურის ძე პინიანცი /1923 წ./ სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვებულია „ღირსების მედლით“.

ფონდში დაცულია: მასალები, რომლებიც ასახავენ აჭარის რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების ისტორიას, სტატიები დოკუმენტმცოდნეობასა და არქივმცოდნეობაზე, მაკეტები დოკუმენტთა კრებულისა თემაზე: „ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონისა და აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის კოლმეურნეობათა მეგობრული კავშირები“ /1954 წ./, „ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთება /1878 წ./, ბათუმის საზღვაო პორტისა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განვითარების ისტორია, ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა 1905-1907 წ.წ. რევოლუციურ მოძრაობაში, სტატიები გამოქვეყნებული ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში.

---

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცსა, ფონდი რ-403; საქ. 48; ფ. 10; აღწერა 1.
2. იქვე, ფ. 10.
3. იქვე, საქ. 52; ფ. 5.

16. მკერვალიშვილი ვლადიმერ პლატონის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-402; საქმეთა ერთეული 25, 1965-1999 წწ. აღწერა.

ვლადიმერ პლატონის ძე მკერვალიშვილი ისტორიკოს-არქივისტი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ამავე საზოგადოების მე-5 საკავშირო კონფერენციის /1980 წ./ დელეგატი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ვლ. მკერვალიშვილი დაიბადა 1925 წ. ქ. ბათუმში, დაამთავრა მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტი ისტორიკოს-არქივისტის სპეციალობით.

დაჯილდოვებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, სსრ კავშირის „საარქივო საქმის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის №-47 განკარგულებით გამოეცხადა მადლობა.

არის რამდენიმე ბროშურის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს სტატიები და წერილები.

ფონდში დაცულია: ვლ. მკერვალიშვილის სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი მასალები; ფოტოდოკუმენტები, პირადი და ბიოგრაფიული ხასიათის მასალები. მოკვლეული პირადი დოკუმენტები უნგრელ ქართველოლოგ მარტინ იშტანოვიჩისა და ქართველ ეთნოგრაფ, დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის მეგობრულ ურთიერთობაზე.

17. გურგენიძე ანგელინა იოსების ასული
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-345; 26, 1936-1986 წწ. აღწერა.

ანგელინა იოსების ასული გურგენიძე /1920-1986 წ.წ./ საქართველოს და აჭარის ასსრ დამსახურებული აგრონომი.

ანგელინა იოსების ასული გურგენიძე დაიბადა 1920 წელს სოფ.ყოროლისთავში. შრომისმოყვარე გოგონა 1936 წ. რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან ერთად მოსკოვს ეწვია საქართველოს გასაბჭოების მე-15 წლისთავზე. ი. სტალინმა ა. გურგენიძეს პირადად შეაბნია მაჯის ოქროს საათი, კალინინმა „საპატიო ნიშნის ორდენი“ გადასცა, ხოლო მოლოტოვმა ტელეფონი უსაჩუქრა.

1944 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, სხვადასხვა დროს იყო სალიბაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, /1945-1948 წწ./, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე /1948-1950 წწ./, სოცუზრუნველყოფის მინისტრი /1950-1960 წწ./, ხოლო 1979 წლიდან გარდაცვალებამდე /1986 წ./ ფერიის მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატის დირექტორი; არჩეული იყო აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სარევიზიო კომისიის წევრად.

დაჯილდოვებულია სამი საპატიო ორდენით, სხვადასხვა მედლებითა და საპატიო სიგელებით. მინიჭებული აქვს საქართველოსა და აჭარის ასსრ დამსახურებული აგრონომის წოდება.

ფონდში დაცულია: ფონდშემქმნელის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, სტატიები: „დედა, მშობელი, მოქალაქე“, „რა ვნახე ბრიტანეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“; სიტყვები წარმოთქმული სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დამსახურებული აგრონომის წოდების მინიჭების შესახებ, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობის, აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვების მოწმობები, ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, დაჯილდოვების მასალები, მოსაწვევი ბარათები და მისალოცი დეპეშები.

18. ჟორიძე ელენე ვლადიმერის ასული /პირადი ფონდი/

ფონდი რ-344; საქმეთა ერთეული 7, 1954-1989 წწ. აღწერა.

ელენე ვლადიმერის ასული ქორიძე ომისა და შრომის ვეტერანი. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ელენე ქორიძე დაიბადა 1908 წელს, ქ. ბათუმში, სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის რკინიგზის სადგურში, სალიანდაგო დისტანციაში მბეჭდავ-მემანქანედ, კვანძის პროფკავშირის ბიბლიოთეკის გამგედ, ამიერკავკასიის რკინიგზის პოლტგანყოფილების მდივნად, ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმის კანტორის გამგედ, ბიბლიოთეკის გამგედ და ბოლოს საავგონო დეპოს კადრების უფროსად.

1935 წ. დაამთავრა ქ. თბილისში ბიბლიოთეკის კურსები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ქ.ლენინგრადში, ჰქონდა სამხედრო წოდება ლეიტენანტი.

აქტიურად ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს: იყო აგიტატორი, რედკოლეგიის წევრი, ადგილკომის წევრი და ხაზინადარი, საავგონო დეპოს ქალთა საბჭოს წევრი, და მისი უცვლელი თავმჯდომარე, სახალხო მსაჯული, ქუჩის კომიტეტის წევრი, საავგონო დეპოს კანტორის პარტბიუროს მდივანი, 1973 წლიდან ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, მედლებით „1941-1945 წ.წ. მამაცური შრომისათვის“, „სამამულო ომის გამარჯვების 20 წლისთავისადმი“, „შრომის ვეტერანი“-ს სამკერდე ნიშნებით.

ფონდში დაცულია: ფონდშემქმნელის პირადი მასალები /ავტობიოგრაფია, დახასიათება/, წარმოება-დაწესებულებათა ქალთა საბჭოების სამუშაო გეგმები, საერთო კრების ოქმები, ქალთა საბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, დაჯილდოვების მასალები /ასლები/, მოსაწვევი და მოსალოცი ბარათები, ფოტოსურათები.

19. ალანია ირაიდა ივანეს ასული /პირადი ფონდი/

ფონდი რ-333; საქმეთა ერთეული 13, 1954-1988 წწ. აღწერა.

ირაიდა ივანეს ასული ალანია საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ი. ალანია დაიბადა 1925 წელს ვორონეჟში. დაამთავრა კიევის სამედიცინო ინსტიტუტი. 1949 წლიდან საქართველოშია, ჯერ ფოთში, ხოლო 1954-1989 წ.წ. საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის ბათუმის განყოფილების უფროსია. 1977 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი.

გამოქვეყნებული აქვს 34 სამეცნიერო ნაშრომი ეპიდემიისა და ინფექციურ დაავადებათა გავრცელების, მათი თავიდან აცილებისა და სხვათა შესახებ.

დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ექიმის, ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის, შრომის ვეტერანის წოდებები.

ი. ალანიას პირადი ფონდში დაცულია: დისერტაციის თემა, შრომები, მოხსენებები, ფოტომასალები, რომლებიც ასახავენ ინფექციურ დაავადებათა კვლევასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს 1956-1977 წ.წ., კრებულები შექმნილი კავკასიაში არსებულ განსაკუთრებულად საშიშ ინფექციურ დაავადებებსა და საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალებზე.

20. შერვაშიძე ამირან ჯემალის ძე /პირადი ფონდი/

ფონდი რ-59; საქმეთა ერთეული 114, 1914-1987 წწ. აღწერა.

ამირან ჯემალის ძე შერვაშიძე /1914-1987 წწ./ — მწერალი, დრამატურგი საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე /1967-1987 წ.წ./.

ამირან ჯემალის ძე შერვაშიძე დაიბადა 1914 წელს ბათუმში. 1930-1934 წწ. სწავლობდა ჯერ მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის, შემდეგ კიევის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტზე.

არის მრავალი პიესის, სტატიისა და ნარკვევის ავტორი.

მისი პიესები „კაპიტანი“, „მზე“, „ბაგრატიონი“ და სხვა. წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ბათუმის, არამედ თბილისისა და კიევის თეატრების სცენებზე.

1949-1952 წწ. უკრაინის სახელმწიფო პოლიტ-გამომცემლობის დაკვეთით დაწერა წიგნი „რუსეთისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობა“.

დაჯილდოებული იყო საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ფონდში დაცულია: მწერლის პიესების, რომანების, მოთხრობების როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერი პირები, სცენარები და დოკუმენტები, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა მასალები. ასევე ფონდში ინახება მწერლის ავტობიოგრაფია და ბიოგრაფიული ხასიათის მასალები, უბის წიგნაკის ჩანაწერები, პირადი წერილები, მწერლის დაბადების 50 და 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საგაზეთო სტატიები, რეცენზიები მისი პიესების შესახებ, ფოტოსურათები.

21. სულაბერიძე პეტრე ნიკიფორეს ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-335; საქმეთა ერთეული 65, 1948-1984 წწ. აღწერა.

პეტრე ნიკიფორეს ძე სულაბერიძე /1927-1984 წ.წ./ აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კულტურის დამსახურებული მუშაკი.

პ.სულაბერიძე დაიბადა ქ.ბათუმში. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იყო საზოგადოება „ცოდნა“-ს აჭარის განყოფილების წევრი, აჭარის საექსკურსიო ბაზის დირექტორი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი, მასწავლებელთა სახლის დირექტორი.

არის მრავალი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ავტორი და დამდგმელი, როგორიცაა: „შოთა რუსთაველი“, „აკაკი წერეთელი“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვა, გამოცემული აქვს ლექსთა კრებულები: „როს ოცნება სტრიქონებში იღვრებოდა“, „არაუკარია“ და სხვა, იყო ბულგარეთის გიორგი კირკოვის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო წევრი, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, მიღებული აქვს საპატიო სიგელები და დიპლომები, ბულგარეთის გიორგი კირკოვის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ ოქროს მედალი. 1977 წელს გადაუხადეს შემოქმედებითი საიუბილეო საღამო.

ფონდში დაცულია: სულაბერიძის მოღვაწეობის ამსახველი მასალები, შრომები, მონოგრაფიები, ლექსები, მოხსენებები წარმოთქმული საზეიმო სხდომებზე, ლიტერატურულ-მუსიკალური და ქორეოგრაფიული მონტაჟის „ბათუმი-ბლაგოევგრადი“-გეგმა, ლექციები, ჩანაწერები, საგაზეთო სტატიები, მიმოწერები, პირადი და ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, წერილები და მილოცვები, ლექცია-კონცერტების აფიშები.

22. ნოღაიდელი გულნარა ოსმანის ასული
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-110; საქმეთა ერთეული 16, 1961-1989 წწ. აღწერა.

გულნარა ოსმანის ასული ნოღაიდელი ქორმეისტერ-დირიჟორი, კომპოზიტორი, საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გულნარა ნოღაიდელი დაიბადა 1937 წელს სოფ. წყავროკაში. დაამთავრა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით, ხელმძღვანელობდა საგუნდო კოლექტივებს, ჩამოაყალიბა საქალაქო კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „იალქანი“. მასწავლებელთა სახლის ბაზაზე პირველმა ჩამოაყალიბა საბავშვო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. მუშაობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის ორკესტრის დირექტორად, მუსიკალური ნაწილის გამგედ. მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლებს, თავადაც წერდა მუსიკას. იყო მ. კუხიანიძის სახელობის საქართველოს დასახურებული აჭარის

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორ-ქორმეისტერი, ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში. 1977 წელს გ. ნოღაიდელმა ჩამოაყალიბა სრულიად ახალი ტიპის მეტად ორიგინალური ვოკალური ჯგუფი „ოჰოი, ნანა“. მოგვიანებით დაამთავრა თბილისის გ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, გაიარა სტაჟირება მოსკოვში მ. პიატნიცკის სახელობის გუნდში სპეციალობით ქორმეისტერ-დირიჟორი.

დაჯილდოებულია მრავალი საპატიო და საიუბილეო სიგელებით, საკავშირო და მსოფლიო ფესტივალების ლაურიატის წოდებით, მინიჭებული აქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გ. ნოღაიდელის პირად ფონდში დაცულია: შემოქმედების ამსახველი სტატიები, სადიპლომო რეფერატის თემა, გ.ნოღაიდელის დირიჟორობით ანსამბლთა გასტროლების ამსახველი დოკუმენტები, საზეიმო კონცერტების პროგრამები, საკონცერტო აფიშები, მონოგრაფია, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათები.

23. ბარამიძე ვასილ არსენის ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-567; საქმეთა ერთეული 4, 1918-1967 წწ. აღწერა.

ვასილ არსენის ძე ბარამიძე /1902 წ./ ომის ვეტერანი,პერსონალური პენსიონერი, დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ფონდში დაცულია: 1919-1967 წ.წ. მასალები, კერძოდ მოგონებები ბარამიძის მონაწილეობის შესახებ მენშევიკური პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ გამოსვლებში ლანჩხუთის რაიონში. ადგილობრივი და ფრონტული გაზეთების ამონაჭრები, სადაც ასახულია გ.ა.ბარამიძის საბრძოლო ვაჟკაცობის შესახებ დიდ სამამულო ომში.

24. პოშელუჟნი ვლადიმერ სტეფანეს ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-566; საქმეთა ერთეული 11, 1914-1975 წწ. აღწერა.

ვლადიმერ სტეფანეს ძე პოშელუჟნი /1889 წ./ რევოლუციონერი, აჭარის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიური მონაწილე. რევოლუციური მუზეუმის უხუცეს რევოლუციონერთა საბჭოს წევრი.

პირად ფონდში დაცულია: შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალები /1902-1956 წწ./, რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მოგონებები გ.ს. პოშელუჟნის მონაწილეობის შესახებ მიტინგებში, დემონსტრაციებში, პროლეტარული გაზეთის „ბურევესტნიკის“ არალეგარულ გამოცემასა და გავრცელებაში, აგრეთვე 1914 წელს ქერჩში გაზეთ „პრავდა-ს“ გავრცელებაში.

ფონდში დაცულია ფოტომასალები: პოშელუჟნიზე, მის თანამებრძოლებზე დაცულია ოჯახური ფოტოები, მრავალი მოსალოცი წერილები სხვადასხვა ქალაქებიდან და მეგობრებიდან, ცნობები დაჯილდოების შესახებ.

25. ბელიხი ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე
/პირადი ფონდი/

ფონდი რ-474; საქმეთა ერთეული 102, 1930-1982 წწ. აღწერა.

ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე ბელიხი /1905-1997 წწ./ ისტორიკოს-მკვლევარი, სამამულო ომის ვეტერანი, ავტორი რომანისა „გზაჯვარედინზე“ („Перекрёсток дорог“) /XX საუკუნის მოვლენებსა და ადამიანებზე/, მონოგრაფია „სამშობლოს ნაწილი“ („Частичка Родины“), მოთხრობა „რევოლუციის ისტორიის ზოგიერთი ფურცელი“ („Некоторые страницы истории революции“).

პირად ფონდში წარმოდგენილია ლიტერატურული ნაწარმოებები, /რომანი, მოთხრობა/ ნარკვევები, პიესები, სტატიები, მოხსენებები განკუთნილი გამოსაქვეყნებლად, მასალები, რომელიც ასახავენ ნ.ნ.ბელიხის, როგორც მკვლევარის, სამხედრო ჩინის, საზოგადო და აღმზრდელ-პედაგოგის მოღვაწეობას. მიმოწერები ომის ვეტერანებთან, რევოლუციის მოღვაწეებთან, ლიტერატურული რომან-ნარკვევის „გზაჯვარედინზე“ - გმირებთან, აგრეთვე სამსახურეობრივი მიმოწერები, რომლებიც ასახავენ ბელიხის ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. აქვეა ბიოგრაფიული სახის მოწმობები, პირადი წერილები, მისალოცი დეპეშები, მოსაწვევი ბარათები.

26. ხალვაში ფრიდონ იშიღის ძე /პირადი ფონდი/

ფონდი რ-406; საქმეთა ერთეული 63, 1943-1990 წწ. აღწერა.

ფრიდონ იშიღის ძე ხალვაში /1925 წ./ პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურიატი, ღირსების ორდენის კავალერი.

ფრიდონ იშიღის ძე ხალვაში დაიბადა 1925 წლის 17 მარტს, ქედის რაიონის სოფ. გეგელიძეებში.

ცხმორისის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, რომელიც უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა და სოფელს დაუბრუნდა. მუშაობდა კოლმეურნეობაში მერგოლურად, 1941 წ. კი ცხმორისის სასოფლო კლუბ-ბიბლიოთეკის გამგედ.

1950 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1957 წელს მოსკოვის მ.გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები.

1957 წელს დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად, სამი ათეული წლის განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე.

პოეტის პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1944 წელს, პირველი კრებული „მზის ქვეყანაში“ 1948 წელს.

პოეტის კალამს ეკუთვნის ლექსთა კრებული „მუხა და ქარი“ /1958 წ./, „გენაცვალე“ /1962 წ./, „ლექსები და პოემები“ /1966 წ./, „ნუგეში“ /1969 წ./, „ერთტომეული“ /1976 წ./, „ეს დღე“ მოთხრობები და პოემები „ხიხანის ძახილი“ /1959 წ./, „გაზის ტირილი“ /1963 წ./, „სისხლიანი ქვები“ /1958 წ./, „გადარჩენილი უკვდავება“ /1966 წ./, წლების განმავლობაში იდგმებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული და ხულოს სახალხო თეატრების სცენაზე.

ფრ. ხალვაშის ლექსები და პოემები გამსჭვალულია მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მისი ბედკრული წარსულისადმი თანაგრძნობითა და პატივისცემით. პოეტი ცდილობს ქართველ მკითხველს მოუთხროს, თუ რა მოურჩენელი წყლულები და ტკივილები დაუტოვა აჭარას თურქეთის სამასწლოვანმა ბატონობამ და რა სიხარული მიანიჭა მას დედასამშობლოსთან დაბრუნებამ. სწორედ ამიტომ ფრ. ხალვაშმა დიდი წონადი სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში და 1979 წელს ლექსთა კრებულისათვის „ასი მზე დედის გულისა“—მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით, 1995 წელს კი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ფრიდონ ხალვაშის პ/ფონდი აჭარის ცს არქივში შემოვიდა დაუმუშავებელი სახით 1999 წელს. ფონდი დამუშავდა, გაუკეთდა სისტემატიზაცია, აიკინძა, გაფორმდა. ფონდში ამჟამად ირიცხება 63 შ/ერთეული, რომელთა შორის არის პოემები და ლექსები, როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერის სახით, უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თარგმანები, პოეტის მიერ თარგმნილი ლექსები.

პუბლიკაციები, სტატიები, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ და ხულოს სახალხო თეატრებში პოეტის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების პროგრამები.

აქვეა მოხსენებები და სიტყვები წარმოთქმული სხვადასხვა ღონისძიებებზე: „შეხვედრა აჭარაში მომუშავე მწერლებთან“, „გიორგი ლეონიძის გარდაცვალების გამო“, „მემედ აბაშიძე“, „ილია და მემედ აბაშიძე“, „დიდი კაცი დავკარგეთ“ /მიძღვნილი რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალებისადმი/ „შეხვედრა აფხაზ მწერლებთან“/ფონდი რ-406; საქ. 13; აღწერა 1./.

ფონდში დაცულია აგრეთვე ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ბათუმის განყოფილების სხდომის ოქმები /საქ. 15/, პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათები, მოსაწვევი ბარათები, მისალოცი დეპეშები და სხვა.

27. თხილაიშვილი ალექსანდრე დურსუნის ძე /პირადი ფონდი/

ფონდი რ-520; საქმეთა ერთეული 13, 1972-1975 წწ. აღწერა.

ალექსანდრე დურსუნის ძე თხილაიშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი 1961-1975 წლებში.

ალექსანდრე დურსუნის ძე თხილაიშვილი დაიბადა 1914 წლის 20 ოქტომბერს ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბანში.

ხუცუბნის 7-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბათუმის რაიონის მწვანე კონცხის სუბტროპიკულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1933 წელს. 1934 წელს სწავლა გააგრძელა სოხუმის საკავშირო სუბტროპიკულ ინსტიტუტში, რომლის გაუქმების გამო 1937 წლიდან სასწავლებლად გადადის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1939 წლიდან მუშაობას იწყებს ქედის სას. საბჭოს უბნის აგრონომად. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქედის რაიონში დარგის აგრონომად, მთავარ აგრონომად, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

1946-1950 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივნად. 1950-1953 წლებში იყო აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, ამავე წლიდან არის საქ. კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი.

1954-1960 წლებში იყო აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1961-1975 წლებში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის I მდივანი.

ფონდში დაცულია ავტობიოგრაფია, სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით გამოგზავნილი მოსალოცი ბარათები და იმ პირთა სიები, რომელთაც სხვადასხვა დროს დაეგზავნათ მისალოცი ბარათები.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XXI

დოკუმენტების კოლექციები

აჭარის ასსრ-ში მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების ფურცლები-მოქალაქეთა ხელმოწერებით /კოლექცია/

ფონდი რ-473; საქმეთა ერთეული 43, 1950 წ. აღწერა.

1950 წლის 30 ივნისს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო განცხადება სტოკჰოლმის მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების-ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ—მხარდასაჭერად. საბჭოთა ადამიანებმა მთლიანად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის ეს განცხადება და დაადასტურეს იგი მოწოდების ქვეშ თავიანთი ხელწერებით.

ფონდში დაცულია: ქობულეთის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, კოლმეურნეთა საერთო კრებების ოქმები. სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერების შეგროვების სამუშაოთა შემსრულებელი კომისიის შექმნის შესახებ, ქ. ბათუმის, ქობულეთის, აჭარის რაიონების მშრომელთა ფართო მასების ხელწერები სტოკჰოლმის მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე-ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ხელშემწყობი კომისიის წევრთა სიები, ინფორმაციები სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელწერათა შეგროვების მიმდინარეობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წელი /კოლექცია/

ფონდი რ-339; საქმეთა ერთეული 35, 1967-1970 წწ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: ქალაქის საბჭოსა და საქართველოს კპ აჭარის რაიკომების, ქედის, შუახევის რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომათა ოქმები ვ.ი.ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა მზადების შესახებ, საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენებები, გამოსვლები, საგაზეთო ამონაჭრები, ინფორმაციები აჭარაში ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დღეების ჩატარების შესახებ.

დიდი სამამულო ომის მონაწილეები /1941-1945 წწ./ /კოლექცია/

ფონდი რ-1009; საქმეთა ერთეული 92, 1965 წ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: სამამულო ომის /1941-1945 წწ./ მონაწილეთა მოგონებები, ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების XX წლისთავი, „საბჭოთა აჭარა დიდ სამამულო ომში“—ომის მონაწილეთა /ხულოსა და ქედის/ ბიოგრაფიული მონაცემები, წერილები, ფოტოები.

შოთა რუსთაველი- 800 /კოლექცია/

ფონდი რ-1098; საქმეთა ერთეული 18, 1966 წ.; აღწერა.

ფონდში დაცულია: საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმები დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებათა მზადებისა და ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის თ. ბარამიძის, მწერლების, ბათუმის სკოლების დამსახურებული პედაგოგების მოხსენებები შოთა რუსთაველის და მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ, პოემის გარჩევა თავების მიხედვით, აჭარის პოეტთა ლექსები მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი. მოხსენება-„რუსთაველი ქართველ კინემატოგრაფისტთა ფილმებში,“ აჭარის მწერლების, პოეტების, ქ. ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიერ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი წერილები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია-50 წელი
/კოლექცია/

ფონდი რ-1145; საქმეთა ერთეული 78, 1967 წ.; აღწერა.

კომისიის სხდომის ოქმები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის-50-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ. აჭარის რესპუბლიკური კონფერენციის მასალები /მოხსენებები, გამოსვლები/ მიძღვნილი საიუბილეო თარიღისადმი.

ჟურნალ „ЗЕПИР“-სა და აჭარის ასსრ ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები „აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 46 წელი“, „აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი საიუბილეო თარიღის შესახვედრად“, „ძვირფასი რელიქვიები“, „დიადი გამარჯვების დღესასწაული“, გ. ი. ლენინი „წერილები შორიდან“.

მებრძოლ ურწმუნოთა კავშირი
/კოლექცია/

ფონდი რ-260; საქმეთა ერთეული 28, 1937-1947 წწ.; აღწერა.

მებრძოლ ურწმუნოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს აჭარისტანის კავშირი ჩამოყალიბდა 1937 წ., ლიკვიდირებული იქნა 1947 წ. მებრძოლ ურწმუნოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს დადგენილებით.

ფონდში დაცულია აჭარისტანის მებრძოლ ურწმუნოთა კავშირის /მუკ/ ცენტრალური საბჭოს ოქმები, ლექტორთა სხდომების ოქმები, სამუშაო გეგმები, ბრძანების წიგნი, აჭარისტანის მუკ-ის ორგანიზაციების წევრთა სიები და ა.შ.

სოციალისტური შრომის გმირები აჭარის ასსრ რესპუბლიკიდან
/კოლექცია/

ფონდი რ-518; საქმეთა ერთეული 94, აღწერა.

ფონდში დაცულია სოციალისტური შრომის გმირების პირადი საქმეები.

აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კომისიები

ფონდი რ-786; საქმეთა ერთეული 384, 1938-1977 წწ.; აღწერა 1, 2, 3.

ფონდში დაცულია: ბრძანებულებები აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, ოქმები საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ, მიმოწერები, ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო უბნების ხმის მიცემისა და დეპუტატთა კანდიდატების რეგისტრაციის ოქმები და ა.შ.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიები

ფონდი რ-408; საქმეთა ერთეული 1509, 1938-1980 წწ.; აღწერა 1, 2, 2ა, 3, 3ა, 4, 5, 6.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, ცენტრალური საარჩევნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების, საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ. საერთო კრებაზე საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შესახებ, დეპუტატების ავტობიოგრაფიები, დეპუტატთა სიები, პირადი საქმეები; დეპეშები და მიმოწერები არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიები

ფონდი რ-409; საქმეთა ერთეული 364, 1941-1980 წწ.; აღწერა 2, 3, 4, 5.

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები აჭარის ასსრ-ში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, მასალები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო ოლქების საზღვრების შექმნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ავტობიოგრაფიები, კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების შესახებ და ა.შ.

აჭარის ასსრ სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების საარჩევნო კომისიები /კოლექცია/

ფონდი რ-467; საქმეთა ერთეული 467, 1949-1984 წწ.; აღწერა 1, 2, 3, 4, 7. 8, 8ა.

ფონდში დაცულია: საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები აჭარის ასსრ რაიონული, /საქალაქო/ სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის, ჩატარებისა და მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ, სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება, ბათუმის ტერიტორიაზე სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქების და უბნების შექმნის, სახალხო მოსამართლის კანდიდატურის რეგისტრაციის შესახებ, სტატისტიკური ანგარიშები სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ, მიმოწერები და დეპეშები არჩევნებთან დაკავშირებით. ფონდში დაცულია აგრეთვე ხმის მიცემის ოქმები საარჩევნო უბნების მიხედვით, ხმის დამთვლელი კომისიების შემადგენლობა და სხვა.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XXII

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ბიბლიოთეკა

წიგნადი ფონდი რ-4962; 1901-2000 წლები; აღწერა.

ბიბლიოთეკა, როგორც სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის, მეცნიერების განვითარებისა და ქართული ინტელიგენციის აღზრდის საქმეში.

ბიბლიოთეკის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა წიგნსაცავების შექმნასა და დაცვას.

წიგნების სამეცნიერო მუშაობაში გამოყენების აუცილებლობამ განაპირობა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის, როგორც არქივის დამხმარე აპარატის შექმნა, რომელსაც დაახლოებით 70 წლის ისტორია აქვს. მისი აღმოცენება უკავშირდებოდა ცენტრალური სახ. არქივის დაარსების პერიოდს.

სამეცნიერო დაწესებულებათა შორის, თავისი დანიშნულებისა და დაკისრებული ფუნქციების მიხედვით, ერთმანეთთან განსაკუთრებულად ახლოს დგანან არქივი და ბიბლიოთეკა; მარტო ის გარემოება რომ ორივე ამ დაწესებულებების მთავარ დანიშნულებას წარსულის ძეგლების შეგროვება და დაცვა შეადგენს, თავისთავად ლაპარაკობს მათ ახლობელ კავშირსა და ნათესაობაზე. მაგრამ მეორეს მხრივ ის ფაქტი, რომ თითოეულ ამ დაწესებულებათაგანს წარსულის ძეგლების მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის პატრონობა აქვს დაკისრებული აუცილებელს ხდის მათ შორის ერთგვარი ხაზის გავლებას და მათი ძირითადი ფუნქციების გამიჯვნას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახარქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა არის დახურული ტიპის ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს სპეციალიზებული წიგნსაცავი არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის პროფილით.

ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის, ცენტრალური სახელმწიფო არქივის, რაიონულ სახელმწიფო არქივებისა და ამ სისტემის ყველა საუწყებო დაწესებულებების თანამშრომლებს, აგრეთვე სხვა დაწესებულებებიდან მოსულ მკვლევარებს.[1]

ცენტრალური სახ. არქივი, არსებობის 80 წლის მანძილზე, დოკუმენტური წყაროების კონცენტრაციასა და მათ დაცვა-შენახვასთან ერთად იღწვოდა წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის.

არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის ამსახველი ლიტერატურის გარდა აქ თავმოყრილია სხვადასხვა თემატიკისა და დარგის წიგნები: მინისტრთა საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები, რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები, მდიდარი საცნობარო ლიტერატურა; 1881-1917 წლების კავკასიის კალენდარი, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 46 ტომი, ბროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონები, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სალიტერატურათმცოდნეო, ისტორიული, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, სასულიერო და სხვა ლიტერატურა; ბიბლიოთეკაში დაცულია აგრეთვე იურიდიული, პოლიტიკური, დიდაქტიკური ხასიათის ჟურნალები, ადგილობრივი და რაიონული გაზეთების კომპლექტები, აქ დაცული წიგნების უმეტესობა ქართული და რუსულ-ენოვანია, არის აგრეთვე უცხოურ-ენოვანი ლიტერატურაც, კერძოდ ლათინური, ფრანგული.

არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტება მიმდინარეობდა სხვადასხვა გზით: ნაწილი წიგნებისა საარქივო ფონდებთან ერთად, შემოვიდა რევოლუციის შემდგომ გაუქმებული დაწესებულებებიდან. ბევრიც შემოტანილია შესყიდვის, შემოწირულობების, გამოწერის საშუალებებით. ზოგიც არქივის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

არქივის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებული და აღწერილია საბიბლიოთეკო წესით, განლაგებულია თაროებზე და დაცულია სათანადოდ, შედგენილია სათანადო კატალოგები, საჭიროების შემთხვევაში წიგნებს უკეთდება რესტავრაცია და სხვა აღდგენითი სამუშაოები.

---

1. აჭარა ცსა, ფონდი რ-89; საქ. 162; ფ. 1.

არქივის ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია, როგორც უკვე აღინიშნა, საარქივო მეთოდური ლიტერატურით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს საარქივო სამმართველოების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი და გამოცემული რიგი სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოებით, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ სამეცნიერო დაწესებულებებსა და ცალკეულ მკვლევარებს საარქივო მასალების გამოყენებაში, აგრეთვე თვით არქივის მუშაკებს ყოველდღიურ მუშაობაში.

საარქივო საქმის თეორიისა და მეთოდიკის საკითხები პერიოდულად შუქდებოდა საქართველოს საარქივო სამმართველოს „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენში“, რომელიც გამოდის 1958 წლიდან წელიწადში ორჯერ. არქივის ბიბლიოთეკაში დაცულია 1961-1985 წლების „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენები“, რომლებშიც გაშუქებულია მასალები საარქივო დარგის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

აქვე მოთავსებულია მიმოხილვები საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში დაცული უნიკალური დოკუმენტებისა და პირადი ფონდებისა. ერთ-ერთი ასეთია „თედო ჟორდანიას პირადი ფონდის მიმოხილვა“, „საბუთებისა და საბუთსაცავების აღმნიშვნელი ტერმინები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, „ს. დოდაშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლები“, „ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“,“ „გელათის საქმე და გაბრიელ ქიქოძე“ და მრავალი სხვა.

სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენმა დიდი როლი შეასრულა საარქივო საქმის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, ნათელი მოჰფინა არქივში დაცულ ბევრ უნიკალურ ფონდსა თუ კოლექციას. იგი დღესაც საკმაოდ პოპულარული საარქივო მეთოდური ლიტერატურაა და კვლავაც დახმარებას უწევს საარქივო დარგში დასაქმებულ მუშაკებს სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობაში.

საარქივო სისტემაში ასევე მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ ითვლება საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის პერიოდული სამეცნიერო-ჟურნალი „საისტორიო მოამბე“. რესპუბლიკაში იგი ერთად-ერთია, რომელიც თავისი მრავალფეროვანი პუბლიკაციებით საშუალებას აძლევს მკვლევარებსა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს მოკლე დროში გაეცნონ ერთობ საინტერესო საარქივო საბუთებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალი სფეროს შესახებ. თავისი არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე ჟურნალმა ბევრი საყურადღებო საბუთი გამოაქვეყნა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მრავალი პრობლემის სრულყოფილად და ახლებურად გაშუქებასა და დაზუსტებაში. ჟურნალში გაშუქდა არაერთი ახალი, დღემდე სრულიად შეუსწავლელი საკითხი, რომელმაც მკვლევართა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მათი ფართოდ დამუშავების მიმართულებით“.[1]

„საისტორიო მოამბეში“ გამოქვეყნებული ბევრი საინტერესო სტატიიტან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: „ხალხსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში“, „ვახტანგ მეექვსის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“, „ქართული მუსიკის ისტორიიდან“, „ილია ჭავჭავაძის იურიდიული მოღვაწეობა“, „დოკუმენტური მასალა ვახტანგ გორგასალის შესახებ“, „ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები და მრავალი სხვა.

არქივის მეთოდლიტერატურაში ირიცხება საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ 1988 წელს გამოცემული „სახელმწიფო არქივების მუშაობის ძირითადი წესები“. წესებში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომლებიც ერთიანი და სავალდებულოა ყველა სახელმწიფო არქივისათვის. წესები იძლევა ამა თუ იმ სახეობის სამუშაოთა წარმოების მეთოდებისა და ტექნოლოგიის დახვეწის შესაძლებლობას მოწინავე გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით.

სახელმწიფო არქივების მუშაობის ძირითადი წესები დიდ დახმარებას უწევს არქივებს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, არქივში მიმდინარე სამუშაოების დახვეწასა და გაუმჯობესებაში.

ასევე მნიშვნელოვან მეთოდურ სახელმძღვანელოებს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №-414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები“.

საინტერესო მასალებს შეიცავს საქართველოს ცენტრალური არქივის მიერ 1927 წელს გამოცემული ჟურნალი „საქართველოს არქივი“. მასში შესულია „სვანეთის მრავალთავის ხელნაწერის განხილვა“, „შენიშვნები შაჰ-ნამეს-“ს ქართული ვერსიების შესახებ, „მეფე გიორგი IX მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელი 1477 წ.“, „ჯვარისის ძეგლი“-ს შესახებ მასალები და სხვა.

---

1. სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენები, №-27-28, თბ. 1975 წ. ფ. 150.

საინტერესოა საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2000 წელს გამოცემული ცნობარი-მიმოხილვა „საქართველოს არქივები“. ცნობარში შესულია, ძველ საქართველოში საქართველოს არქივების განვითარების ისტორია, საქმის წარმოება, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, საკანონმდებლო ბაზა, არქივი საზოგადოების სამსახურში. ცნობარი აქტიურად დაეხმარება როგორც საარქივო დარგის, ასევე საქმისწარმოებაში დასაქმებულ სხვა მუშაკებს, ისტორიკოს-მკვლევარებს.

არქივის ბიბლიოთეკაში ინახება „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა“ (ტ.1), რომელიც საქართველოს ცენტრალურმა სახელმწიფო საისტორიო არქივმა გამოსცა 1949 წ. აკ. კეკელიძის რედაქტორობით. კოლექციაში შესულია ხელნაწერი აღწერილობები დაწყებული IX ს-ის II ნახევრიდან ვიდრე XIX საუკუნემდე. საერო მწერლობიდან აქ წარმოდგენილია „გეფხისტყაოსანი“ (XVIIIს-ის ხელნაწერი), „რუსუდანიანი“ (XVIIIს-ის ხელნაწერი), „თამარ მეფის შესხმათა XIX ს-ის I ნახევრის ხელნაწერები, თეიმურაზ I-ის ნაწარმოებები, წარმოდგენილია XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის I ნახევრის მწერლები, საეკლესიო მწერლობიდან არის ოთხთავები, მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა სალიტურგიო წიგნები, აპოკრიფები, აგიოგრაფიული ნაწარმოებები, კანონიკური ძეგლები და სხვა ძვირფასი ხელნაწერების ჩამონათვალი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივმა 1952 წელს გამოსცა გენერალსიმუსისა და რუსული სამხედრო ხელოვნების ფუძემდებლის ა.ვ.სუვოროვის საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების აღწერილობა, რომელიც შედგება სუვოროვის პირადი დოკუმენტებისაგან და მის პიროვნებასთან დაკავშირებული სხვა სახის მასალებისაგან.

არქივის ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა აჭარის საარქივო სამმართველოსა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის სხვადასხვა დროს გამოცემულმა კრებულებმა. ესენია: 1975 წელს გამოცემული-„აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდიდან“, რომელიც მოიცავს 1921-1925 წლების პერიოდს, 1980 წელს გამოცემული-„ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში“; იგი მოიცავს 1926-1932 წლებს, და 1986 წელს გამოცემული-„ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში“, მოიცავს 1933-1941 წლებს.

როგორც უკვე აღინიშნა, არქივის ბიბლიოთეკაში არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის ამსახველი ლიტერატურის გარდა ინახება ბევრი სხვა უნიკალური წიგნი, რომელსაც გააჩნიათ მეცნიერული და კულტურული ღირებულება და რომლებიც,შეიძლება ითქვას, ბიბლიოთეკის სიმდიდრეს წარმოადგენს.

ერთ-ერთი ასეთია ცნობილი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას ნაშრომი „ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“. წიგნი მოიცავს 1700 წლიდან IX ს-ის 60-იან წლებამდე პერიოდს. მასში მოცემულია ცნობები თედო ჟორდანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა და სხვა მრავალი.

სამეცნიერო ღირებულება გააჩნია მამია დუმბაძის ნაშრომს „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“, რომელიც ასახავს ცნობილი ისტორიკოსის, დიდი მეცნიერისა და ქართული კულტურის მოამაგის დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოგვითხრობს მის დიდ წვლილზე საქართველოს ისტორიის შესწავლისა და განვითარების, ქართული ენის სიწმინის დაცვის საქმეში.

არქივის ბიბლიოთეკაში ინახება საინტერესო „ატენის სიონის მოხატულობა“, რომელიც გვაწვდის ცნობებს XVII ს-ის ერთ-ერთი უმაღლესი ტაძრის, ატენის სიონის ისტორიაზე, მის არქიტექტურასა და აგებულებაზე, ფრესკულ მხატვრობასა და ძველ წარწერათა ნაშთებზე. წიგნში შეტანილია ატენის სიონის მოხატულობანი. ნაშრომი ძვირფასია ისტორიისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ქართული მონეტის განვითარების ისტორიას გვაცნობს დ.კაპანაძის ნაშრომი.

განსაკუთრებული ღირებულების წიგნად შეიძლება ჩაითვალოს დიდი ქართველი პატრიოტის ჰაიდარ აბაშიძის-„წერილები“. აქ წარმოდგენილ ყველა წერილში ნათლად გამოსჭვივის საქართველოს განუყოფელი კუთხის — აჭარის შემომტკიცებისა და აღორძინებისათვის უსაზღვრო ზრუნვა, გაისმის უკუღმართი წარსულის ნაიარევის მოშუშებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდების ძლიერი ხმა.

ბიბლიოთეკაში უხვად მოიპოვება საქართველოს ისტორიის ამსახველი ლიტერატურა, არის ქართული მწერლობის ნიმუშებიც, მაგრამ ყოველ მათგანზე ყურადღების გამახვილება შეუძლებელია. მათ გვერდით ინახება რუსულ ენაზე შექმნილი სხვადასხვა

სახელმძღვანელოები, როგორიცაა მსოფლიო ისტორიის რამდენიმე ტომი, XV ს-ის რუსეთის ჟამთაღწერილობა, ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე რუსულენოვანი ლიტერატურა და სამეცნიერო ხასიათის ჟურნალები: „Церковныя въдомости“, „Русское богатство“, „Русская школа“, „Русская мысль“, „Народное просвещение“, „Современный мир“ და მრავალი სხვა.

ეს ჟურნალები გამოცემულია წიგნების სახით და ისინი ძვირფას მასალას იძლევა რუსული ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რელიგიური ხასიათის ლათინურ ენაზე დაწერილი რამდენიმე წიგნი, რომელთა ფურცლებიც ოქროსფრადაა მოვარაყებული. ისინი ძველისძველია და ასახავენ რომის პაპების ისტორიას. რელიგიური ხასიათისაა პარიზში გამოცემული ფრანგული სახელმძღვანელო „CATECHISME“. იგი წარმოადგენს ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემას.

ეს წიგნები წლების განმავლობაში ტაბუდადებული და მიჩქმალული იყო, მათი რელიგიური ხასიათის გამო. დღეს, უკვე ისინი ხელმისაწვდომია რელიგიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

როგორც ვხედავთ, არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკას საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი გააჩნია, მათ რიცხვს ყოველწლიურად ემატება ახალი ლიტერატურა.

ამ ორიოდე წლის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის დიდი მეცადინეობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით გადაწყდა, რომ რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ვალდებულნი არიან არქივის ბიბლიოთეკას გამოუგზავნონ ყოველი ახალი წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის თითო ეგზემპლარი უფასოდ. ამ გზით არქივის ბიბლიოთეკას ბოლო ორი წლის მანძილზე ბევრი საინტერესო წიგნი შეემატა. მათი თემატიკა მრავალფეროვანია. არის როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული, აგრეთვე სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნები, ჩვენი თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები. მათ შორის აღსანიშნავია ზ. გორგილაძის ლექსების ახალი კრებული შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“, ნ. ვერძაძის „ქვეყნის გადარჩენის ნიჭი“, თ. კომახიძის მიერ გამოცემული მთელი რიგი წიგნებისა: „მემედ აბაშიძე“, „მამულიშვილი“, „ისინი შვენოდნენ ქალაქს“ და სხვა.

შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“ ასახავს თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების (ჩვენებურების) მეტყველების ნიმუშებს. გადაგვიშლის მათი სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალფეროვან სურათს. ეს წიგნი უსათუოდ მიიზიდავს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

თ. კომახიძის ნაშრომი „მემედ აბაშიძე“, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ეძღვნება ქართველი მამულიშვილის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, პუბლიცისტისა და დიდი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. წიგნი გარდა მთავარი გმირისა, წარმოგვიდგენს აბაშიძეების გვარის სხვა ცნობილ მოღვაწეთა დამსახურებას ქართულ საერთო საქმეში.

ნ. ვერძაძის „ქვეყნის გადარჩენის ნიჭი“ ეძღვნება აჭარას, მის წარსულსა და მომავალს, მის დღევანდელ დღეს, მის ხელმძღვანელს, დღევანდელობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსს ბატონ ასლან აბაშიძეს, წიგნი მოგვითხრობს აჭარაში მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნებზე, დიდ მიღწევებზე კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში.

ასეთია მოკლე და ზოგადი მიმოხილვა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკისა, როგორც არქივის დამხმარე აპარატისა. დიდია მისი მნიშვნელობა არქივის სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეში.

თ ა ვ ი XXIII

ფოტოდოკუმენტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 2001 წლის 23 ივლისის №-70 დადგენილებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის კინოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივი, სადაც განთავსდება, როგორც კინო და ფონო, ასევე ფოტო მარაგი. მართალია ცენტრალურ არქივში ამჟამად დაცულია 10500 ცალი ფოტოსურათი შესანახად, რომელიც უახლოეს პერიოდში გადავა სხენებულ არქივში, მაგრამ ექსპერტიზის მოწყობამდე და სრულ გადაცემამდე, მაინც მიზანშეწონილად ვთვლით ფოტომარაგის ცენტრალური არქივის ამჟამინდელ მეგზურში შეტანას.

ერის ისტორიის შესწავლისა და კვლევის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფოტოდოკუმენტებს, რომლებზეც ასახულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კუთხის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა საფეხური.

ფოტოსურათი ჩვენი წარსული და ამავ დროულად მომავალია. ფოტოებზე აღბეჭდილი ესა თუ ის მოვლენა ისტორიულ ღირებულებას იძენს და შეჩერებული წამებით ეპოქის შესახებ უტყუარ ვიზუალურ სურათს იძლევა.

ფოტოდოკუმენტების შეგროვებასა და აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში თავმოყრას 1950 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. არქივში დაცულ ფოტოდოკუმენტთა ჩარჩოები მოიცავს 1878-2000 წლებს. ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ამ საქმეს ხსვადასხვა დროს ასრულებდნენ შ.გაბრუშიძე, ო. ზოიძე და დ. მაისურაძე, საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოდან 1956 წ. ბატონ გ. პინიანცის მიერ შემოტანილი იქნა 1878-1921 წლებში აჭარაში მიმდინარე პროცესების ამსახველი მეტად მნიშვნელოვანი 150 ფოტო სურათი, ასევე 2001 წელს საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის შ.აბაშიძის მიერ საქართველოს კინოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივიდან შემოტანილი იქნა ბათუმის ოლქის ისტორიის ამსახველი 1921 წლების 50-ზე მეტი ფოტოსურათი.

უნიკალურმა ფოტოებმა შემოგვინახა ქ. ბათუმის განვითარების ეტაპები. თუ როგორ შეიცვალა მისი ერთ დროს ძველი, ჩაბნელებული, ჭუჭყიანი ქუჩები და ჭაობიანი ადგილები, ფართე ნათელი ქუჩებითა და მრავალსართულიანი სახლებით დამშვენებული უბნებით.

ფოტოსურათებზე აისახა აჭარის პეიზაჟები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები, სოფლები დამახასიათებელი კოლორიტით.

ფოტოსურათები აღადგენენ ქობულეთთან, კერძოდ ციხისძირთან გამართული ბრძოლების სურათს, რომლებზეც ასახულია ბატალიონის მონადირეთა რაზმი, ოფიცერთა შემადგენლობა, საველე სანიტართა ჯგუფი, სამხედრო მეწაღეები, დაჭრილი და დაინვალიდებული მებრძოლები. ეს სურათები 1878 წლითაა დათარიღებული.

1918 წელს ბათუმის ოკუპაციის შესახებ წარმოდგენას იძლევა ფოტო, რომელზეც ინგლისის ჯარის შოტლანდიელთა ქვედანაყოფია აღბეჭდილი.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის ეთნოგრაფიულ-ყოფით ცხოვრებას ასახავს ფოტოები, რომლებზეც აჭარელი ტიპაჟები /1890 წ./, ნავსადგურის მუშა, სპარსელი მოლა /1890 წ./, ოსმან ბექირ-ოღლის წყლის წისქვილი /1890 წ./, პოპოვის მამული და მისი მიმდებარე ჩაქვის რკინიგზის სადგური, ჩინელი ქალი-ლაო-ჯონჯაოს მეუღლე და შვილია გამოსახული. 1921 წლით თარიღდება ფოტოსურათი, რომელზეც მედრესებში სწავლების პროცესია ასახული.

ფოტოსურათიდან იცქირებიან ქართველ მუსულმან ქალთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის მონაწილენი. ეს ყრილობა 1924 წ. ჩატარდა.

აქვე დაცულია აჭარისტანის I რევკომის წევრთა ფოტოსურათები: თაბერიძე, ქაჯაია, ტოროშელიძე, ნიჟარაძე, ჟღენტი, მახარაძე, პევცოვი, ქავთარაძე, გუბელი, /1921 წ./.

ჩვენს თვალწინ იშლება ბათუმის ზღვისპირა ბულვარის /1890 წ./, ბოტანიკური ბაღის, მწვანე კონცხის პანორამა /1890 წ./, ბათუმის ახლანდელი მოსწავლეთა პარკის ტერიტორია „ნური გელად“ წოდებული /1920 წ./.

ფოტოსურათები ნათელ წარმოდგენას იძლევიან თუ როგორი იყო ბათუმის საზღვაო ვაგზალი 1878 წელს, როგორ დაიწყო მისი მშენებლობა, როგორ იცვალა იერსახე ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში და გაფართოვდა და დამშვენდა საუკუნის ბოლოს. ნავსადგურის მშენებლობასა და განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მისი ტექნიკური აღჭურვილობა.

ბათუმის ბუხტაში /1908 წ./ რეიდზე შემოსული ილქნიანი და მცირეტვირთამწეობის გემები თანამედროვე ტანკებმა და სამგზავრო გემებმა შეცვალეს.

ფოტოსურათებმა აღბეჭდეს თუ როგორ ხდებოდა 1890-იან წლებში ზღვის ყურედან სამშენებლო მასალის-ღორღისა და სილის ამოღება და როგორ შეიცვალა მისი ამოღებისა და

დამუშავების ტექნიკა XX საუკუნის დასასრულისათვის. აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ფოტოალბომები მთელი სისრულით ასახავენ აჭარაში მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციასა და ფაბრიკა-ქარხანაში მიმდინარე საწარმოო-შრომით პროცესებს, რითაც იქმნება ჭეშმარიტი სურათი ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარებისა.

ფოტოალბომები მოგვითხრობენ 1936 წელს მახუნცეთში აწჭესის მშენებლობის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკის, გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი ქარხნის შრომითი წარმატებების, აჭარაში 1971 წელს დიდთოვლობის, ხელვაჩაურის რაიონის ანგისის ბელოზერსკის სახელობის მეურნეობასთან დამეგობრებული უკრაინის ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის კოლმეურნეობის შრომითი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ. აქვეა აჭარიდან სამამულო ომში წარგზავნილთა ფოტოალბომები.

მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით მომზადებულია ფოტოსტენდები, რომლებზეც ასახულია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული ეტაპები, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია.

მოძრავ ფოტო-ფარებზე აღბეჭდილია აჭარის სახელოვანი შვილის, ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები, ჩვენი კუთხის ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, აჭარა დემოკრატიული განვითარების გზაზე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები და ამაგდარნი, სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები.

ბათუმის კულტურულ ცხოვრებაზე მოგვითხრობენ ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია შეხვედრები მ.შოლოხოვთან, ბულგარელი მეგობრების სტუმრობა აჭარაში. 1988 წლის „ბათუმობის“ ამსახველი ფოტოებიდან გვიცქერიან პოეტი-აკადემიკოსი ი.აბაშიძე, პოეტები: ფრ.ხალვაში, მ. ვარშანიძე, ღ. ჯაყელი, მწერალი-დრამატურგი ალ. ჩხაიძე.

1980 წელს ბათუმში ჩატარებულმა „თბილისის დღეების“ ამსახველმა ფოტოებმა აღბეჭდეს საქართველოს სახალხო არტისტების, რეჟისორების, მომღერლების სტუმრობა ბათუმში. ფოტოებმა ასახეს შეხვედრები პოეტ ი.ნონეშვილთან,ანსამბლ „ორერასთან“ და გ. კიკაბიძესთან, რეჟისორებთან თ. აბულაძესა და რ. სტურუასთან.

ფოტოებმა შემოგვინახეს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შესანიშნავი დასის, მისი ბრწყინვალე მსახიობების მ. ხინიკაძის, ი. კობალაძის, ნ.თეთრაძის, აკ.მგელაძისა და სხვათა სახეები და შესრულებული სათეატრო როლები. თეატრის გასტროლების ამსახველი ეპიზოდები. ფოტოდოკუმენტების შეგროვება განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს ბოლო 10 წლის განმავლობაში. 1976 წლიდან ცენტრალურ სახელმწიფო არქივს შტატით გამოყოფილი ფოტოგრაფი ემსახურება.

აჭარის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ შ. აბაშიძის ხელმძღვანელობით შეძენილი იქნა თანამედროვე ფოტო და ვიდეო აპარატურა, რამაც ხელი შეუწყო არქივს მოიზიდოს უნიკალური ფოტო მასალა აჭარაში მიმდინარე მოვლენებზე და გაამდიდროს თავისი ფოტოფონდი.

დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი აჭარის სულიერი, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობამ სათანადო ასახვა ჰპოვა ფოტოდოკუმენტებში.

თვალს ახარებს ფოტოებზე აღბეჭდილი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დონეზე რეკონსტრუირებული ბათუმის ი.ჩარკვიანის სახ. სამშობიარო სახლი /1998 წ./, ერას მოედანი /1999 წ./, რომელიც ევროპის რეგიონთა ასამბლეაში აჭარის შესვლასთან დაკავშირებით კეთილმოეწყო და დამშვენდა, თანამედროვე სტანდარტებით აგებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საზღვაო ბანკი და დიდი ბანკი.

ჰყვავის სულიერი, კულტურული და სპორტული ცხოვრება. ფოტოებმა აღბეჭდეს ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერები, გასტროლები თურქეთის რესპუბლიკაში, ბათუმის განახლებული თოჯინების თეატრის მიღწევები. ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შესანახად შემოტანილია ფოტოდოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ბათუმში ჭადრაკის სასახლის გახსნასა და ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე /2000 წ./, აქვეა ფოტოები, რომლებზეც ასახულია 1999 წ. ჩატარებული საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი „ლედი ოუფენი“.

1998 წელს ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში გაიხსნა სარკინიგზო საბორნე გადასასვლელი. ეს მოვლენა ფართოდ აისახა ფოტოებში. სურათებმა ასახეს აჭარაში ყველა მნიშვნელოვან მოვლენებსა და დღესასწაულებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობის მომენტები.

აჭარაში მცხოვრები ადამიანების სულიერი და რელიგიური მეგობრობის დასტურია ის, რომ ერთმანეთის გვერდით მოქმედებენ აღდგენილი და განახლებული ქართული და რუსული მართლმადიდებლური ღვთისმშობლის სახელობის, წმ.ბარბარეს, წმ.ნიკოლოზის/, სოფ. ახალშენის „ფერისცვალობის“ სახელობის ბერძნული, ქ. ბათუმში სომხური გრიგორიანული

ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი. 2000 წელს ბათუმში კათოლიკური ეკლესია გაიხსნა, რომელიც ფოტოებზეა ასახული.

ფოტოები ასახავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბ-ნ ა. აბაშიძის შეხვედრებს ოფიციალურ პირებთან, სტუმრებთან, თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან, საქართველოსა და თურქეთის არქივების ხელმძღვანელებთან.

არანაკლებ საინტერესო და მრავალის მომცველია ფოტოები, რომლებიც უშუალოდ დარგის განვითარებასა და მიღწევებს ასახავენ, რითაც იქმნება ნათელი წარმოდგენა იმ რთულ გზაზე, რომელიც განვლო საარქივო დარგმა ბნელი, უწესრიგოდ დაყრილი დოკუმენტებიდან თანამედროვე ექვსსართულიან შენობაში დაფუძნებამდე.

ფოტოებმა შემოგვინახეს იმ ადამიანთა სახეები, ვინაც თავისი საქმითა და ერთგულებით გარკვეული კვალი დააჩინა საარქივო საქმეს.

ცენტრალური არქივის ფონდში დაცულია ტატიანა იოსების ასულ ნეფედოვას სურათი, რომელიც 1947-1961 წწ. შსს-თან არსებული საარქივო განყოფილების უფროსი იყო. 1958 წლითაა დათარიღებული ფოტოსურათი, რომელზედაც აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს თანამშრომლებია აღბეჭდილი. აქვე ინახება ქ-ნ ნ. ნოღაიდელის /საარქივო სამმართველოს უფროსი 1963-1989 წწ./, ცს არქივის დირექტორების ე. ჩაგანავას, ს. ტაბაღუას ფოტო სურათები.

ფოტოსტენდებმა „არქივი-75“ ასახა საარქივო დარგისათვის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი. ფოტოსტენდი „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მოღვაწე სამამულო ომის მონაწილეთ მიეძღვნა /გ.პინიაცი, ს.ტაბაღუა, ტ.ფრანგიშვილი, გრ. ჩაგანავა/.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციებმა, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ჩატარებულმა ღონისძიებებმა, შეხვედრებმა მწერლებთან თუ მეცნიერებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბოლო წლების განმავლობაში საარქივო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სათანადო ასახვა ჰპოვეს ფოტო-ალბომებში, რომლებშიც სურათები თემატურადაა განლაგებული „ი.ჭავჭავაძე-160“ /1997 წ./, „ტბელი-800“ /1998 წ./, „ჰ. აბაშიძე-100“ /1997 წ./, „მ. აბაშიძის ძეგლის გახსნა ბათუმის ზღვისპირა პარკში“ /1997 წ./, საბორნე-სარკინიგზო გადასასვლელის გახსნა /1998 წ./ და სხვა.

1997-1999 წლებში აჭარის საარქივო დაწესებულებების მუშაკთათვის საქართველოს პრეზიდენტის ჯილდოების გადაცემის ღონისძიებას ასახავს ფოტოალბომი. ჯილდოების გადაცემაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზ. მახარაძემ და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა.

1999 წელს პრეზიდენტის განკარგულებით დაწესდა „საარქივო დარგის მუშაკთა“ დღე. ამ დღესთან დაკავშირებული საზეიმო შეხვედრები აღბეჭდილია ფოტოებზე /1999-2000 წ.წ./.

საარქივო დეპარტამენტისა და ცენტრალური არქივის მუშაკთა ყოველდღიური საქმიანობა, ექსკურსია, საახალწლო კარნავალი თუ შეხვედრები დედის დღესთან დაკავშირებით ასახულია ასევე 1997-2000 წლების ფოტოალბომებში.

აჭარის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საარქივო დეპარტამენტში 1999 და 2000 წ.წ. მოწყობილ რესპუბლიკურ გამოფენაზე „არქივი-ერის დოკუმენტური მეხსიერებაა“ და მნიშვნელოვანი, საინტერესო ფოტოდოკუმენტებით გაამდიდრა იგი. სპეციალური ფოტოალბომები მიეძღვნა აჭარაში თურქეთის საარქივო საქმის მესვეურთა სტუმრობას. პირველად ეს სტუმრობა 1998 წელს შედგა, როცა აჭარის საარქივო დეპარტამენტს საქართველოს საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ზ. მახარაძესთან ერთად მეგობრული ვიზიტით ეწვია თურქეთის არქივების გენერალური დირექტორი-ისა ოზგული.

მეორე ვიზიტი 1999 წელს შედგა. ამჯერად აჭარის საარქივო დეპარტამენტმა და ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა უმასპინძლა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ნეჯათ აქტაშს თანმხლებ პირებთან ერთად. თურქი არქივისტების დელეგაცია მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ბატონმა ა. აბაშიძემ. შედგა შეხვედრები თურქეთის საელჩოში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცენტრალურ და საზღვაო ბანკებში.

ეს სტუმრობა ასახულია იქნა ავრეთვე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის დავალებით შედგენილ სპეციალურ ფოტობუკლეტში.

ფოტოალბომში ასახულია აგრეთვე 1997 წელს ქ.ქობულეთში ჩატარებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების მემარცხენე პარტიების II გენერალური სესიის მუშაობის ამსახველი მასალები. სესიის მონაწილეებს მიესალმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ა. აბაშიძე, საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე გ. რჩეულიშვილი, საქართველოს სოციალისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე შ. აბაშიძე.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ფოტოდოკუმენტები კარგი მასალაა ჩვენი ეპოქის ისტორიის შემსწავლელ პირთათვის.

თ ა ვ ი XXIV

პროფკავშირულ ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფ ო ნ დ ე ბ ი

პროფესიონალური კავშირების აჭარის საოლქო საბჭო /პროფსაბჭო/

ფონდი რ-98; საქმეთა ერთეული 2431, 1923-1991 წწ; აღწერა. 41ს

აჭარის ასსრ პროფესიული კავშირი ჩამოყალიბდა 1921 წლის მარტში.[1] ლიკვიდირებული იქნა 1937 წლის ივნისში,[2] პროფესიული კავშირის საქმიანობა განახლდა 1953 წლის აპრილში[3] აჭარის I შიდა საკავშირო კონფერენციაზე.

1990 წელს საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები ავტონომიურ რესპუბლიკაში პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირების მიზნით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე აარსებენ საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების აჭარის კონფედერაციას.[4]

აჭარის პროფესიული კავშირების საოლქო საბჭოს ფონდში დაცულია: საკავშირო პროფკავშირების დადგენილებები, პრეზიდიუმისა და სამდივნოს ბიულეტენები, საოლქო კავშირის დადგენილებები, ოქმები, სტენოგრამები, საოლქო პროფკავშირის კონფერენციებისა და პლენუმების, სპორტული და კულტურული საზოგადოებების სხდომების, პროფკავშირების მმართველობისა და კომიტეტების მოხსენებები, საოლქო საბჭოსა და კომიტეტების მოხსენებები, ინფორმაციები, ცნობები საწარმოო-მასობრივ სამუშაოების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების თაობაზე, სტუდენტურ გამაჯანსაღებელი, სპორტული და პიონერული ბანაკების მუშაობის თაობაზე, სპორტული შეჯიბრების ჩატარების, სამრეწველო საწარმოებში შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლისა და დანერგვის, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასების მოწესრიგების, საწარმოთა მართვაში მშრომელთა და მოსამსახურეთა მოზიდვის, კოლექტიური ხელშეკრულებები და მასალები მათი შესრულების, აჭარის პროფსაბჭოს საქმიანობის გაუმჯობესების, სოცშეჯიბრების მართვის, შრომის პირობების გაუმჯობესების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საშუალებათა ათვისების შესახებ, საოლქო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა კომიტეტის, ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეების, პიონერთა ბანაკების და სხვა ხარჯთაღრიცხვები, ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშები.

ასევე დაცულია ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელთა ანგარიშები და მოხსენებითი ბარათები, სამხედრო-საშეფო მუშაობის მასალები, პროფკავშირებისა და აქტივის სწავლების მეთოდსაბჭოს სხდომების ოქმები და მისი სამუშაო გეგმები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში აჭარის პროფდელეგაციის ანგარიში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი მ. ეკიზაშვილი.

აჭარის ასსრ პროფესიონალური კავშირების სამმართველოები და კომიტეტები

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1921-1990 წლების შემდეგი ფონდები:

1. „მეტალისტთა“ პროფესიონალური კავშირის სამმართველო.
   ფონდი რ-52; საქმეთა ერთეული 166, 1921-1940 წწ.; აღწერა.

2. განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
   ფონდი რ-53; საქმეთა ერთეული 10, 1923-1928 წწ.; აღწერა.

3. სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
   ფონდი რ-54; საქმეთა ერთეული 206, 1921-1928 წწ.; აღწერა.

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-98; პირადი ფონდი; ფ. 3.
2. იქვე, ფონდი რ-93; საქ. 445; ფ. 1; აღწერა.
3. იქვე, საქ. 2; ფ. 1; აღწერა.
4. იქვე, ფონდი რ-98; პირადი საქმე; ფ. 34.

ჩამოყალიბდა, როგორც „საბვაჭმომსახურების“ პროფესიული კავშირი, რეორგანიზაცია განიცადა 1931 წელს, მისგან გამოიყო 3 დამოუკიდებელი პროფკავშირი: სახელმწიფო ვაჭრობის, კოოპერაციის და საფინანსო ბანკების თანამშრომლების პროფესიონალური კავშირები.

4. აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა „აჭარწარმოკავშირი“ პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
   ფონდი რ-55; საქმეთა ერთეული 37, 1925-1928 წწ.; აღწერა.

5. „მკერავთა“ პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
   ფონდი რ-65; საქმეთა ერთეული 8, 1922-1925 წწ.; აღწერა.

6. სასოფლო-სამეურნეო და ადგილობრივი მუშაკთა პროფესიონალური კავშირის სამმართველო.
   ფონდი რ-100; საქმეთა ერთეული 111, 1923-1925 წწ.; აღწერა.
   ჩამოყალიბდა როგორც მიწისა და ტყის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის სამმართველო 1927 წლიდან იწოდება სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა პროფკავშირი.

7. ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის „რაბისი“ სამმართველო.
   ფონდი რ-101; საქმეთა ერთეული 2, 1925-1927 წწ.; აღწერა.

8. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის სამმართველო.
   ფონდი რ-104; საქმეთა ერთეული 99, 1925-1950 წწ.; აღწერა.

9. მებოსტნეობის სახელმწიფო მეურნეობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
   ფონდი რ-106; საქმეთა ერთეული 27, 1935-1936 წწ.; აღწერა.

10. პოლიგრაფიული წარმოების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის სამმართველო.
    ფონდი რ-108; საქმეთა ერთეული 13, 1926 წ.; აღწერა.

11. კვების მრეწველობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის სამმართველო.
    ფონდი რ-111; საქმეთა ერთეული 45, 1925-1931 წწ.; აღწერა.

12. ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
    ფონდი რ-112; საქმეთა ერთეული 37, 1925-1934 წწ.; აღწერა.

13. მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ჯგუფური კომიტეტი.
    ფონდი რ-128; საქმეთა ერთეული 72, 1931-1940 წწ.; აღწერა.

14. ლუდისა და სახამებლის მრეწველობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ჯგუფური კომიტეტი.
    ფონდი რ-148; საქმეთა ერთეული 21, 1934-1940 წწ.; აღწერა.

15. დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
    ფონდი რ-187; საქმეთა ერთეული 844, 1925-1990 წწ.; აღწერა.

16. მედიცინის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
    ფონდი რ-244; საქმეთა ერთეული 1084, 1935-1990 წწ.; აღწერა.
    ჩამოყალიბდა 1935 წელს, როგორც სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტი, 1949 წლის დეკემბერს გადაკეთდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტად.

17. კომუნალური და საცხოვრებელი მშენებლობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის რაიონული კომიტეტი /ს.მ.რ.კ./
    ფონდი რ-254; საქმეთა ერთეული 91, 1924-1939 წწ.; აღწერა.

18. საზოგადოებრივი კვების პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-810; საქმეთა ერთეული 186, 1931-1944 წწ.; აღწერა.

19. პოლიტგანათლების დაწესებულებების პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-813; საქმეთა ერთეული 62, 1936-1952 წწ.; აღწერა.

20. საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-852; საქმეთა ერთეული 25, 1947-1955 წწ.; აღწერა.

21. სამომხმარებლო საზოგადოების ცენტრალური საბჭო.
ფონდი რ-39; საქმეთა ერთეული 22, 1920-1924 წწ.; აღწერა.

22. აჭარის ასსრ პროფესიონალური კავშირის საბჭოს ბათუმის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფესიონალური გამგეობა.
ფონდი რ-103; საქმეთა ერთეული 48, 1924-1928 წწ.; აღწერა.

23. საქართველოს სსრ პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების ნებაყოფილობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს აჭარის პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების ნებაყოფლობითი საზოგადოების საოლქო საბჭო.
ფონდი რ-107; საქმეთა ერთეული 50, 1930-1936 წწ.; აღწერა.

24. საქართველოს რესპუბლიკის სიფხიზლისათვის მებრძოლი ნებაყოფლობითი საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-109; საქმეთა ერთეული 437, 1984-1990 წწ.; აღწერა.

25. სსრკ-ში მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების აჭარის განყოფილება.
ფონდი რ-117; საქმეთა ერთეული 71, 1928-1938 წწ.; აღწერა.

26. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების ნებაყოფლობითი საზოგადოების კავკასიური მარშრუტების სამმართველოს ბათუმის ტურისტული ბაზა.
ფონდი რ-127; საქმეთა ერთეული 27, 1931-1937 წწ.; აღწერა.

27. საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატის საგაჭრო-საწარმოო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის ბათუმის გამგეობა.
ფონდი რ-157; საქმეთა ერთეული 1218, 1925-1987 წწ.; აღწერა.

28. მელითონეთა და ტრანსპორტის მუშაკთა ბათუმის პროფესიონალური გაერთიანება.
ფონდი რ-159; საქმეთა ერთეული 2, 1921 წ.; აღწერა.

29. მანქანათმშენებელი მუშების პროფესიონალური კავშირის აჭარის ჯგუფური კომიტეტი.
ფონდი რ-158; საქმეთა ერთეული 3, 1931-1933 წწ.; აღწერა.

30. აჭარის ასსრ დაწყებითი და საშუალო სკოლების განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-187; საქმეთა ერთეული 147, 1929-1953 წწ.; აღწერა.

31. აჭარის ასსრ მთავარი საკურორტო სამმართველო.
ფონდი რ-215; საქმეთა ერთეული 1105, 1932-1976 წწ.; აღწერა.

32. აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატთა საბჭოსთან არსებული ინტერვენციის მსხვერპლთა ხელშემწყობი რესპუბლიკური საზოგადოება.
ფონდი რ-285; საქმეთა ერთეული 8, 1924-1925 წწ.; აღწერა.

33. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭო.
ფონდი რ-348; საქმეთა ერთეული 1055, 1962-1990 წწ.; აღწერა.

34. კულტურის მუშაკთა პროფესიონალური კავშირების ქ. ბათუმის საქალაქო კომიტეტი.
ფონდი რ-358; საქმეთა ერთეული 446, 1963-1987 წწ.; აღწერა.

35. ქედის რაიონის არასრული საშუალო სკოლების პროფესიონალური კავშირების რაიონული კომიტეტი.
ფონდი რ-371; საქმეთა ერთეული 21, 1948-1958 წწ.; აღწერა.

36. ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფსაბჭოს აჭარის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-375; საქმეთა ერთეული 763, 1947-1985 წწ.; აღწერა.

37. აჭარის კოოპკავშირის ქობულეთის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა.
ფონდი რ-401; საქმეთა ერთეული 139, 1933-1963 წწ.; აღწერა.

38. აჭარის ასსრ ბუნების დაცვის ნებაყოფილობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მეჯინისწყლის სანერგე.
ფონდი რ-444; საქმეთა ერთეული 21, 1959-1964 წწ.; აღწერა.

39. საქართველოს სსრ პროფკავშირების ტურისტთა სახლი „მწვანე კონცხი“.
ფონდი რ-426; საქმეთა ერთეული 36, 1930-1941 წწ.; აღწერა.

40. ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭო.
ფონდი რ-487; საქმეთა ერთეული 937, 1958-1978 წწ.; აღწერა.

41. აჭარის პროფსაბჭოს დაწესებულებათა პროფორგანიზაციების ბათუმის საქალაქო კომიტეტი.
ფონდი რ-526; საქმეთა ერთეული 741, 1952-1987 წწ.; აღწერა.

42. სსრკ კონსტიტუციის აჭარაში განხილვის მასალები.
ფონდი რ-580; საქმეთა ერთეული 98, 1945-1978 წწ.; აღწერა.

43. აჭარის პროფსაბჭოს საოლქო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ქობულეთის რაიონული კომიტეტი.
ფონდი რ-589; საქმეთა ერთეული 63, 1965-1975 წწ.; აღწერა.

44. რუსეთ-თურქეთის სააქციონერო საზოგადოება „ბათუმის“ სააგენტო.
ფონდი რ-684; საქმეთა ერთეული 3, 1926 წ.; აღწერა.

45. სახდაწესებულებათა პროფესიონალური კავშირის საქალაქო კომიტეტი.
ფონდი რ-851; საქმეთა ერთეული 60, 1935-1955 წწ.; აღწერა.

46. სსრკ მინისტრთა საბჭოს რელიგიური კულტურების საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში.
ფონდი რ-977; საქმეთა ერთეული 39, 1944-1958 წწ.; აღწერა.

47. აჭარის პროფესიონალური კავშირების კურორტსამმართველოს სანატორიუმი „აჭარა“.
ფონდი რ-1141; საქმეთა ერთეული 136, 1945-1963 წწ.; აღწერა.

48. აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკური სალექციო ბიურო.
ფონდი რ-1203; საქმეთა ერთეული 34, 1949-1995 წწ.; აღწერა.

49. აჭარის პროფკავშირების საკავშიროთაშორისო კულტურის სახლი.
ფონდი რ-375; საქმეთა ერთეული 389, 1956-1986 წწ.; აღწერა.

50. პროფესიული კავშირების აჭარის საოლქო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი.
ფონდი რ-377; საქმეთა ერთეული 414, 1976-1991 წწ.; აღწერა.

51. სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ხელვაჩაურის რაიკომი.
ფონდი რ-393; საქმეთა ერთეული 313, 1965-1983 წწ.; აღწერა.

52. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭო.
ფონდი რ-394; საქმეთა ერთეული 133, 1958-1975 წწ.; აღწერა.

53. პროფესიონალური კავშირების ხულოს რაიონული საბჭო.
ფონდი რ-264; საქმეთა ერთეული 68, 1930-1936 წწ.; აღწერა.

აჭარის ასსრ პროფესიონალური კავშირების სამმართველოების და კომიტეტების ფონდებში ინახება საკავშირო ცენტრალური და საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმებისა და სამდივნოების დადგენილებები, ინსტრუქციები, მითითებები, ოქმები, კონფერენციების, პლენუმების, პროფესიონალური კავშირების საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის თათბირების დადგენილებები, ადგილობრივი კომიტეტების პროფესიონალური კავშირების ყრილობათა ოქმები, საანგარიშო-საარჩევნო შეკრებების ჩატარების თაობაზე ანგარიშები და ინფორმაციები კულტურულ-მასობრივი მუშაობის, კლუბების, წითელი კუთხეების საქმიანობის, მოსახლეობასა და ბავშვებში გამაჯანსაღებელი კომპანიების ჩატარების ცნობების, შრომითი დისციპლინის განმტკიცების, საწარმოებში შრომის დაცვის მდგომარეობის და უსაფრთხოების ტექნიკის, კოლმეურნეობებზე პრაქტიკული დახმარების, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და სოცვალდებულებების დადების, მათი შესრულების შედეგების შესახებ.

გამომგონებელთა საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭო

ფონდი რ-116; საქმეთა ერთეული 128, 1932-1938 წწ.; აღწერა.

შეიქმნა 1932 წლის 28 აგვისტოს[1] აჭარის გამომგონებელთა პირველ კონფერენციაზე, ის დაქვემდებარებაში შედიოდა აჭარის ასსრ პროფკავშირებთან და სრულიად საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან: მის ფუნქციას წარმოადგენდა გამომგონებლებზე დახმარება, სხვადასხვა წინადადებების განხილვა მათი წარმოებაში დანერგვის მიზნით, მიღწევებისა და გამოგონებების ფართო აგიტაცია; ორგანიზაცია ლიკვიდირებული იქნა 1939 წელს ფუნქციების პროფკავშირების ორგანიზაციებზე გადაცემით.[2]

ფონდში დაცულია: ცაკის, სახკომსაბჭოს, საქართველოს გამომგონებელთა ცენტრალური საბჭოს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ პროფესიონალურ ორგანოთა დირექტივები, ბრძანებები, ინსტრუქციები და ცირკულიარები მშრომელთა ფართო მასების ჩართვის თაობაზე, საგამომგონებლო საქმიანობაში მუშა წინადადებების შემოწმებისა და რეალიზაციის თაობაზე, გამომგონებელთათვის ტექნიკური კონსულტაციების, რაციონალური წინადადებებისა და გამოგონების პრესაში გაშუქების, სრულიად აჭარის გამომგონებელთა 1932 წლის კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში /საქმე №-7/, სამუშაო გეგმები და რაციონალური წინადადებების წარმოებაში დანერგვის შესახებ 1932, 1935-1938 წწ., გამომგონებელთა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თათბირის ოქმები, საქართველოს სსრ სატყეო-მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1932 წლის ტექნიკური თათბირების ოქმები,

---

1. აჭარის ცსა, ფონდი რ-116; საქ. 7; ფ. 1-44, 51-52.
2. ცგაო საქართველოს სსრ, ფონდი რ-859; საქ. 1035; ფ. 27.

აჭარის გამომგონებელთა საზოგადოების საბჭოს 1934 წლის პლენუმის სხდომების ოქმები, აჭარის საზოგადოების საქმიანობის, აგრეთვე ფაბრიკების და ქარხნების ძირეული უჯრედების ანგარიშები, მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები, გამოგონების თვალსაზრისით გამომგონებელთა განცხადებები, ტექნიკური აღწერილობები, შემოწმების აქტები ჩაისგამომგონებელთა განცხადებები, ტექნიკური აღწერილობები, შემოწმების აქტები ჩაის ფაბრიკებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის, ხელოვნური დაწვიმების, ჩაის ბუჩქების შემოწმებისა და ფორმირების, ამხ. ბარკალაიას გამოგონების თაობაზე /საქმე №-10/, მანდარინის მექანიკური დაფასოების, ნიადაგის განაყოფიერებისათვის პუდრეთიის გამოყენების, ამხ. კონცელიძის გამოგონების თაობაზე 1933 წელს ცემენტო-პენზური ფილების /პლიტები/ სართულ შორის გადახურვაზე გამოყენების შესახებ /საქმე №-17/.

კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე. 1932 წელს მასიური საგამომგონებლო საქმიანობის შესახებ /საქმე №-8/ კოლექტიური ხელშეკრულებები საწარმოთა ადმინისტრაციისა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის, აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭოს 1934 წლის პლენუმის მონაწილეთა სიები, 1934 წლის ბარათები გამოგონებისა და რაციონალიზაციური წინადადებების მოძრაობის თაობაზე, ბათუმის სტახანოველებისა და გამომგონებელთა ტექნიკური ცოდნის ამაღლების კურსების ორგანიზებისა და ჩატარების ხარჯთაღრიცხვა და პროგრამა 1936 წლისათვის /საქმე №-74/, მიმოწერა საქართველოს გამომგონებელთა ცენტრალურ საბჭოსთან და საწარმოების გამომგონებელთა ბიუროებთან.

❖ ❖ ❖

თ ა ვ ი XXV

ცენტრალური სახელმწიფო არქივის პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებ დოკუმენტების განყოფილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის დეკემბრის №-282 დადგენილებით აჭარის ავტონოური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიქმნა პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების დოკუმენტების განყოფილება. განყოფილებაში დაცულია შემდეგი ფონდები:

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი

ფონდი პ-I; 16119 საქმეთა ერთეული, 1921-1991 წ.წ.; აღწერა 39.

შეიქმნა 1921 წლის 3 ივლისს[1] საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე. 1922 წლის 27 მარტამდე ეწოდებოდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი.[2] ექვემდებარებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ლიკვიდირებულია 1991 წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ფონდში დაცულია: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმის, კონფერენციის, ბიუროს სხდომის ოქმები და დადგენილებები; მმართველობითი სისტემის სრულყოფის, აჭარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესრულების., სახელმწიფო ბიუჯეტის და ნომენკლატურულ მუშაკთა დამტკიცების, პარტიის საქმისადმი თავდადებული, იდეურად მტკიცე კომუნისტთა აღზრდის, წარმოება-დაწესებულებებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ განვითარების, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისადმი დახმარების გაწევის შესახებ; მოხსენებითი ბარათები და მიმოწერები ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციებთან, პარტიული აქტივის, თათბირის და ქალთა კომიტეტის სხდომის ოქმები. ხუთწლიანი გეგმის შესრულების, ერთიანი პოლიტდღის ჩატარების, პერსონალური პენსიების დანიშვნის, სამუშაო გეგმის, ბიუჯეტის შესრულების შესახებ, პარტიის წევრთა სიები, სააღრიცხვო ბარათები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები, ხელფასის უწყისები.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი

ფონდი პ-2; 866 საქმეთა ერთეული, 1967-1989 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1967 წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებით — „საოლქო კომიტეტებთან პარტიული კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ“.[3]

ლიკვიდირებულია 1991 წლის აგვისტოში კომპარტიის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ფონდში დაცულია: პარტიის წევრთა პირადი საქმეები, პარტიული დისციპლინის დაცვის, პარტიის პროგრამის, წესდების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის, პარტიული სასჯელის მქონე აპელაციების განხილვის მასალები.

---

1. ფონდი პ-1, აღწ. I, საქ. 1, ფ. 2, 5.
2. იქვე, ფ. 43-46.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, ფ. 699.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი

ფონდი პ-6; 36373 საქმეთა ერთეული, 1921-1991 წ.წ.; აღწერა.

შეიქმნა 1936 წლის 15 ოქტომბერს ბათუმის პარტიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე.[1] 1947 წლამდე ბათუმის პარტიული ორგანიზაცია შეერთებული იყო აჭარის საოლქო კომიტეტთან და ეწოდებოდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტი. 1947 წლის მეორე ნახევრიდან გამოეყო საოლქო კომიტეტს და ეწოდა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი.[2]

ექვემდებარებოდა ჯერ აჭარის რევოლუციურ კომიტეტს, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს.

ლიკვიდირებულია 1991 წლის აგვისტოში კომპარტიის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ფონდში დაცულია: **საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პარტიული კონფერენციის, პლენუმის, ბიუროს სხდომის ოქმები და დადგენილებები; ქ. ბათუმის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის და ბიუჯეტის შესრულების, პარტიული ყრილობების, ლექტორთა ჯგუფის მუშაობისა და მათი შედეგების განხილვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნის, სკკპ რიგებში წევრთა მიღების, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის, მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდის ღონისძიებათა შესახებ; პარტიის წევრთა სიები, სააღრიცხვო ბარათები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები, ხელფასის უწყისები.**

სამრეწველო_საწარმოო კომიტეტი

1. **საქართველოს კომპარტიის ქობულეთის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტი.**
   ფონდი პ-1680; 200 საქმეთა ერთეული, 1963-1964 წ.წ.; აღწერა 2.

2. **საქართველოს კომპარტიის ჩაქვის სასოფლო-საწარმოო კომიტეტი.**
   ფონდი პ-1681; 680 საქმეთა ერთეული, 1963-1964 წ.წ.; აღწერა 4.

3. **საქართველოს კომპარტიის ქედის სასოფლო-საწარმოო კომიტეტი.**
   ფონდი პ-1687; 202 საქმეთა ერთეული, 1963-1964 წ.წ.; აღწერა 4.

